კვირის პალიტრა
ფეხი
N28(57) 12/VII.-18/VII.2001.
ფასი 60 თ.

1168
2001

„ექსპერტები“ ტოტალიზატორში

ქართველი მოგზაურები და რუმინული რეკეტი

ვინ გაატუტუცა სისანა სეფიაშვილი

მე ისევ ვივლი თბილისის ქუჩებში...

მე მხოლოდ დედამ არ მიმატოვა...

ჯაბა იოსელიანი:

— ჩემი ცხოვრება უხეირო მდივან-მეგანქანესავით არის: ბეჭდვის დროს ერთ შეცდომას გაასწორებს და მეორე შეცდომას დაუშვებს, და მიდის ასე ცხოვრების მდინარე...

გვ.6

ᲥᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲬᲘᲒᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№28 (57)
12 — 18 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2001
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲒᲐᲒᲔᲑᲐᲐ, ᲫᲛᲐᲝ ᲙᲝᲚᲝᲛᲑᲝ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ, ᲒᲐᲒᲔᲑᲐ! 3
ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ
ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲡᲪᲮᲔᲚᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲪᲮᲔᲚᲐ 4
ᲘᲣᲑᲘᲚᲔ
ᲯᲐᲑᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ 6
ᲐᲛᲑᲚᲣᲐ
ᲕᲘᲜ ᲒᲐᲐᲢᲣᲢᲣᲪᲐ ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲡᲔᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ? 8
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ
ᲐᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ: „ᲛᲔᲒᲝᲑᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲜᲣ ᲐᲮᲚᲔᲑᲝ — ᲔᲒ ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲐᲠᲦᲕᲘᲔ“ 11
ᲑᲔᲓᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ
ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲔᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲐᲢᲝᲕᲐ... 12
ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ
ᲢᲔᲡᲢᲘ ᲔᲠᲣᲓᲘᲪᲘᲐᲒᲔ 13
ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐ
ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘ — ᲜᲐᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲙᲝᲖᲘᲠᲘ 14
ᲒᲐᲛᲝᲥᲘᲠᲔᲑᲐ
„ᲛᲝᲬᲐᲛᲚᲣᲚᲘ“ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲜᲔᲘᲠᲝᲥᲘᲠᲣᲠᲒᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲔᲡ 17
ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ
ᲐᲤᲝᲠᲘᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ 19
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 20
ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
„ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ“ ᲢᲝᲢᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲨᲘ 20
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
• „ᲥᲛᲐᲠ-ᲨᲕᲘᲚᲘ ᲣᲛᲝᲬᲧᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲛᲘᲮᲝᲪᲐ, ᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲔᲜᲭᲘᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲕᲠᲘᲐ...“ 22
• ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲣᲛᲘᲚᲘ ᲐᲭᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲡ? 25
ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲡ ᲗᲐᲒᲝ ᲗᲝᲚᲝᲠᲐᲘᲐᲡ ᲞᲠᲝᲨᲘᲚᲘ ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲡ 26
ᲭᲐᲥᲐᲠᲘ
ᲛᲐᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐᲐᲜᲒᲠᲘᲐ, ᲣᲤᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝ ᲛᲘᲔᲒᲦᲝᲗ... 28
ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲕᲘ
ᲡᲣᲚ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲓᲐᲕᲧᲐᲕᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲒᲔ 30

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲡᲪᲮᲔᲚᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲪᲮᲔᲚᲐ



ᲝᲠᲗᲕᲘᲐᲜᲘ ᲕᲔᲠᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲮᲢᲣᲚᲔᲑᲡ, ᲓᲐᲮᲣᲗᲣᲚ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲛᲓᲔ ᲣᲭᲐᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲗᲐᲜᲒᲣᲚ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ — ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲐ ᲐᲮᲡᲝᲕᲗ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ.

4

ᲛᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘ — ᲜᲐᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲙᲝᲖᲘᲠᲘ

ᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲮᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲔᲥᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲪᲔᲑ ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝ! ᲓᲐ, ᲛᲔᲪ, ᲔᲠᲗ ᲬᲐᲛᲨᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲣᲡᲢ ᲛᲮᲠᲔᲑᲡ „ᲐᲕᲙᲘᲓᲔ“...

14

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲪᲮᲝᲛᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲝᲨᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲔᲡ



ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲡ ᲐᲠ ᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ. ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲐᲛᲐᲛᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲠᲫᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ.

22

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲐᲢᲣᲢᲣᲪᲐ ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲡᲔᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ?

ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲘᲧᲝ, ᲘᲥ „ᲒᲔᲒᲛᲐᲡ“ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲓᲘᲗ, ᲰᲝᲓᲐ, ᲩᲐᲕᲯᲔᲥᲘᲗ ᲚᲘᲤᲢᲨᲘ ᲓᲐ... ᲒᲐᲕᲘᲭᲕᲔᲗ. 15 ᲬᲣᲗᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲐ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲑᲜᲔᲚᲔᲨᲘ „ᲕᲙᲝᲡᲢᲐᲕᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗ“. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲠᲙᲔᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲕᲘᲮᲔᲓᲔ, ᲨᲔᲛᲔᲨᲘᲜᲓᲐ: ᲪᲐᲚ ᲚᲝᲧᲐᲖᲔ 3 ᲗᲘᲗᲘᲡ ᲐᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲬᲘᲗᲚᲐᲓ...

8

21960
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ფსიქოლოგიური თამაში
როგორია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა 31
სამყარო
მუგეუმი ბეიკმრ-სთრითგე 32
წმინდანები
უდღეურია სიცოცხლე მარადისობასთან 34
ისტორია
სამეგრელოს 1918 წლის „კონტრრევოლუციური“ აჯანყება 35
მოგზაურის დღიურები
რუმინეთში მოგზაურობის შემდეგ მუკუზნის ღვინო არ მომკლებია 38
ვარსკვლავი
ენდი მაკდაუელი: სექსის გადაღება ძალიან სახალისოა! 41
ტესტი
ერთგული მკითხველი 43
რომანი
ნიკო აშკარელი. ბედისწერა (გაგრძელება) 44
ბომონდი
ვარსკვლავური სახლები 48
ავტო
ლეგენდარული მანქანის შემქმნელი ენცო ფერარი 50
ესკიზები
ხარფუხელი აშიკი: რამდენჯერაც მიყვარდა, ყოველთვის ძლიერ ვიყავი შეყვარებულიო... 52
ჯანმრთელობა
- კითხვა-პასუხი 54
- ახალი ვაქცინები 55
- თუ ბავშვი ხელოვნურ კვებაგე გადაგყავთ 55
- სამკურნალო მცენარეები 56

ჯადოქარი
სასიკვდილო ცეკვა 57
სკანვორდი 61
ჰოროსკოპი
კვირის (16-22 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62
ტესტი
გაქვთ თუ არა ფანტაგიის უნარი? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

რუმინეთში მოგზაურობის შემდეგ მუკუზნის ღვინო არ მომკლებია



რუმინეთი საოცრად ჰგავს საქართველოს. მეგობრებმა დასვენება გადაწყვიტეს და გზიდან 100 მეტრის დაშორებით, პატარა მდელოზე გააჩერეს მანქანა. ჩაეძინათ... როცა გამოეღვიძათ, თვალებს არ დაუჯერეს: ავტომობილს არც ერთი საბურავი აღარ ჰქონდა...

38

უგედურებაში მხოლოდ დედამ არ მიმატოვა...



გიამ 80%-იანი დამწვრობა მიიღო, თვითონ გამოიძახა „სასწრაფო“, ლოდინი აღარ შეეძლო. დიდი გაჭირვებით მიაღწია ტრანსპორტის გაჩერებამდე და სამარშრუტო ტაქსიში ჩაჯდა. ორთაჭალაში გრძნობა დაკარგა...

12

სექსის გადაღება ძალიან სახალისოა!

თავის დროზე ენდი მაკდაუელმა სახალხოდ გაიცხა დემი მური ფილმ „სტრიპტიზში“ გაშიშვლების გამო. ცოტა ხნის წინ კი ენდი ფილმში „უიღბლო ქალთა კლუბი“ გადაიღეს, სადაც თვითონ ისეთ რამეებს სჩადის ეკრანზე...

41

ბელიეტონი

— თქვენ ახლა იმხელა საქმე გამიკეთეთ... — დაიწყო მადლიერების გამოხატვა ვახომ.

— არ გვინდა ამაზე ლაპარაკი, — გააწყვეტინა დათომ.

44



გაგებაა, ძმაო კოლომბო, მთავარი, გაგება!

პირზე მომდგარსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდაო – ხომ გაგიგონიათ? ჰოდა, არც ყველა გაგონილ და მოყოლილ ამბავს სჭირდება გამოქვეყნება. ეს მეცა და თქვენც გვესმის, მაგრამ ზოგიერთ ჟურნალისტს ვერ გაუგია. ვერ გაუგია და ახლავე ავუხსნი, თუ კიდევ ვერ გაიგო – გაუგებარი ყოფილა.

გეგუთის კოლონიის ამბებზე მოგახსენებთ. ორშაბათის „კვირის პალიტრა“ გადავშალე და ვიღაც კოლომბოსავით გამომძიებელი ჟურნალისტის ვითომ მაგარ გამოძიებას წავაწყდი.

გაკიცხულია ციხეში პაემნებზე ფულის აკრება. მოდით, ამ საკითხს სხვა თვალით შევხედოთ. ციხე ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოში რა, საგადასახადო მოსაკრებელი არ უნდა არსებობდეს? მეტყვით ალბათ: დიახო. ჰოდა, რეფორმატორ კოლონიის ახალ დირექტორს კაი ბიჭების პარლამენტი (საკანონმდებლო ხელისუფლება) მოუწვევია და მათთან ერთად გადაუწყვეტია ზოგიერთი სახელმწიფოებრივი საკითხი. დაუნიშნავთ აღმასრულებელი ხელისუფლება და დამდგარან სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე, მაგრამ, ესმის ახლა ამდენი კოლომბოს?!

უცნაურია, კაცო, ჯართი და აგური არ დატოვეს კოლონიაში და პირწმინდად გაზიდეს ტერიტორიიდან და სახლები წამოჭიმესო. განა ჩვენს სახელმწიფოში ჯართის გატანა შეზღუდულია?! ანდა სასახლეების აშენებაა „გრეხი“?! ჰოდა, ამ კაცს ჩვენი ქვეყნის დარად დაუწყია აღმშენებლობა და ვიღაც ინტრიგანი არ ასვენებს თურმე.

პატიმრებს ხშირად სცემენო, წერს კოლომბო. ბიჭო, ციხეში კი არა, გარეთ ურტყამენ დეპუტატების მამებს და ის გაგიკვირდა, ციხეში თუ აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება ამ მეთოდით გადაწყვიტეს?! ეგ კი არა და, კოლონიის უფროსობის გატაცებას ვერ ახერხებენ ტერიტორიის უქონლობის გამო, თორემ იქაც ნდომებიათ პანკისის ხეობასავით ადგილის გამოყოფა და დეპუტატებივით ზოგიერთების გადამალვა. გაიგე, ძმაო!

მერე ისიც წერია, ახლანდელ უფროსს ძალოვან სტრუქტურაში უმუშავია სხვადასხვა თანამდებობაზე და ერთ-ერთი ადგილიდან კი იმიტომ გაუთავისუფლებიათ, რომ ქალზე ძალა იხმარაო. ვაი, მაგის პატრონს, ჩვენი ქვეყნის მთლად უფროსი ყოველ არჩევნებზე ძალაობს და ეგ გახდა სალაპარაკო?! გაგებაა, ძმაო კოლომბო, მთავარი, საქმის არსის სწორად გაგება!

პატიმრებს კოლონიიდან 3 კმ-ის დაშორებით მონებივით ამუშავებდნენო... ნახევარი საქართველო რომ საზღვარგარეთ სამუშაოდ არის წასული, ვერც აქ ხედავთ მსგავსებას?! იმუშავებენ და კარგადაც ისადილებენ და ივახშმებენ კიდეც. იქნებ დასალევიც გაუჩნდეთ. ქართველი კაცის ქეიფს გინდა ხელი შეუშალო?! არ გამოვა!

დაღუპული პატიმარი იმიტომ არ გააკვეთინეს, ნათესავებს ქურდების თხოვნით, რომ მერე „შმონი“ და ათასგვარი შემოწმება ატყდებოდაო... აქაც პარალელი გინდათ? კი, ბატონო... ჩვენს ქვეყანაშიც დაიღუპა მრეწველობა და ეკონომიკა (მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთიდან „პერედაჩებს“ უგზავნიდნენ). ახლა რომ ექსპერტები მოვიწვიოთ და სერიოზულად გამოვაძიებინოთ ეს საქმე, რა ამბავი ატყდება ქვეყანაში ამის გამო, წარმოიდგინე?! ასეა, ჯერ დაფიქრდი და მერე ჯღაბნე...

და კიდევ ერთი: უფროსი, სანამ დააწინაურებდნენ, რიგითი იყოო, რომ ამბობ, რამდენი მაგალითი გაქვს საქართველოში უცებ აღზევებული მდაბიო ხალხისა, ჩამოგითვალო?! არ გინდა, ხომ?! შეგრცხვა, არა?..

გაგებაა, ძმაო კოლომბო, მთავარი, გაგება...

P.S. აქამდე, ამის თქმა არ შეიძლებოდა, ახლა კი აღარ აქვს მნიშვნელობა... ციხეებში გვირაბების გათხრაზე რომ ატეხეთ მთელი ამბავი, იცოდით, რაში იყო საქმე?! სავიზო რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული მინი-ცდა ტარდებოდა. დიახ, დიახ... რუსეთში თუ მიწის ზევიდან არ გვიშვებენ, მიწის ქვეშიდან – სახელმწიფოდან სახელმწიფოში გადასვლის მექანიზმი იხვეწებოდა. გაიგე?!

პროვოკატორი

პარლამენტს დასასვენებლად არ სცხელა, თუმცა თბილისში ცხელა

ზურად ქვანია და ნიკო ლეკიშვილი

გიგი წერეთელი

გოგი თოფაძე

მანანა იამვილი

შარშანდელი ივლისის ხვატით შეშინებულმა თბილისელებმა წელს თადარიგი დაიჭირეს და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, ზოგმა სოფელს მიაშურა, ზოგმა აგარაკს. ქალაქის შემოგარენში მდებარე სასახლეების მკვიდრმა ბედის ნებიერებმა, უკვე დაგეგმეს საკურორტო მარშრუტები მსოფლიოს ელიტური კურორტებისაკენ. საკურორტო სეზონის „პროგრამა“ მხოლოდ პარლამენტარებისთვის რჩება გაურკვეველი. ორთვიანი ვერბალური ომით დამუხტულებს, დახუთულ სივრცეში სხდომიდან სხდომამდე უჰაერობით გათანგულ პარლამენტის წევრებს აღარც თავიანთი პირდაპირი ფუნქცია – ქვეყნის მომავლის დაგეგმვა ახსოვთ და აღარც დასვენება.

პარლამენტის „დიასახლისმა“, ხათუნა გოგორიშვილმა, დაპირებული „დიდი, საარდადეგებო ხელფასის“ ნაცვლად, მხოლოდ ივნისის თანხა გამოწერა, რამაც ჩვენი რჩეულების აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია. თვითონ ხათუნაც გაღიზიანებას ვერ მალავს და ამბობს, რომ საერთოდ არ აპირებს ამ ზაფხულს თბილისის დატოვებას.

დასვენებას არც პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ქვანია ფიქრობს, მაგრამ აგვისტოში ოჯახს ურეკში გაამგზავრებს და თუ დრო გამონახა, ორი-სამი დღით მათთან დარჩება.

ვიცე-სპიკერმა **გიგი წერეთელმა** არასდროს იცის, სად დაასვენებს ოჯახს, რის გამოც ხშირად ღებულობს საყვედურებს.

რევაზ ადამია თბილისში რჩება, თუმცა, როგორც გავარკვიეთ, დედაქალაქის ტერიტორიად წყნეთს, ოქროყანასა და ტაბახმელასაც მოიაზრებს. ვაჟიშვილს კი, სამთო-სათხილამურო სკოლაში აგზავნის.

მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი **ედვარდ სურმანიძე** ოჯახს ბათუმში დაასვენებს და თუ ჩოლოქის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე საქმე არ გაურთულდა, თავისუფალ დღეებში აქეთ-იქით იმოგზაურებს.

პანკისის ხეობაში მძევლად ყოფნის შემდეგ, **პეტრე ცისკარიშვილი** და **ანუკი სურმავა** დაქორწინდნენ. ზაფხულს ისინი კიკეთში, პეტრეს მამის აგარაკზე გაატარებენ, მაგრამ ახალშეუღლებულებს იმედი აქვთ, რომ სეზონის ბოლოს, ხმელთაშუა ზღვაზე ან შეერთებულ შტატებში გასეირნებასაც მოახერხებენ.

„ჩვენს“ ზღვაზე და განსაკუთრებით ქობულეთზე გიჟდება **კობა ამირხანაშვილი**. ტრადიციისამებრ, იგი თავის ჯალაბთან ერთად წელსაც ქობულეთში აპირებს დასვენებას.

ნიკო ლეკიშვილს ჯერ არ უფიქრია დასვენებაზე. როგორც ვარაუდობს, რაჭას წელსაც არ უღალატებს – ვენახსაც მოინახულებს და ნადირობასაც მოახერხებს.

გივი ლომინაძეს ერთი სული აქვს, დუშეთის რაიონში, წითელ სოფელში, თავის ადგილ-მამულში როდის ჩავა. უკვე 15 წლისაა მისგან დარგული და ნაფერები ხეხილი და კვლავაც ყურადღება სჭირდება. მეუღლეს, შვილსა და შვილიშვილსაც თან წაიყვანს. არაგვის პირას მზის აბაზანები და ჭყუმპალაობა არც მათ აწყენთ.

თედო პაატაშვილის მეუღლე დღე-დღეზე ბავშვს ელოდება და ამიტომ ოჯახი თბილისს არ ტოვებს.

„ორი გოგონას შემდეგ ძალიან მინდა, ბიჭი შემეძინოს. ექოსკოპია არ გადავიღეთ, რომ ხასიათი არ გამფუჭებოდა“, – მიმხელს იგი.

ცხელი ზაფხული ელის **ხათუნა ხოფერიას**, რომლის ვაჟიშვილიც წელს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე აბარებს მისაღებ გამოცდებს, ამიტომ დედამისს თბილისური მზის აბაზანების მიღება მოუწევს.

უნივერსიტეტის წინ „მშობელთა მზის აბაზანების“ მიღების გამოცდილება უკვე აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს **ჯონი ხეცურიანს**: წელს მას უმცროსი ვაჟიშვილის გულშემატკივრად ვიხილავთ. უმცროსიც, მამისა და ძმის კვალზე სიარულს აპირებს.

ჯემალ გამახარიას წელს დასვენება არ უწერია, მაგრამ ოჯახს ჩხოროწყუში, სოფელ ახუთში აგზავნის დასასვენებლად.

ელიზბარ ჯაველიძე სოლოლაკის მთასა და კოჯრიდან მონაბერ სიოს არ თმობს. შვილებს კი, ბორჯომში აგზავნის დასასვენებლად.

შორეულ მოგზაურობაზე არც „ახლები“ ფიქრობენ და არც „მრეწველები“: ისინი ახლომახლო აგარაკებს სჯერდებიან. **ფიქრია ჩიხრაძე** რაჭაზე ოცნებობს, სადაც არის ფანტასტიკური უბანი, – ჟამიერეთი, უწერასთან ახლოს. **ირაკლი ბათიაშვილს** უხარია, რომ ოჯახი წყნეთში აიყვანა და პრობლემაც აღარ აქვს. **დავით გამყრელიძე** გასულ წელს ხმელთაშუა ზღვაზე გატარებული მოგონებებით ინუგეშებს თავს, **ლევან გაჩეჩილაძე** კი – პორტუგალიაზე. **ზურაბ ტყემალაძე** და **თამაზ ბექანიშვილი** ტაბახმელაში აპირებენ ოჯახთან ერთად დასვენებას. **გოგი თოფაძე** ფიქრობს, რომ მაინც მოახერხებს მთაში სანადიროდ წასვლას. ჩვენი უშიშროების დამცავი **გია ბარამიძე** კი, უკვე კოჯორშია, მეუღლის ოჯახთან ერთად.

მოკლედ, თუ დაიჯერებთ, „ბერიც“ ისე ცხოვრობს, როგორც ერი. თუმცა, მათზე წუხილი არაფერს გვარგებს. საქართველო იმდენად პატარაა, რომ მანქანითა და ბენზინით უზრუნველყოფილ კაცს ყოველთვის შეუძლია არაგვისპირას, ხის ჩრდილში წამოწვეს და რიონზეც გაშალოს ფაცერი. იმან იკითხოს, ვისაც ბოტანიკურ ბაღში შესასვლელი 20 თეთრიც არა აქვს.

■

ხათუნა გოგორიშვილი


ირაკლი ბათიაშვილი

ანა სურმავა

ფიქრია ჩიხრაძე

პეტრე ცისკარიშვილი

დავით გამყრელიძე

10 ივლისს, თეატრის მოღვაწეთა კავშირმა, თეატრალურმა ინსტიტუტმა, მწერალთა კავშირმა და „მხედრიონმა“ ჯაბა იოსელიანს 75 წლის იუბილე გადაუხადა. მარჯანიშვილის თეატრი სავსე იყო. ტრადიციულად, როგორც ყველა იუბილეზე, უხვად ისმოდა გულთბილი მისალმება, წარსულის გახსენება, ლექსები და სიმღერები. მაგრამ ჯაბა იოსელიანისათვის ასეთი ხალხმრავალი დღესასწაულები, დაბადების დღეზე, სულაც არ არის ტრადიციული.

ჯაბა იოსელიანის დაბადების დღეები

მანანა იამვილი

— ახლა, არ მინდოდა ამხელა ამბავი, მაგრამ თავპატიჟიც არ დამიდვია. 70 წლის იუბილეს ციხის მე-5 იზოლატორში შევხვდი. 65 წელი, ზვიად გამსახურდიას დროს, ასევე ციხეში შემისრულდა. მაშინ შიმშილობა მქონდა გამოცხადებული და დაბადების დღეს მეორმოცე დღის შიმშილობა დაემთხვა.

— ყოველთვის ასეთი მძიმე მოგონებები გაქვთ 10 ივლისთან დაკავშირებით?

— უჰ, რა თქმა უნდა, სიხარულიც ბევრი იყო და თავგადასავალიც. ასეთი ხალხმრავალი დაბადების დღე — ციხიდან ახალი გამოსული რომ ვიყავი, მაშინ მქონდა: 40 წლის თავზე ჩემმა ძმაკაცებმა დიდი ქეიფი გადამიხადეს ვაკის პარკში. თამადად ცხონებული რეზო თაბუკაშვილი იყო. თბილისში და საქართველოში რაც ლამაზი ქალი იყო, იმ დაბადების დღეს ესწრებოდა. დიდი საზოგადოება შეიყარა — ქალაქის გამოჩენილი და ჭკვიანი ადამიანები. შესანიშნავი დრო გავატარეთ...

4 წლის ჯაბა (მარცხნივ) დედასთან და დედმამიშვილებთან ერთად (წინა პლანზე ლილი იოსელიანი)

— მაშინ კანონიერი ქურდი იყავით თუ პროფესორი?

— არა, კაცო! მაშინ, ასე ვთქვათ, უკვე გამოსწორების გზაზე გახლდით... შემდეგ აღარც მახსოვს რაიმე გამორჩეული. ჩვეულებრივ, შევიკრიბებოდით ხოლმე ძმაკაცები და ვქეიფობდით. 50 წელი უნდა შემსრულებოდა და ჩემს ორ ძმაკაცთან ერთად მანქანით გაგრაში წავედით. გზაში საუბარი ჩამოვარდა დაბადების დღეზე და ერთ-ერთმა, რომელსაც უკვე შეუსრულდა 50, თქვა — ვისაც 50 წელი უსრულდება, მას ბუნება ამ დღეს რაღაც ხიფათს უმზადებს, მრგვალი თარიღის მეორე დღეს ისე ცუდად ვიყავი, მეგონა, მოვკვდებოდი. სამივენი კლასელები ვიყავით. მეორე მეგობარმა დაიჟინა — აგერ, 8 ივლისსაა ჩემი დაბადების დღე და ვნახოთ, თუ რაიმე მომივაო. ჩავედით გაგრაში და მეორე დღის საღამოს იმ მეგობრის დაბადების დღე აღვნიშნეთ. დილით გავიღვიძეთ და რას ვხედავ — ჩვენს იუბილარს თვალი ისე აქვს გასივებული, ვერ ახელს. თურმე, ფურუნკული გაუჩნდა თვალზე. ბევრი ვიცინეთ. ახლა მე ველოდები, რა მომივა. 11-ში დილით ისე ამიწია წნევამ, რომ ფეხზე ვერ ვდგები. არადა, მანამდე წნევას არასოდეს შევუწუხებივარ...

— ბავშვობაში მხიარულად ზეიმობდით დაბადების დღეს?

— ბავშვობაში თავს ცოტა დაჩაგრულად ვგრძნობდი, რადგან დაბადების დღე არდადეგებს ემთხვეოდა და ჩემი ძმაკაცები დასასვენებლად იყვნენ წასულები. ჩვენც ხან სოფელში ვიყავით ამ დროს, ხან აგარაკზე. სიხარული მაინც იყო, რადგან მამაჩემი ყოველთვის ჩამოდიოდა ამ დღეს ჩვენთან.

ბორის ელცინთან, ედუარდ შევარდნაძესა და ანდრეი კოზირევთან ერთად

— პირველი დაბადების დღე რომელი წლიდან გახსოვთ?

— მახსოვს, მახინჯაურში ვისვენებდით. 5 თუ 6 წლის ვიყავი. ჩამოვიდა მამა და ჭადრაკი ჩამომიტანა. საღამოს ჩავუჯექით „შახმატს“. მამა მიხსნიდა ფიგურების ხარისხს, მათი მოძრაობის წესს, თამაშის არსს. ძალიან მომეწონა და მას შემდეგ ჭადრაკის თამაში ძალიან მიყვარს.

— იარაღიც გიყვართ?

— რა თქმა უნდა! იარაღსაც ხშირად მჩუქნიდნენ ხოლმე.

— ხელისუფლებაში ყოფნის დროს როგორ იხდიდით დაბადების დღეებს?

— 1992 წელს, სწორედ წინა დღეებში, წალენჯიხაში თავს დაგვესხნენ და ალყაში მოგვაქციეს. 1993 წელს ტამიშთან გვქონდა ბრძოლა: 10 ივლისს დესანტი „გავყარეთ“ იქიდან და ბიჭებმა ეს გამარჯვება მე მომიძღვნეს. საღამოს კი, ოჩამჩირეში ვიქეიფეთ.

— ციხეში როგორ იხდიდით ხოლმე დაბადების დღეს?

— სხვადასხვაგვარად. ზოგჯერ ბიჭები რაღაცას მოახერხებდნენ ხოლმე... ნოვოჩერკასკში, ციხის „კრიტში“ ვიყავი. „კამერაში“ ორნი ვიჯექით, იქ არც საჭმელი გვქონდა, არც სასმელი. ისეთი რეჟიმი იყო, რომ ცხელ „ბალანდას“ დღეგამოშვებით გვაძლევდნენ. დღეში 400 გრამი შავი, ტალახისმაგვარი პური იყო კაცზე გამოყოფილი და იშვიათად — დამარილებული „კილკა“. მახსოვს, ჩემმა თანაკამერელმა ძმაკაცმა დაბადების დღეზე საჩუქარი მომართვა. საკანში რა დაიმალება, მაგრამ მან მაინც მოახერხა ჩემგან დაფარულად ამ საჩუქრის გაკეთება. ვხედავ, მანამდე რაღაცებს „ჩალიჩობს“, მაგრამ ვერ მივხვდი.

თურმე უშოვია ნიორი და მარგარინი, გადაუნახავს „კილკა“, თევზს ფხები დააცალა და ნიორთან ერთად დანაყა. შიგ შეურია ცოტა მარგარინი. შავ პურს ტორტის ფორმა მისცა და ეს ხიზილალასავით ნაზავი ზედ წაუსვა. ასეთი საჩუქარი მომართვა და „კილმორგოსი“ დაარქვა.

— პრეზიდენტს თუ მოულოცია თქვენთვის დაბადების დღე?

— არასდროს. მაგას ყოველთვის თვალში ეკლად ვესობოდი. იცით, რა მიკვირს? — მაგას მართლა ჰგონია, რომ აღმავლობა გვაქვს თუ ისევ უნდა მოგვატყუოს? სტალინის დროს იყო ასე. ამანაც ააწყო კომუნისტური მმართველობა და მთელ ქვეყანაში ქურდობას ახალისებს. ანეკდოტი იყო ასეთი: სტალინთან ჩინელი „ფოკუსნიკები“ ჩავიდნენ — თქვენთან ვიმუშავებთო. გაეცინა სტალინს, — ჩვენზე კარგი „ფოკუსნიკები“ ვერ იქნებით: ხალხს ვაშიმშილებთ და მაინც ჩვენს მზეს ფიცულობენო... ახლაც „კულტია“, ოღონდ დროა სხვა და ფორმებია უფრო დახვეწილი.

— ახლა 75 წლის მოიყარეთ. მომავალზე რას ფიქრობთ?

— არ ვიცი, რა გვეშველება. შევარდნაძემ როგორც გაბერა ბიუროკრატიული აპარატი, ისე უნდა ჩაფუშოს. თუ არ გააკეთა, მაშინ მოუხდება სამარცხვინოდ წასვლა და ისტორიაშიც სამარცხვინო ფურცელს ჩაიწერს — ისედაც დიდი ფურცელი აღარა აქვს დასაწერი...

— თქვენს მომავალზე რას ფიქრობთ?

— არ ვიცი, ვნახოთ. თუ გამოსწორდა საარჩევნო კანონი და რაღაც შეიცვალა, შეიძლება კენჭი ვიყარო პარლამენტში.

— რას ფიქრობთ განვლილი ცხოვრების გზაზე?

— მართლაც საინტერესო ცხოვრება მქონდა. პირველ რევოლუციას არ მოვსწრებივარ, მაგრამ მის შედეგებს, 37 წელს მოვესწარი. შემდეგ იყო ომის ბავშვობა... უამრავი კონტრასტი მქონდა ცხოვრებაში და ალბათ სულ ასე იქნება — ცოტა კარგად, ცოტა უკეთესად, მაგრამ ეს ცხოვრება არასოდეს დალაგდება: რომ დალაგდეს, ცხოვრებაც შეწყდება.

— ფაუსტივით?

— დიახ. კაცობრიობის ისტორია შეცდომიდან შეცდომამდე ვითარდება. ჩემი ცხოვრებაც უხეირო მდივან-მემანქანესავით არის: ბეჭდვის დროს ერთ შეცდომას გაასწორებს და მეორე შეცდომას დაუშვებს. ასეა — ერთი შეცდომის გამოსასწორებლად მეორე შეცდომას უშვებ და მიდის ასე ცხოვრების მდინარე... ■



ცისანა სეფიაშვილი ფართო მსმენელმა მამამისის — კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის კლიპით გაიცნო: „ჩემი ცისანა...“ — შემოსძახებდა ბატონი ჯემალი და ამ დროს ცისანა გამოჩნდებოდა... თუმცა, თითქმის იმავე პერიოდში მის სიმღერას — „ღრუბელს რაღა უნდოდა?“ უკვე მთელი თბილისი მღეროდა. რატომ აირჩია უკვე 25 წლის თეატრმცოდნემ ახალი პროფესია, რამდენად უწყობს შვილის საშემსრულებლო კარიერას ხელს კომპოზიტორი მამა — ამას, ისევე, როგორც ბევრ სხვა ამბავს მის შესახებ, თავად ცისანასგან შევიტყობთ.

ვინ მაატუტუცა ცისანა სეფიაშვილი?

ელისო გურგენიძე

სეფიაშვილების ოჯახში მისულებს, ბატონი ჯემალიც დაგვხვდა. იმთავითვე დავრწმუნდით: როგორც იტყვიან, „შეწირული“ მამაა: საკუთარი პერსონის შესახებ საუბარს, ცისანას წინა პლანზე წამოწევა ამჯობინა. მხოლოდ ის გაგვიმხილა, რომ ახალი კომპაქტ-დისკის მომზადებას აპირებს, სახელწოდებით — „მედეა“. მასში მედეა ძიძიგურისთვის დაწერილი სიმღერები შევა, რომელსაც ახალი ორანჟირებით ცისანა სეფიაშვილი შეასრულებს. ეს გვითხრა და მოუცლელობის მომიზეზებით, სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას...

რაც შეეხება ცისანას, როგორც თვითონ ამბობს, დამჯერი შვილი და კარგი მეგობარია, ოჯახში ყოველთვის თავისი სიტყვის გატანას ცდილობს, თუმცა ვერ გააქვს და მშობლების გარეშე ნაბიჯსაც არ დგამს...

— ბავშვობიდან განებივრებული ვიყავი, თუმცა, ყოველთვის ვიცოდი, რისი გაკეთება შემეძლო და რისი — არა. გათამამებული ვიყავი, მაგრამ არა გათავხედებული. მახსოვს, ერთხელ დედაჩემი მეგობარს შესჩიოდა — ცისანა ისეთია, არაფერს ითხოვსო... სანამ მოითხოვს, უკვე გაკეთებული გაქვთ და რატომ მოგთხოვთო?! — უპასუხა მეგობარმა... ჩემი სამყარო მქონდა ყოველთვის, სადაც სხვებს არ ვახედებდი. სხვებს ყოველთვის ზედაპირულად ვაჩვენებდი თავს. მეტიჩარა არ ვყოფილვარ, ვერც იმას ვგრძნობდი, რომ მამაჩემის შვილობა პრივილეგია იყო: მეგონა, ყველა ოჯახში მედეა ძიძიგური, ნანი ბრეგვაძე, მორის ფოცხიშვილი, მერაბ სეფაშვილი და სხვა ცნობილი ადამიანები დადიოდნენ სტუმრად. ბიჭების მხრიდან უფრო ვიყავი გატუტუცებული: სულ მათთან ვმეგობრობდი და 12 წლამდე ფეხბურთსაც ვთამაშობდი, შემდეგ ბალეტზე შემიყვანეს და უცებ გავნაზდი.

— ჩაკეტილი ბავშვი ვიყავიო, ამბობთ, მაგრამ მეგობრები ხომ გყავდათ?

— როგორ არა? ჩემი მშობლების მეგობრებთანაც ვმეგობრობდი. მედეა ძიძიგური ჩემთვის მეგობარიც იყო და დედაც, რომა რცხილაძე დღესაც „შვილობილს“ მეძახის. ჩემი მესაიდუმლე და მეგობარია.

— გამიგია, ცისანას ძალიან ანებივრებდნენ, მაგრამ ჯემალი საკმაოდ მკაცრი იყო შვილის მიმართო.

— არა, მკაცრი არ ყოფილა... 14 წლის ვიყავი, მაშინ შეღებვა როგორ შეიძლებოდა?! მე და ჩემი მეგობრები დაბადების დღეზე მივდიოდით და ცხოვრებაში პირველად გადავწყვიტეთ, კოსმეტიკით გვესარგებლა. დედაჩემი სახლში იყო, იქ ჩვენს „გეგმას“ ვერ განვახორციელებდით, ჰოდა, შევედით ლიფტში და... გავიჭედეთ. 15 წუთის მანძილზე გვქონდა კაბინა გაჩერებული და სიბნელეში „ვკოხტავდებოდით“. შევიღებეთ, ჩვენი აზრით, ყველა წესის დაცვით — არადა, შემდეგ, სარკეში რომ ჩავიხედე, შემეშინდა: ცალ ლოყაზე 3 თითის ანაბეჭდი მქონდა წითლად... წარმოიდგინეთ, იღება კაბინის კარი და რას ვხედავ — მამაჩემი და მთელი ჩემი შეშფოთებული მეზობლობა დგას! ადგილზევე გავშეშდი, მამაჩემს კი არაფერი შეუმჩნევია. სად მიდიხარო, უბრალოდ მკითხა. დაბადების დღეზე-მეთქი, მივაძახე და სასწრაფოდ გავეცალე...

— ცისანა, პირველ სიყვარულს როგორ გაიხსენებდით?

დედაჩემი ამბობს — სულ მამაშენს ჰგავხარო, რას გულისხმობს — კარგს თუ ცუდს, არ ვიცი. ისე, როცა გაბრაზებულია, მაშინ ამბობს ამას

— პირველად, ბაღში შემიყვარდა. ჩემს „სიმპათიას“ წითელი რეიტუზი ეცვა და საოცრად მოხერხებულად ძვრებოდა ხოლმე გაგორებულ რგოლში. ახლაც მახსოვს ის წითელი რეიტუზი...

— თქვენი გულისთვის თუ უჩხუბიათ ბიჭებს?

— არასოდეს. ძალიან მიხარია, რომ ჩემ გამო ბიჭებს შორის არასოდეს მომხდარა შეხლა-შემოხლა. ყოველთვის ვიცოდი, ბიჭისთვის რისი თქმა შეიძლებოდა და რისი — არა: ბიჭებთან გაზრდილი, კარგად ვიცნობდი მათ ფსიქოლოგიას. რაღაც, ძალიან მშვიდად ჩაიარა ჩემი სიყვარულისა და თინეიჯერობის პერიოდმა. თუმცა, „ვერტალიოტიდან“ ჩამოყრილი ყვავილების წვიმაც მახსოვს...

— ხშირად გიყვარდებოდათ?

— ძალიან ხშირად არა. მაგრამ ძლი-

ერ მიყვარდებოდა. ყოველთვის ბევრის პატიება შემეძლო, მაგრამ ყველაფრის — არა. სხვათა შორის, ეს ყველა ჩემმა მეგობარმა იცოდა. ხუმრობენ კიდეც — ცისანა იმ მობილურს ჰგავს, რომლის ოპერატორიც აცხადებს: თქვენს ანგარიშზე დარჩა 3 პატიებაო... ბოლოს კი — თქვენი ლიმიტი ამოწურულიაო... ბევრის პატიება შემიძლია, მაგრამ შეიძლება უცებ უბრალო შეცდომაც არ ვაპატიო, თუ „ლიმიტი ამოიწურა“... საერთოდ ვთვლი, რომ სადაც წყენაა და ვისთანაც ცუდად გრძნობ თავს, იქ უნდა დამთავრდეს ურთიერთობა, თანაც — რაც შეიძლება მალე.

— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?

— იცით, ერთი პერიოდი ჟურნალისტად ვმუშაობდი და ვიცი, როცა რამის კითხვა მინდა, ადამიანს როგორ მოვუარო. წეღან ხომ გითხარით — პირად საკითხებზე საუბარი არ მინდა-მეთქი...

— მგონი, მაინცდამაინც არ „ვუვლი“. რა არის უარის მიზეზი?

— ეს ჩემი ცხოვრებაა და სხვას არ ეხება...

— ჟურნალისტად სად მუშაობდით?

— მოსკოვის რადიოში, პირდაპირ ეთერში გადიოდა გადაცემა — „კრასნი მოსტი“, ამ გადაცემის მუსიკალური რედაქტორი ვიყავი. მანამდე კი, ტელევიზიაში, მეორე არხზე ვმუშაობდი.

— ქართველი მომღერლებიდან, ძირითადად, ვის უსმენდნენ მოსკოვში?

— მათ, ვისაც ვასმენინებდი...

— მოსკოვში, ეროვნების გამო ხომ არ გქონდათ პრობლემები?

— პრობლემები საგზო რეჟიმთან დაკავშირებით მქონდა. დიპლომატიური პასპორტი მაქვს და იმდენად წესრიგში მქონდა ყველა საბუთი, თბილისში რომ ვბრუნდებოდი, ჩემ გამო 1 საათით გააჩერეს თვითმფრინავი: სანამ ყველაფერი ზედმიწევნით არ შეამოწმეს, არ გამომიშვეს.

— რამდენად კმაყოფილი ხართ მოსკოვში ცხოვრებით?

— 6 წელი გავატარე მეგობრებისა და ახლობლების გარეშე, იმ ადამიანების გარეშე, ვინც ჩემთვის ძალიან ძვირფასები არიან. თუ როგორ ვგრძნობდი თავს, ამას ის გაიგებს, ვისაც საზღვარგარეთ უცხოვრია.

— მოსკოვში ახლობლები არ გყავთ?

— მოსკოვში ცხოვრობენ ჩემი მეგობრები: თიკა კანდელაკი, თემურ რცხილაძე, მანანა თოდაძე. მათ გარდა, სხვა მეგობრებიც მყავს რუსეთის დედაქალაქში. მაგრამ იქაურ ცხოვრებას სხვა ტემპი აქვს...

სხვათა შორის, ჩემი 5 წლის გიორგი ჩემი სგილისგია და მის რჩევებს ყოველთვის ვიზიარებ ჩაცმისას.

— როგორც ჩანს, უკან გაბრუნებას აღარ აპირებთ?

— არა. მოსკოვში მეორე სართულზე ცხოვრებას, ისევ აქ — მეთექვსმეტეზე ფეხით სიარული მირჩევნია. ცოტა კი მეშინია ზამთრის, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იმით გავთბები, რითაც მთელი ქალაქი თბება. თუმცა, არ ვიცი, ამას როგორ ახერხებენ. დავიღალე ამდენი ხანი ზაფხულის მოლოდინით — იმის მოლოდინით, რომ ზაფხული მოვა და თბილისში დავბრუნდები. ისეთი შეგრძნება მაქვს, ჩემი ცხოვრების 6 წელს გადავახტი...

— მოსკოვში თუ გამოდიოდით სცენაზე?

— რამდენიმე გამოსვლა მქონდა. სხვათა შორის, სხვადასხვანაირად ვმღერი თბილისსა და მოსკოვში: აქ, იმ წამის შემდეგ, რაც გამომაცხადებენ და სცენაზე ავდივარ, აღარაფერი მახსოვს, არც ის ვიცი, როგორ ვმღერი — „ვიკარგები“, თითქოს ამ ქვეყანას ვეთიშები. იქ ასე არ ხდება... შეიძლება უცნაურია, მაგრამ რეპერტუარში არც ერთი რუსული სიმღერა არ მაქვს. მხოლოდ ახლა ვამზადებ ერთ რუსულ სიმღერას.

— თქვენს სიმღერებში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძირითადი დატვირთვა ტექსტზე მოდის. ალბათ ესეც გიშლიდათ ხელს რუს მაყურებელთან კონტაქტის დამყარებაში?

— ტექსტის წინა პლანზე წამოწევა მამაჩემის დამსახურებაა: ყოველთვის ტექსტზე წერს სიმღერას და არა პირიქით, როგორც ახლა ხდება. ყველა სიმღერაში რაღაც ამბავი უნდა იყოს გადმოცემული, და ყველა ის ამბავი, რასაც ვმღერი, მე, ან ჩემს ახლობლებს გადახდენიათ.

— ახალ სიმღერას თუ ჰპირდებით თქვენს თაყვანისმცემლებს?

— რამდენიმე ახალ სიმღერას ვამზადებ სექტემბრისთვის. ვთვლი, რომ, დუეტებში უკვე საკმარისად ვიმღერე, ასე რომ, ახლა სოლო სიმღერებს შევასრულებ. ახალ სიმღერებთან ერთად, მედეა ძიძიგურისთვის მამაჩემის მიერ დაწერილი „სანთლებიც“ იქნება, ახალი ორანჟირებით.

— მიუხედავად იმისა, რომ ცოტა მოძველებული თემაა, მაინც არ შეიძლება არაფერი გკითხოთ სიმღერის — „გიხარ-ოდენ!“ შესახებ...

— პოლიტიკაში არანაირად არ ვერევი — არ მაინტერესებს. უბრალოდ, მინდა ვიცხოვრო ნორმალურ პირობებში და სულ არ მაღელვებს, ვინ თავში იქნება და ვინ — ბოლოში.

— მაგრამ ეს სიმღერა მაინც პოლიტიკური განცხადება იყო...

— ჩვენ მხარი წყნარ, მშვიდ, გალაღებულ ცხოვრებას დავუჭირეთ...

— ახლა რას ფიქრობთ — გამართლდა თქვენი იმედები?

— არ მინდა არანაირად პოლიტიკაში ჩარევა. უკეთესობისკენ რომ არ შეცვლილა არაფერი, ეს ყველამ იცის და მოსკოვიდან კი არა, ამერიკიდანაც ჩანს.

— ცისანა, რატომ გადაწყვიტეთ, მომღერალი გამხდარიყავით?

— არ გადამიწყვეტია. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან ვმღეროდი, მომღერლობაზე არც მიფიქრია. მე და მერაბს (სეფაშვილი — ავტ.) გვინდოდა, იუბილეზე მამაჩემისთვის სიურპრიზი მოგვემზადებინა. ძველი სიმღერა ჩავწერეთ და ხალხმა აიტაცა. მეორე სიმღერასაც იგივე ბედი ეწია. უკვე მომეწონა სცენაზე გამოსვლა და ასე შევრჩი ესტრადაზე.

— როგორ ფიქრობთ, რომ არა მამათქვენის შვილობა, დღეს მომღერალი იქნებოდით?

— მამაჩემის შვილი ვიყავი და მაშინ

ტყუპ ბიჭს ორი მამა ჰყოლია

მედიკოსთა მტკიცებით, ასეთი მოვლენა მილიონიდან ერთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. ჩილეში, ქალაქ ვალდივიაში 1999 წელს დაბადებულ ტყუპ ბიჭს ორი მამა აღმოაჩნდა, რაც აბსოლუტური სიზუსტით – დნმ-ის ანალიზის შედეგად დაადგინეს. საქმე კი ძალიან ჩვეულებრივად დაიწყო: 36 წლის დედამ, ალიმენტის მისაღებად, თავის მეგობარ მამაკაცს სასამართლოში უჩივლა. სიმართლის დასადგენად, ბუნებრივია, იდენტიფიკაციის ჩვეულ, ლაბორატორიულ მეთოდს მიმართეს და გაოცებისაგან პირი დააღეს: ანალიზმა უჩვენა, რომ ბავშვებს ორი მამა ჰყავთ, რომელთა მონაწილეობა მათ დაბადებაში სულ რამდენიმე დღითაა ერთმანეთისგან დაშორებული...

ცნობილი მომღერლის „კუდანჯი“

თურქეთის საკურორტო ქალაქ იზმირის საროსკიპოში დაწყებითი განათლების კურსები გაუხსნიათ, რაც თვით ამ დაწესებულების მუშაკთა მოთხოვნის საფუძველზე მოხდა. კურსები 45 დღის განმავლობაში, დილიდან შუადღემდე – ე.ი. „პეპლებისთვის“ თავისუფალ დროს იმუშავებს და როგორც წერა-კითხვას, ასევე „სექსის კულტურის“ ნიუანსებსაც შეასწავლის გოგონებს.

თურქეთში,სადაც საროსკიპოები ბიზანტიის დროიდან ფუნქციონირებს, მათ არსებობას დღემდე ეწინააღმდეგებიან ისლამისტები, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მათი დახურვითაც იმუქრებიან ხოლმე. მაგალითად, სტამბოლის მერად 1994 წელს არჩეული ერდოგანი (კლერიკალთა პარტია) იმთავითვე ირწმუნებოდა, რომ ბოქლომს დაადებდა ორმოცივე საროსკიპოს,რომელიც ქალაქის ყველაზე „აღვირახსნილ“ – ზიურაფას ქუჩაზე მდებარეობს, მაგრამ ამაოდ. ყველა მუქარის საპასუხოდ, უძველესი პროფესიის წარმომადგენლები ხმამაღლა აცხადებენ, რომ დაუღალავად იბრძოლებენ თავიანთი უფლებების დასაცავად. პრესის თქმით, იზმირში მომხდარი პრეცედენტი, ხელისუფლებასა და მეძავებს შორის შესაძლო თანამშრომლობის ნათელი მაგალითია, თანაც – ორმხრივად სასარგებლო, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გახსნილი აღნიშნული კურსები ფასიანია.

არ მიფიქრია მომღერლობაზე. რომ არა ის საიუბილეო კონცერტი, დღეს სცენაზე არ ვიდგებოდი.

— პროფესიონალ მომღერლად თუ მიგაჩნიათ თავი?

– არა, არ ვარ პროფესიონალი მომღერალი. იმას კი აღარ ვამბობ, მომღერალი არ ვარ-მეთქი: 2 წლის წინ ჩემს თავს მომღერლად საერთოდ არ ვთვლიდი, მაგრამ ახლა უკვე ვმღერი, სიმღერებს ვწერ და პოპულარული ვარ. მაგრამ პროფესიონალობამდე ბევრი მიკლია.

— სცენასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

– უზომოდ ვნერვიულობ ხოლმე. „ვიყინები“ და ტექსტი საერთოდ მავიწყდება.

— რაიმე უჩვეულო თუ შეგმთხვევიათ სცენაზე?

– ერთხელ, მე და მერაბ სეფაშვილს სპორტის სასახლეში „ღრუბელს რაღა უნდოდა?“ უნდა გვემღერა. მოგეხსენებათ, იქ როგორი აკუსტიკაა: უფონოგრამოდ სიმღერის შესრულება შეუძლებელია. არადა, მერაბს არ შეუძლია მარტო პირი დააღოს და ფონოგრამა ასმენინოს ხალხს. გადაწყვიტა, ფონოგრამისთვის ხმა მაინც აეყოლებინა. სიმღერის დაწყების წინ მერაბმა მითხრა: რა ვქნა, ტექსტი არ მახსოვსო. არა უშავს, მე შეგახსენებ-მეთქი, დავამშვიდე. მაგრამ სცენაზე მეც დამავიწყდა, ამ სასიმღერო დიალოგში ვისი გამოსვლა, როდის იყო. ყველაფერი აირია – ხან მერაბი მღეროდა ჩემს ნაცვლად, ხან მე გამოვდიოდი სცენაზე მაშინ, როცა ფონოგრამით მერაბის ხმა ისმოდა. მაგრამ სიმღერა სიყვარულზე იყო – ჩვენც ერთმანეთს ვუღიმოდით და ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ თქვენს ხასიათში?

– ცისანას 2 მხარე აქვს – კეთილიცა ვარ და ბოროტიც, გახსნილიც და ჩაკეტილიც, მხიარულიც და დეპრესიულიც. თანაც, მაქსიმალისტი ვარ: როცა მიყვარს, ბოლომდე მიყვარს, როცა მძულს – ბოლომდე მძულს. ყველაფერი უზომო ვიცი. ეს ჩემი მინუსია.

— თქვენს დიდ პლუსად რა მიგაჩნიათ?

– პლუსი ის არის, რომ თამაში შემიძლია. ზოგი თვლის, მთავარია ნამდვილი სახე აჩვენო. ჩემი აზრით, თამაში აუცილებელია: თუ რაღაც მაწუხებს, ან მტკივა, ამას ვერავინ შენიშნავს. შეიძლება ადამიანს ვერ ვიტანდე და მასთან თვალთმაქცობას არ დავიწყებ, მაგრამ საზოგადოებაში ისე შევხვდები, ვერავინ შენიშნავს მისდამი ჩემს დამოკიდებულებას. რაც შიგნით გაქვს, ის ყოველთვის სააშკარაოზე, ყველას დასანახად არ უნდა გამოფინო.

— მამისგან რა გამოგყვათ?

– არ ვიცი. დედაჩემი ამბობს – სულ მამაშენს ჰგავხარო, რას გულისხმობს – კარგს თუ ცუდს, არ ვიცი. ისე, როცა გაბრაზებულია, მაშინ ამბობს ამას (იცინის)...

— სამზარეულოსთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

– ყოველდღიურად, საჭმელს არ ვაკეთებ, არც რეცეპტების გამოყენება მიყვარს. ყოველთვის სხვადასხვანაირად გამომდის კერძი. ძალიან მიყვარს უალკოჰოლო მარწყვის კოქტეილი: რძეს, ნაყინს, შაქარს, მარწყვს ერთად ჩავყრი და მიქსერით ავურევ – ძალიან გემრიელი გამოდის.

— ყველაზე ლამაზი დღე?

– განა ყველა დღე ლამაზი არ არის?! ყოველთვის რაღაც კარგის მოლოდინში ვიღვიძებ. შეიძლება გავიხსენო ყველაზე ლამაზი წუთი – როცა ჩემი შვილი დავინახე პირველად... სხვათა შორის, ჩემი 5 წლის გიორგი ჩემი სტილისტია და მის რჩევებს ყოველთვის ვიზიარებ ჩაცმისას.

— დაბოლოს — ჩვენთან საუბრისას, რამდენად გულწრფელი იყავით?

– სხვათა შორის, გულწრფელი ვიყავი. უბრალოდ, რაც ძალიან პირადულია, იმაზე არ მილაპარაკია, მაგრამ ტყუილიც არ მითქვამს... ■

ეკა ლომიძე



ავთანდილ იოსელიანი:

„მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებო – ეგ შეგონება დავარღვიე“

ვის გაუვლია ცხოვრების გზა ისე, ამურის ისრისთვის რომ აერიდებინა თავი? ამას ვერც უმკაცრესი ორგანიზაციის – დაზვერვის დეპარტამენტის შეფი, ავთანდილ იოსელიანი დაიტრაბახებს, რომელსაც პირველი დარტყმა ამ მშვენიერმა გრძნობამ მრავალი წლის წინ მიაყენა: ჯერ კიდევ სკოლის მერხთან მოცულლუტე, ონავარი ბიჭის გული აუფრთხიალებია ტრფობის ცეცხლს. სიყვარული, თანაც – პირველი, უნატიფესი გრძნობა, გთხოვთ, გაიხსენოთ-მეთქი, რომ ვუთხარი, მთელი სერიოზულობით და, წარმოიდგინეთ, მკაცრი გამომეტყველებითაც შემომხედა და მკითხა – ეს რაღად გინდათო? ამ უეცარმა ჟესტმა კინაღამ დამაბნია: დღემდე, ყველა რესპონდენტს, ამ კითხვის გაგონებაზე სახე ებადრებოდა ხოლმე... ბატონი ავთოს ზოდიაქო ლომია და ეტყობა, განსაკუთრებული თავდაჭერილობით ამიტომაც გამოირჩევა-მეთქი, ვიფიქრე და მოთმინებით დაველოდე, როდის მოლბებოდა ლომის გული...

– მე-5 თუ მე-6 კლასში ვიყავი. ჩემი თანაკლასელი შემიყვარდა. მისი წყალობით შემოიჭრა ჩემში პირველად სიყვარულის „ბაცილა“. ახლა არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყავს ალბათ: ვიცი, რომ გათხოვდა და სიკეთის მეტი რა შეიძლება ვუსურვო?!

— რამდენ ხანს გაგრძელდა თქვენი რომანი?

– რომანი არც ითქმის – 11-12 წლის ბიჭს რა რომანი უნდა მქონოდა?! არც მაშინდელი გრძნობები მახსოვს მკაფიოდ.

— არ გამოუტყდით?

– არა, თუმცა არც შორით წვა და დაგვა გაგრძელებულა დიდხანს.

— რა მოხდა?

– არაფერი, უბრალოდ გადამიარა.

— რატომ, სხვა ნახეთ, უკეთესი?

– არა, იმის შემდეგ ჩემი ერთადერთი სიყვარული, ჩემი ქალბატონი გახდა – ჩემს მეუღლეზე მოგახსენებთ.

— როდის დაქორწინდით?

– 26 წლის ასაკში.

— ნუთუ 12-დან 26 წლამდე არავინ გყვარებიათ?

– არა. სპორტით ვიყავი გატაცებული და სიყვარულისთვის არ მეცალა – სანამ ჩემი მეუღლე არ მომხვდა თვალში.

— მხოლოდ ბურთს დასდევდით ამ ხნის განმავლობაში?

– არა, ვერთობოდი კიდეც და ძალიანაც კარგი იყო ეს გართობა. სხვათა შორის, ყველა ახალგაზრდას ვურჩევ – რა თქმა უნდა, მამაკაცებს, – ასე მოიქცნენ: ვინც კარგა ხანს და კარგად ერთობა, მერე არაჩვეულებრივ ოჯახსაც ქმნის. ასეთი გამოცდილებაც, გარკვეულწილად ცხოვრების აკადემიის დონეზე გაძლევს ცოდნას. ამას რომ გეუბნებით, არ იფიქროთ, მთელ ქვეყანას ვიყავი მოდებული: ჩემზე ვერავინ იტყვის – ახალგაზრდობაში ან ახლა, ავთო იოსელიანი მექალთანეაო...

— თქვენს მეუღლეს როგორ შეხვდით?

– წლების მანძილზე ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობდით – ჩემი მეზობელი იყო, მაგრამ სანამ არ დაქალდა, ვერ შევნიშნე. ერთხელ, დილით სახლიდან გამოვედი და მშვენიერი გოგო დგას ეზოში. სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. იმ დღეს გამოცდა ჰქონდა. მისი მშვენიერებით მოხიბლულმა, ვუთხარი – დაგეხმარები კარგი ნიშნის მიღებაში-მეთქი: ჩემი უფროსი ძმა უკვე ექიმი იყო და ჩემი ჭკუით, იმისთვის უნდა მეთხოვა „პროტეჟეობა“ – რაც მერე დამავიწყდა კიდეც. ჩემმა „ფავორიტმა“ კი, თვითონ ჩაბარა გამოცდა და „ხუთიც“ მიიღო. თუმცა, მე მაინც ჩამეთვალა ყურადღებაში დილით გამოჩენილი თავაზიანობა... აი, მაშინ ვიფიქრე – ამის ხელიდან გაშვება როგორ შეიძლება-მეთქი და...

— სტაცეთ ხელი და თქვენსას გადაიყვანეთ?

– ... „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებო“ – ეგ შეგონება დავარღვიე... კაი ქორწილი გადავიხადეთ. ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა „სამაყრო გზა“ უნდა გაგვევლო?!

— ერთად ხომ არ გადაიხადეთ ქორწილი?

– ეგრე გამოვიდა. ერთ სადარბაზოში ის ცხოვრობდა, მეორეში – მე. იმასთან ვინც უნდა მისულიყო, მე არ მყავდა დაპატიჟებული, მაგრამ მაგას ვინ უყურებდა? დედოფალი რომ წამოვაბრძანე, მთელი მაყრიონი ჩემს სახლში გადმობარგდა. თავიდან „შავ დღეში“ ჩავვარდი, მაგრამ როგორღაც მოგვარდა ყველაფერი... ■

უბედურებაში მხოლოდ დედამ არ მიმატოვა...

1995 წელს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ტრაგედია დატრიალდა. ავარიის შედეგად კომბინატში გამოირთო ელექტროენერგია. მორიგე ელექტროინჟინერი სასწრაფოდ შეუდგა მდგომარეობის გამოსწორებას. იქ, სადაც ფიქრობდა, რომ 380 ვოლტი ძაბვა გადიოდა, 6000 ვოლტი აღმოჩნდა. ქვესადგურიდან გამოვარდნილმა ალმა ცეცხლმოკიდებული გია კობახიძე შორს გატყორცნა. მოხდა სასწაული: გიამ 80%-იანი დამწვრობა მიიღო, მაგრამ გრძნობა არ დაუკარგავს. დამხმარე არავინ ჩანდა... თვითონ გამოიძახა „სასწრაფო“, რომელიც შემთხვევის ადგილას არ მისულა. ლოდინი აღარ შეეძლო. დიდი გაჭირვებით მიაღწია ტრანსპორტის გაჩერებამდე და სამარშრუტო ტაქსიში ჩავჯდა. ორთაჭალაში გრძნობა დაკარგა...

გია კობახიძე ავარიამდე



გიას კიდევ რამდენიმე ოპერაცია სჭირდება

ნანა ქიბიშაური

me isev vivli Tbilisis quCebSi, isev meyoleba ojaxi...

არ ახსოვს, ვინ და როგორ მიყვანა დამწვრობის ცენტრში, სადაც 4 თვის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს. თუ გადარჩებოდა, არავის ეგონა, ექიმებსაც კი. ამიტომ მომაკვდავს, ნება დართეს, თავი ბალიშზე დაედო. გიას დღემდე ახსოვს სიტყვები: ...რას აყვირებთ, მაინც მალე მოკვდება, დაუდეთ ბალიშო... გია არ მოკვდა, მაღალი ბალიშის გამო კი, მისი ნიკაპი გულმკერდზე შეხორცდა... კობახიძეების ოჯახმა დამწვრობის ცენტრში 8.500 დოლარი დახარჯა. გაყიდეს ყველაფერი, მამაპაპისეული ბინაც, რომელიც ტყიბულში ჰქონდათ, გია კი საავადმყოფოდან გამოიყვანეს.

...გია კობახიძესა და მის მეუღლეს დიდი სიყვარულით შეუქმნიათ ოჯახი. ორი შვილიც ჰყავთ. მაგრამ ქალმა ბოლომდე ვერ გაუძლო მეუღლის ტანჯვის ყურებას და... მიატოვა. გიას, რომელმაც ძალიან ბევრ ტკივილს უცრემლოდ გაუძლო, პირველად მაშინ უტირია. მამამისი შვილის დარდმა გადაიყოლა. დაკრძალეს მამა და გიას გვერდით მხოლოდ ერთადერთი ადამიანი – დედა დარჩა. დედა, რომელიც ისევე ეფერებოდა შვილს, როგორც ბავშვობაში. როგორც გია ამბობს, მხოლოდ დედის ხათრით არ მოიკლა თავი. არადა, ისეთ სიცოცხლესაც რა აზრი ჰქონდა, თუ მთელი ცხოვრება გარეთ ვერ გამოვიდოდა?! მას ხომ არც ყურები ჰქონდა, არც ტუჩები, არც ცხვირი, ნიკაპი კი მკერდზე ჰქონდა შეხორცებული... ამიტომ გადაწყვიტა ბრძოლა. ბრძოლა ბედისწერის წინააღმდეგ. ბრძოლა იმის დასაბრუნებლად, რაც მას ეკუთვნოდა და დაკარგა. პლასტიკური ოპერაციები საკმაოდ ძვირი ღირს. ამიტომ, ძველი ხელობა – დურგლობა გაიხსენა: მან იცოდა ხის დამუშავება და სახლში ამზადებდა აკვანს, დედამისი კი ყიდდა. ერთ დღესაც, დეფორმირებული სხეული ვერ დაიმორჩილა, მარცხენა ხელი დაზგაში მოჰყვა და თითები გადაეჭრა. საოპერაციო თანხა მაინც გამოინახა: ეს მოხდა მისი შორეული ნათესავის, კონსტანტინე კობახიძის დახმარებით, რომელმაც რკინის ქალამნები ჩაიცვა, რკინის ჯოხი დაიჭირა და გიას პრობლემის მიტანა ჯანდაცვის სამინისტრომდე შეძლო. ჯანდაცვის მინისტრმა გიას მკურნალობისთვის საჭირო თანხა შპს ,,კარაპს მედლაინში'' გადარიცხა – კლინიკაში, სადაც რეკონსტრუქციის და პლასტიკური ქირურგიის განყოფილებაც არსებობს. აი, როგორ აგვიწერს კლინიკის ხელმძღვანელი **ივა კუბანოვი** *პაციენტის მდგომარეობას:*

– მართლაც სასწაულია, რომ ამხელა ტრავმის შემდეგ, გია ცოცხალი გადარჩა. ჩვენ რთული ამოცანის წინაშე აღმოვჩნდით. ფაქტობრივად, მას თავზე, ტანსა და სახეზე აღარ აქვს არც ერთი ცოცხალი ქსოვილი, ერთი ადგილიდან რომ ამოვაჭრათ და სხვაგან გადავუნერგოთ. ერთადერთი ასეთი ადგილი ფეხის ცერა თითის ირგვლივ აღმოვაჩინეთ. სწორედ ამ ქსოვილისგან ვაპირებთ ცხვირის გაკეთებას. ყველაფრის მიუხედავად, მაინც დიდი იმედი გვაქვს, რომ ოპერაციები წარმატებით დამთავრება. კარგი ადამიანია. ძალიან განიცდის თავის მდგომარეობას. ჩვენც განვიცდით მის ამბავს. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობთ შედეგიანი ოპერაციების ჩატარებას. გაუკეთდა 4 ოპერაცია. უკვე შეუძლია თვალების დახუჭვა. თავის მოძრაობა. ახლახან, კეფაზე შერჩენილი თმიანი ქსოვილისგან წარბები გადავუნერგეთ. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. სულ მალე ყურებს და ცხვირს გავუკეთებთ. ჯერჯერობით მას მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის არხები გავუხსენით. პირის ნაცვლად, ძალიან პატარა ხვრელი ჰქონდა. ტუჩების გაკეთების შემდეგ, შეუძლია მეტყველებაც და საკვების მიღებაც. საყლაპავი სისტემაც დაზიანებული იყო. აი, ასე, თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მივაღწევთ სრულყოფილებამდე.

გიასთან ინტერვიუს ჩაწერა კლინიკის დირექტორის, ფერიდე ხიდეშელის დახმარებით მოვახერხეთ, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

— გია, რამდენი წლის ხართ?

– 39-ის.

— ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი რამ გადაიტანეთ, მაინც რომელი დღე იყო თქვენთვის ყველაზე მძიმე?

– დღე, როდესაც დამწვრობის შემდეგ პირველად მომხსნეს სახვევები და სარკეში ჩავიხედე. საშინელებათა ფილმებიდან გადმოსული მოჩვენება მიშზერდა, ვიდაც ფრანკენშტეინის მსგავსი. მაშინდელი განცდის გახსენებაზე

გული ახლაც მეკუმშება. ეს მე არ ვიყავი და — ეს მე ვიყავი! „მე ახლა ასეთი ვარ“ — ვფიქრობდი და არ მჯეროდა, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავს ხდებოდა, რომ ამ დღის შემდეგ მთელი ცხოვრება ასეთი ვიქნებოდი. როგორ გითხრათ, ამის შემდეგ დარდისაგან ლოგინად ჩავვარდი და ძალიან დიდხანს აღარ ავმდგარვარ. ყველამ მიმატოვა დედის გარდა. ამ ამბავს ვერ ვურიგდები, ვერ ვინელებ. თავიდან მთელი ავტობუსი მოდიოდა სისხლის გადასასხმელად: ჩემი ძმაკაცები, თანამშრომლები, ხშირად მაკითხავდნენ. მერე კი, ისეთი ცხოვრებაა, ყველას თავისი თავი გასჭირვებია. ვერავის დავემდურები. საკმარისი პატივი მცეს. მადლობელი ვარ ავთანდილ ჯორბენაძის და ამ საავადმყოფოს ექიმების. მათი წყალობით ისევ შევძლებ, თავი ადამიანად ვიგრძნო. ისევ გავივლი ქუჩაში ჩემს შვილებთან ერთად... დედაჩემი ძალიან ნერვიულობს. მეუბნება — მეტი ოპერაცია აღარ გაიკეთო, აღარ გჭირდება, შვილოო — მეხვეწება. ხუმრობა ხომ არ არის — 61 ნარკოზი მაქვს გაკეთებული, თანაც, დიდი დოზით, რადგან ურთულესი და უმძიმესი ოპერაციები იყო, 6 და 8 საათი გრძელდებოდა. მაგრამ — არა! ბოლომდე მივენდობი ექიმებს. მპირდებიან — ისევ ჩვეულებრივ ადამიანად გაქცევთო. ისევ მეყოლება ოჯახი. გული მტკივა, ცოლმა რომ მიმატოვა. თავიდან შვილებსაც არ აძლევდა ჩემი ნახვის უფლებას. თურმე ამქვეყნად მარტო დედაა, ვისაც შვილი ყველანაირ მდგომარეობაში უყვარს — მახინჯიც და ლამაზიც, ბედნიერიც და უბედურიც. ადამიანი კი, ძალიან მარტოსული არსება ყოფილა. სხვა ადამიანების გარეშე ცხოველივით ცხოვრობ თურმე... მართლაც, არავინ უწყის, ვის რა უწერია. ეს ალბათ ჩემი ხვედრი იყო. მაგრამ მე მთელი ცხოვრება სახლში ვერ დავიმალები. თუ ცოცხალი დავრჩი, ბოლომდე ცოცხალი ადამიანი უნდა ვიყო. აი, ამიტომ ვუძლებ ამდენ ტკივილს.

ივა კუზანოვი

გუშინწინ წარბები გადამინერგეს და ოპერაციის შემდეგ თვალში ვერ ვიხედებოდი. ძალიან შემეშინდა. ბრმასავით ვიყავი. ვერ მეგონა, სპეციალურად მქონდა გაკერილი და ექიმს ვთხოვე — ვერ ვხედავ, თვალებიდან სახვევი მომხსენით-მეთქი. ის ქუთუთოებზე დამაწვა და უცებ დავინახე — რა ბედნიერი ვიყავი... ყოველი ასეთი პატარა ნიუანსი ისე მოქმედებს ჩემზე, რომ მეშინია, ამდენი წვალება ექიმებს წყალში არ ჩავუყარო და მაშინ, როცა ადამიანის სახეს საბოლოოდ დამიბრუნებენ, გულმა არ მიმტყუნოს!..

— მეუღლე საერთოდ აღარ გაკითხავთ?

— არა. დამწვრობიდან 2 წლის შემდეგ განქორწინება მოითხოვა და ბავშვებისთვის ალიმენტის გადახდა დამეკისრა. ორი ბიჭი მყავს. ისინი მოდიან ხანდახან და მეუბნებიან, რომ დედა ავად ჰყავთ. ამას წინათაც, ბავშვების პირით შემომითვალა: თუ ფულს გამომიგზავნი, სადილს გაგიკეთებ და ბავშვებს გამოვატანო.

— ამ ამბავამდე ხომ ბედნიერი ოჯახი გქონდათ?

— კი, კარგად ვცხოვრობდით. რუსთავის სანატორიუმში გავიცანით ერთმანეთი. ახლაც მახსოვს ყველაფერი. რაც მის თავს ხდება, შეიძლება ბოლომდე, მისი ბრალიც არ არის.

— მაინც გიყვართ თქვენი მეუღლე, არა?

— კი, მიყვარს. ყველაფერი ერთად მიყვარს, რაც ამ დამწვრობის მიღებამდე მქონდა. საერთოდ, მივხვდი, რომ ადამიანები ხშირად ისეთ რაღაცებზე ვწუწუნებთ, რაც საწუწუნო არ არის. თურმე, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, როცა ჩემი თავი უბედური მეგონა...

— რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში რამდენი წლის მუშაობის სტაჟი გაქვთ?

— 10 წლის.

— კომბინატმა თუ გადმორიცხა თქვენს სამკურნალოდ რაიმე თანხა? ეს ხომ საწარმოო ტრავმა იყო.

— არა, ამ ამბავს საწარმოო ტრავმის კვალიფიკაცია არავინ მისცა: ჩათვალეს, რომ მე იქ რაღაცის მოსაპარავად ვიყავი მისული და იმ დროს დავიწვი.

— მომდევნო ოპერაციამდე რას აპირებთ?

— სოფელში ავალ დედაჩემთან. ისევ წავიხელოსნებ — უსაქმოდ ვერ ვჩერდები.

— აბა, როგორ წაიხელოსნებთ ცალი ხელით?

— მაინც ვახერხებ. სამომავლოდ კი, ჩემი ექიმი ივა კუზანოვი ამ ხელის აღდგენასაც მპირდება. აქ, მის კლინიკაში ხომ საოცრებები ხდება...

■

ტესტი ერუდიციაზე

1. რამდენი სანტიმეტრია ერთი დუიმი?

ა) 0,5;
ბ) 1,5;
გ) 2,5.

2. ჩამოთვლილი მთეგიდან ყველაზე მაღალია:

ა) იალბუზი;
ბ) მთაწმინდა;
გ) შხარა.

3. ნობელის პრემიის პირველი ლაურეატია:

ა) რეზერფორდი;
ბ) რენტგენი;
გ) ლენინი.

4. ვინ არის გამოსახული ორმოცდაათდოლარიან კუპიურაზე?

ა) კლინტონი;
ბ) ფრანკლინი;
გ) გრანტი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მამის დაკარგული ხელი – ნანა ალექსანდრიას კოზირი

სახელგანთქმულ მოჭადრაკეს ნანა ალექსანდრიას საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. თუმცა, მისი პიროვნული თვისებებისა თუ შეხედულებების ცოტა უფრო ახლოს გაცნობა, ალბათ, მაინც ბევრს დააინტერესებს.

მატჩზე „ჩინეთი – მსოფლიოს ვარსკვლავთა გუნდი“, შანხაი

რუსუდან ლებანიძე

— **ქალბატონო ნანა, საიდან მოდიხართ, „ვისი გორისა“ ხართ?**

— მამაჩემი — გიორგი ალექსანდრია მათემატიკოსი იყო. თანაც, საკმაოდ ნიჭიერი მათემატიკოსი, ძალიან რბილი და ყოველმხრივ დადებითი ადამიანი, ზედმიწევნით უპრეტენზიოც. დედა — შურა სიმონია-ალექსანდრია ბევრად უფრო შემტევი და ჟინიანი ქალია. ისეთი, ნარდსაც რომ „დარდიმანდულად“ თამაშობს და გამარჯვებაზეც ჯიუტად ფიქრობს.

— **თქვენ რომლის თვისებები უფრო გამოგყვათ?**

— ალბათ, ორივესი. თუმცა, ბრძოლისუნარიანობა მაინც უფრო დედისა მაქვს. სხვათა შორის, ძალიან უსუსური დავბადებულვარ. იმდენად უსუსური, რომ ექიმებს დედაჩემისთვის ისიც კი უთქვამთ, ალბათ ვერ გაიზრდება და, იქნებ, დაგეტოვებინათო...

— **არადა, რა იცოდნენ, ვის უსუსურობასა და ვერგაზრდაზე ლაპარაკობდნენ...**

— ის ექიმები ერთ რამეში მაინც მართალნი აღმოჩნდნენ — ჯანმრთელობა, მართლაც, ძალიან სუსტი გამომყვა და ამ თვალსაზრისით, ჩემს მოწინააღმდეგეებს ყოველთვის დიდ „ფორას“ ვაძლევდი. ჭადრაკი სპორტის ინტელექტუალური სახეობაა, მაგრამ მაინც ხარივით ჯანმრთელობასა და დიდ ენერგიას მოითხოვს...

— **როგორც ყველა დედისერთას, მშობლები, ალბათ, თქვენც განებივრებდნენ?**

— ნამდვილად არა. სხვათა შორის, საკმაოდ უპრეტენზიო ბავშვი ვიყავი. თანაც, მაშინ ჩემი მშობლებიც ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. მე აღარ მახსოვს, მაგრამ, როგორც დედა იხსენებს, როცა ჩვენი ოჯახი ფოთიდან თბილისში გადმოვიდა, ნაქირავებ ბინაში იმდენად ხელმოკლედ ვცხოვრობდით, რომ მაგიდის მაგივრობას ჩემოდანი გვიწევდა...

— **ხელმოკლეობამ ხომ არ დაგაკომპლექსათ?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა.

— **ვერ დავიჯერებ, რომ ბავშვობაში რაიმე ნივთზე ან ჩასაცმელზე არ გეოცნებოთ...**

— მქონდა ასეთი ოცნება — ველოსიპედი. და კიდევ ერთი დიდი ოცნება მქონდა — იტალიური „პლაშჩი“.

— **აიხდინეთ?**

— ვერა. ძალიან ძვირი ღირდა. თან, არც იშოვებოდა, ასეთი „პლაშჩი“ ჩვენს სკოლაში ერთ-ორ გოგოს თუ ეცვა და მთელი სკოლაც მათზე ლაპარაკობდა... საერთოდ კი, მაშინდელი ბავშვები თავს სხვა რამით უფრო ვიწონებდით.

— **მაინც, რით?**

— ჩემი და ჩემი მეგობრების — ვასიკო მახალდიანისა და თემურ ტორონჯაძის მამები სამამულო ომის მონაწილეები იყვნენ: მამაჩემმა ომში მარჯვენა ხელიც კი დაკარგა. და ეს ჩემთვის ყველაზე დიდი კოზირი იყო, რომლითაც ჩემს მეგობრებზე, როგორც იტყვიან, ნამდვილ „ვერხს“ ვიღებდი. მამაჩემს ხომ თავისუფლად შეეძლო „ხელი“, როცა უნდოდა, მაშინ „მოეხსნა“ და მერე ისევ „გაეკეთებინა“, რასაც ბავშვები ყოველთვის პირდაფჩენილები უყურებდნენ. თუმცა, ვასიკო და თემური ბოლომდე მაინც არ „მნებდებოდნენ“ და თავიანთ მამებზეც ათასნაირ ამბავს იგონებდნენ. მაგალითად, თემურმა, რომლის მამასაც ცხვირი ჰქონდა გამრუდებული, ასეთი „ზღაპარი“ შეთხზა: ომში ყუმბარა რომ გადმოაგდეს, მამაჩემმა ცხვირით მოიგერია და ამიტომაც გაღრუნაო. რადგან ვასიკოს მამას ცხვირიც სრულ წესრიგში ჰქონდა, ადგა და მთლად დაუჯერებელი რამ მოიგონა: მამაჩემს ომში ტყვია თავში მოხვდა, მთელი ტვინი გადმოუვარდა და შემდეგ მაიმუნის ტვინი ჩაუდგესო... მოკლედ, ჩვენს ფანტაზიორობას საზღვარი არ ჰქონდა.

— **ჭადრაკის თამაში როდის ისწავლეთ?**

— ოთხი წლისას, დაბადების დღეზე, მამამ ჭადრაკი მაჩუქა და ყველაფერი იმ დროიდან დაიწყო. თამაშიც მამამ მასწავლა, თუმცა, დედაც კარგად თამაშობდა.

— **ვახტანგ ქარსელაძესთან როგორლა მოხვდით?**

— შემთხვევით. 61-ე სკოლაში ვსწავლობდი. ერთხელ კლასებში ჩამოიარეს და იკითხეს, ჭადრაკს ვინ თამაშობსო... ბატონი ვახტანგი დიდი და მრავალმხრივი ნიჭის მქონე ადამიანი და დიდი პიროვნება იყო. საკუთარ თავსაც დიდხანს ეძებდა. მშვენიერი მუსიკოსი იყო და ახალგაზრდობაში ოჯახს ორკესტრში დაკვრით არჩენდა, შემდეგ მათემატიკოსობას აპირებდა და საკმაოდ ნიჭიერ სტუდენტადაც ითვლებოდა, მაგრამ ბოლო კურსიდან გამოვიდა. ბოლოს პედაგოგიურ მოღვაწეობაზე შეჩერდა. ვახტანგ ქარსელაძე ჩემთვის პირველი ყველაზე მძლავრი ემოცია იყო. სამწუხაროდ, ძალიან ადრე გარდაიცვალა. თუმცა, მანამდე ძალიან ბევრიც მოასწრო. ყველაზე მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ჭადრაკში ქართველი ქალის ფენომენი ჩართო. ბატონმა ვახტანგმა დაასკვნა, რომ ჭადრაკში ქართველი ქალის პოტენციალის რეალიზება უფრო ადვილი იქნებოდა — მისი შრომისმოყვარეობის, მოწესრიგებულობისა და მიზანსწრაფულობის გამო. და არც შემცდარა.

— **ვითომ, ქართველ მამაკაცს ნაკლებად ახასიათებს ეს თვისებები?**

— ჩვენს მამაკაცებს სუფრასთან ჯდომა, უზომო სმა-ჭამა, გულში მჯიღის ცემა და „სამშობლო, სამშობლო!“-ს ძახილი უფრო ეხერხებათ, რაც მე განსაკუთრებით მაღიზიანებს... სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინათ, ჩინეთიდან რომ დავბრუნდი, პირდაპირ განვაცხადე: ქართველებმა სიტყვა „სამშობლო“ ხმარებიდან უნდა ამოვიღოთ-მეთქი...

— **მეტისმეტად მკაცრი განცხადება ხომ არ არის?**

— სულაც არა. იმიტომ, რომ, ვთქვათ, იგივე ჩინელები ქვეყანას თავისთვის აშენებენ, ჩვენ კი, თითქოს — მტრებისთვის. ხანდახან, იცით, რა შთაბეჭდილება მექმნება ხოლმე? თითქოს, ჩვენ, ყველანი, ფულს მხოლოდ იმიტომ ვაგროვებთ — არა აქვს მნიშვნელობა, პატიოსნად ვშოულობთ თუ ვიპარავთ, — რომ შემდეგ შვეიცარიაში გავიქცეთ...

— **თავად თუ გქონიათ დიდი ფული?**

— ფული მე ძალიან ადრე გამიჩნდა, თანაც — იმ დროისათვის მართლაც დიდი ფული. 17 წლისას, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი რომ გავხდი, 160 მანეთი ხელფასი დამინიშნეს. გარდა ამისა, სოფელ აფენის კოლმეურნეობა — მისი თავმჯდომარე ჭადრაკის დიდი გულშემატკივარი იყო —

ყოველთვიურად კიდევ 100 მანეთს მიგზავნიდა. 260 მანეთი კი მაშინ პროფესორის ხელფასი იყო. სხვათა შორის, ამ ფულიდან თავად, კაპიკიც არასოდეს დამიხარჯავს, მთლიანად მშობლებს ვაძლევდი...

— დიდ ჭადრაკში დიდმა მილწევებმა თავიდან ზედმეტი ამბიცია ხომ არ გაგიჩინათ?

— არა მგონია. თავიდან არც სპორტსმენისთვის ესოდენ აუცილებელი „სპორტული ბოღმა“ — спортивная злость — მქონდა. ეტყობა, აქ უკვე მამაჩემის „უპრეტენზიო“ გენები მოქმედებდა. თუმცა, მერე, ნელა-ნელა, ეს თვისება ჩემში მაინც აღვზარდე. აი, ახლა, ჩემი ძველი სტატიების წიგნად გამოცემას რომ ვაპირებ, ის გამახსენდა, რომ ჩემ შესახებ გამოქვეყნებულ პირველ პუბლიკაციებში ჟურნალისტები და სპეციალისტებიც სიყვარულით малышка-ს მეძახდნენ, თუმცა, იმასაც დასძენდნენ, რომ ჩვენს „მალიშკას“ სპორტული ბოღმა სულ არა აქვს და როგორღა უნდა მოხდეს მისი ნიჭის რეალიზებაო?.. ასე რომ, ეს თვისება უთუოდ უნდა გამომეთუშავებინა — იმიტომ, რომ ჭადრაკი მარტო 16 ფიგურით 16 ფიგურის წინააღმდეგ ბრძოლა როდია... ერთ მაგალითს გავიხსენებ. ოცი წლის ვიყავი, როცა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მივიღე მონაწილეობა. და ის იყო, მაშინდელი დიდი ვარსკვლავები და ნონას რეალური კონკურენტები — მილონკა ლაზარევიჩი და ალექსანდრა ნიკოლაუცი უკან ჩამოვიტოვე და საკმაოდ სუსტ გერმანელ ლაკმანთანღა უნდა მეთამაშა, რომ ავად გავხდი. მატჩის წინა საღამოს იმდენი მედიკამენტი მომცეს — მეორე დღეს, ლოგინიდან რომ წამოვდექი, სისუსტისგან გული წამივიდა. მივხვდი, რომ უიმედო მდგომარეობაში ვიყავი და შინაგანი რეზერვების ამოქმედება იყო საჭირო. მოწინააღმდეგეზე გაღიზიანება შინაგანი რეზერვების გაღვიძებასა და სათანადო ფსიქოლოგიური განწყობის შექმნასაც ძალიან უწყობს ხელს. ამიტომ, დავიწყე ფიქრი: რას ჩავეჭიდო, ლაკმანს ისეთი რა თვისება აღმოვუჩინო, რომ მასზე გულში ბოღმა ჩავიდო-მეთქი?

— მაინც, რა აღმოუჩინეთ?

— თავიდან ვერაფერი. ლაკმანი ზედმიწევნით რბილი და კორექტული მეტოქე, თანაც, საკმაოდ სიმპათიური და სასიამოვნო ქალიც იყო. მოკლედ, ის იყო, ყველაფერზე ხელი უნდა ჩამექნია, რომ უცებ გამახსენდა, გერმანელი რომ იყო! და მეც, ერთ წამში, მეორე მსოფლიო ომის მთელი ტვირთი და პირველ რიგში, სტალინგრადის ბრძოლაში მამაჩემის დაკარგული მარჯვენა ხელი, მარტო ამ ერთი გერმანელი ქალის სუსტ მხრებს „ავკიდე“... ასე რომ, ბოღმა, ჯიბრი ჭადრაკშიც ნამდვილად საჭიროა. შემდეგ ამის განმტკიცებაში ფსიქოლოგიც ძალიან მეხმარებოდა.

— ფსიქოლოგს რაც შეეხება, ქალბატონი ნონა, მაგალითად, ამბობს, ფსიქოლოგი საერთოდაც არ მჭირდებოდაო...

— ნონას არ დასჭირდა, მაგრამ ბევრი დიდი მოჭადრაკე — კარპოვის, კასპაროვისა და კორჩნოის ჩათვლით, ფსიქოლოგს მიმართავდა ხოლმე. ჩემთვისაც ფსიქოლოგ რუდოლფ ზაგაინოვის დახმარება მნიშვნელოვანი იყო.

— რაკი ქალბატონი ნონა ვახსენეთ, მინდა, კიდევ ერთ მომენტს შევეხო. ბევრი ამბობდა და ამბობს, რომ ნონა გაფრინდაშვილი ქალთა ჭადრაკში მაინც მამაკაცური გონის შემომტანი იყო, ნანა ალექსანდრია კი — ქალურობისა და სინაზისო...

— ვერ დაგეთანხმებით. ნონა ნამდვილად ძალიან ხისტი და თავდაჯერებული მოჭადრაკეა, ჯიუტიც არის, მაგრამ, როგორც ადამიანი, მაინც ძალიან რბილი და მიმტევებელია. ახლა ოჯახში ნახეთ? მართლაც რომ იდეალური ოჯახი აქვს! სხვათა შორის, ჩემზე ბევრად უკეთესი, ბევრად უფრო დემოკრატი დედაც არის და მეუღლეც იყო...

— შარშან ისიც ბრძანეთ, რომ ქართული ჭადრაკის გახლეჩილ სამყაროს, ფედერაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ნონას მოსვლა გაამთლიანებსო. მართლა ასე მოხდა?

— დიახ.

— აზმაიფარაშვილს რაღას ედავებოდით?

— შეგახსენებთ, რასაც ვედავებოდით. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ, ვთქვათ, ფეხბურთელები მიდიოდნენ ევროპის ჩემპიონატზე და ერთი კვირით ადრე, არც გუნდი არსებობდეს, არც კაპიტანი და არც ჩემპიონატზე წასასვლელი ფული. ის ადამიანი კი, ვისაც ამ ყველაფრის მოგვარება თანამდებობრივად ევალება, პარიზში კონგრესზე მიბრძანდებოდეს?! ზურაბი კი სწორედ ასე მოიქცა. ის ძალიან ნიჭიერი მოჭადრაკეა, რაც ბოლო ევროპის ჩემპიონატზე ბრწყინვალე შედეგით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, მაგრამ ადმინისტრატორის ნიჭი კი ნამდვილად არ აღმოაჩნდა.

— ნონას?

— ნონა სულ სხვაა. ის დილიდან საღამომდე სამსახურის საქმეებითაა დაკავებული, ეძებს, იბრძვის, მოიპოვებს...

— ესე იგი, უკვე ყველა პრობლემა მოიხსნა და ჩემპიონატებზე წასასვლელი ფულიც გაჩნდა?

— პრობლემებს რაც შეეხება, ქვეყანას რამდენადაც შეუძლია, იმდენად გვეხმარებიან. ამის გამო, ნონამ თავის იუბილეზე ყველას დიდი მადლობაც გადაუხადა. მაგრამ დიდ სპორტში დღეს ძალიან დიდი ფულია საჭირო...

— განა თქვენ დროს, ეს დიდი ფული იყო?

— პროფესიული წვრთნისთვის ფული ნამდვილად ყოველთვის იყო. მნიშვნელოვანი პირადი დანაზოგი კი, ნონამაც კი ვერ შექმნა, არათუ მე.

— ანუ მაშინ ჭადრაკზე ზრუნვა სახელმწიფო რანგში იყო აყვანილი, დღეს კი ასე აღარაა?

— იცით, დღეს ამას ვეღარ მოერევი... თანაც, ბოლოს და ბოლოს, სულ ჩვენ ხომ არ ვიქნებოდით ჩემპიონები. ჭადრაკის გვირგვინის 30 წლიანი ფლობა ცოტა ხომ არ არის?.. სხვათა შორის, ამ გვირგვინის დაკარგვაზე მეტად, მე ეს ოცდაათწლიანი გვირგვინოსნობა უფრო მაკვირვებდა ყოველთვის...

— კონკრეტულად, მაინც, რას გულისხმობთ?

— იმას, რომ მსოფლიო პირველობის ხუთი მატჩი საქართველოს წარმომადგენლებმა მხოლოდ ერთმანეთში გავითამაშეთ. ბოლოს და ბოლოს, დანარჩენი მსოფლიოც ხომ არსებობს...

— თქვენზე ძალიან ბევრი ამბობს, უღიბლო მოჭადრაკე იყოო:

მსოფლიო პირველობის მატჩი ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას შორის. ბიჭვინთა–თბილისი, 1975 წ.

მეუღლესთან, ლევან ბოკერიასთან ერთად (80-იანი წლების დასაწყისი)

მიუხედავად იმისა, რომ პირველობისთვის ყველა მონაცემი ჰქონდა, ბოლომდე მაინც მეორე დარჩაო. ეს მართლა იღბალი იყო?

— საერთოდ, საკუთარ იღბალს ადამიანები თავად ვქმნით. მოწინააღმდეგე კი ან პიროვნულად უნდა დავჯაბნო, ან ნიჭით...

— თქვენ რომელი ვერ მოახერხეთ?

— ნონასაც და მაიასაც ჩემთვის ცუდ დროს, მათთვის კი — საუკეთესო წლებში ვეთამაშე. ორივე აღმავლობის გზაზე იდგა. თუმცა, მაიასთან მატჩი ნამდვილად უნდა მომეგო, მაგრამ...

— მაიასთან მატჩის შემდეგ ლამის ლოგინად ჩავვარდიო, იხსენებთ ერთგან. რა იყო ეს: დამარცხების სიმწარე თუ იმის ტრაგიკული რწმენა, რომ გამარჯვება შეგეძლოთ?

— ჯერ ერთი, არ დავმარცხებულვარ, ეს ქალთა ჭადრაკის ისტორიაში ფრედ დამთავრებული ერთადერთი მატჩი იყო *(როგორც ცნობილია, საყაიმო შედეგის შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონი ინარჩუნებს ტიტულს. — ავტ.).*

— ხომ არ გეჩვენებათ ხოლმე, რომ ჭადრაკს მაინც საჭიროზე მეტი ენერგია შეალიეთ?

— არა. ჩემი არჩევანი ყოველთვის ცალსახა იყო. თუმცა, ერთი კია: ახლა რომ ვფიქრობ, ამ გადასახედიდან, ჩემი მაშინდელი მდგომარეობის ბევრად უფრო პრაგმატულად გამოყენება შეიძლებოდა, მაგრამ ამაზე წუხილი უკვე გვიანია...

— რამდენადაც ვიცი, იმასაც ძალიან სწუხხართ, რომ თქვენს ერთადერთ შვილს ჭადრაკმა ლამის დედა წაართვა. ახლა პირიქით ხომ არ ხდება: თავად თქვენ, პოლიტიკა ხომ არ გართმევთ შვილს?

— სრულიადაც არა. ძალიან მიხარია, რომ ჩემს გიგას სერიოზული და საჭირო საქმე აქვს. დღეს ახალგაზრდას რომ საქმე აქვს, უკვე ესეც კი დიდი რამეა.

— ბევრი რომ იმასაც ამბობს, გიგა ბოკერია თავისი საქმით მარტო კონკრეტულ პიროვნებებს კი არა, ქვეყნის ინტერესებსაც უპირისპირდებაო?

— აბსოლუტურად პირიქით! ეს ფსევდოპატრიოტული განცხადებაა და მეტი არაფერი! ამას ისინი ამბობენ, ვინც ქვეყანას ყველაფერი წაჰგლეჯეს, საკუთარ ჯიბეში ჩაიდეს და, მასებზე გავლენის მოსახდენად, ახლა სამშობლოს სიყვარულზე „ღაღადებენ". გიგა კი, შინაგანად აბსოლუტურად პატიოსანი და მართალი ადამიანია. სხვათა შორის, რვა წლის იყო, ჩემმა მამამთილმა კირიონ მეორის უნიკალური წიგნი რომ აჩუქა და ასეთი სიტყვებიც წაუწერა: „ჩემს გიგას საბრძოლველად და სახელმძღვანელოდ". მოგვიანებით კი, მასწავლებელმა, რომელიც ქართულში ამზადებდა და „შუშანიკის წამების" მისეულ არაორდინარულ ხედვას გაეცნო, კედელზე ასეთი წარწერაც გაუკრა: „საქართველოში შენ ერთი მხოლოდ არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები..."

— გამოდის, რომ გიგა ბოკერიას არაორდინარული ხედვის გასაზიარებლად დღეს ბევრი, უბრალოდ, მზად არ არის...

— ალბათ. ანტიქართული ცნობიერების მატარებელს რომ ეძახიან, ეს ხომ აბსოლუტურად არასწორია. განა საკუთარი რწმენის დასაცავად სხვისი უნდა დათრგუნო? გიგა ხომ ამას ებრძვის და მეტს არაფერს და არავის.

— ერთხელ, როცა პატარა გიგას უნახავს, ნონას თქვენზე მეტი ვარდი მიართვეს, უთქვამს: დედიკო, მე შენ ბევრ წითელ ყვავილს გაჩუქებო. ახლაც ასე განებივრებთ ხოლმე?

— არა. თუმცა, ორმოცდაათი წლის რომ გავხდი, ორი უზარმაზარი თაიგული მომართვა. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა. მეგონა, ჩემი იუბილე საერთოდ არ გაახსენდება-მეთქი. ამას, რა თქმა უნდა, ვაზვიადებ. მაგრამ, საერთოდ, გიგა მაინც ძალიან ძნელი და რთული შვილია.

— გიგა რთული შვილია, მაგრამ არც მე ვარ იდეალური დედაო, — ესეც ხომ თქვენი სიტყვებია?

— ამით იმის თქმა მინდოდა, რომ მართლაც ძალიან ცოტა რამ თუ მივეცი ჩემს შვილს. ტყუილად კი არ სჭირს ჭადრაკისადმი შინაგანი აგრესია. მახსოვს, ნანა იოსელიანთან პირველი პარტია რომ წავაგე, გიგას ეს რადიოთი მოუსმენია და ტაში შემოუკრავს: ვაშა, დედა სახლში მალე დაბრუნდებაო!.. იმიტომ, რომ ჩემი გამარჯვება მისთვის მხოლოდ ჩემს შინ არყოფნასთან ასოცირდებოდა. მართალია, გიგას არაფერი აკლდა, დედაჩემი ყველაფერს უკეთებდა, მაგრამ ბავშვს დედას ხომ მაინც ვერავინ შეუცვლის...

— თქვენი მეუღლე მართლა თქვენი დიდი სიყვარული იყო თუ, უხეშად რომ ვთქვათ, — მაინც, საუკეთესო პარტია?

— არა. ჩემი მეუღლე ნამდვილად ჩემი დიდი სიყვარული იყო.

— პირველ რიგში, მაინც რით მოგხიბლათ? როგორც ფოტოებზე ვნახე, ბატონი ლევანი ძალიან სიმპათიური უნდა ყოფილიყო...

— დიახ, მართლაც ძალიან სიმპათიური იყო, თანაც, ძალიან დადებითი პიროვნებაც აღმოჩნდა. განსაკუთრებით კი ის მომწონდა, რომ სხვის ხარჯზე, თვით საკუთარი მამის ხარჯზე ცხოვრებასაც კი არ ცდილობდა. არადა, ლევანს საკმაოდ შეძლებული ოჯახი ჰქონდა. მამამისი ყოველთვის ძალიან „ფულიან" ადგილებზე, დიდ თანამდებობებზე მუშაობდა. მეგობრები სულ მეხუმრებოდნენ ხოლმე: ნეტავ, რომელ კედელში აქვს შენს მამამთილს ფულები შენახული, იქნებ, რემონტსაც ამიტომ არ აკეთებო... თუმცა, სინამდვილეში, ჩემი მამამთილი ზედმიწევნით პატიოსანი ადამიანი იყო და შვილებსაც ასე ზრდიდა. ლევანს ამიტომ არ მოსდგამდა ფულით და ქონებით გატაცება.

— თქვენი ქმარ-შვილი თქვენ გამო ზედმეტად ხომ არ იჩრდილებოდა?

— ალბათ, არც უმაგისობა იყო. ერთხელ ლევანი სახლში გაცოფებულიც კი დაბრუნდა. თურმე, ვიღაცას ასე წარუდგენს: ეს ძალიან სახელოვანი კაცი, ნანა ალექსანდრიას მეუღლეაო. გიგას ამ მხრივ ნაკლები პრობლემა ჰქონდა. ის კი არა და, ძალიან დიდხანს ბევრმა ისიც კი არ იცოდა, რომ გიგა ბოკერია ჩემი შვილია.

— თქვენი შვილიშვილი, პატარა ლევან ბოკერია როგორი ბიჭია?

— ძალიან მორწმუნე და თბილი. რამდენადაც გიგა ხისტია, იმდენად რბილი და დამთმობია ლევანიკო. ერთხელ გიგას ასეთი რამეც კი უთხრა: ზვავი კეთილია, უბრალოდ, მოხვევა არ შეუძლიაო... ზვავიც კი გაამართლა...

— დაბოლოს, ქალბატონო ნანა, თქვენს ცხოვრებაში ყველაზე წამგებიანი „სვლა" მაინც რომელი იყო?

— მაიასთან მატჩი.

— მომგებიანი?

— დანარჩენი ცხოვრება... ■



შვილთან ერთად (80-იანი წლები)

თბილისის მე-7 გიმნაზიის მე-9 კლასის მოსწავლე ვახტანგ ოქროპირიძე 20 ივნისს საავადმყოფოდან გამოწერეს. მას ნევროლოგიის ინსტიტუტში საკმაოდ რთული ოპერაცია ჩაუტარდა, რომელმაც მაშინვე გამოიღო დადებითი შედეგი, მანამდე კი მისი სიცოცხლე არაერთხელ ეკიდა ბეწვზე.

„მოწამლული“ ბავშვი ნეიროქირურგებმა გადაარჩინეს

ჟურნალისტური გამოძიება კომენტარის გარეშე

თამაგ ქორქოლიანი

ავადმყოფის დედა:

— იმ დღეს სახლში ბავშვს არაფერი უჭამია, დილით ჩაი დალია და ისე წავიდა სკოლაში. რომ დაბრუნდა, თავს ცუდად გრძნობდა, აღებინებდა და თავბრუ ეხვეოდა. მითხრა — სკოლაში ერთი ბოთლი „კოკა-კოლა“ დავლიე და ერთი „ბულკი“ ვჭამეო. მე „ციტრამონი“ დავალევინე. თითქოს გამოკეთდა, საღამოს ჩაეძინა კიდეც, მაგრამ მერე ძილში დაეწყო ღებინება. გაღვიძება ვცადეთ, მაგრამ ბავშვი უკვე უგონოდ იყო, თვალები გადაბრუნებული ჰქონდა. ღამით „სასწრაფო“ გამოვიძახეთ, რომელმაც პირდაპირ „ლეჩკომბინატში“ წაგვიყვანა — ქავთარაძის ქუჩაზე. იქ გვითხრეს, მოწამლულიაო. მეორე დღეს, თვალები რომ გაახილა ბავშვმა, რაღაც უაზრო სახე ჰქონდა. ტოქსიკოლოგი მოიყვანეს, დახედა და თქვა — ნარკოტიკით არის გაბრუებული, ზედმეტია ამაზე ლაპარაკიო...

— ანალიზებმა აჩვენა, რომ ბავშვი მოწამლული იყო?

— არა, ვერაფერს ვიგებთო, მარტო ტვინია შეშუპებული, ნათხემია დაზიანებულიო.

— რამდენ ხანს იყო ბავშვი რეანიმაციის განყოფილებაში?

— ხუთი დღე.

ნატა ქართველიშვილი, შპს „ალსს“-ის („ალტერნატიული სამედიცინო სამსახური“, „ლეჩკომბინატი“) აღმასრულებელი დირექტორი:

— ორი დღე იყო ეს ახალგაზრდა ჩვენთან. გვიან ღამით, კომატოზურ მდგომარეობაში შემოიყვანეს, დილით გავუკეთეთ კომპიუტერული ტომოგრაფია, რომ გვენახა თავის ტვინის მდგომარეობა *(აქ და ყველგან საუბრის სტილი მაქსიმალურად დაცულია. — ავტ.)*. მაშინვე იქნა გამოძახებული რესპუბლიკის მთავარი ტოქსიკოლოგი თემურ კობიძე. მანაც ასე წაიყვანა საქმე სამი მიმართულებით. ბავშვი კომატოზურ მდგომარეობაში იყო, მშობლები კი ამბობდნენ, „კოკა-კოლამ“ მოწამლაო, მაგრამ მე ვერაფერს გეტყვით — ამას ექსპერტიზა სჭირდებოდა, რომელიც ჩვენი საქმე არ არის, ჩვენი საქმეა ავადმყოფის მკურნალობა. ჩვენ შედეგი გვქონდა სახეზე და ვმკურნალობდით, რისი საშუალებაც ჩვენს რეანიმაციაში არის. შემდეგ ნევროლოგიის ინსტიტუტიდან გამოვიძახეთ ნიკა მჭედლიშვილი, რომელიც მოვიდა, ადგილზე ნახა ბავშვი და მისი კონსულტაციის მერე გადავიყვანეთ ნევროლოგიის ინსტიტუტში. უკეთესად კი, შპს „ალსს“-ის რეანიმაციის განყოფილების გამგე *კახა გზობავა* მოგახსენებთ.

— ბატონო კახა, ბავშვი მოწამლული იყო?

— მოწამვლის კლინიკა იყო, ჩვენ ვარაუდის უფლება გვაქვს, მაგრამ არავითარი დოკუმენტი — დადასტურება იმისა, რომ მაინცდამაინც მოწამლული იყო, არ გვქონდა და ეს იცოდნენ პატრონებმა.

— რამდენი დღე იყო ბავშვი თქვენთან?

ნატა ქართველიშვილი:

— ორი დღე იყო, მესამე დღეს წაიყვანეს.

— ტომოგრამა რომ გაუკეთეთ, რატომ მაშინვე არ გადაიყვანეს ნევროლოგიის ინსტიტუტში?

— ნევროლოგიის ინსტიტუტში ავადმყოფი გადავიდა ახლობლების მოთხოვნით. მანამდე კი, თავისი პათოლოგიით, სადაც უნდა ყოფილიყო, იქ იყო. აქ მარტო ტვინის პრობლემა არ იყო, აქ იყო ფილტვებიც. ეს არის ზოგადი პროფილის რეანიმაცია, რომელიც ავადმყოფისთვის ყველაზე უპრიანი იყო. აქ არის სასწრაფო გადაუდებელი დახმარება, სადაც არის ტრავმატოლოგიური განყოფილება, ქირურგია, ბინაზე სასწრაფო გამოძახება და კარდიო...

— დიაგნოზი აქ დადგინდა?

— იცით, რაშია საქმე? დრო სჭირდება...

კახა გზობავა:

— გიდროცეფალიის დიაგნოზი აქ არ იყო ჯერ, გიდროცეფალია ჩამოყალიბდა მეოთხე-მეხუთე დღეს.

ნატა ქართველიშვილი:

— იქ *(ნევროლოგიის ინსტიტუტში. — ავტ.)* რომ გადაიყვანეს, მეხუთე დღეს გაუკეთეს ოპერაცია. საჭირო რომ ყო-

„ლეჩკომბინატის“ შენობა

ფილიყო, იმავე დღეს გაუკეთებდნენ. ამდენად, არც ჩვენთან იყო საჭირო და იმათთან რომ გადავიდა, მთელი ოთხი დღე არ იყო საჭირო: მერე ჩამოყალიბდა.

— ჩვენი ინფორმაციით, გადაყვანიდან მეორე დღეს გაუკეთეს ოპერაცია.

— არა, გენაცვალე, მეორე დღეს არ გაკეთებულა, ისტორია არსებობს და ნახეთ.

კახა გზოგავა:

— თქვენი ამ საქმით დაინტერესება საიდან მოდის, თუ საიდუმლო არ არის?

ნატა ქართველიშვილი:

— ალბათ მშობლების მხრიდან.

— მშობლების მხრიდან და საზოგადოების მხრიდანაც არის დაინტერესება.

კახა გზოგავა:

— რაც შეეხება მეორე მხარეს — ავადმყოფი სად იწვა და როგორი მკურნალობა ჩაუტარდა, ჩვენ ამაზე პასუხს ვაგებთ. სპეციალისტები იყვნენ მოწვეულნი და თან, დროის დაუკარგავად, ოპერატიულად გაკეთდა ყველაფერი. დაფიქსირებული ფაქტია, რომ ავადმყოფი გაცილებით უკეთ იყო, ჩვენგან რომ გადავიდა.

ნატა ქართველიშვილი:

— ჩვენგან რომ გადავიდა, მართლა უკეთ იყო.

მერაბ მარუაშვილი, *მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ნევროლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი:*

— ეს ბავშვი ჩვენთან მეხუთე დღეს მოიყვანეს, საკმაოდ მძიმე, კომატოზურ მდგომარეობაში იყო, ძალიან სწრაფად იფიტებოდა, ვერ ლაპარაკობდა და მკვეთრი დეფიციტი აღენიშნებოდა — დაწყებული ტვინის ღეროს ფუნქციების დაზიანებით, დამთავრებული ტვინის შეშუპებით. გამოვიძახეთ ტოქსიკოლოგი, რომელმაც პრაქტიკულად, უარყო მოწამვლის ვერსია. კლინიკური გამოკვლევითა და ნეიროვიზუალიზაციის საშუალებით (კომპიუტერული ტომოგრაფირებით) დადგინდა ნათხემის მარცხენა ჰემოსფეროს გავრცობილი ინფარქტი. ეს უკანა ფოსოში გახლავთ, სადაც ტვინის ღერო და მთელი სასიცოცხლო ცენტრებია მოთავსებული. დავნიშნეთ ჯერ მკურნალობა, ერთი დღე ვაკვირდებოდით, მაგრამ იმდენად შეშუპებული იყო ტვინი და იმდენად აწვებოდა ინფარქტის ზონა სასიცოცხლო ცენტრებს, რომ მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო და გადავწყვიტეთ, სასწრაფო ნეიროქირურგიული ოპერაცია ჩაგვეტარებინა.



შპს „ალსს“-ის ქვითრები

ოპერაცია, რომელიც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გველესიანმა გააკეთა, საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა: დღესდღეობით ბავშვის მდგომარეობა საკმაოდ კარგია. არის აბსოლუტურად კონტაქტური, მეტყველებს მშვენივრად. ის მძიმე შედეგები, რაც მას ჰქონდა, პრაქტიკულად აღმოიფხვრა. დამბლა, რაც მას გამოხატული ჰქონდა, პრაქტიკულად აღარ აქვს. მართალია, გარკვეული დეფიციტი კიდევ დარჩა, მაგრამ ნევროლოგიური ფუნქციების აღდგენას დრო სჭირდება.

ასლან ოქროპირიძე, *ავადმყოფის ბიძა — პროფესიით ექიმი:*

— როცა ბავშვი ავად გახდა, მე თბილისში არ ვიმყოფებოდი, მეორე დღეს ჩამოვედი და მაშინვე საავადმყოფოში მივაკითხე... მაგრამ მინდა თავიდან დავიწყო. „სასწრაფო დახმარება 03“-ის ექიმმა მარიეტა საღარაძემ, რომელიც სახლში, ადგილზე მივიდა და ბავშვი მოწამვლის დიაგნოზით, პრეკომატოზურ უმძიმეს მდგომარეობაში წაიყვანა, აქვე, ერთ კილომეტრში, ე.წ. „მიხაილის“ საავადმყოფოში კი არ მიიყვანა, სადაც მაღალკვალიფიციური ტოქსიკოლოგიური განყოფილებაა, არამედ გაატარა თითქმის მთელი ქალაქი, ჩაუარა რესპუბლიკურ საავადმყოფოსაც და მაინცდამაინც ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე „ლეჩკომბინატში“ მიიყვანა. ბავშვი ასეთ მძიმე მდგომარეობაში იყო და ამოდენა მანძილი მოატარეს. მე ექიმი ვარ და კარგად ვიცი, რატომ და რისთვის ხდება მსგავსი ამბები... როგორც გითხარით, მეორე დღეს მივაკითხე ბავშვს. მართალია, ადგილობრივი მედპერსონალი გვაიმედებდა, რაღაც მკურნალობასაც უტარებდნენ, მაგრამ ვხედავდი, მდგომარეობა თანდათან, დღითი დღე უარესდებოდა. ბედად, ჩემი კოლეგა, თანაკურსელი შემხვდა, რომელმაც მირჩია, ნევროლოგიის ინსტიტუტიდან სპეციალისტი მომეყვანა. მოვიყვანეთ. გასინჯა თუ არა, მაშინვე გვირჩია ბავშვის ნევროლოგიურში გადაყვანა. ეს იყო მეხუთე დღეს, საღამოს. ნევროლოგიურში გადაყვანიდან მეორე დღეს ექიმმა ალეკო გველესიანმა გაუკეთა საკმაოდ რთული ოპერაცია, რომელიც სამსაათ-ნახევარი გრძელდებოდა და ბავშვი გადაგვირჩინა. კიდევ კარგი, ჩემი თანაკურსელი შემხვდა და იმან მირჩია გადაყვანა, თორემ მეც და ბავშვის მშობლებიც საკმაოდ დაბნეულები ვიყავით... სხვათა შორის, მეხუთე დღეს, როცა გაიგეს, ფული გაგვითავდა, „ლეჩკომბინატში“ თვითონაც გვითხრეს — რაკი ფული აღარ გაქვთ, ჩვენ აქ ბავშვს ვეღარ გავაჩერებთ და წაიყვანეთო...

ავადმყოფის მამა:

— მოიცა, მაგის შესახებ მე ვიტყვი... ტომოგრამა რესპუბლიკურში გადაუღეს და იქიდან რომ მოვიყვანეთ, მითხრეს: ბავშვი სამკურნალოა და დღეში 150 დოლარს თუ გადაიხდიო? მე ცოტა დავფიქრდი — 150 დოლარი ყოველდღე?.. ცოტა შემეშინდა, მერე ვუთხარი — იქნებ, 100 დოლარად გამოვიდეს-მეთქი: სახლში ერთი-ორი კაპიკი მქონდა... არა, რას ლაპარაკობ?! დღეში 150 დოლარიო... რა მექნა? ეს გათიშული ბავშვი სად წამეყვანა? დავთანხმდი. მანამდე კი,

ტომოგრამის გადასაღებად რესპუბლიკურში რომ მიგვყავდა და ბავშვი საკაცით მანქანაში მოათავსეს, ეს ქალი *(ნატა ქართველიშვილი იგულისხმება. – ავტ.)* მეკითხება: ახლა ჯიბეში გაქვს ფულიო? არა მაქვს, მაგრამ მანქანით გავვარდები და ახლავე მოვიტან-მეთქი... რაო? რომ მოდიოდი ჯიბეგაფხეკილი, ვინ მოგირჩენდა შვილსო?! ამოვიდა სისხლი ყელში, მაგრამ რა უნდა მექნა? ეს ბავშვი კი, მანქანიდან ისევ უკან გადმოსვეს... გამოვვარდი სახლში, ფული წამოვიღე და გადავიხადე ტომოგრამის – 250 ლარი. პირველ დღესვე მითხრეს – ინსულტი აქვსო და თუ თანხას გადაიხდი, ბავშვს მოვარჩენთო. კი, ბატონო-მეთქი. ჯერ ორი დღისა მივეცი – 300 დოლარი, გავიდა ერთი დღე, ორი დღე – ბავშვს ნემსებს და გადასხმებს უკეთებენ, მაგრამ არაფერი გამოდის – ბავშვი ისევ გათიშულია. მერე მითხრეს – ცოტა ხანი კიდევ მოიცადე და გაუვლის – ერთი-ორი დღე კიდევ უნდაო. გადავიხადე კიდევ 300 დოლარი. დაიწყო მეხუთე დღე და – ააშენოს ღმერთმა, ჩემი ძმის თანაკურსელი შეგვხვდა და ბავშვი ნევროლოგიურში წავიყვანეთ.

ასლან ოქროპირიძე:

– მეხუთე დღეს, ეს ქალბატონი *(ნ. ქართველიშვილი. – ავტ.)* მეუბნება: ახლა ვიცით, თანხა აღარა გაქვთ და აქ უკვე ვეღარ გაჩერდებითო: ისე, თუ თქვენ დახმარება გექნებათ, „კოკა-კოლიდანო“ – მოწამვლის ვერსიას ისევ არ ეშვებოდნენ, – რა თქმა უნდა, სჯობს, აქ დარჩეს და ჩვენ ვუმკურნალოთ – ოღონდ, 9-დან 10 ათას ლარამდე დაგიჯდებათო... ფაქტობრივად კი, იმის წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ბავშვი ორ დღეში დაიღუპებოდა, რადგან არასწორად მკურნალობდნენ, ანდა – საერთოდ მკურნალობდნენ კი? ყველა ორგანოში აქვს გავლილი შხამსო: ღვიძლშიო, ფილტვშიო... ისიც თქვეს – გულიც ჩათრეულიაო. იმდენად არ გვეშინია ტვინის, რამდენადაც ღვიძლის უკმარისობის განვითარებისო. არადა, ბავშვი მოწამლული საერთოდ არ ყოფილა: პირველივე ტომოგრამამ აჩვენა იშემიური ინსულტი... ჰო, მართლა – ნევროლოგიის ინსტიტუტში წინასწარ არც ფულზე გაგვრიგებია ვინმე – რის თანხა, რა თანხა?! არც უგრძნობინებიათ ჩვენთვის რამე – ისე ადამიანურად მოგვექცნენ, როგორც უნდა იქცეოდეს მედიცინის ნებისმიერი მუშაკი. ბოლოს, ურთულესი ოპერაცია და თექვსმეტი დღის მკურნალობა ათას ორასი ლარი დაჯდა, აქედან ნახევარი კი – ქალაქის მერიის ფონდიდან დაიფარა.

P.S. ჩვენი აზრით, წერილში გადმოცემულ ამბავში ჭეშმარიტება იმდენად ზედაპირზე ძევს, მკითხველს მტყუან-მართალის გარჩევა ნამდვილად არ გაუჭირდება. ამიტომ არც დასკვნა დავურთეთ მასალას და არც კომენტარი. ერთს დავსძენთ მხოლოდ: ავადმყოფობის გამომწვევ, საწყის მიზეზს ექიმები ვერ ასახელებენ, რადგან კრიზისი ბევრ ფაქტორს შეიძლება გამოეწვია. ახლა, რაც მთავარია, ვახტანგ ოქროპირიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება და იმედია, 1 სექტემბერს სკოლაში ისეთივე ჯანმრთელი და ხალისიანი წავა, როგორიც წინა წლებში იყო. ■

ნევროლოგიის ინსტიტუტი

ადამიანურ ქნებიერებელ

დრო მკურნალია, იცის ყველა წყლულის წამალი.

ანდრეას გრიფიუსი

თუ ასეც სიკვდილია და ისეც, სჯობს შეება, რადგან გაქცეულის სიკვდილი სამარცხვინოა, ბრძოლაში სიკვდილი – დიდება.

დმიტრი დონელი

მუდამ წყნარი და ხალისიანი,
საყვარელი და თავაზიანი,
ბუნებრივი და თანაც ჭკვიანი –
ასეთი უნდა ადამიანი.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

გონიერი კაცი სულელის რჩევასაც მიიღებს, თუ ის გონივრულია.

გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი

ცოტაზე რომ ცოტას დავდებთ,
გვიგროვდება ნამატი.
წვეთი წვეთს რომ ემატება,
იბადება ნაკადი.

საადი

არ არსებობს დაბრკოლება, რისი გადალახვაც შეუძლებელია შრომით.

ჯორდანო ბრუნო

არ შეიძლება იმის ქადაგება, რასაც თვითონ უარყოფ.

მაქსიმ გორკი

ბედნიერებას ნუ ელოდები, თავად მოიპოვე.

მიშელ მონტენი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. კლინტონების ოჯახი ირლანდიური წარმოშობისაა.

2. ლენინის ძალაუფლების ყოველი წელი რუსეთს სამი მილიონი ადამიანის სიცოცხლედ უჯდებოდა.

3. პოლონეთის გაყოფის შემდეგ კომუნისტებმა და ფაშისტებმა ერთობლივი აღლუმი მოაწყვეს.

4. ვაჟა-ფშაველას კვირიას ხმალი წკნელით ჰქონდა შებმული.

5. ნაყოფი რომ ლამაზი და ტანადი ყოფილიყო, სპარტელი ქალები ხშირად იწმენდნენ კუჭს.

6. 24 წლის ნიუტონი უკვე განთქმული მათემატიკოსი იყო. P.S. იმ ხანებში ბევრი მეცნიერი ქიმიური ხერხით ოქროს მიღების სურვილით იყო შეპყრობილი. ამ მხრივ არც ნიუტონი წარმოადგენდა გამონაკლისს და რადგან კათოლიკური ეკლესიის შიშით ამას ღიად ვერ აკეთებდა, იგი ჩუმ-ჩუმად ალქიმიკოსობდა.



7. რამზეს დიდი ეგვიპტეს 60 წელი მართავდა და აქედან 50 წლის მანძილზე საკუთარ სამარხს აგებდა.

8. მტაცებელ ფრინველს 7000-ზე მეტი ბუმბული აქვს.

9. კობა ქუთაისის ციხეში შეარქვეს სტალინს.

10. მენშევიკი ოფიცერი ყარამან ჯიქურაული მიხეილ ჯავახიშვილის რომანის, „გივი შადურის“ ერთ-ერთი პერსონაჟია. ნაწარმოებში მისი მხეცური სისასტიკის ამბავია მოთხრობილი. მან ერთ სოფელში ასიოდე გლეხი დიდ სარდაფში გამოამწყვდია და გამოუცხადა, იქამდე იჯდებით მანდ, სანამ ერთი ნახევარი მეორეს არ შეჭამს და ვინც გადარჩება, თავისუფლებას ვაჩუქებო. რამდენიმე დღის მერე მათ ერთი სნეული თანასოფლელი შეჭამეს, მერე მეორეს მიადგნენ, შემდეგ მეათეც იკადრეს.

ერთმა ნახევარმა მეორე რომ გაათავა, ჯიქურაულმა კვლავ გამოუცხადა, კიდევ განახევრდით და გაგიშვებთო. გლეხები ღამღამობით ერთმანეთს ესხმოდენ, ახრ-

„ექსპერტები“ ტოტალიზატორში

ნანა ქიბიმაური

წამოდით, გოგოებო, ერთი 10 წუთით ბარში შევირბინოთ, ლუდზე დაგპატიჟებთო – ფრიად მაცდური წინადადებით მოგვმართა ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა, რომელიც პირდაპირ შეწუხებული გვყავდა, – ტოტალიზატორი რომ გახსენი, მაღარიჩი რატომ იგვიანებს-თქო?! ის კი, პასუხს ყოველთვის თავს არიდებდა: ერთი პატარა პრობლემა დამრჩა მოსაგვარებელი და მაღარიჩზე მერე ვილაპარაკოთო... მოკლედ, იმ დღეს შემოთავაზებული წინადადება ორმა „მოცლილმა ჟურნალისტმა“ ავიტაცეთ და მეგობარს დავეწვიეთ. ერთი-ორი კათხა ლუდის შემდეგ კი, შევაპარეთ, – რას შვრებით, ტოტალიზატორში, პრობლემები ვერ მოაგვარეთ-თქო? – ამის თქმა იყო და მეგობარმა შუბლზე იტკიცა ხელი, მერე საათს დახედა და მეორედ უფრო მაგრად იტკიცა... რა გჭირს, მეგობარო, დაწყნარდი-თქო – გავუკავეთ ხელები მე და ნელიმ... რა და, ჩვენი ტოტალიზატორი ყოფილ საკონდიტრო საწარმოს შენობაშია გახსნილი. ვირთხები კი (გაწყდა მაგათი სინსილა!), ძველ გზას ადვილად არ კარგავენ. მოკლედ, ვერაფრით მოვიშორეთ, ბიჭები ძალიან შეწუხებულები არიან, მთხოვეს, დღეს სანეპიდსადგურიდან მიმეყვანა ექსპერტები, მე კი თქვენთან ჭორაობას გადავყევიო... კიდევ ერთი-ორი კათხა მივამატეთ და მეგობარს უფრო გაუძლიერდა სინდისის ქენჯნა. ბოლოს კი, სასოწარკვეთილი მზერა მოგვაპყრო და გვთხოვა: თუ ნამდვილი მეგობრები ხართ, ახლა ერთ საქმეში უნდა დამეხმაროთო.

– კი, მაგრამ რაში? – ორივემ აჟუჟუნებული თვალები მივაპყარით.

– რაში და, ახლა, ტოტალიზატორში სანეპიდსადგურის ექსპერტების გარეშე, ვერ მივალ!

– აგერ არ ვართ ექსპერტები, შე კაცო?! აბა, რა არის მეგობრობა, თუ ერთმანეთს გაჭირვებაში არ ამოვუდგებით მხარში?! – ამოვისკვენით ორივემ გულები. მოკლედ, რამდენიმე წუთის შემდეგ ტაქსიში ვისხედით, საიდანაც ჩვენმა მეგობარმა მობილური ტელეფონით დარეკა და თავისი მეგობარი გააფრთხილა: ნიკა, მომყავს ორი ექსპერტი, ქალები არიან მაინც და ხვრელების მიმდებარე ტერიტორიები მოაწესრიგე – უხერხულიაო! შევედით ტოტალიზატორში, გამოგვეგება ერთი ალალი სახის, მაღალი, გრძელცხვირა ბიჭი და ჩვენს დანახვაზე, ერთი სიტყვა „ძლივს!“ ისე აღმოხდა, თითქოს დიდი ხნის მონატრებული ნათესავები ენახოს. ჩვენს საერთო მეგობარს არც დააცადა ბოლომდე გაცნობის ცერემონიალის ჩამთავრება, რომ დაიწყო: „ახლავე აგიხსნით, ქალბატონებო, რა დღეში ვართ!“ – „ვიცით, ბატონო, ვიცით, ჩვენ სადაც მივდივართ, ყველა ამ დღეშია, თქვენ ხვრელები გვიჩვენეთ“ – საქმიანად გააწყვეტინა ნელიმ სიტყვა. ნიკაც ჩქარი ნაბიჯით წავიდა გამოხრული კედლისკენ, სადაც საგულდაგულოდ იყო „მიმდებარე ტერიტორია“ მოსუფთავებული. ნელიმ ხვრელის ზომები აიღო და უბის წიგნაკში რაღაც ნახაზის შედგენა დაიწყო. ნიკა კი, არა და არ ჩერდებოდა: დარბოდა დარბაზში და „ექსპერტს“ ხვრელიდან ხვრელამდე მანძილის ადღობით გაზომვაში ეხმარებოდა. ნელიმ შემატყო, ამ საქმეში დიდად ვერ ვივარგე და „მეგობრობის მთელი ტვირთი“ თავის თავზე აიღო.

– რა საშუალებები იხმარეთ?

– ხაფანგი!

– კიდევ?

– დარიშხანი!

— კიდევ?

— თუთია და ტყვია!

— კიდევ?

— რაღაც ვარდისფერი ფხვნილი, რომელსაც საზიზღარი სუნი ჰქონდა!

— ვარდისფერი ფხვნილი? — ნელიმ წარბები შეჭმუხნა — აი, ამიტომ არის, რომ ვეტაფთიაქებში პროფესიონალები უნდა მუშაობდნენ. ვარდისფერი ფხვნილი როგორ შეიძლებოდა?! მოწინავე ქვეყნების გამოცდილება გვიან აღწევს ჩვენამდე! მაგ ფხვნილს გვერდითი ეფექტი აღმოაჩნდა: ვირთხებს იმუნიტეტი გამოუმუშავდათ და ამჟამად პირიქით, ეს მათ პოტენციას ააქტიურებს და უფრო სწრაფად მრავლდებიან!

— აუჰ! — შემოირტყა თავში ხელი ნიკამ.

— ამას სჯობდა, ისევ ჩაქუჩით გედევნათ, — ბოლომდე „მიაწვა“ ნელი.

— ჩაქუჩითაც დავსდევდით, — გამოტყდა ნიკა.

ამ დიალოგის შემდეგ, თავის შეკავება აღარ შემეძლო და ჩემი უადგილო სიცილით მეგობრობაში რომ არ „ჩავჭრილიყავი“, მორიდებით ვიკითხე, ტუალეტი სად იყო...

— აა, ტუალეტი? — აბა იქ არის ხვრელი, თუ არის, წამობრძანდით! — და ნიკა, თავისი ფართო ნაბიჯებით, ახლა საპირფარეშოსკენ წაგვიძღვა. ჩვენი საერთო მეგობარი მიხვდა, რომ რაღაც ცუდად იყო ჩემი საქმე და მუშტებით მანიშნა, რა დღეც დამადგებოდა, ახლა რომ გამცინებოდა. ნელიმ ისევ შეჭმუხნა წარბები და ხელი ნიკასკენ გაიწოდა:

— მომეცით მკვდარი ვირთხა!

— რაა?! — სამივეს ერთდროულად აღმოგვხდა... ვაიმე, ისე შევიდა როლში, მგონი ვიღუპებით-მეთქი, გავიფიქრე. ნიკამ ჯერ ნელის შეხედა დაეჭვებით, შემდეგ კი მეგობრისკენ გააპარა თვალი, რომელსაც მართლაც ძალიან ბუნებრივი გაკვირვება აღბეჭდვოდა სახეზე.

— რა მკვდარი ვირთხა, ქალბატონო ნელი? — წამოეშველა ამხანაგს საერთო მეგობარი.

— როგორ, აქ მოგვიწვიეთ, დრო დაგვაკარგვინეთ და მკვდარი ვირთხაც არ გყავთ? აბა, როგორ ჩავატაროთ ლაბორატორიული ექსპერტიზა? თუ გგონიათ, ამის გარეშე დაგიმონტაჟებთ ხელსაწყოს?

— რა ხელსაწყოს? — ისევ ერთხმად ვიკითხეთ.

— ხელსაწყოს, რომელიც მერე მკვდარი ვირთხების აღმოჩენაში დაგვეხმარება. აბა, ამ ზაფხულში კიდევ ერთ ანტისანიტარიის კერას ხომ არ შევქმნით? — უკვე გაბრაზდა ნელი.

— ჩვენ არ ვიცოდით, ქალბატონო, თორემ აუცილებლად დაგახვედრებდით, — მოიბოდიშა შეწუხებულმა ნიკამ.

— არ ვიცოდით, არ ვიცოდით... ყველგან ასე გვპასუხობენ, თვითონ არ უნდათ ხელი შეგვიწყონ და მარტო ჩვენგან მოითხოვენ, თანაც უფასოდ! — არ ცხრებოდა „ექსპერტი“.

— ქალბატონო, ორშაბათამდე რომ გვადროვოთ? — შეევედრა შეწუხებული ნიკა.

— კი ბატონო, იყოს მაშინ ორშაბათი. ოღონდ, აუცილებლად ჩაქუჩის თავში დარტყმით უნდა იყოს მკვდარი, რომ შიგნეულობა არ დაუზიანდეს... ამასაც, ამ ადამიანის ხათრით ვაკეთებთ, თუმცა, ეს ჟურნალისტებიც არ არიან ჩვენგან არაფრის ღირსნი: წაიკითხე, ამას წინათ „პალიტრაში“ ვირთხებზე რომ იყო წერილი? — ახლა მე მომიტრიალდა ნელი.

— წავიკითხე, აბა... — და ერთი-ორი „ტკბილი სიტყვა“ ჩემი უწყინარი კოლეგის მისამართით ძლივს ამოვღერღე...

როგორც იქნა, გამოვაღწიეთ ტოტალიზატორიდან. აშკარად ნასიამოვნებმა ნიკამ მეგობარს მხარზე ხელი დაარტყა...

ორშაბათს კი ნელი გამომიტყდა, რომ სინდისმა ძალიან შეაწუხა, ვეტაფთიაქში შეიარა და ვირთხების ყველაზე ეფექტურ საწამლავში 6 ლარი გადაიხადა, თან რაღაც მუქი ფერის პაკეტი მიჩვენა — ეს ყველაზე მაგარი ყოფილაო!.. სამსახურის შემდეგ ნიკას ისევ შევუარეთ, როგორც ექსპერტებმა. ნიკაც ისევ ისეთი შეძახილით შეგვხვდა, როგორც მაშინ — „ძლივს!“ და ცელოფანში ფაქიზად გახვეული ვირთხა გვიჩვენა. „რაც ამას ვსდიე, მაგრამ არ დავეძებ — ოღონდ რამე გვეშველოს“... — „უსაშველო არაფერია, სიკვდილის მეტი“ — ჩაიბურტყუნა ნელიმ და თავისი პაკეტი ფრთხილად გახსნა: პაკეტიდან საზიზღარი სუნის... ვარდისფერმა ფხვნილმა „შემოგვანათა“ — სწორედ ისეთმა ფხვნილმა, „ექსპერტის“ მტკიცებით, ვირთხების სექსუალურ აქტივობას რომ ზრდის... სხვა რაღა გზა გვქონდა — ბევრი ვიბობოქრეთ „არაპროფესიონალი ფარმაცევტის“ მისამართით, რომელსაც ფხვნილი „შეშლია“ და საწამლავის „გამოსაცვლელად“ წამოვედით. შეხვედრა ისევ ორშაბათისთვის დავთქვით. ნეტავი რა ეღირება სხვა საწამლავი?.. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ჩობდნენ და ჭამდნენ. ბევრი გაგიჟდა. ბოლოს ერთიღა დარჩა, მაგრამ ვეღარ გაუძლო და თავი ჩამოიხრჩო.

11. ნერვული იმპულსები თავის ტვინის მიმართულებით 270 კმ სიჩქარით მოძრაობს.

12. ზღარბები ერთმანეთს ლოკავენ.

13. პინოქიოს სინდისს მულტიპლიკაციურ ფილმში ჯიმინი ერქვა.

14. რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II ქალიშვილობაში პრინცესა სოფია ფრედერიკა ავგუსტა ფონ ანჰალტც-ცერბსტად იწოდებოდა.

15. კოტე მახარაძეს ისრაელში მოსეს მოსასხასმი აჩუქეს.

16. სახელგანთქმული ინგლისური მშვილდი, რომელსაც რობინ ჰუდი და მისი თანამემამულენი ხმარობდნენ, ექვსი ფუტის სიგრძის გახლდათ.

17. ვეზუვის ამოფრქვევის დროს, ქალაქ პომპეიში 50000 ადამიანი ცხოვრობდა. P.S. დღევანდელ დღეს ვეზუვის ჩრდილქვეშ 750000 ნეაპოლელი ცხოვრობს არხეინად.

18. მონღოლებმა მსოფლიო დაუჭედავი ცხენებით დაიპყრეს.

19. ადოლფ ჰიტლერმა 1945 წლის 30 აპრილს დღისით, ოთხის ნახევარზე მოიკლა თავი.

20. თეთრი სახლი ექვსი სართულისაგან შედგება და 130 ოთახს მოიცავს.

21. ორნელა მუტის ესტონელი დედა ჰყავს.

22. „კრასივიე, ნო სმერტელნო ნედაპონეტიე, ანი ჟივუტ სრედი ნას“ — ეს ფრაზა ჟურნალ „დისქავერის“ დიქტორმა გველებზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის კომენტირებისას წარმოთქვა.

23. მახრჩობელა გველ ბოას მთელი წელიწადი შეუძლია გაძლოს მშიერმა.

24. 1985 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულში სიტყვა „კომპიუტერი“ განმარტებულია, როგორც დამპროგრამებელი და გამომთვლელი მანქანა. ■

„ქალარ-შვილი უმონყალოდ დაეხოცა, მე კი მისი სახლისკენ ერთი კენჭიც არ მისვრია...“

ნუგზარ ცხომელიძეს ყოფილი სიძისა და მძახლის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

მეგი ცანავა

თემურ მშვიდობაძე

კობა მშვიდობაძე

ლალი მშვიდობაძე

გასულ კვირას უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ სამუდამო პატიმრობამისჯილი, 48 წლის ნუგზარ ცხომელიძის საჩივარი განიხილა. მსჯავრდებული, რომელიც ორი ადამიანის – მამა-შვილის მკვლელობისთვის გაასამართლეს, სასამართლოს განაჩენს არ ეთანხმება. საკასაციო პალატას მან განაჩენის გაუქმება და საქმის ხელახალ ძიებაში დაბრუნება მოსთხოვა.

გარდაცვლილები ნუგზარ ცხომელიძის ყოფილი მოყვრები იყვნენ. მამა – 46 წლის თემურ მშვიდობაძე მომხდარ ფაქტამდე ცოტა ხნით ადრე, ცხომელიძის მძახალი, ხოლო შვილი – 25 წლის კობა მშვიდობაძე, მისი სიძე იყო. მსჯავრდებულის თქმით, მათ შორის უთანხმოების მიზეზი მამამთილის მხრიდან რძლის მიმართ ჩადენილი ამორალური ქმედება გახდა.

ტრაგედია 1998 წლის 24 დეკემბერს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათში დატრიალდა.

ლალი მშვიდობაძე, დაზარალებული:

„მთელი ეს უბედურება, სამწუხაროდ, ჩემი შვილის, ნუგზარ ცხომელიძის ქალიშვილზე – თამარზე დაქორწინებამ გამოიწვია. თამარ ცხომელიძე მაშინ 15 წლის იყო, 16 წელი მას რამდენიმე თვეში უსრულდებოდა. ვიცოდი, რომ იგი ჩემს შვილს – ბაჩუკის (კობა) ძალიან მოსწონდა. მე და თემურიც (მეუღლე) სიმპათიით ვიყავით განწყობილნი ამ გოგონას მიმართ. ჩვენ თვალწინ იზრდებოდა, მისი ბებია და ბაბუა მეზობლად, ძალიან ახლოს ცხოვრობენ.

ვინაიდან ოჯახებით ვიცნობდით ერთმანეთს, გადავწყვიტეთ, მოგველაპარაკა და ბავშვები დაგვექორწინებინა. ამ მიზნით თამარის მშობლებს შევხვდით. ჩემმა მეუღლემ მათ უთხრა: ჩემს შვილს თქვენი გოგონა ძალიან მოსწონს და თუ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო, მოდით, დავმოყვრდეთ, მომავალშიც ერთმანეთს მხარში უფრო ამოვუდგებით და დავეხმარებითო. იმ პერიოდში ნუგზარ ცხომელიძეს ვალები ჰქონდა, ჩვენ ბევრი საქონელი გვყავდა და თემურმა „დახმარებაში“, მათთვის მატერიალური ხელშეწყობა იგულისხმა. თამარის მშობლებმა იცოდნენ, რას წარმოვადგენდით, ბაჩუკისაც იცნობდნენ, როგორც ჭკვიან, მშრომელ და ღონიერ ვაჟკაცს. ამიტომაც ჩვენს წინადადებას დათანხმდნენ.

ქორწინების შემდეგ რძალთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ჩემი მეუღლეც თბილად ეპყრობოდა. ჩვენი ქალიშვილი საბერძნეთშია გათხოვილი და ოჯახში მისი არყოფნით გამოწვეულ დანაკლისს რაღაცნაირად გვივსებდა. როგორც საკუთარ შვილს, ისე ვუყურებდით. მიხაროდა – რა კარგია, რძალი და მამამთილი თავიდანვე ასე რომ შეიყვარებენ ერთმანეთს-მეთქი. თემური იტყოდა ხოლმე: როცა მოვკვდები, ჩვენი ნანა, იქნებ, აქ ვერც ჩამოვიდეს და რძალმა უნდა დამიტიროს საკუთარი ქალიშვილივითო...

მიუხედავად ყველაფრისა, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ვატყობდი ამ გოგონას, რომ ახალ მდგომარეობას ვერანაირად ვერ ეგუებოდა. ვგრძნობდი, ქმარი მან ვერაფრით შეიყვარა... აი, სად დავაშავეთ მშობლებმა! ის აღარ ვიფიქრეთ, რომ ასე უცებ, მოულოდნელი ქორწინებით მათ შორის სიყვარული ადვილად არ გაჩნდებოდა. თუმცა, გულს მაინც არ ვიტეხდი – რა უჭირს, ჯერ ბავშვია, გავა დრო და მერე შეეჩვევა ქმარს, შეიყვარებს-მეთქი. მაგრამ არა, ასე არ მოხდა! სულ ოთხი თვის მანძილზე იყო იგი ჩვენი რძალი. შემდეგ მიგვატოვა და თავის მშობლებთან წავიდა. ამის ერთადერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ მას ჩემი შვილი არ უყვარდა და მასთან ცხოვრე-

სასამართლო კოლეგია

ბას ვერ შეეგუა. ქმართან განშორების სხვა საფუძველი მას არ გააჩნდა. ჩვენ, როგორც რძალსა და დედამთილს, არანაირი უთანხმოება, პატარა უკმაყოფილებაც კი არ გვქონია, არც მამამთილთან უკამათია ოდესმე, მის მშობლებთანაც მშვიდი, ნორმალური ურთიერთობა გვქონდა...

არაერთხელ ვეცადეთ ცოლქმარი ერთმანეთისთვის შეგვერიგებინა და როგორმე ოჯახი შეგვენარჩუნებინა. ბაჩუკი არ მოგვყვებოდა. ერთხელ ძლივს დავითანხმეთ და მისი იმ ოჯახში მიყვანა მოვახერხეთ. ძალიან თავმოყვარე ბიჭი იყო, მეუბნებოდა – 25 წლის კაცს ის კი უნდა მეფიქრა, რომ 15 წლის ბავშვი, მე ვერ შემიყვარებდა, არც მე ვარ მართალი, თქვენ რატომ აგყევითო – თავს იდანაშაულებდა. ადრე ცოლთან ურთიერთობის შესახებ არაფერს მეუბნებოდა, არაფერს მიმხელდა. თამარის წასვლის მერე კი, ვერ მოითმინა და ყველაფერი მითხრა: თურმე, საშინლად დაძაბული ცოლქმრული ცხოვრება ჰქონიათ, ეს ძალიან ტანჯავდა ბაჩუკის. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ვერ მიტანდა, ისე შემიზიზღა – ვიცი, არასოდეს შემიყვარებს და მასთან შერიგებას აზრი არა აქვსო – მეუბნებოდა. თამარს მისთვის რამდენჯერმე ისიც კი უთქვამს – ჩემს დედამამას ჩემი ცოდვით რა გაახარებს, შენზე ძალით რად გამათხოვესო.

მაინც ჩვენსას ვეცადეთ. თამარს ვთხოვდით – დაბრუნდი, შვილო, ყველანაირად დაგეხმარებით, ცოტა მატერიალურად თუ შეგვეშალა ხელი, მომავალში ვეცდებით გამოვასწოროთ-თქო: ოჯახიდან მისი წასვლის მიზეზი, როგორც აღმოჩნდა, მატერიალური უკმაყოფილებაც იყო. თამარის მშობლები და ბებია გვსაყვედურობდნენ, – ბავშვს სტიმული არ მიეცით, რომ ქმარი როგორმე შეჰყვარებოდაო. მეზობლებში კი, თურმე, ამბობდნენ – რძალს კარგი ჩაცმა-დახურვა და ოქროს სამკაულები რომ უნდა, არ იცოდნენო?

კეთილი რჩევისა და დარიგების ნაცვლად, თამარის ოჯახის წევრები ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ. მათი ასეთი საქციელი ჩემმა ქმარმა ვერ მოითმინა და რძლის ბებიას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ეს აღარ აპატიეს თემურს, მწარედ ანანეს...

არ გასულა ამ შემთხვევიდან 10-15 დღე და ეს უბედურებაც მოხდა. ახალი წელი მოდიოდა. ხარ-კამეჩი გვყავდა, თემურს უნდოდა, საქონელი გაეყიდა, რომ ოჯახში საახალწლოდ ცოტაოდენი ფული გვქონოდა. 24 დეკემბერს, გამთენიისას წავიდა ჩემი ქმარი, თან დაიბარა – ბაჩუკიც წამოვიდეს, დამეხმარება, სხვებსაც ვთხოვ, საქონელი დამაჭერინონ, ცოტა გაველურებულები არიანო. ბაჩუკის სახლში პატარა საქმე ჰქონდა და როცა მორჩა, მოგვიანებით ისიც წავიდა. თან ზურგჩანთით საგზალი გავატანე, მასში ცოტა საჭმელი და მარილი იდო.

იმავე საღამოს, ძროხებსა და კამეჩს, რომლებიც ეზოში მყავდა, ვაბინავებდი. სწორედ იმ დროს, კუთხეში რაღაც ჩოჩქოლი გავიგონე. თურმე, მთელი უბედურება მე დამტეხოდა თავზე, მაშინ რას ვიფიქრებდი?! თემური უკვე მკვდარი ყოფილა, ბაჩუკი კი ტყვიებითა და დანით საშინლად დაჭრილი, საავადმყოფომდე 17 კილომეტრი მოტოციკლეტით უტარებიათ. მეორე დღეს ისიც დამეღუპა...“

საბრალდებო დასკვნის თანახმად, რაც შემდეგ სასამართლო ძიებამაც დაადასტურა, 1998 წლის 24 დეკემბერს, ჩიბათის ტყეში, დაახლოებით დღის 3 საათზე, მამა-შვილ მშვიდობაძეებს ნუგზარ ცხომელიძე და მისი მეზობელი თემურ ტუღუში შეხვდნენ. თემური და კობა მშვიდობაძეები ნასვამები იყვნენ და ორივეს მიესალმნენ. თემურ მშვიდობაძემ ნუგზარ ცხომელიძეს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, ამ უკანასკნელმა კი მას ხელი არ ჩამოართვა. „რა იყო, ნუგზარ?“ – შეეკითხა თემურ მშვიდობაძე, რაზეც ყოფილმა მძახალმა უპასუხა: „თავი დამანებეთ, მომცილდით. ამ გზაზე მეორედ არ დაგინახოთ!“ შელაპარაკების მომენტში ნუგზარ ცხომელიძე იქვე მდებარე, მოქალაქე ჭეფხოძის კარავში შეიყვანეს. ამის გამო კამათი შეწყდა. დაახლოებით ნახევარ საათში ნუგზარ ცხომელიძე კარვიდან სახლისკენ წამოვიდა. იქიდან 300 მეტრის მოშორებით, გზაზე იგი მამა-შვილ მშვიდობაძეებს კვლავ შეხვდა. მათთან ურთიერთობითა და ამ შეხვედრით გაღიზიანებულმა ცხომელიძემ ერთლულიანი, არარეგისტრირებული, სანადირო თოფი (რომელიც თან ჰქონდა) მოიმარჯვა და 10 მეტრიდან თემურ მშვიდობაძეს, შვილის თვალწინ ესროლა. თემური მხარში დაიჭრა და წაიქცა. ცხომელიძე მას მიუახლოვდა და წაქცეულს მეორედ – ამჯერად, სახისა და თავის არეში დაახალა ტყვია. თემურ მშვიდობაძე მაშინვე გარდაიცვალა.

ამის შემდეგ ცხომელიძემ გადაწყვიტა, მოკლულის შვილიც – კობაც მოეკლა და მიწაზე დაცემულ მამასთან დასახმარებლად მიახლოებულ კობას ჯერ საოჯახო დანა (რომელიც ასევე თან ჰქონდა) სამჯერ ჩაარტყა გულმკერდისა და თავის არეში, მერე კი, ათი მეტრის მოშორებით დადგა და სანადირო თოფი ორჯერ ესროლა. ტყვიები კობას მუცელსა და კეფაში მოხვდა. კობა მშვიდობაძე ლანჩხუთის რაიონის საავადმყოფოში, მეორე დღეს გარდაიცვალა.

რაც შეეხება ნუგზარ ცხომელიძეს, ჩადენილი დანაშაულის შემდეგ, იგი კვლავ ჭეფხოძის კარავში მიბრუნდა და იქ მყოფ თემურ ტუღუშს მომხდარის შესახებ მოუყვა. იარაღები, რომლითაც მან მკვლელობა ჩაიდი-

მსჯავრდებული ნუგზარ ცხომელიძე და მისი ადვოკატი მაია ახალაია

ნა, გადამალა, მიატოვა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გამოძიებას თავი აარიდა. 1999 წლის 10 იანვარს იგი ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში თავისი ფეხით მივიდა და დანაშაული აღიარა. სამართალდამცავებმა ნუგზარ ცხომელიძე იმ დღესვე დააკავეს. აღიარების მიუხედავად, პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებაში მან თავი დამნაშავედ არ ცნო. მომხდარის შესახებ ცხომელიძემ სამართალდამცავებს ასეთი შინაარსის ჩვენება მისცა:

1998 წლის 24 დეკემბერს იგი მეზობელ თემურ ტუღუშთან ერთად ჩიბათის ტყეში შეშის დასამზადებლად წავიდა, თან წაიღო სანადირო თოფიც. გზაზე მათ მამა-შვილი მშვიდობაძეები შეხვდნენ და მიესალმნენ. იგი მათზე ძალიან განაწყენებული იყო და ამიტომ, მისალმებას თავაზიანად არ უპასუხა, უთხრა – თავი დამანებეთ, მომცილდითო. მაშინ თემურ მშვიდობაძე მისთვის თოფის წართმევას შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ცხომელიძე იქვე მდებარე კარავში შეიყვანეს. როცა იქიდან წამოვიდა, 300 მეტრის გავლის შემდეგ მან მშვიდობაძეები კვლავ შენიშნა. თემურ მშვიდობაძეს ხელში კომბალი ეჭირა. ცხომელიძემ იფიქრა – ჩემზე გაბრაზებულები არიან და ახლა შეიძლება, მომკლანო, ამიტომ სანადირო თოფი, მათ დასაშინებლად, უმისამართოდ გაისროლა. ამ დროს, მოულოდნელად, მას კობა მშვიდობაძე ეძგერა და წააქცია. ნუგზარ ცხომელიძემ მის ხელში დანა შენიშნა, შეძლო მისი წართმევა და კობას იგი ქვემოდან რამდენჯერმე დაარტყა (ლალი მშვიდობაძის მტკიცებით, იმ დღეს არც მის ქმარს და არც შვილს დანა არ წაუღიათ). როცა გათავისუფლდა და დაინახა, რომ კობა მშვიდობაძე წამოდგომას აპირებდა, თოფში ჰილზი გამოცვალა და თავდაცვის მიზნით კობას მიმართულებით გაისროლა. ამის შემდეგ ისევ კარავში მიბრუნდა, თემურ ტუღუშს უთხრა, რომ მამა-შვილი მშვიდობაძეები მოკლა და მიიმალა.

ნუგზარ ცხომელიძის მტკიცება, თითქოს მშვიდობაძეები აუცილებელი მოგერიების დროს მოკლა, პროკურატურამ არ გაიზიარა და ჩათვალა, რომ იგი ბრალდებულმა მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით მოიგონა.

მშვიდობაძეების ოჯახთან უკმაყოფილებისა და ქმართან ქალიშვილის გაყრის მიზეზად ნუგზარ ცხომელიძე თემურ მშვიდობაძის ამორალურ ქმედებას ასახელებს. მისი თქმით, მამამთილი რძალს უწესოდ ექცეოდა და მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას ცდილობდა.

ლალი მშვიდობაძე:

„ერთხელ, ოჯახის წევრების თანდასწრებით (იქვე იყო ჩემი რძლის მამაც) თემურმა თამარს მოფერებით ხელი მოჰხვია და მუხლზე დაისვა. ბავშვი იყო და შვილივით ეფერებოდა. ეს ფაქტი ჩემმა რძალმა და მამამისმა მერე ხელზე დაიხვიეს, გააზვიადეს და ათასნაირი ჭორი გაავრცელეს – ალბათ იმ მიზნით, რომ ამ სიტუაციაში როგორმე თავი გაემართლებინათ“.

სასამართლოში მოწმეებად დაკითხულმა მეზობლებმა, თემურ მშვიდობაძის ბუნებიდან გამომდინარე, რძლის გაუპატიურების მცდელობის შესაძლებლობა კატეგორიულად გამორიცხეს. თავად თამარ ცხომელიძემ საპირისპირო განაცხადა: მან სასამართლოში, ისევე, როგორც წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში, აღნიშნა, რომ მამამთილი მას ავიწროებდა, უწესოდ ექცეოდა და მასაც ამორალური ქმედებისკენ მოუწოდებდა. თამარ ცხომელიძის თქმით, ამის გამო იგი იძულებული გახდა, მშობლებისთვის წერილი მიეწერა და მათთვის ქმრის ოჯახიდან წაყვანა ეთხოვა.

ლალი მშვიდობაძე:

„რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ტყუილია. ჩემს ქმარს ასეთი უზნეობის გაფიქრებაც კი არ შეეძლო... ღმერთო ჩემო, ნუგზარ ცხომელიძემ სიცოცხლით სავსე ქმარი და ერთადერთი ვაჟი მომიკლა, მე კი მაგათი სახლისკენ ერთი კენჭიც არ მისვრია. ბუნებით უბოროტო ხალხი ვართ, ისინი ამით სარგებლობენ და ბინძურ ჭორებს ავრცელებენ“.

თამარ ცხომელიძისა და მისი მშობლების სიტყვები, არც სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა. კოლეგიის აზრით, ის ფაქტი, რომ თემურ მშვიდობაძე საჯაროდ, ოჯახის წევრების თანდასწრებით, აგრეთვე მისი რძლის მშობლების თვალწინ, თამარ ცხომელიძეს ეფერებოდა (სხვა ფაქტი არ გამოვლინდა), არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სქესობრივი კავშირის დამყარების მცდელობა. თანაც, დადგინდა, რომ ოჯახში შესარიგებლად მისულ მშვიდობაძეებს თამარ ცხომელიძის მშობლები შერიგებაზე უარს ეუბნებოდნენ არა იმიტომ, რომ მამამთილის მოქმედების გამო ვერ დააბრუნებდნენ იქ შვილს, არამედ იმიტომ, რომ თამარ ცხომელიძეს მეუღლე არ უყვარდა.

ნუგზარ ცხომელიძე წარსულშიც ნასამართლევი გახლავთ: გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო, ლანჩხუთის რაიონის სასამართლომ 1990 წელს, მას ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 1992 წელს იგი ვადამდე ადრე გაათავისუფლეს.

რაც შეეხება 1998 წელს ჩადენილ მკვლელობებს, მსჯავრდებული და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი არც საქმესთან დაკავშირებით წარმოებულ გამოძიებას, არც უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს არ ცნობენ.

მაია ახალაია, მსჯავრდებულის ადვოკატი:

„ჩვენ არ ვცნობთ არც წინასწარ, არც სასამართლო გამოძიებასა და განაჩენს. ასევე არ ვადასტურებთ იმ პერიოდში ნუგზარ ცხომელიძის მიერ მიცემულ არც ერთ ჩვენებას. სინამდვილეში, მას არც კი ახსოვს, რა მოხდა მკვლელობის დროს, ჩვენებები კი, შესაძლოა, პროკურატურაში ზეწოლის შედეგად დააწერინეს. ამდენად, ყველა ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ მოვითხოვთ ამ დარღვევების დაფიქსირებას და საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას“.

ადვოკატის ეს მოთხოვნა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა და ნუგზარ ცხომელიძისადმი გამოტანილი განაჩენი – სამუდამო პატიმრობა სასჯელის საპყრობილეში მოხდით – უცვლელი დატოვა.

■

სასამართლო პროცესს მოწმეების დუმილი აჭიანურებს?

საქართველოს ხელისუფლების დასამხობად, ამასთანავე, პრეზიდენტ შევარდნაძისა და მთავრობის სხვა წარმომადგენელთა მოსაკლავად გამიზნული არშემდგარი ტერორისტული აქტის მომზადებაში, 300 კაციანი უკანონო შეიარაღებული ფორმირების ჩამოყალიბების მცდელობაში ბრალდებული გუჯარ ყურაშვილისა და დანარჩენი 9 განსასჯელის საქმის განხილვა უზენაეს სასამართლოში სულ უფრო ჭიანურდება (ამ საქმის შესახებ ვრცლად, „გზის“ №№18, 23-ში ვწერდით). ამის მიზეზი დასაკითხად გამოძახებული მოწმეების გამოუცხადებლობა გახლავთ. სასამართლო კოლეგიამ პრობლემის მოგვარება შინაგან საქმეთა სამინისტროს დააკისრა. როგორც აღმოჩნდა, შს სამინისტრომ დავალების შესრულება ვერ შეძლო, რადგან იგივე მიზეზით სასამართლო სხდომა ზედიზედ ორჯერ, კვლავ გადაიდო.

ყველაზე ურჩი მოწმე ბადრი ტუშევსკი აღმოჩნდა. იგი სასამართლოში, განსასჯელ დათო წოწორიას ბინის ჩხრეკის ფაქტთან დაკავშირებით არის დაბარებული. პროკურატურის ინფორმაციით, ტუშევსკი აღნიშნულ ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებას ესწრებოდა. განსასჯელ წოწორიას ინტერესების დამცველ ადვოკატს სწორედ ამ ჩხრეკასთან დაკავშირებით აქვს პრეტენზიები და აცხადებს, რომ ოფიციალურ ოქმებში წარმოდგენილი მტკიცებულებები წოწორიას წინააღმდეგ უკანონოა.

მოსამართლემ განსასჯელებს შესთავაზა, აღარ დალოდებოდნენ პროცესზე გამოუცხადებელ მოწმეებს და სასამართლოსთვის ჩვენება მიეცათ. ამ წინადადებაზე ათივემ უარი თქვა. მათ განაცხადეს, რომ დუმილის უფლებას გამოიყენებენ მანამ, სანამ სახელმწიფო ბრალმდებელი მათ წინააღმდეგ დასაბუთებულ მტკიცებულებებს არ წარმოადგენს. პროკურორი გივი ხაბაშვილი განსასჯელებს დათანხმდა, ოღონდ მტკიცებულებების წარმოსადგენად ერთი დღე მოითხოვა.

■

ბანდიტური დაჯგუფების უიღბლო ოპერაცია

6-7 ივლისს შს სამინისტროს საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოსა და ხობის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს სამეგრელოს რეგიონში მოქმედი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ხობში, გოგებაშვილის ქუჩის №11-ში მცხოვრები, ადრე ნასამართლევი, 1964 წ. დ. მალხაზ ადამია და გამსახურდიას ქუჩის №10-ში მცხოვრები, ადრე ნასამართლევი, 1962 წ. დ. გიორგი ადონაია. ამასთანავე დაადგინეს მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი – 1968 წ. დ. ბადურ ქადარაია, 1974 წ. დ. მამუკა ხარამიშვილი და 1965 წ. დ. ხვიჩა ფირცხალავა. აღნიშნული პირები 25 მაისს, ცეცხლსასროლი იარაღებითა და ხანჯლით შეიარაღებულნი, ნიღბებაფარებულნი ხობის რაიონის სოფელ ჭიხუს უბანში თავს დაესხნენ იქვე მცხოვრებ ბადრი ნაჭყებიას ოჯახში სტუმრად მყოფ როლანდ მემიშს (რომელიც თავად სოფ. სარფში ცხოვრობს) და 40.000 ლარი და პირადი ნივთები წაართვეს. სამართალდამცავებმა დაკავებულ პირთაგან 0,032 კგ ჰეროინი, ხანჯალი და სხვა ნივთმტკიცებები ამოიღეს.

■

მკვლელობის მცდელობა ხელყუმბარით

10 ივლისს, დმანისში მკვლელობის მცდელობა დაფიქსირდა. დაახლოებით ღამის 1 საათისთვის, გაბაშვილის ქუჩის №22-ში, ვაჟა აფრასიძის საცხოვრებელი სახლის ეზოში ვიღაცამ „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა ააფეთქა და სახლს ცეცხლი გაუხსნა. ვაჟა აფრასიძის მეუღლე – 55 წლის ნორა გურჩიანი, რომელიც იმ დროს შინ გახლდათ, მუცელში დაიჭრა, ხოლო მისი სტუმარი, 20 წლის ილარიონ გურჩიანი – ხელში. დამნაშავის ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიებას პროკურატურა აწარმოებს.

■

ძმამ ძმისთვის შუჩი მკვლელობით იძია

7 ივლისს, გორში, დაახლოებით საღამოს 8 საათისთვის, 37 წლის მერაბ ბაქრაძე ტყვიავი-ფლავის საავტომობილო გზაზე მართავდა ავტომანქანა „ვაზ 21011“ №739-08გა-ს. ამ დროს იგი შეეჯახა სოფელ ფლავისმანში მცხოვრებ 24 წლის რომან გიუნაშვილს. თუმცა, ამის მიუხედავად, მან გორის მიმართულებით მოძრაობა გააგრძელა. რომან გიუნაშვილის ძმა – 25 წლის ვასილ გიუნაშვილი, რომელიც იმ დროს შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა, ბაქრაძის ავტომანქანას მაშინვე დაედევნა. იგი მას გორი-ცხინვალის საავტომობილო გზაზე დაეწია და იძულებით გააჩერებინა ავტომანქანა. ვასილ გიუნაშვილმა მძღოლი ურთიერთშელაპარაკებისას დანით ბეჭებსა და გულმკერდის არეში დაჭრა. მერაბ ბაქრაძე მიღებული ჭრილობების გამო, საავადმყოფოში გარდაიცვალა. ვასილ გიუნაშვილი იმალება.

■

ზუგდიდელმა „მინიჯვრებმა“ 39 წლის ქალი გააუპატიურეს

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალ აბასთუმანში მცხოვრები 39 წლის ქალი ორმა ახალგაზრდამ გააუპატიურა. სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად დამნაშავეთა ვინაობა დაადგინეს. ისინი აღმოჩნდნენ: ზუგდიდის ქუჩის №1-ში მცხოვრები 17 წლის ირაკლი ზარქუა და თავისუფლების ქუჩის №230-ში მცხოვრები 18 წლის ზაალ ზარანდია.

■

გვერდის მასალები მოამზადა მეგი ცანავამ

კინომსახიობთა თეატრის მსახიობი თაზო თოლორაია ძალიან იოლად შეიძლება იპოვოთ დღის ნებისმიერ მონაკვეთში, იმიტომ რომ ის სულ თავის თეატრში ტრიალებს... და თუ ძალიან იშვიათად, იქ არ დაგხვდებათ, შესასვლელშივე შენიშნავთ ადვილად საცნობ მის პროფილს — ხანძარსაწინააღმდეგო კუთხის კარადაზე. ეს თაზო თოლორაიას მეგობრის, მსახიობ გია აბესალაშვილის ნახელავია, რომელმაც ჯერ თაზოს ჩრდილი შემოხაზა კედელზე, მერე იმ ფორმის მუყაო გამოჭრა, ბოლოს კი საღებავი მიასხურა და ასე დახატა თეატრისგან განუყოფელი კაცი თავისსავე თეატრში...

მიხეილ თუმანიშვილის თეატრს თაზო თოლორაიას პროფილი ამშვენებს

ეკა ჯიყამშვილი

— ბატონმა მიხეილ თუმანიშვილმა რომ დაიწყო თეატრის შექმნა, როგორც თეატრს, ისე კი არ ქმნიდა, არამედ — როგორც ერთ ოჯახს. ძველი ავეჯიც კი მოგვატანინა სახლებიდან, რომ ყველაფერი შინაურული, სისხლხორცეული ყოფილიყო, და იქ ოჯახური სიმყუდროვე გვეგრძნო. მოგვატანინა ერთი სკივრიც, რომელშიც ყველამ ჩვენი სანუკვარი ნივთი შევინახეთ. მაშინ სულ 15-ნი ვიყავით... ზოგმა რაღაც ოჯახური რელიკვია მოიტანა, ზოგმა რა და ზოგმა რა... მე მქონდა ჩემი უფროსი ქალიშვილის პატარა ფოტოსურათი, რომელზეც ის 6 თვისა გახლდათ. ჩემთვის უძვირფასესი იყო... ყოველ 31 დეკემბერს ვხსნიდით სკივრს, ვიღებდით ჩვენ-ჩვენ ნივთს, წინ დავიდებდით და გულახდილად ვაღიარებდით, რა იყო ამ წელს კარგი და რა ცუდი ჩვენთვის. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, მარტო თეატრით შემოიფარგლებოდა. ჩვენ ერთ ოჯახად ვცხოვრობდით, ვიყოფდით ჭირსაც და ლხინსაც.

— თქვენ დღესაც აქ ცხოვრობთ...

— არ შემიძლია თეატრის გარეშე. მსახიობების ოჯახში გავიზარდე, ბავშვობა მარჯანიშვილის თეატრში გავატარე. ამიტომ არა აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, სპექტაკლი მაქვს თუ არა. ვცხოვრობ თეატრით და თეატრში.

— საინტერესოა, ქალბატონ თამარ სხირტლაძისა და ბატონ კოტე თოლორაიას შვილი როგორ იზრდებოდით, როგორები არიან თქვენი მშობლები სცენის მიღმა?

— და-ძმა მე არ მყავს. სახლში ვიყავით მარტო მე და მშობლები. ოჯახში საუბარი მარტო თეატრსა და ხელოვნებაზე იყო. ძალაუნებურად, ჩემს ტვინსა და გულშიც მარტო ეს ცოცხლობდა. მშობლები საუბრობდნენ მსახიობთა ხელოვნებაზე, მეც ვამბობდი, ვინ მომეწონა როლში, ვინ — არა. დედა მომეწონა თუ მამა...

— მერე, უარყოფით შეფასებასაც უბედავდით?

— ვუბედავდი კი არა, ისინი მთხოვდნენ, მართალს მარტო შენ გვეტყვიო, მეუბნებოდნენ. ზოგჯერ, მსახიობმა მსახიობს გული რომ არ გაუტეხოს, დაუმსახურებლადაც აქებს, ან პირიქით: შეიძლება მოეწონოს, მაგრამ ცუდი ადამიანი თუ არის, არ შეაქოს. შვილი ხომ მართალს გეტყვის?! რამდენად რეალურად აღვიქვამდი, არ ვიცი, მაგრამ მართალს კი ვეუბნებოდი, როგორც ვგრძნობდი, ისე ვაფასებდი მათ როლებს...

— ბავშვები ყველაფრის უტყუარი შემფასებლები არიან.

— ნამდვილად ასეა. ჩარლი ჩაპლინი ფილმს რომ დასრულებდა, პირველად ბავშვებს უჩვენებდა: მათით ამოწმებდა, გამოუვიდა თუ არა... ყველა ბავშვი უშუალო და მართალია.

— თქვენი ურთიერთობა თქვენს შვილებთან როგორია?

— უფროს გოგონას უკვე ორი შვილი ჰყავს. ის „ბასტი-ბუბუს“ პირველი წამყვანი იყო. ბატონმა მიშამ თეატრში მოიყვანა და ჯერ „ბაკულას ღორებში“, მერე სხვა სპექტაკლებშიც ათამაშა. უმცროსმა გოგონამაც ითამაშა — „შუშანიკის წამებაში“. მე მათთვის არასოდეს მისწავლია, არასოდეს მიმითითებია რამე როლის შესრულებისას. ამის სწავლა არ შეიძლება — ნიჭია მთავარი. ყველას ეგონა, უფროსი გოგონა მსახიობი გახდებოდა, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი აირჩია.

— ალბათ გული დაგწყდათ.

— არა, ნამდვილად არ დამწყვეტია გული. შეიძლებოდა, კომუნისტების დროს დამწყვეტოდა, მაგრამ დღეს რომ ვუყურებ ჩემს თავს, ჩემს დედ-მამას, მათ გაჭირვებას, ნამდვილად არ ვნანობ, რომ ის მსახიობი არ გახდა. ისე, რომ გამხდარიყო, არც ის მეწყინებოდა, რადგან თუ ნიჭი გაქვს, ეს მშვენიერი პროფესიაა.

— თქვენ ნიჭი ვინ აღმოაჩინა პირველად?

— ჩემი ნიჭი კინორეჟისორმა გუგული მგელაძემ აღმოაჩინა. 15 წლის ვიყავი, მამაჩემს რომ ჰკითხა: შენი ბიჭი რა ხნისაო. პასუხის შემდეგ — მოიყვანე, ერთი, სასინჯ გადაღებებზეო, უთხრა და გადამიღეს. მოვწონე. „ცისკრის ზარებში“ მთამაშა. გუგული მგელაძემ დამილოცა გზა — ეს ბიჭი ნიჭიერია, ნამდვილად კარგი მსახიობი გამოვაო. რა გამოვედი, არ ვიცი, მაგრამ 40 კინოსურათში და ბევრ სპექტაკლში კი ვმონაწილეობდი.

— როგორ აღიქვით თქვენ თავი პირველად ეკრანზე?

— ძალიან კმაყოფილი ვიყავი. მახსოვს, მეგობრები დავპატიჟე კინოთეატრში, არანაირი დაძაბულობა და უხერხულობა არ მქონია... ასე დაიწყო: „ცისკრის ზარებს“ „ღიმილის ბიჭები“ მოჰყვა, 2,5 წელიწადი იღებდა რეზო ჩხეიძე ამ ფილმს. დღეს ქუჩაში რომ მცნობენ, ამ ფილმის წყალობითაა. ბოლოკას მეძახიან, თუმცა მე ბოლოკა კი არა, ლევანი ვიყავი... ხალხს უყვარს ეს ფილმი... მაშინ ჩვენ არ ვმსახიობობდით, ჩვენ-ჩვენს თავს ვთამაშობდით უბრალოდ. მახსოვს, პირველი სიგარეტი „ღიმილის ბიჭების“ გადაღებისას მოვწიე. ჩემმა მშობლებმა მორჩილად გაშალეს ხელები: ისეთი სიტუაცია იყო, სხვანაირად არ შეიძლებოდა. პირველად ღვინოც იქ დავლიე, ბაზარში. მახსოვს, კარგ გუნებაზე ვიყავი... I თანრიგი მქონდა ჭადრაკში, კარგად ვთამა-

შობდი, „ღიმილის ბიჭების“ გადაღებებზე სიარულის გამო, ყველაფერი მივატოვე. სკოლაშიც კი აღარ მივლია VIII კლასიდან. მოკლედ, მაშინ „გავფუჭდი“...

— და ალბათ დედასაც აბრაზებდით...

— არა, მაინცდამაინც ცუდად არ ვიქცეოდი. ისე სკოლაში „ორებსაც“ ვიღებდი, მაგრამ ჩემმა ძმობლებმა იცოდნენ, რომ ეს ბიჭისათვის ნორმალური იყო...

— მსახიობად თქვენს ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი წვლილი ვის მიუძღვის?

— ბატონ მიშას (თუმანიშვილს). თვითონ უყვარდა ამ სიტყვის თქმა, მეც გავიმეორებ: როგორც მსახიობი, მან „გამაშალაშინა“. მახსოვს, ერთხელ, ერთი სიტყვით მაგრძნობინა როლი. „ბნელ ოთახში“ 80 წლის კაცს ვთამაშობდი. როგორ არ ვეცადე, როლი გამომსვლოდა — ხან ხელები ვაკანკალე, ხან მოვიხარე. დავდიოდი, მოხუცებს ვაკვირდებოდი — არაფერმა მიშველა, არ გამოდიოდა 27 წლის ბიჭისაგან 80 წლის კაცი და რა მექნა?! მოკლედ, გავიტანჯე. რეპეტიციებზე ჭირის ოფლს ვღვრიდი, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ... უცებ, ბატონმა მიშამ დამიძახა: მოიხედე აქეთ, ნუ თამაშობ მოხუცს — დაღლილი კაცი ითამაშეო... ამის თქმა იყო და „დავიღალე“... 80 წლით დაღლილი მუხლები და მკლავები ვიგრძენი, 80 წლით მოქანცული ტვინი... და როლიც გამომივიდა... სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ ამ სპექტაკლს 20 წელი შეუსრულდა. „დაბადების დღეც“ გადავუხადეთ — საიუბილეო წარმოდგენა გვქონდა. ძალიან იშვიათია, ამდენი ხანი სპექტაკლი გადიოდეს და მაყურებელიც არ აკლდეს... ერთი, „კავკასიური ცარცის წრე“ იყო 25 წელი სცენაზე და მეორეა „ბნელ ოთახში“. თუმცა, „ურიელ აკოსტა“ 500-ჯერ გავიდა, ის მაინც შუალედებით გადიოდა — რამდენჯერმე აღადგინეს.

ბატონი მიშა ამბობდა: მსახიობი თუ ხარ, ყველაფერი უნდა ითამაშოო. შენ იმიტომ გცემ პატივს, რომ ყველაფერს თამაშობო... მართლაც, არ მითქვამს როლზე არასოდეს

უარი. არც ერთი როლი არ უნდა იუკადრისო, პატარა და უმნიშვნელოც.

— მიხეილ თუმანიშვილის ბოლო სპექტაკლში — „ალუბლის ბაღშიც“ გქონდათ როლი?

— იქაც ძალიან საინტერესო და კარგი როლი მქონდა — 80 წლის მსახურისა. ძალიან სამწუხაროა, რომ იმ სპექტაკლის თამაში არ დაგვცალდა, მაგრამ ბატონი მიშას გარეშე არაფერი გამოგვივიდოდა. აღარც მოთხოვნილება გვქონდა, აღარც სურვილი...

— მიხეილ თუმანიშვილი ძალიან დააკლდა თქვენს თეატრს...

— ამის ანაზღაურება შეუძლებელია. მარტო ჩვენ კი არა, მიხეილ თუმანიშვილი მთელმა ქართულმა სათეატრო ხელოვნებამ დაკარგა. მაგრამ მან ხომ ძლიერი მუხტიც დატოვა. ამ მუხტის წყალობითაა, რომ დღეს ისევ ვარსებობთ. ბატონი მიშას დამსახურებაა, რომ ხუთივე კონტინენტზე ვარ ნამყოფი. „დონ ჟუანმა“ მსოფლიო შემოგვატარა...

— განსხვავებული შეგრძნებაა გასტროლების დროს როლის შესრულებასა და სამშობლოში როლის თამაშს შორის?

— განსხვავებულია. ჩვენს საშმობლოში მაყურებელი უფრო კრიტიკულია. საზღვარგარეთ ყველაფერს უკრავენ ტაშს. ჩვენ სადაც არ ჩავედით, დარბაზი ყველგან ინგრეოდა ოვაციებისგან. მაგრამ მე ჩვენი მაყურებლის უფრო მჯერა.

— დარწმუნებული ვარ, ამ ინტერვიუს თქვენზე ადრე და თქვენზე დიდი ინტერესით, ქალბატონი თამარი წაიკითხავს...

— დედაჩემი ყველაფერს სათუთად ინახავს ჩემ შესახებ. რომ ვხედები, აუცილებლად მაკოცებს ხოლმე. ხელზე იცის კოცნა... ვეუბნები: რა იცი ეს, ხელზე რატომ მკოცნიმეთქი?! შენი პატარა ხელები მახსენდება, ხელში რომ მეჭირა და ვკოცნიდიო... ძმობლები რომ ასაკში შევიდნენ, ერთი სასწაული ოცნება გამიჩნდა: ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს ისინი... მაინც სულ გული მეთანაღრება, რომ ვუყურებ მათ. დედ-მამა კი არა, მე ვარ ასაკში, მაგრამ მაინც დასანანია: დაკარგულ წლებს ვერ დააბრუნებ... არა, დრო დამიკარგავს-მეთქი, იმას კი არ ვამბობ, — ტყუილად არ მიცხოვრია, მაგრამ რაც გაქრა, ის მენანება... მარჯანიშვილის თეატრში მსახიობების ფეიერვერკი რომ იყო — შავგულიძე, გოძიაშვილი, ჟორჟოლიანი, თაყაიშვილი — არ დამენანოს? რა სჯობდა მათ ყურებას



ფოტოსინჯი ფილმისთვის „რაჭა, ჩემი სიყვარული“ თაზო თოლორაიას არშემდგარი როლი

რეპეტიციაზე?!

— რამდენი რამ გექნებათ მოსაგონარი მათზე...

— ერთ ფილმში მე და ქალბატონმა სესილიამ ერთად ვითამაშეთ. იყო ასეთი ფილმი — „ჩემი კეთილი მეზობლები“, რეზო ჭარხალაშვილმა გადაიღო, მოსკოვის დაკვეთით. ერთხელ ვკითხე ქალბატონ სესილიას: პრემიერას რომ თამაშობთ, ნერვიულობა თუ იცით-მეთქი? არა, არასდროსო... რატომ-მეთქი? იმიტომ, რომ, როცა გადიხარ სცენაზე, თუ იცი, რისთვის გადიხარ, სანერვიულო არაფერია და თუ არ იცი, მით უმეტეს, რაა სანერვიულოო...

— ცნობილია, როგორ ავიწყდებოდა როლები ვასო გოძიაშვილს. თქვენ თუ გქონიათ მსგავსი რამ?

— არა, ჯერ არ მქონია, მერე არ ვიცი, რა მომივა... ბატონმა მიშამ 13 სპექტაკლში „შემაგდო“ მოულოდნელად, როცა სხვა ავად გახდა — ძალიან სწრაფად ვითვისებდი ტექსტს. ახლა არა მგონია, ეს გამომივიდეს...

— საოცნებო როლი თუ გაქვთ?

— ტიგრანა გულოიანი. არ დაუპირებიათ ჯერ, „საბრალდებო დასკვნის“ ჩვენს თეატრში დადგმა, თორემ ტიგრანას ცხვირი არ მაქვს, თუ რა?!

— თქვენი პროფილი ისეთი საყვარელია, რომ თეატრში „უკვდავყვეს“ კიდეც...

— იცით რა? მე და გია აბესალაშვილი, ვინც ეგ დახატა, ერთმანეთს „დაკარგულ ძმებს“ ვეძახით...

— რატომ?

— იმასაც კარგი ცხვირი აქვს, ჩემსავით.

დაბოლოს, ჩვენმა ფოტოგრაფმა ზუსტად ის კადრი გადაიღო ჩვენი საუბრისას, რომელიც ყველას საყვარელ ღიმილის ბიჭებს გაახსენებს: ბატონი თაზო თვალთან მიტანილი ორი თითით... „მეზობელთან მივდიოდი, თვალში რაღაც ჩამივარდა“...

■



მათ, vinc ღვთაების ეკლესია daangria, uflisgan სამგიერო miezRoT...

ნინო ჯავახიშვილი

სოფელ მარტყოფის შუაგულში ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი დგას, თუმცა ხალხი მას დღემდე ღვთაების ეკლესიას ეძახის. საოცარი სიმშვიდისა და სიწყნარის გრძნობა დაგეუფლება იქ მისულს... უამრავი განსაცდელი ახსოვს ღვთაების ეკლესიას და უამრავი სასწაულიც უკავშირდება მის სახელს. 1939-40 წლებში, გაბატონებული ათეიზმის დროს, მარტყოფელ „მოხალისეთა“ ჯგუფს ეკლესია გაუპარტახებია, მოუნგრევია თაღები და გუმბათები, საგანძური კი, მიუტაცია. გავიდა დრო, ნანგრევები ეკალ-ბარდებმა დაფარა და ყველას დააავიწყდა, რომ ოდესღაც იქ ღვთაების ეკლესია იყო და წირვა-ლოცვა ტარდებოდა. მხოლოდ 1980 წელს სოფლის მოსახლეობამ, ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან ერთად, ეკლესიის აღდგენა გადაწყვიტა. პროექტიც წარმოშობით მარტყოფელმა კაცმა – არქიტექტორ-რესტავრატორმა ნიკოლოზ ზაზუნიშვილმა შექმნა. 1989 წლის 21 სექტემბერს კი უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ტაძარი აკურთხა და პირველი წირვა-ლოცვაც თვითონვე ჩაატარა.

ხალხს ეკლესიისა და მოძღვრის რწმენა თანდათანობით დაუბრუნდა და მრევლიც გაიზარდა. „დღესასწაულებზე კი ტაძარი ხალხს ვეღარც იტევს ხოლმე“, – სიხარულით ამბობს ტაძრის ახალგაზრდა (35 წლის) წინამძღვარი, მამა ზაზა (ბეჟანიშვილი), რომლის ტყუპისცალიც მოძღვარია.

— მაინც რამ გადაგაწყვეტინათ ამქვეყნიური ცხოვრებისგან განდგომა?

– სხვათა შორის, ძალიან ბევრი ნაცნობი მეკითხება ხოლმე: მაინც რა გზით მიხვედი ეკლესიაში, რაიმე კონკრეტულმა ამბავმა ხომ არ განაპირობა ამქვეყნიური ცხოვრებისგან შენი განდგომაო... არადა, განსაკუთრებული მართლაც არაფერი მომხდარა. უბრალოდ, მე და ჩემს ტყუპისცალს (მამა ანტონი თბილისში, წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიაში მოღვაწეობს. – ავტ.) ბავშვობიდანვე გვქონდა უფლის რწმენა და სურვილი, რომ ღმერთთან უფრო ახლოს მივსულიყავით. მაშინ ჯერ კიდევ ათეისტური ხელისუფლება იყო და ხალხიც ურწმუნოდ ცხოვრობდა. ჩვენ უფლის რწმენა კი გვქონდა, მაგრამ არ ჩანდა გზა, რომელსაც გავყვებოდით. ამ გზის ძიებაში წლები გავიდა. სკოლაც დავამთავრეთ, მაგრამ ჩვეულებრივ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების სურვილი არც ერთს არ გამოგვითქვამს. ძმები ყველაფერში ძალიან ვგავართ ერთმანეთს. საერთოდ, ტყუპზე ამბობენ ხოლმე – ორ ადამიანში ერთი სულიაო და ალბათ ამიტომ, ღმერთმა არც ცხოვრების გზის არჩევაში დაგვაშორა ერთმანეთს – ორივემ 1988 წელს სასულიერო სემინარიაში ჩავაბარეთ.

— როგორც ვიცი, თქვენც და მამა ანტონიც, ორივე ცელიბატები ხართ, ე.ი. ბერები, რომლებსაც სამრევლო ეკლესიაში ყოფნის უფლებაც გაქვთ...

– საერთოდ, შავ სამღვდელოებაში, იგულისხმება ღვთისმსახური, რომელსაც ბერობისა და უქორწინებლობის აღქმა აქვს დადებული, მაგრამ, საკუთარი სურვილისამებრ, შეიძლება იყო ბერიც (არ გქონდეს ოჯახის ყოლის უფლება) და, ამავე დროს, მონასტერში კი არა, ერში ცხოვრობდე და მოღვაწეობდე. უქორწინებელ ღვთისმსახურს, რომელსაც ბერობის აღქმა აქვს დადებული, კათოლიკურ ეკლესიაში ცელიბატს (ანუ უქორწინებელს) უწოდებენ. მოკლედ, ორივე ძმამ ასე ვამჯობინეთ – ოჯახი მაინც თავისას მოითხოვს და ღვთისმსახურსაც ბევრი რამის დათმობა უწევს... თანაც, ღვთისმსახურების წარმართვასაც ასე უფრო თავისუფლად შევძლებდით და ერში ყოფნითაც უფრო მეტად დავეხმარებოდით გზას აცდენილთ... დღეს ასეა, მომავალში კი, ღმერთი როგორც ინებებს, ისე იქნება...

— ალბათ მორწმუნე მშობლები გყავდათ, რადგან ადრეულ დაგიწყიათ უფალთან მისასვლელი გზის ძიება...

– მორწმუნე მშობლები კი გვყავდა, მაგრამ ეკლესიურები ნამდვილად არ ყოფილან. მაშინ სხვანაირი დრო იყო და ამიტომ... საეკლესიო დღესასწაულებს, როგორც წესი, ოჯახში ყოველთვის აღვნიშნავდით ხოლმე, მაგრამ მშობლებს ჩვენთვის ლოცვაც კი არ უსწავლებიათ. ნათქვამია, გვარში თუ ვინმე გყავდა სასულიერო პირი, მადლი შემდგომ თაობებზეც გადადისო... ეტყობა, მართლაც ასეა! ეკლესიის შემოგარენში აქ მოღვაწე მოძღვრების საფლავებია შემორჩენილი. ორი საფლავის ქვას აწერია: ნაომი ზაქარიას ძე ბეჟანიშვილი და ქრისტიანე ბეჟანიშვილი. დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ბეჟანიშვილები სასულიერო პირები ყოფილან და თურმე ამავე ეკლესიაში მოღვაწეობდნენ, მე კი იქამდე წარმოდგენაც არ მქონდა ამის შესახებ. დედის მხრიდანაც (კეჟერაშვილის ქალი იყო) სასულიერო პირთა შთამომავალი აღმოვჩნდი – ქრისტეფორე კეჟერაშვილი ერეკლე მეორის დროს ცნობილი სასულიერო პირი და მეფის კარის მოძღვარიც ყოფილა. ამიტომ, ალბათ შემთხვევითი სულაც არ უნდა იყოს, რომ ჩვენც ეს გზა ავირჩიეთ...

— სამოღვაწეოდ მაინცდამაინც მარტყოფის ღვთაების ეკლესია რატომ აირჩიეთ, თავადაც მარტყოფელი რომ ხართ, ამიტომ ხომ არა?

მამა ზაზა (ბეჟანიშვილი)

— პირველ რიგში, ალბათ ამიტომ! მარტყოფში დავიბადე და გავიზარდე, კარგად ვიცნობ აქაურობასაც და მარტყოფელებსაც. თანაც, თვითონ ეს ეკლესიაც ძალიან მიყვარს. იცით, რამდენი განსაცდელი გამოიარა?! საერთოდ, საოცარი ისტორია აქვს, მოგიყვებით.

თურმე ერთხელ, მარტყოფელი აბრამ შინჯიკაშვილი ღამის მეხრედ ყოფილა მინდორში, როდესაც მარბიელ ლეკებს მოუტაციათ და გაუყიდიათ (ცნობილია, რომ აბრამი 1735 წელს დაბადებულა, ხოლო 1816 წელს გარდაცვლილა). აბრამი ეგვიპტეში მოხვედრილა. XVII-XVIII საუკუნეებში მამლუქები ხომ მრავლად იყვნენ იქ. აბრამი ძალიან მალე დაწინაურებულა — ჯერ მამლუქების წინამძღოლი გამხდარა, შემდეგ კი მთელ ეგვიპტეს თურმე თვითონ მართავდა. რა თქმა უნდა, გამაჰმადიანებულა კიდეც. ამიტომ ისტორიაში იბრაჰიმ-ბეგის სახელით არის შესული. აბრამს გადაუწყვეტია, როგორმე ხმა მიეწვდინა ახლობლებისა და მშობლებისთვის, ასეც მოქცეულა. მასთან ეგვიპტეში ჩასულან ძმა (ბასილი) და სიძე. იბრაჰიმ-ბეგს ჯერ სოფლისა და მშობლების ამბავი გამოუკითხავს წვრილად, მერე იმითაც დაინტერესებულა — სოფლის ბოლოში, ისევ იმ პატარა ეკლესიაში ტარდება წირვა-ლოცვაო?.. როდესაც დასტური მიუღია, შეწუხებულა და უთქვამს: დედაჩემი ძალიან მოხუცებულია და გაუჭირდება შორს სიარული, ამიტომ საქართველოში წასვლისას „ცოტა რასმე თეთრს“ გაგატანთ ეპისკოპოს რუსთაველთან (ისევე, როგორც თბილელი, მანგლელი, ბოდბელი, რუისელი — რუსთაველიც სასულიერო ხარისხს აღნიშნავდა მაშინ) და ეკლესია სოფლის ცენტრში ააშენეთ, რომ დედაჩემმაც და ხალხმაც, ყველამ, თავისუფლად შეძლოს იქ სიარული. 200 ოქრო მართლაც გამოუტანებია ბასილისთვის, მაგრამ იმ ხანებში ვერ მოხერხებულა ეკლესიის აშენება — კირილე რუსთაველი ბოდბის ეპისკოპოსად გადაუყვანიათ და მალევე დაღუპულა ლეკებთან ბრძოლაში. მერე ეპისკოპოსს, სტეფანე ჯორჯაძეს, მოუკითხავს ეს თანხა. ერეკლე მეორესა და ანტონ კათალიკოსს კრებაც კი მოუწვევიათ ამის შესახებ. მოკლედ, ეკლესიის მშენებლობა XVIII საუკუნის ბოლოს დაიწყო, ხოლო დამთავრების თარიღი თვითონ ეკლესიის სამხრეთ კარიბჭეზეა მითითებული: „ავაშენე ტაძარი ესე ყოვლად სამღვდელო რუსთაველმა არქიეპისკოპოსმა და ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა სტეფანე რუსთაველმა შრომითა და საფასითა ჩემითა — 1810 წლის მარტის თვე“. 1989 წლამდე მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობისა იყო ეკლესია.

— ეს ის სასწაულმოქმედი ხატია, რომელიც წმინდა ანტონ მარტყოფელმა საქართველოში ჩამოაბრძანა?

— დიახ, სწორედ ამ სასწაულმოქმედ ხატზეა საუბარი. მან არაერთი სასწაული მოახდინა, თავდაპირველად კი ქ. ეღესის მთავარი — ავგაროზი კეთრისგან განკურნა. შემდეგ, წარმართებს რომ არ მოესპოთ, ხატი თურმე ქალაქის გალავანში დაასვენეს და კედელშივე ამოაშენეს. ამიტომ, წლების განმავლობაში უჩინარი იყო. წლების შემდეგ, როდესაც მტერი ქალაქს ასაოხრებლად მოადგა, თურმე ერთ-ერთ ეპისკოპოსს უფალი გამოეცხადა და აუწყა: ქალაქის გალავანში დატანებული ხატი კარიბჭეში აღმართეთ, ხალხმა მას თაყვანი სცეს და მხოლოდ ასე გადარჩებითო. მართლაც, ასე მოქცეულან — გალავანი დაუნგრევიათ და უნახავთ კანდელი, რომელიც ისევ ჩაუქრობლად ენთო, და კიდევ — ხელთუქმნელი ხატი უფლისა. როდესაც ხატი გადმოაბრძანეს, დაინახეს, რომ თიხაზეც იგივე გამოსახულება იყო აღბეჭდილი... შემდეგ ეს ხატი წმ. ანტონ მარტყოფელმა VI საუკუნეში საქართველოში ჩამოაბრძანა. სწორედ მისი სახელობის იყო ღვთაების ტაძარი. მონღოლების შემოსევის დროს ქართველებს ხატი გადაუმალავთ. თემურ-ლენგს ეპისკოპოსიცა და ბერ-მონაზვნებიც ერთიანად ამოუწყვეტია და ამიტომ, ხატის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. სხვათა შორის, ამ ხატმა სასწაული საქართველოშიც მოახდინა. ერთ-ერთი დავითი (ულუ თუ ნარინი — ზუსტად არ არის ცნობილი) თურმე მუცლის სენით — ტიფით დაავადებულა, როდესაც მონღოლებს სამხედრო ლაშქარში გაუწვევიათ. მეფე ღვთაების მონასტერში ჩასულა, რათა ხელთუქმნელი ხატის წინაშე ელოცა და განკურნება ეთხოვა. მართლაც, განკურნებულა სენისგან — ეკლესიაში მხლებლებს ხელით შეუყვანიათ მეფე, ლოცვის შემდეგ კი, საკუთარი ფეხით გამოსულა იქიდან. მერე, რამდენიმე წლის შემდეგ, ისევ დაავადებულა და ისევ მიუკითხავს ეკლესიისთვის, მაგრამ ხატს აღარ უშველია: რადგან მეფემ თავისი წყალობა მოაკლო ეკლესია-მონასტრებსო, ნათქვამია ისტორიულ წყაროებში...

— მარტყოფელებს დღემდე ახსოვთ კიდევ ერთი ამბავი, რომელსაც უფლის სასწაულს მიაწერენ...

— კომუნისტების დროს ეკლესიას თურმე ჯერ საწყობად იყენებდნენ, მერე კლუბი გაუხსნიათ, ბოლოს კი — სატრაქტორო პარკიც. ის, რაც ადამიანთა ხელს გადაურჩა, ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში თავისით ინგრეოდა. ერთხელ, 11-12 წლის ბავშვები თურმე ეკლესიის ახლოს „დამალობანას“ თამაშობდნენ. რამდენიმე მათგანი ეკლესიის ნანგრევებში დამალულა. საოცარია, მაგრამ ზუსტად იმ დროს, თაღი, რომელიც იქამდე ხელუხლებლად იყო დარჩენილი, ჩამონგრეულა და ორი ბავშვი — ბიჭები თან დაუტანებია... ბავშვები იმ ადამიანების ახლობლები იყვნენ, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ეკლესიის დანგრევაში. იქ სხვებიც იყვნენ, მაგრამ ყველა გადარჩა... ეს ამბავი დღესაც კარგად ახსოვთ მოხუცებულებს, უფლის სასწაულს მიაწერენ და ამბობენ: თითქოს რაღაც უცნაურმა ძალამ უკან დაგვწია და ამიტომ გადავრჩით, იმ ადამიანებს კი, ვინც ეკლესია დაანგრია, უფლისგან სამაგიერო ასე მიეზღოთო...

P.S. მასალის მომზადებისას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ბუჭა ზაზუნიშვილს.

■

სულ რამდენიმე საათი დავყავი აფხაზეთის მიწაზე

— ეს არის ალბათ ერთადერთი ფოტოსურათი, სადაც ჩემ გვერდით მდგომი ადამიანების ვინაობა ჩემთვის უცნობია. არც ის ვიცი, დღეს სად არიან. ღმერთმა დაიფაროს თითოეული მათგანი, იქნებ რომელიმე ამქვეყნად აღარც კი არის... მაგრამ ის წუთი, როცა მათ გვერდით სურათს ვიღებდი, არასოდეს დამავიწყდება. ამაღლებულად ვგრძნობდი თავს. 1993 წელი იდგა, სოხუმის დაცემის წინა დღეები. ველარ გამიძლო გულმა, აღარ დამაყენა. იქ, ომის ცეცხლში გახვეულ ქალაქში ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი — ჟიული შარტავა განსაცდელში იყო — მაშინ ჯერ კიდევ ყველასთან ერთად, ჯერ კიდევ არავის ტყვე... გადავწყვიტე, მის გვერდით დავმდგარიყავი — ისე, უბრალოდ, როგორც კაცი — კაცის, მეგობრის გვერდით. სიტყვით მიმეცა ძალა მისთვის, აბა ომში სხვას რას გავხდებოდი?! ვიფიქრე, გადაწყვეტილება მივიღე და სოხუმში ჩავედი. სულ რამდენიმე საათი დავყავი აფხაზეთის მიწაზე. იმ დღიდან მოყოლებული, დღემდე საშინელი სიზმარივით დარჩა ჩემში იქ ნანახ-განცდილი, რომლის მოგონებაც ხშირად მაკარგვინებს წონასწორობას. ჟიული შარტავას ნახვა ვერ მოვახერხე: აეროდრომზე დამინახეს თუ არა, ჩემთვის სრულიად უცნობმა ბიჭებმა იყვირეს — აქ რა გინდათ, ბატონო რეზოო?! მოკრძალებით ვამცნე ჩემი გულის ვარამი. ხომ არ გაგიჟდითო — აღარ დამინდეს ლომგულებმა, ხელში დამაბზრიალეს. ჯერ გვერდში ამომიყენეს და ეს სამახსოვრო ფოტო გადაიღეს, მერე კი ბურთივით შემაგდეს ვერტმფრენში და თბილისში გამომამგზავრეს. ჩვენ თუ არ გადავრჩებით და ვერ გნახავთ, ეს სურათი შეგახსენებთ ამ წუთებს, ჩვენს სახეებს და იმედი გვაქვს, ტკბილი სიტყვა და ღმერთისათვის ჩვენი სულების შესაწყალებელი თხოვნა არ დაგენანებათო...

იმედი მაქვს, რომ იმ დღიდან განვლილმა 8 წელმა ჭაღარის მომატების გარდა, ვერა დაგაკლოთ რა, ისეთივე მხნეები და გულადები ხართ, როგორიც მაშინ... — ასეთი სევდიანი ამბავი გადმოგვცა ბატონმა რეზო ესაძემ და ფოტო დიდი სასოებით გვათხოვა დასაბეჭდად.

ეკა ლომიძე



როგორია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა



I. **ასაკი:** ყოველი წელი თითო ქულად ფასდება. თუ 40 წლის ხართ, ე.ი. პირველ მაჩვენებელში +40 ქულა გაქვთ.

II. **წონა:** ნორმალური წონა ასე განისაზღვრება: თქვენს სიმაღლეს, სანტიმეტრებში, 100 უნდა გამოაკლოთ. ნორმის ქვემოთ, ყოველ კილოგრამზე 5 ქულა გემატებათ, ხოლო ნორმის ზემოთ, თითოეულ კილოგრამზე 5 ქულა გაკლდებათ. მაგალითად, თუ 176 სმ სიმაღლის ხართ და 85 კილოგრამს იწონით, ე.ი. თქვენი ნორმალური წონა უნდა იყოს 76 კგ ზედმეტია 9 კგ 9X5 ქულაზე=მინუს 45 ქულას, ანუ მე-2 მაჩვენებელში -45 ქულა გეწერებათ.

III. **თამბაქოს მოწევა:** თუ თამბაქოს არ ეწევით, 30 ქულა გემატებათ. მწეველებმა კი, თითოეული მოწეული სიგარეტისთვის 1 ქულა უნდა დაიკლონ, ე.ი. თუ დღეში 20 ღერ სიგარეტს ეწევით, მაშინ თქვენი მე-3 მაჩვენებელი მინუს 20 ქულის ტოლია.

IV. **გამძლეობა:** თუ თქვენ ყოველდღიურად 12 წუთის მანძილზე ასრულებთ გავჯანსაღების ვარჯიშებს (სირბილი, ცურვა,ველოსიპედით სეირნობა),შეგიძლიათ +30 ქულა დაიწეროთ. თუ ამ ვარჯიშებს კვირაში ოთხჯერ ასრულებთ +25, 3-ჯერ კვირაში ვარჯიშის დროს +20, კვირაში ორჯერ +10, ხოლო კვირაში ერთხელ +5 ქულა. თუ სპორტს საერთოდ არ მისდევთ, ქულათა საერთო რაოდენობას 10 ქულა გამოაკელით, თუ ამავე დროს, უმეტესად უმოძრაო ცხოვრების წესი გაქვთ, კიდევ 20 ქულა გაკლდებათ.

V. **პულსი სიმშვიდის დროს:** თუ მშვიდ მდგომარეობაში თქვენი პულსი 90-ზე ნაკლებია, მაშინ პულსის თითოეულ ნაკლებ დარტყმაზე თითო ქულა გეწერებათ. მაგალითად, თუ თქვენი პულსი წუთში 72 დარტყმაა, მაშინ +18 ქულას იღებთ.

VI. **პულსის აღდგენა დატვირთვის შემდეგ:** ჩქარი სიარულის ან კიბეზე ფეხით ასვლიდან 4 წუთის დასვენების შემდეგ გაიზომეთ პულსი. თუ ის საწყის მშვიდ პულსს 10-ით სჭარბობს, +30 ქულას იღებთ, თუ 15 დარტყმით სჭარბობს +15-ს, თუ 20 და მეტი დარტყმით – არც ერთი ქულა არ გემატებათ.

მაჩვენებელი	ქულა
I	
II	
III	
IV	
V	
VI	
ჯამი	

დათვალეთ ქულათა საერთო რაოდენობა ექვსივე პოზიციის მიხედვით:

20 ქულა და ნაკლები: გირჩევთ, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად ექიმს მიმართოთ, ეცადეთ მოიშოროთ ზედმეტი წონა, ნაკლებად მოწიოთ სიგარეტი, დაიწყოთ მსუბუქი ფიზიკური ვარჯიშები.

21-60 ქულა: სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმოთ რისკის ფაქტორებთან ბრძოლას (ზედმეტ წონას, სიგარეტს და მცირე ფიზიკურ აქტივობას).

61-100 ქულა: არცთუ ისე ცუდი შედეგია, არ მოეშვათ ფიზიკურ და გამაჯასაღებელ ვარჯიშებს.

100-ზე მეტი ქულა: შესანიშნავი ჯანმრთელობის მქონე ადამიანი ხართ, სერიოზული რეზერვები გაქვთ საიმისოდ, რომ ავადმყოფობასთან გამკლავება შეძლოთ. ეცადეთ, ასევე გააგრძელოთ.

რა თქმა უნდა, აღნიშნული ფსიქოლოგიური თამაში პირობითია, მაგრამ ის საშუალებას გაძლევთ, პერიოდულად შეამოწმოთ და კონტროლი გაუწიოთ საკუთარ ფიზიკურ მდგომარეობას.

ამერიკა ბეიკერ



ინგლისური სიტყვა „ბეიკერი“ მეფუნთუშეს ნიშნავს. ლონდონში, ბეიკერ-სთრითზე ძალიან ბევრი საკონდიტროა. მსოფლიო სახელი კი ამ ქუჩას არა საფუნთუშეებმა, არამედ სერ არტურ კონან დოილის ცნობილმა პერსონაჟმა — მისტერ შერლოკ ჰოლმსმა, ესკვაირმა მოუტანა. მას შემდეგ, რაც ჰოლმსზე პირველი მოთხრობები გამოქვეყნდა, ბანკი „ები ნეშნლ“-ის თანამშრომლებმა მოსვენება დაკარგეს. ბანკის მისამართი თითქმის ემთხვეოდა ლონდონელი მაძებრის მისამართს — ბეიკერ სთრითი, 221. სწორედ ამ მისამართზე მოდიოდა ათიათასობით წერილი, დედუქციური მეთოდის გამომგონებლის თაყვანისმცემლებისგან. აკურატულ კლერკებს კი ისლა დარჩენოდათ, რომ წერილებზე ეპასუხათ...

ბანკის მფლობელები მაშინვე მიხვდნენ, რომ ასეთი დამთხვევა ბანკისთვის საუკეთესო რეკლამა შეიძლებოდა გამხდარიყო. 1981 წელს კი ბანკის პრეზიდენტმა კლაივ ტორნტონმა გადაწყვიტა, რომ შერლოკ ჰოლმსის სახელის გამოყენებით არცთუ ისე ურიგო ფულის შოვნა შეიძლებოდა. მან ბრძანა, ღრმა არტეზიული ჭისთვის, რომელიც უშუალოდ ბანკის ქვეშ მდებარეობდა, „ჰოლმსისეული“ ეწოდებინათ. იმ დროიდან მოყოლებული, ბანკირები ყოველწლიურად, უდიდესი მაძებრის პორტრეტით დამშვენებულ 50 ათას ბოთლ მინერალურ წყალს ყიდიან.

1990 წლის მარტში ბანკს კონკურენტი გამოუჩნდა.

მოკრძალებულმა მოხელე ქალმა და სერ არტურ კონან დოილის შემოქმედების მგზნებარე თაყვანისმცემელმა გრეის რაილმ პენსიაზე გასვლის შემდეგ თავისი ძველი ოცნების — შერლოკ ჰოლმსის მუზეუმის შექმნის იდეის ხორცშესხმა გადაწყვიტა. მან ბეიკერ-სთრითზე პატარა სახლი შეიძინა, ოდნავ შეაკეთა და მუზეუმი მოაწყო, კარზე კი, ლურჯი ფირფიტა გაკრა, რომელსაც 221ბ დააწერა. „მე ნომერს ასო „ბ“ დავუმატე, რათა ბანკს არ სწყენოდა და ყველაფერი ისე გამოსულიყო, როგორც კონან დოილს უყვარდა“, — ამბობს რაილი.

ყოფილმა მდივანმა სახლს შეგნებულად დაუტოვა ადრინდელი იერი — სახლი XIX საუკუნის დასაწყისში იყო აგებული და ახალი მფლობელის აზრით, შენობის გამჭვარტლული კედლები უკეთ ინარჩუნებდა ვიქტორიანული — ე.ი. იმ ეპოქის სტილსა და სულს, როცა უდიდესი მაძებარი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.



შერლოკ ჰოლმსი და დოქტორი უოტსონი. XX ს-ის დასაწყისის გრაფიკა

ისიც აღსანიშნავია, რომ მუზეუმის გახსნასთან ერთად, ბანკის მოხელეთა წვალებაც დასრულდა: მრავალრიცხოვან წერილს ამჟამად გრეის რაილის თანამშრომლები პასუხობენ. მთელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებ ასიათასობით ბავშვს ეჭვი არ ეპარება, რომ მაძებარი დღესაც ცოცხალია. ისინი სთხოვენ მის მეგობარსა და ბიოგრაფს — დოქტორ უოტსონს, განაგრძოს ლონდონელი დეტექტივის თავგადასავლების აღწერა.

ბეიკერ-სთრითი ლონდონის ცენტრში მდებარეობს, საკმაოდ ვიწრო და უკაცრიელი ქუჩაა, საღამოობით თითქმის ცარიელია, მაგრამ მუზეუმის პოვნა სიძნელეს არ წარმოადგენს: მის კართან მუდამ დგას ძველებური კები, რომელიც მზად

| ინფექციური დაავადება | | |

-სთრიტზე



ჰოლმსის კაბინეტი, ფოტოზე ირენ ადლერი – ერ ადერთი ქალი, რომელიც მას უყვარდა

ჰოლმსის ბრინჯაოს ქანდაკება

დეტექტივის პირადი ნივთები

არის, დამთვალიერებელი პირველი მოთხოვნისთანავე ნებისმიერ ადგილას წაიყვანს. მუზეუმში შესვლისას, უმალ საუკუნოვანი მტვრის სუნს იგრძნობთ – თითქოს მისის ჰადსონმა მიივიწყა დიასახლისის მოვალეობა, ბინა მარადიულობას მიაბარა, თვითონ კი სამუდამოდ გაეშურა შიდა ეზოში გამართულ და მის პატივსაცემად სახელდარქმეულ პატარა რესტორანში. შუგნით შესულს სახლი უფრო ძველი მოგეჩვენებათ. ამ შთაბეჭდილებას ნავთის ლამპების შუქიც ამძაფრებს, რომელსაც მუზეუმში ელექტროგანათების ნაცვლად იყენებენ. მეორე სართულზე ასვლისას კი აღმოჩნდება, რომ კიბის არა მხოლოდ პირველი, არამედ ყველა – ჩვიდმეტივე საფეხური ჭრაჭუნებს.

ბინის მოწყობილობა მთლიანად შეესაბამება რომანში აღწერილს: შემოსასვლელში „ჰოლმსისეული“ ლაბადა და ცნობილი კეპი ჰკიდია, გვერდით ქოლგაა მოთავსებული. ყველა ამ ნივთის ხელის ხლება ნებადართულია, მათი ჩაცმა და სურათის გადაღებაც კი შეიძლება. სასტუმრო ოთახის სიღრმეში ის ბუხარია, რომელთან ჯდომა და ჭიქა შერით ხელში მორიგი საქმის განხილვა უყვარდათ შერლოკ ჰოლმსსა და დოქტორ უოტსონს. ჰოლმსის კაბინეტში დიდ მაგიდაზე ყველა იმ ხელსაწყოსა და ნივთიერებას ნახავთ, რომლის საშუალებითაც შერლოკ ჰოლმსი თავის საყვარელ ქიმიურ ცდებს ატარებდა. იქვე, კაბინეტში თავს იწონებს ჭაობის გველის ფიტული, რომლის შესახებაც მოთხრობაში „ჭრელი ლენტი“ ვკითხულობთ. კედელში კი, დედოფალ ვიქტორიას გერბის ფორმით „მოხატული“ ნატყვიარებია, რომელიც მოწყენილობის ჟამს დეტექტივმა რევოლვერით სროლისას ვარჯიშის შედეგად დატოვა.

ერთი სიტყვით, გრეის რაილიმ თავის მუზეუმში ლიტერატურული გამოგონებისა და რეალური ნივთების იშვიათი შეხამების მიღწევა მოახერხა.

როცა უნებურად, სიძველის გამო, რომელიმე საფეხური გაჭრაჭუნდება, ისეთი შეგრძნება გებადებათ, თითქოს სადაცაა, კაბინეტიდან ცოცხალი ჰოლმსის ხმას გაიგონებთ და ის თქვენს შესახვედრად გამოეშურებაო. ამიტომ, ბილეთების სიძვირის მიუხედავად (6,5 გირვანქა სტერლინგი), ლეგენდარული ბინის საფეხურებზე ყოველწლიურად, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ასიათასობით ტურისტი მოძრაობს.

თითქმის ყოველი მათგანი მუზეუმში მოხვედრაზე ახალგაზრდობიდან ოცნებობდა, ამიტომ ბილეთის საფასურსაც სინანულის გარეშე იხდის. ამასთან, სხვა ბრიტანული მუზეუმებისგან განსხვავებით, შერლოკ ჰოლმსის მუზეუმში ექსპონატზე ხელით შეხება და ფოტოგრაფირება ნებადართულია.

ცოტა ხნის წინ ბეიკერ-სთრიტზე კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა – უდიდესი მაძებრის ბრინჯაოს ქანდაკება გაჩნდა. ის ტურისტებს პირდაპირ ლონდონის მეტროს ამოსასვლელთან ეგებება და თითქოს ბეიკერ-სთრითის 221ბ-ში სტუმრად ეპატიჟება.

...ხელმწიფო ...ალიაში	კვერცხის გული	ქუსლით ცნობილი მითოლოგიური პერსონაჟი	ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ პერსონაჟი	„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი	სარჩილავი მეტალი
...ულ...ი	საჭმელად ვარგისი სოკო	იგივეა, რაც ოპიუმი	მეკარე ... იაშინი	მარცვლოვანი მცენარე	სინათლის სხივი	ფიროსმანიშვილი ანუ ...

უდღეურია სიცოცხლე მარადისობასთან

ართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული სამი სამაგალითო მამულიშვილი და ქრისტეს ერთგულებისათვის წამებული რაინდი ჩვენს მეხსიერებაში აცოცხლებს საქართველოსთვის ყველაზე სასტიკ ხანას.... მე-17 საუკუნის მეორე ნახევარი მართლაც რომ უმძიმესი გამოცდის წინაშე აყენებდა ქართველობას და მათ შორის ღირსეულთ გააბრწყინებდა მხოლოდ.

შაჰ-აბას პირველის მცდელობას — მთლიანად აეყარა კახელები კახეთიდან და მათ ნაცვლად, მომთაბარე სპარსელთა ახალშენები შეექმნა, არც შაჰ-აბას მეორემ დაკლო ხელი. მან კახეთის გამგებლად სელიმხანი დააყენა. კახეთში კი სამი ციხე ააშენა: ბახტრიონის, ალავერდის და ყარაღაჯის, რომელთა ძირითადი დანიშნულება კახელთა შესაძლო თავდასხმების მოგერიება იყო.

აიწეწა და აიშალა ქართველთა კერები. კახეთის ბარში 80.000 ელითურქმანი ჩაასახლეს. აიჩეხა ვაზი უსჯულოთა ხელით, შეგინებულ იქნა ოჯახები, სასოწარკვეთილი ხალხი მთაში გარბოდა ისე, რომ არც იცოდა, რა ელოდებოდა მომავალში.

... ინება ღმერთმა და კახეთს ბიძინა ჩოლოყაშვილი, ძმები შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები მოუვლინა მხსნელებად. მათ კავშირი შეკრეს თუშ-ფშავ-ხევსურეთთან და 1659 წელს, ალავერდობის დღეს, მძლავრი იერიში მიიტანეს სპარსელებზე.

ყიზილბაშთა ბანაკი აირია „დაუპატიჟებელი სტუმრების“ გამო. უამრავი მეომარი მოიცელა ქართველთა ხელით. ალავერდის ციხიდან გაქცეულები ბახტრიონის ციხეში ეძებდნენ შველას, და პირიქით — ბახტრიონში ცოცხლად დარჩენილნი, ალავერდისკენ გარბოდნენ.

ვერ გაიხარეს თათრებმა სხვისი ოფლითა და სისხლით გაპოხილ მიწაზე და დაწყევლეს თავიანთი გაჩენის დღე. ხალხმა „გაწყევტილა“ შეარქვა იმ ადგილს, სადაც ამდენი სისხლი დაიღვარა.

ამ ავჯანყების ბრწყინვალე შედეგებმა კახელებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ისინი თავს ეელებოდნენ თავიანთ მხსნელებს: ბიძინას, შალვას და ელიზბარს. მაგრამ ვაი, რომ გამაჰმადიანებულ ქართველ მეფეთა, მთავართა და მოხელეთა შორის უზნეობა გაბატონებულიყო: ავჯანყების მეთაურთა დასჯის დროც მოახლოვდა. ქართველი რაინდები, სპარსთაგან შაჰნავაზად წოდებულ ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთესთან არ გამოცხადდნენ და მურთუზ-ყული-ხანს წარუდგნენ ყარაღაჯში. ხანმა ხელბორკილიანი ტყვეები შაჰ-აბას მეორესთან გაგზავნა ირანში.

„მამაო ჩვენოსავით“ იცოდნენ ბიძინამ, შალვამ და ელიზბარმა, თუ რას ეტყოდა მათ შაჰ-აბას მეორე. ისიც იცოდნენ, სასტიკი ტანჯვის დათმენა რომ მოუწევდათ ქრისტიანობის დაცვისათვის. ბიძინამ ძმები შალვა და ელიზბარი მამაშვილურად გაამხნევა, შეახსენა — სიკვდილი დაბადებიდანვე დაჰყვება ადამიანს, ამ სიკვდილის წინაშე ყველანი უძლურნი ვართ და თუ მოვკვდებით, მხოლოდ ქრისტესა და საქართველოსთვისო... ამ სიტყვებით შალვასა და ელიზბარის სათქმელიც იყო თქმული, რადგან მათ წამითაც არ გაუვლიათ სხვა რამ გუნებაში.

როდესაც სამივემ ერთხმად შეაჩვენეს მაჰმადის სჯული, განრისხებულმა ირანის მბრძანებელმა თავის ჯალათებს უხმო. ეს სწორედ ის ყიზილბაშები იყვნენ, რომელთა ნათესავები ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერისთავთა მეთაურობით დახოცეს ქართველებმა... გაუგონარი ტანჯვა-წამების შემდეგ, ჯალათებმა შალვასა და ელიზბარს თავები მოჰკვეთეს ბიძინას თვალწინ. ეს განზრახ გააკეთეს: იფიქრეს, შემზარავი სანახაობა გავლენას იქონიებს და ბიძინა სჯულის შეცვლაზე დაგვთანხმდებაო. მაგრამ ახლა უფრო მეტად ადიდებდა მაცხოვარს და ისეთ სულიერ სიმტკიცეს გრძნობდა, თითქოს აღარც კი ეკუთვნოდა საკუთარ სხეულს.

მტარვალებმა ბიძინა ჩოლოყაშვილის თავმოყვარეობის შელახვა გადაწყვიტეს. დედაკაცის ჩადრი წამოასხეს, ვირზე შესვეს და ასე დაუწყეს ქუჩა-ქუჩა ტარება... შემდეგ წმინდანს სათითაოდ ააგლიჯეს ფრჩხილები ხელებსა და ფეხებზე, ამას მოჰყვა თითოთითოდ, ხელ-ფეხზე თითების დაჭრა, მერე მოჰკვეთეს მაჯები და ფეხები კოჭებამდე, მკლავები და წვივები, მხრები და ბარძაყები და ასე ასო-ასოდ აკუწეს სახელგანთქმული გმირი, ვაჟკაცი და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ქრისტეს მადიდებელი.

არაადამიანური წამების შემდეგ, დახოცილნი, ასო-ასო აკაფული მოწამენი, ისრებითა და მახვილებით აწვალეს აგარიანელებმა.

ევროპელმა კათოლიკე ბერებმა ჩუმად მოიპარეს და უცნობ ადგილას დაკრძალეს ბიძინა ჩოლოყაშვილის ნაწილები.

შალვასა და ელიზბარის ნაწამები სხეულები დიდი გაჭირვებით გამოიხსნეს მათმა მეუღლეებმა, სამშობლოში ჩამოასვენეს და ქსნის ერისთავთა საგვარეულო — იკორთის მონასტერში დაკრძალეს.

დიდმა აკაკიმ და ვაჟამ თავიანთ ნაწარმოებებში ასახეს ბახტრიონის გმირების ამბავი: „ბაში-აჩუკი“ და „ბახტრიონი“ უკვდავი ნაწარმოებებია ქართველთათვის სამარადჟამოდ.

ნინო შევარდნაძე

1917 წლის 15 ნოემბერს „ამიერკავკასიის კომისარიატის (მთავრობა)“ შექმნით, საქართველო, ფაქტობრივად, რუსეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულად იქცა. რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსული ქვეყანა, მალე თურქეთის ოკუპაციის საფრთხის წინაშე დადგა. სწორედ ამ პერიოდში სამეგრელოში დაიწყო აჯანყება, რომელიც მთავრობამ, განსაკუთრებით კრიტიკული მდგომარეობის გამო, „შინა ფრონტად“ და „კონტრრევოლუციურად“ გამოაცხადა.

სამეგრელოს 1918 წლის
«კონტრრევოლუციური» აჯანყება

კახა მაისურაძე

აჯანყების პროლოგი

ხალხი და „მეგრელი ხულიგანი ბოლშევიკი ჯარისკაცები“

აჯანყების წინ სამეგრელოში ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი: 1918 წლის გაზაფხულისთვის რეგიონში თავი მოიყარა I მსოფლიო ომიდან დაბრუნებულმა უამრავმა დეზერტირმა – გაბოლშევიკებულმა ჯარისკაცმა. იმდროინდელი პრესის ინფორმაციით, დეზერტირობას სამეგრელოში, ჯერ კიდევ ომის გამოცხადებისთანავე ჰქონდა ადგილი – „მაშინაც კი, როდესაც ნიკოლოზის ხიშტები ემუქრებოდათ მათ“. მაგრამ 1917 წლის რევოლუციისა და განსაკუთრებით, 25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, ამ პროცესმა საერთოდ უმართავი ხასიათი მიიღო. „სამეგრელოში ყოფილი ჯარისკაცი შეკითხვისთანავე გიპასუხებდათ: „მე სოციალ-დემოკრატი კი არა, ბოლშევიკი ვარო“ (აქ და შემდგომ ციტატები მოყვანილია იმდროინდელი პრესიდან, ძირითადად გაზეთებიდან – „ერთობა“ და „საქართველო“ – ავტ.).

იმ დროს ძალზედ მძიმე სოციალური ფონიც იყო: სოფლის გლეხობა რევოლუციისგან ელოდა მიწას, თავისუფლებასა და მატერიალურ კეთილდღეობას, მაგრამ ეს იმედი ამაო აღმოჩნდა. ახალი წესწყობილების დამყარებისთანავე, მთელ სამეგრელოში პირველადი მოთხოვნილების საგნებზე „ზღაპრული სიძვირე“ გამოცხადდა. ხალხი შიმშილობდა. მოსახლეობა ამის გამომწვევ რეალურ მიზეზებს ვერ ხედავდა და რუსეთის ფრონტებიდან დაბრუნებულ გაბოლშევიკებულ ჯარისკაცთა პროპაგანდის გავლენით, ხსნას ბოლშევიკური წყობილების დამყარებაში ხედავდა.

ამის შედეგად, 1918 წლის გაზაფხულისთვის სამეგრელოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაბოლშევიკდა. მათი მიზანი სრულად გამოამჟღავნა ლოზუნგმა – „არსებული მთავრობის დაცემა“. მდგომარეობა კიდევ უფრო კრიტიკული გახდა, როცა 1918 წლის გაზაფხულზე რეალური აღმოჩნდა თურქეთის ჯარის მიერ ამიერკავკასიის ოკუპაციის საშიშროება. მთავრობა ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით, იძულებული გახდა, მდგომარეობის აღმოსაფხვრელად, დასავლეთ საქართველოში მობილიზაცია გამოეცხადებინა. მაგრამ მალე მას სამეგრელოში „ანტიმობილიზაციით“ უპასუხეს: ადგილობრივი ბოლშევიკი აქტივისტები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და მოსახლეობას მოუწოდებდნენ, არ გამოცხადებულიყვნენ სამობილიზაციო პუნქტებში. მათი აზრით, თურქეთთან ომი მხოლოდ მთავრობის ინტერესებში შედიოდა. „ბათუმი, ყარსი და არტაანი თათრის იყო მუდამ, ხოლო ის რუსებმა წაართვეს და ეხლა ოსმალეთის მოთხოვნა მათი დაცლის შესახებ სრული სამართლიანობა იყო“.

... „ჩამოვაგდოთ ბეგებით სავსე სეიმი (ამიერკავკასიის პარლამენტი) და თუ თათარი მოვიდა იმას ჩვენც ვნახავთო“ – აღნიშნავდნენ ისინი. ვითარების აღმოსაფხვრელად, მთავრობამ სამეგრელოში „წითელი (სახალხო) გვარდიის“ საგანგებო რაზმი გაგზავნა ს. მაღნარაძის მეთაურობით. რაზმის მიზანი, რუსეთის ფრონტებიდან დაბრუნებული გაბოლშევიკებული ჯარისკაცებისთვის იარაღის აყრა და მობილიზაციისთვის მყარი ნიადაგის მომზადება იყო. მაგრამ გაბოლშევიკებული ჯარისკაცების აქტიურობამ და მათდამი მოსახლეობის მხარდაჭერამ იმ დონეს მიაღწია, რომ რაზმი იძულებული გახდა, ხელი აეღო დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე. საყოველთაო ბოიკოტის გამო, მთავრობამ მოკლე ხანში იგი უკანვე გაიწვია.

მარცხი განიცადა აგრეთვე მარტვილის რაიონში ჩამოყალიბებულმა თავდაცვის ე.წ. „ინტერპარტიულმა კომიტეტმაც“, რომელსაც ორგანიზება უნდა გაეწია ადგილობრივი მობილიზაციის პროცესისათვის, მაგრამ შეიარაღებული ბოლშევიკი პროპაგანდისტები სამობილიზაციო კრებებზე მიდიოდნენ და ხალხს ატერორებდნენ. ნათელი გახდა, რომ სამეგრელოში მობილიზაციის განხორციელება ერთიანი თავდაცვითი ფრონტის შესაქმნელად, შეუძლებელი იყო. სამეგრელო ფაქტობრივად, აჯანყებულ, ცენტრალური ხელისუფლებისგან განდგომილ რეგიონად იქცა და ერთიან სივრცეში მისი დაბრუნება მხოლოდ ადგილობრივი ბოლშევიკების განადგურებით მოხერხდებოდა. დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი გარდაუვალი ხდებოდა.

„კონტრრევოლუციური აჯანყება“

მეგრული „სოციალისტური არმიის“ ჩამოყალიბება

რეგიონი დენთის კასრს წარმოადგენდა, რომლის ასაფეთქებლად ერთი ნაპერწკალიც საკმარისია. მოსახლეობა შესაბამის მომენტს ელოდა: ბელადთა გამოჩენისთანავე იარაღს დაავლებდა ხელს და მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდოდა. ეს მომენტიც ბოლოს და ბოლოს, დადგა. აჯანყების დაწყება და ორგანიზება რსდმპ-ს (რუსეთის

▲შალვა მაღლაკელიძე
ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი►

სოციალ-დემოკრატიული პარტია) ადგილობრივმა ბოლშევიკთა სამხარეო კომიტეტმა აიღო თავის თავზე. ჯერ კიდევ 1918 წლის 21-23 თებერვალს ამ მიზნით ქუთაისში გაიმართა დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საგანგებო კონფერენცია, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად, დასავლეთ საქართველოში ანტისამთავრობო აჯანყებების მოწყობაზე აიღო კურსი. კონფერენციაზე ე.წ. ,,საბრძოლო შტაბის თავმჯდომარედ" ცნობილი რევოლუციონერი ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი აირჩიეს. ვინ იყო თავის წარსულით რეალურად, ამ დროისათვის საშა გეგეჭკორი? როგორც იმ პერიოდის ქუთაისის გუბერნიის კომისარი შალვა მაღლაკელიძე იგონებდა, ,,პარტიაში (მათ შორის არც ბოლშევიკურში) ფაქტობრივად არასოდეს ყოფილა. ქალების მოტაცება, ბანქოს თამაში, კრიმინალურ-ბანდიტურ წრეებთან აქტიური თანამშრომლობა – აი, რა იყო 17 წლის რევოლუციამდე მისი ძირითადი საქმიანობა. ერთ-ერთი ასეთი დანაშაულის შემდეგ დააპატიმრეს და ასტრახანის ციხეში მოათავსეს. იქ შემთხვევით გაიცნო მასთან ერთად პოლიტიკურ ნიადაგზე დაკავებული ქართველი სოციალ-დემოკრატი რევოლუციონერები – ფილიპე მახარაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე. როდესაც ისინი გაანთავისუფლეს, ისიც აედევნა მათ და თავი რევოლუციონერად გამოაცხადა."

1917 წლის თებერვალ-მარტში დაემხო მეფის მთავრობა. იმპერიის მთელ ტერიტორიაზე რევოლუციური მმართველობა გამოცხადდა. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორს, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრს, პარტიის აბაშის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ ნიშნავენ, მაგრამ ,,კრიმინალ-რევოლუციონერს" ეს თანამდებობა ეცოტავა. ,,მახარაძეს მაუზერი და მე წისქვილში ვიარო?" – ასე განუცხადებია ქუთაისის გუბერნიის კომისარ მაღლაკელიძისთვის პირად საუბარში (მაშინ ფილიპე მახარაძე აბაშის რაიონის ბოქაული იყო). ამიტომ განაწყენებულმა, უარი თქვა აღნიშნულ თანამდებობაზე და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ (ოღონდ, ბოლშევიკთა) პარტიაში გადავიდა. ამის შემდგომაა, რომ სათავეში უდგება იმ ანტისახელმწიფოებრივ ამბოხებებს, რომელიც მთელი 18-21 წლების განმავლობაში საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იყო მიმართული და ასე მოიქცა იგი 1918 წელსაც, როდესაც სამეგრელოს აჯანყებას ჩაუდგა სათავეში.

საშა გეგეჭკორთან ერთად აჯანყების მომზადებაში დიდი როლი ითამაშა ასევე მეორე ქართველმა ბოლშევიკმა – ბუდუ მდივანმაც. მაგრამ თავდაპირველად, როგორც გეგეჭკორს, ისე მდივანს აღნიშნული გეგმები ჩაუვარდათ. ქუთაისის გუბერნიის ახალდანიშნული კომისრის (გუბერნატორის) ივანე კაჩუხაშვილის ბრძანებით, აჯანყების ორივე ლიდერი დააპატიმრეს და სამი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამის შედეგად ვითარება სამეგრელოში ერთხანს თითქოს ჩაწყნარდა, მაგრამ კვლავ გამწვავდა ციხიდან საშა გეგეჭკორის მოულოდნელი გაქცევის შემდეგ. მარტის მიწურულს მან მარტვილის რაიონში გლეხთა 300 კაციანი რაზმი ჩამოაყალიბა. ამ რაზმმა სოფელ სალხინოში დაბანაკებული მთავრობის ჯარები განაიარაღა, აიღო მარტვილი, ბანძა, გარეკა ადგილობრივი ერობის (სოფლის თვითმმართველობა) ხელისუფალნი და მალე წალენჯიხასაც დაეუფლა. აპრილის შუა რიცხვებში აჯანყება სენაკის მაზრასაც მოედო. ზუგდიდში სამთავრობო ჩინოსნებმა თავიანთი ნებით დატოვეს დაკავებული თანამდებობები და მთელი ძალაუფლება ქალაქში უბრძოლველად ჩაუგდეს ხელთ ბოლშევიკებს.

გეგეჭკორის რაზმის პარალელურად, შალვა ასკურავას 600 კაციანი ბოლშევიკური რაზმიც მოქმედებდა. ასკურავა მოკლე ხანში იმდენად გაძლიერდა, რომ ლამის მთელი სამეგრელოს დიქტატორად იქცა. მან ჩამოაყალიბა სამხედრო შტაბი, რომლის უფროსად ყოფილი მეფის არმიის ოფიცერი ოლიფანტე ოჩიგავა დანიშნა. მალე გეგეჭკორისა და ასკურავას შენაერთებს სამეგრელოს ცალკეული პარტიზანული ბოლშევიკური რაზმებიც შეუერთდა, რომელსაც ს. მახარაძე და მიხეილ გეგეჭკორი მეთაურობდნენ. ამით აჯანყებულები კიდევ უფრო გაძლიერდნენ და ცოტა ხანში საზეიმოდ გამოაცხადეს ე.წ. მეგრული ,,სოციალისტური არმიის" შექმნა. განსაკუთრებით ორგანიზებულ, დისციპლინირებულ სამხედრო ძალას შალვა ასკურავას გლეხთა შეიარაღებული ნაწილები წარმოადგენდა. ისინი სამ დაჯგუფებად, მარტვილისა და სენაკის რაიონებში იყვნენ განლაგებულნი. აჯანყებულებს ეკავათ გამაგრებული ადგილები სოფელ ბანძაში, ნოქალაქევში (ისტორიული ქალაქი ციხეგოჯი – არქეოპოლისი) და ნაოღალევში. სამთავრობო ჯარებსა და აჯანყებულებს შორის სამომავლო შეტაკების ბედი სწორედ

ფილიპე მახარაძე



ნოქალაქევი – ციხე-გოჯი (ეგრისის სამეფოს დედაქალაქი)

ამ ადგილებთან დაგეგმილ ბრძოლებს უნდა გადაეწყვიტა. მას შემდეგ, რაც მთავრობის წინადადებას – „მონაწილეობა მიეღო თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ სამშობლოს დასაცავად ერთობლივ ბრძოლებში“, შალვა ასკურავამ კატეგორიული უარით უპასუხა. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ უმოკლეს პერიოდში სამხედრო შეტაკება სამთავრობო ჯარებსა და ამბოხებულებს შორის გარდაუვალი იყო. რეგიონის ბედი, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომს, ტყვიასა და სისხლს, თოფსა და ზარბაზანს უნდა გადაეწყვიტა.

აჯანყების ლიკვიდაცია მეგრული „სოციალისტური არმიის“ განადგურება

1918 წლის მარტსა და აპრილში ვითარება სამეგრელოში უმართავი გახდა: რეგიონი ცენტრს აღარ ემორჩილებოდა, ჰქონდა ადგილობრივი ადმინისტრაციები და ჰყავდა საკუთარი მთავრობა, რაც მთავარია, ჯარი. გარდა ქ. სენაკისა და აბაშისა, მთელი პროვინცია, ფაქტობრივად, მეამბოხეთა ხელში იყო გადასული. მთავრობის პროპაგანდა-მოწოდებამ ადგილობრივი მოსახლეობისადმი – ზურგი ექცია ბოლშევიკებისათვის, ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. ეს კი არა და, პირიქით – ბოლშევიკებთან ერთად, ის სასტიკად გაუსწორდა მთავრობის მხარდამჭერებსა და წარმომადგნელებს: „აპატიმრებდნენ და სიკვდილით დასჯით ემუქრებოდნენ“. მოთმინების ფიალა მალე მთავრობასაც აევსო. „ამიერკავკასიის კომისარიატის“ (მთავრობის) თავმჯდომარის – ევგენი გეგეჭკორის ბრძანებით გადაწყდა, რეგიონში წესრიგი სამხედრო ძალით დაემყარებინათ. „პროპაგანდა – სიტყვის დრო წავიდა. დღეს საუკეთესო პროპაგანდისტია თოფი და ხიშტი“ – აცხადებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანო – გაზეთი „ერთობა“. იმდროინდელ საზოგადოებაში საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო ასეთი გამონათქვამები: „სამეგრელომ გვიღალატა“, „სამეგრელომ რევოლუციას ზურგიდან მახვილი ჩასცა“, „სამეგრელო დღეს რეაქციონერულ მხარეს წარმოადგენს“... შეიარაღებულ ძალთა სარდლობაში შემდეგი გეგმა შეიმუშავეს: რეგიონში გადაისროლეს „წითელი (სახალხო) გვარდიის“ საგანგებო ნაწილები, გვარდიის სარდლის ვალიკო ჯუღელისა და გენერალ ალექსანდრე კონიაშვილის მეთაურობით. აღსანიშნავია, რომ მანამდე მთავრობა ამ ნაწილების თურქული ჯარის წინააღმდეგ გამოყენებას აპირებდა, მაგრამ სამეგრელოში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გამო, იძულებული გახდა, მათთვის მეამბოხეებზე პირდაპირი შეტევის ბრძანება მიეცა. სამეგრელო „შიდა ფრონტად“, ხოლო თვით აჯანყება „კონტრრევოლუციურად“ იქნა გამოცხადებული. სახელმწიფო შენაერთებს ამბოხების სრული ლიკვიდირების ბრძანება მიეცათ.

იერიში ორი მიმართულებით – აბაშიდან და სენაკიდან დაიწყეს. განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა ბანძა-ნოქალაქევ-მარტვილის რაიონებში, სადაც ასკურავას კარგად მომზადებული გლეხთა შეიარაღებული რაზმები სამთავრობო ჯარებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. ყველაფერი მაინც 6-7 აპრილის ბრძოლებმა გადაწყვიტა, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი არტილერიამაც შეასრულა. ჯუღელისა და კონიაშვილის ნაწილების მიერ გახსნილ მასირებულ საარტილერიო ცეცხლს, პრიმიტიულად – ძირითადად, შაშხანებით (ვინტოვკებით) შეიარაღებულმა ასკურავას რაზმებმა ვერაფერი მოუხერხეს და ბოლოს, იძულებულნი გახდნენ, გამაგრებული პოზიციები მიეტოვებინათ. ამის შემდგომ, რეგიონში მთელი სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობა მთლიანად სახელმწიფო ჯარების ხელში გადავიდა.

ჯუღელისა და გენერალ კონიაშვილის ნაწილების წინსვლა გრძელდებოდა. მეამბოხეები უკან იხევდნენ. ერთ-ერთი ასეთი უკან დახევისას მათ სამთავრობო ჯარების სარდლობას დაზავება შესთავაზეს, რამაც ცოტა კურიოზული ელფერიც კი მიიღო: მაგალითად, ისინი ზავის სანაცვლოდ, ამიერკავკასიის მთავრობისაგან მათ შეიარაღებულ ძალთა დემოკრატიზაციას მოითხოვდნენ, რომლის ნიშუშადაც, მათი განმარტებით, „მეგრული სოციალისტური არმიის“ მოდელი უნდა გამოყენებულიყო. მაგრამ ამის საპასუხოდ, ჯუღელმა და კონიაშვილმა მალე ე.წ. „მეგრული სოციალისტური არმია“ საერთოდ გაანადგურეს, ხოლო მისი შტაბი მთლიანად გარეკეს.

„სამეგრელოს მოსახლეობა ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ „წითელი გვარდია“ სულაც არ არის თავადების მიერ მოსყიდული ჯარი, როგორც ამაში არწმუნებდნენ მათ უპასუხისმგებლო ბნელი ძალები“ – აღნიშნავდა გაზეთი „ერთობა“. მართლაც, მცდარი აღმოჩნდა იმდროინდელი სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის ორგანოს – გაზეთ „რევოლუციონერული ნობათის“ მიერ გაკეთებული განცხადება, რომ „მენშევიკთა დღეები სამეგრელოში დათვლილი იყო“. პირიქით კი მოხდა: მალე ბოლშევიკთა დღეები გახდა დასათვლელი. ავანტიურისტი ბოლშევიკის შალვა ასკურავას რაზმების დამარცხების შემდეგ, „მთავარი ბოლშევიკი“ ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი იძულებული გახდა, ხელი აეღო წინააღმდეგობის გაწევაზე. თუმცა, თავისი მაინც გაიტანა: მისდამი დაქვემდებარებულ 300 კაციან ბოლშევიკურ რაზმს სამთავრობო ჯარებთან საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა არ მიაღებინა და მამისონის უღელტეხილით უვნებლად გადაიყვანა ჩრდილოეთ კავკასიაში.

აპრილის მიწურულისათვის ვალიკო ჯუღელისა და გენერალ ალექსანდრე კონიაშვილის ფორმირებები მთლიანად აკონტროლებდა მდგომარეობას სამეგრელოში. განადგურებას გადარჩენილი ასკურავას რაზმების ნაწილებმა სამეგრელოს მთებს, იქიდან კი – აფხაზეთს შეაფარეს თავი, სადაც იმ პერიოდისათვის მორიგი ანტისამთავრობო, გნებავთ – ანტიქართული ამბოხებაც კი მიმდინარეობდა. ამის შესახებ, ჩვენი რუბრიკის მომდევნო გამოშვებაში მოგითხრობთ. ■

rumineTSi ქნჭეგანიშთ თაქვაპ

ვუკუზნილ ოვილო ან ამოკლეპილ

აკაკი გეგენავა

მეგობართა წრეში, სიდუხჭირეზე რომ ჩამოვაგდებდი ხოლმე სიტყვას, უცებ შემაწყვეტინებდნენ ხოლმე: შენ რაღა გაწუწუნებს? ნახევარი მსოფლიო გაქვს მოვლილიო... შვილიშვილებთან მაინც დაიტრაბახებ, იქა და იქ მიმოგზაურიაო... მართალია, ბევრ ქვეყანაში მომიწია ჩასვლა, მაგრამ სასიამოვნო თავგადასავლის გარდა, ბევრი ცუდი რამეც მომსვლია. ზოგჯერ ისეთ სიტუაციაშიც ჩავვარდნილვარ, რომ დიდი ზარალიც განმიცდია და უსაზღვრო შიში მიჭამია. ერთ-ერთი ასეთი ამბავი რუმინეთში გადამხდა...

ევროპაში ხშირი სიარულის გამო, თითქმის ყველა ქართველ მებაჟესა და საგზაო პოლიციის თანამშრომელს ვიცნობდი. ნაცნობმა მებაჟემ, ჩემი და ხახუტას (გზაში შეძენილი მეგობრის) დაკაწრული, შუშებჩალეწილი მანქანები რომ დაინახა, შეჰყვირა: რა არის, კაკო, ეს, ომიდან ხომ არ მოდიხარო?.. ეჰ, მასე გამოდის, გურამ, არ გაგვიმართლა-მეთქი — შევჩივლე.

— რუმინეთი გამოიარეთ?

— კი...

— მერე, არიფი ხომ არა ხარ, პირველად ხომ არ გაგივლია მაგ ქვეყანაში?..

— რა ვიცი, ყველაფერი ხდება... — ვუპასუხე და ხახუტას გავხედე. მან თვალი ამარიდა და ავტომობილში ჩაჯდა...

ვინ არიან რუმინელები?

რუმინელები თავიანთ ისტორიას რომაელებიდან ითვლიან. მათი წინაპარი ჯარისკაცები და ოფიცრები, სამხედრო ვალდებულებას რომ მოიხდიდნენ, იმ მიდამოებში სახლდებოდნენ, რომელიც დაკიის სახელით იყო ცნობილი. მათი ზნე-ჩვეულებები დიდად განსხვავდებოდა ადგილობრივი სლავების ადათ-წესებისგან, მაგრამ დრომ თავისი ქნა და სხვადასხვა ჯურის ტომელთა აღრევა მოხდა. რუმინელთა ერი სლავების, რომაელებისა და მონღოლების ურთიერთასიმილაციის შედეგად ჩამოყალიბდა, რომელშიც რომაელებს, რუმინელთა თქმით, ყველაზე წონადი წილი აქვთ...

დაკია მდიდარი იყო ბუნებრივი რესურსებით, რითაც რომის იმპერიას იზიდავდა. მდიდარი რომაელების გარდა, ამ მხარისკენ ათასი ჯურის ავანტიურისტები და კრიმინალები მოეშურებოდნენ. მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა... ბევრი მომთაბარე ტომი განუწყვეტლივ ომობდა დაკიასთან. IV-დან IX საუკუნემდე პერიოდულად, აქ სხვადასხვა მომთაბარე ტომი ბატონობდა. მაშინ ქვეყანას, დაკიას ნაცვლად, ვალახას უწოდებდნენ (ვალახები დუნაის ჩრდილოეთ ნაწილიდან წამოსული ტომის ხალხი იყო). აღმოსავლეთიდან ვალახას ძლიერი მოლდავური ტომები მოადგა. ვალახებმა და მოლდაველებმა საერთო ენის გამონახვა და ერთიანი სახელმწიფოს — რუმინეთის შექმნა მოახერხეს. მათი პირველი მეფე იყო იოვანიცა, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის გაძლიერებისთვის...

შინაფეოდალური ომები რუმინეთს უამრავ პრობლემას უქმნიდა: ხან უნგრეთის სამეფო იპყრობდა, ხან პოლონეთის... ომები რუმინეთის მოსახლეობას მოსვენების საშუალებას არ აძლევდა. XV საუკუნეში, რუმინეთს თურქეთი დაეპატრონა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა ნახევარი რუმინეთი გაამაჰმადიანა. ქვეყანაში რჩებოდა ძალები, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ოსმალებს. ავსტრიელების და უნგრელების დახმარებით, ისინი დროდადრო ახერხებდნენ თურქების განდევნას. თავიანთი მონარქიაც შეინარჩუნეს... მონარქები ქვეყანას მეორე მსოფლიო ომამდე მართავდნენ.

XIX საუკუნეში რუმინეთში ნავთობის დიდი მარაგი აღმოაჩინეს. ამით ევროპის წამყვანი ქვეყნები დაინტერესდნენ, ამის შედეგად, რუმინეთში რკინიგზა გაჩნდა და უამრავი საწარმო აშენდა. ქვეყანა ევროპაში მიმდინარე პროცესებში ჩაერთო...

1945 წელს, საბჭოთა ჯარების ოკუპაციის შედეგად, რუმინეთში სოციალიზმი დამყარდა, რომელმაც 1989 წლამდე იარსება.

ხახუტა

საავტომობილო გზა, რომელიც გერმანიიდან საქართველომდე უნდა გამოიარო, რუმინეთის გარდა, ყველგან მეტნაკლებად მოწესრიგებულია. თუ სხვაგან ავტომობილის დეფექტს ვერ შეამჩნევთ, აქ პირველსავე 10 კილომეტრში იჩენს თავს. და თუ თქვენ მიერ შეძენილმა მანქანამ რუმინეთი გადალახა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოშიც აუცილებლად გამოგადგებათ: გარდა იმისა, რომ რუმინეთში საშინელი გზებია, კრიმინალური სიტუაციაც უკიდურესად დაძაბულია — ცენტრალური გზების მონაკვეთები გარკვეულ დამნაშავეთა ჯგუფებს აქვს განაწილებული. უმეტეს შემთხვევაში, მათ მიერ დაწესებული თანხის გადახდის შემდეგ, დაუბრკოლებლად შეგიძლია გაიარო ქვეყანა. ჩვეულებრივ, საზღვრის გადალახვის შემდეგ, პოლიციის საგუშაგო გხვდებათ. საგზაო წესები თუ არ დაარღვიე, ფორმიანი კაცი არ გაგაჩერებს, მაგრამ პატარა მანძილის გავლის შემდეგ,უფრო ხშირად,რომელიმე „ჯიპიდან“ სიგნალს მოგცემენ და თუ ყურადღება არ მიაქციე, გამოგეკიდებიან და გაგაჩერებენ. გაჩერების შემდეგ, ზრდილობიანად მოგთხოვენ საფასურის გადახდას. გადახდის შემთხვევაში, ხელმოწერილ ფურცელს მოგცემენ, რომელიც აუცილებლად გამოგადგებათ რომელიმე სხვა დანაშაულებრივ ჯგუფთან შეხვედრის შემთხვევაში. თუ გადახდაზე უარს განაცხადებთ, ჭკუაზე თქვენს მოსაყვანად, პირდაპირ ავტომობილის მინების მტვრევას იწყებენ... რა თქმა უნდა, ინფორმაცია ამის შესახებ მქონდა და რამდენჯერაც რუმინეთში მოვხვდი, პრობლემა არასოდეს მქონია, ვინაიდან „გადასახადს“ „პატიოსნად“ ვიხდიდი. ამ საქმეში გამოცდილებს, ვინც ავტომობილების „ბიზნესში“ ვტრიალებდით, მარტო იმ წერილის იმედი არ გვქონია და ვცდილობდით, რუმინეთი ერთ დღეში გაგვევლო. იმ დღესაც, ბუქარესტამდე

50-ოდე კილომეტრი რომ გვქონდა დარჩენილი (ბუქარესტი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს), შევამჩნიე მოსული მამაკაცი, რომელიც ქართველს მივამსგავსე: გზის პირას იდგა და ხელს მიქნევდა. დავფიქრდი – ხომ არ გამეჩერებინა? ქართველს კი ჰგავდა, მაგრამ აქ რა უნდა-მეთქი?!.. თან მეჩქარებოდა – მზის ჩასვლამდე რუმინეთი უნდა დამეტოვებინა... გაჩერება გადავიფიქრე, მაგრამ რომ ჩავუარე, დავრწმუნდი – ქართველი იყო, თანაც, ისეთი გატანჯული სახე ჰქონდა, რომ არ გამეჩერებინა, სინდისი არ მომასვენებდა... დავამუხრუჭე.

– ბარაქა ღმერთსა, შენი სახელის ჭირიმე!.. – გავიგონე მისი სიტყვები. დევივით კაცმა ჩემს მანქანასთან მოირბინა, გადმოსვლა მთხოვა და გულში ჩამიკრა... კაცი გულღიად რომ შეგხვდება, ყოველთვის გესიამოვნება, მაგრამ ერთი კითხვა მაინც არ მასვენებდა: რა უნდოდა ამ ქართველ კაცს უცხო ქვეყნის შარაგზაზე?..

– სულკურთხეული მამაჩემი სულ იმასა მეუბნებოდა, ძაღლის ბედი გაქვსო, ჯო... ჭკუით მაიქეცი და მაიხმარეო...– „ჩაუკახურა“ უცნობმა და ხელი გამომიწოდა: „მე... მუკუზნელი ხახუტა ვაარ... კეთილი იყოს შენი გამოჩენა, ანგელოზათა მამევლინე...“

ანგელოზის ხსენებაზე გამეღიმა. ცოტა აზრზე მოვედი და ვკითხე:

– ანგელოზობისა რა მოგახსენო, მაგრამ ქართველი რომ ვარ, საიდან მიხვდი, ქართულად რომ დამიწყე ლაპარაკი?

– მაგაი რა მიხვედრა უნდა?.. ამ ურჯულოების ქვეყანაში ქართველი თუ ამაგიდგება გვერდზე, თორე სხვაი ფეხებზე არ ჰკიდიხაარ?!.. – ეს თქვა და ორივე ხელი ფეხებისკენ გაიშვირა...

ხახუტა ბეჟუაშვილი გურჯაანის რაიონში დაბადებულ-გაზრდილი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. მთელი სიყმაწვილის წლები კოლმეურნეობაში ჰქონდა გატარებული. ზოგჯერ, წელიწადში ერთხელ, როგორც თვითონ ამბობდა – „საგულაოდ“, რუსეთში მიდიოდა ხოლმე. ცხოვრება საათივით ჰქონდა აწყობილი... აირია ქვეყანა და ხახუტასაც აერია ცხოვრება: დარჩა უმუშევარი. ბევრი ფიქრის შემდეგ, ფული ისესხა და გერმანიას მიაშურა. იქ თანაკლასელი ზურა დახვდა, რომელიც ერთი წელიწადი ლტოლვილთა ბანაკში ცხოვრობდა და ვინაიდან გერმანიის მთავრობა ქვეყანაში დარჩენაზე უარს ეუბნებოდა, ისიც სამშობლოში აპირებდა დაბრუნებას. ორივემ ერთად, საზიაროდ, მიკროავტობუსი იყიდა, რომელიც უნდოდათ, თბილისი-გურჯაანის მარშრუტით ეტარებინათ... შეუსვენებლივ მოდიოდნენ, გზაში არანაირი პრობლემა არ გასჩენიათ. ბუნებით რუმინეთი საოცრად ჰგავს საქართველოს, განსაკუთრებით, ბუქარესტის მიმდებარე მიდამოები. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ბორჯომის ხეობაში მოხვდი... მეგობრებმა დასვენება გადაწყვიტეს და გზიდან 100 მეტრის დაშორებით, პატარა მდელოზე გააჩერეს მანქანა. ცოტა წაიხემსეს და რამდენიმე ჭიქა არაყიც დააყოლეს. მგზავრობით დაღლილებს არაყი ადვილად მოეკიდათ და ჩაეძინათ... როცა გამოეღვიძათ, თვალებს არ დაუჯერეს: ავტომობილს არც ერთი საბურავი აღარ ჰქონდა... დასახლება არსად ჩანდა, იძულებულები იყვნენ, გამვლელი მანქანის გაჩერება ეცადათ. ორი დღე არავინ უჩერებდათ – პირველი მე აღმოვჩნდი...

ხახუტამ ზურა გამაცნო. ორივეს ისეთი სასოწარკვეთილი სახეები ჰქონდა, შევეცადე, როგორმე გამემხნევებინა:

– ყველაფერი კარგად იქნება, ნუ ღელავთ, არ არსებობს პრობლემა, კაცმა რომ ვერ გადაწყვიტოს...

– იცი, რა არის? ფული თითქმის აღარა გვაქვს, სულ რაღაც 120 დოლარი დაგვრჩა... ამ თანხით „პაკრიშკებს“, თავის დისკებიანად, ვერ ვიყიდით... – მორიდებით მითხრა ზურამ.

– არა უშავს – მე 200-ს დაგიმატებთ. ახლა გავივლი და საჭმელს მოგიტანთ. უკვე საღამოა, საბურავებზე წასვლას აზრი აღარ აქვს. ხვალ მივხედოთ მაგ საქმეს, – ეს ვთქვი, გვერდზე ხახუტა მოვისვი და უახლოეს დასახლებაში საჭმლის მოსატანად წავედით.

ვახშმობისას ხახუტას ვუთხარი:

– მოდი ერთი, გაცნობისა გადავკრათ...

– არა, არ შამიძლია... ამ ვერანებმა დღეს შეიძლება არ მაისვენონ და შენი „პაკრიშკებიც“ მიაყოლონ... მთელი ღამე თეთრად უნდა გავატარო.

– რატომ მარტო შენ? მეც ფხიზლად ვიქნები, – შევაგულიანე.

– ჰო, ჰო, ეგრე სჯობს... ღვინის სმა მერე ნახე, მუკუზანში რო ჩამოხვალ... – მითხრა ხახუტამ და გამიღიმა...

ის ღამე ღია ცის ქვეშ გავატარეთ. არ გვეძინებოდა და ვსაუბრობდით.

– ეს კახელები მაინც როგორ მოხვდით ამ შუაგულ ევროპაში, ა? – ვცადე გახუმრება.

– მა... თბილისელებისაა ეს ქვეყანა?.. არ გაგიგია – რაც მაგრები ვართ, კახელები ვართო?.. – შემომიტია ხახუტამ.

– მაშ, თუ მაგრები ხართ, „პაკრიშკები“ როგორღა მოგპარეს?!.. – არ მოვეშვი.

– ეგ გამონაკლისია, ეგ არ ითვლება...

ამ პასუხზე ყველას ერთად გაგვეცინა...

– მასეთი იშვიათი სახელი ვინ დაგანათლა, ხახუტა? – დავინტერესდი.

– სულკურთხეული მამაჩემი დღე და ღამე წიგნს ჩაჰკირკიტებდა. მე რომ დავბადებულვარ, გამსახურდიას „დავით აღმაშენებელსა“ კითხულობდა. ჰოდა, იქ არის ერთი ხახუტაი... – გულმოდგინეთ გვიხსნიდა.

– რაღა ხახუტაის გარქმევდა – დავითი ვერ „გაიმეტა“?.. – გაუკვირდა ზურას.

– მაგაი, მამაჩემს დაეწიე და ის აგიხსნის, გაიგე?.. – მოუჭრა ხახუტამ...

ვუსმენდი ამ ორ კაი კაცს და მეღიმებოდა. ჩემი თავი რუმინეთის ტყის მაგივრად, კახეთში მეგონა და სასიამ-

ტრანსილვანია. ბანის ციხე-კოშკი

ოვნო გრძნობა დამეუფლა...

ბუქარესტი

დილით მე და ზურა საბურავების საშოვნელად გავეშურეთ, ხახუტა კი, როგორც ფიზიკურად ჩვენზე ძლიერი, მანქანის საყარაულოდ დავტოვეთ. მოვიარეთ რამდენიმე დასახლება. ზოგან საერთოდ არ იყო ისეთი საბურავები, როგორიც ჩვენ გამოგვადგებოდა, ხოლო სადაც იყო, ძალიან ძვირს აფასებდნენ. არჩევანი არ გვქონდა და იძულებულები გავხდით, გვეყიდა. რაც ფული გვქონდა, სულ საბურავებში წავიდა. შეგვექმნა პრობლემა – საწვავი, რომელიც ჩვენს მანქანებში იყო დარჩენილი, 50 კილომეტრზეც არ გვეყოფოდა. სად გვეშოვა ფული, არ ვიცოდით... ბოლოს ეს მოვიფიქრეთ: მე ავტობუსით წავიდოდი ბუქარესტში და თბილისიდან გამოვაგზავნინებდი ფულს ახლობლებს, ზურასა და ხახუტას კი ისევ მანქანებისთვის უნდა ედარაჯათ...

რუმინეთი ისტორიულად აგრარული ქვეყანაა, სადაც მრეწველობა ნაკლებად იყო განვითარებული. ამიტომაც ქვეყანაში დიდი ქალაქები არ არის – ყველაზე დიდი, დედაქალაქი – ბუქარესტია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის, ფაქტობრივად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშენდა და ამ საქმეში დიდი წვლილი კომუნისტებს მიუძღვით. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ბუქარესტი იმ ქალაქებს მაგონებს, საბჭოთა პერიოდში სამრეწველო დასახლებებად რომ შენდებოდა...

რუმინეთის დედაქალაქში კარგად ლაპარაკობენ რუსულად. რუმინული საკმაოდ რთული ენაა, თანაც, უამრავი დიალექტი აქვს: ბესარაბიული, ბუკოვინური, ტრანსილვანიური და მოლდავური. თვით



რუმინელებსაც უჭირთ ხოლმე ამ დიალექტების გარჩევა. ხშირად, დაწყებითი კლასების ბავშვები, მასწავლებლის ნალაპარაკებსაც ვერ იგებენ, რაც ძალიან ართულებს სასწავლო პროცესს... თავის დროზე, როდესაც ანბანის შექმნის საკითხი დაუდგათ, არ იცოდნენ, რომელი ერთი ამოერჩიათ. კამათი რამდენიმე ათეული წელიწადი გაგრძელდა. თავიდან რუსული ანბანის გამოყენება უნდოდათ, მაგრამ ევროპის გავლენით, ბოლოს მაინც ლათინური აირჩიეს.

ფულის მოლოდინში ქალაქიც, ასე თუ ისე, დავათვალიერე. კავშირგაბმულობის განყოფილებაში ფული მივიღე და ავტობუსს ველოდებოდი. უცებ, მანქანის სიგნალის ხმა და ჩემი სახელი გავიგონე: კაკო, კაკო! – ვიღაც აშკარად მე მეძახდა. გავიხედე და ჩემი თბილისელი ნაცნობი, ნუგზარ ლოლუა დავინახე, რომელიც ჩემსავით „მანქანებზე ჩალიჩობდა“. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, ჩემი ამბავიც მოვუყევი.

– რას იზამ – რუმინეთია: შარშან მეც მომპარეს მაგნიტოფონი... იმის შემდეგ ყოველთვის ფრთხილად ვარ... – მითხრა და ბიჭებთან წაყვანა შემომთავაზა. ვიუარე:

– გმადლობ, ნუგზარ, ნუ შეწუხდები, გზას არ გაგიმრუდებ... თბილისში შევხვდებით...

ნუგზარი არ მეშვებოდა, მაგრამ ჩემი მაინც გავიტანე და ერთმანეთს დავემშვიდობეთ...

გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო...

„ბანაკს“ რომ მივუახლოვდი, გული შემიწუხდა: პირველად, გზაზე მიმოფანტული, დამტვრეული შუშის ნამსხვრევები დავინახე. ჩვენს ავტომობილებს საქარე მინები ჩალეწილი ჰქონდა, ძარის მთელ სიგრძეზე კი ნაკაწრები ეტყობოდა. ხახუტა და ზურა ხის მორებზე ისხდნენ და სახეზე ფერი არ ედოთ... დროგამოშვებით ზურა სველ ტილოს იღებდა და ხახუტას ყურთან, ნაჭრილობევს უწმენდდა...

– რა არის, ძმებო, რა შარში გაეხვიეთ? – ვიკითხე და ხახუტას მივაჩერდი...

– კაცს რომ ბედი არ ექნება, ოქროში რომ ჩასვა, მაინც არ გაუმართლებს... – ხელი ჩაიქნია და განაგრძო:

– შენ რომ წახვედი, ცოტა ხანში ორი მანქანა მაგვადგა. ექვსი ბიჭუშკა გადმავიდა და ფული მაითხოვა. მე „გრანიცაზე“ მოცემული ქაღალდი მივაწოდე. რომ გადაიკითხეს, შენს მანქანაზე მანიშნეს. ქაღალდი მე არ მქონდა და ვუთხარი: პატრონი მოვა და ის გიჩვენებს-მეთქი... არა, ფული გადაიხადეო. მე რა ფული უნდა გადამეხადა, ეგ შენაც იცი... ერთი „წრიპკაი“ კაცი შენ მანქანაში შეძვრა და მაგნიტაფონი ამოგლიჯა... ეს რომ დავინახე, მივედი და ვუთხარი – რასა შვრები, ჯო, რამე ხომ არ გეშლება, მაგნიტაფონი უკან დააბრუნე-მეთქი... იმ ვერანამა, არც აცივა და არც აცხელა – პირდაპირა სილა მტკიცა... ჰოდა, რომ დავერიეთ მე და ზურაი, მეორე მსოფლიო ომი გეგონებოდა... მართალია, კარგად კი ვჟუჟეთ, მაგრამა მაინც, ექვსნი იყვნენ შობელძაღლები... მერე ბეისბოლის ჯოხები დააძრეს და შუშები დაგვილეწეს... ბოლოს კიდე, ყიჟინითა გაიქცნენ...

– ახლა რას აპირებ? – გაოგნებულმა ვიკითხე.

– რაი და დაველოდები: დედაი უნდა ვუტირო...

– ახლა ისინი ექვსნი კი არა, ოცდაექვსნი მოვლენ. აბა ჩქარა, ავიყაროთ გუდა-ნაბადი და მოვუსვათ აქედან... – გავეცი ბრძანება.

ხახუტა არ მეთანხმებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დამიჯერა. ოთხ საათში, რომ იტყვიან – ჩვენი „დუხი“ აღარ იყო რუმინეთში. ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ ყველაფერი მაინც მშვიდობიანად დამთავრდა...

ორი კვირის შემდეგ, დილის 6 საათზე მეუღლემ გამაღვიძა და მითხრა, – გაიხედე, აივანზე ვიღაც, გამწარებული გეძახისო. გავიხედე და რას ვხედავ: ეზოში დიდი – ხუთტონიანი ღვინის ცისტერნა დგას, კაბინიდან კი ხახუტა მიღიმის:

– როგორა ხარ, ძმა?.. ჩამო, ჩამო, უნდა ჩაგეხუტო!

როდესაც ჩავედი, დიდი კოცნა-ჰროშნის შემდეგ მკითხა:

– შენ ხომ ხარ ჩემი ძმა?

– რაზეა ლაპარაკი?!..

– ჰოდა, ძმა ძმას ვალებში არ ჩააგდებს: ან ეს ღვინო უნდა წაიღო, ან კიდევ ცოტა ხანი უნდა დამაცადო...

– რა უნდა დაგაცადო?

– ღვინოს გავყიდი ბაზარში და ფულსაც დაგიბრუნებ...

– შენ თუ გინდა, ძმები ვიყოთ, ასეთი რამ აღარ წამოროშო... თუ კაცები ვართ, ერთი დღით არ უნდა ვიცხოვროთ... – ისე მტკიცედ ვუთხარი, უცებ იყუჩა და ამ თემაზე აღარ ულაპარაკია. სამაგიეროდ, მას მერე ჩემს ოჯახში მუკუზნის ღვინო აღარასოდეს გამოლეულა...

1997 წელი

თავის დროზე ენდი მაკდაუელმა სახალხოდ გაკიცხა დემი მური ფილმ „სტრიპტიზში“ გაშიშვლების გამო. „სამი შვილის დედას ეკრანზე სიშიშვლის დემონსტრირება არ ეკადრება, თუნდაც 12 მილიონი დოლარის საფასურად. მე ასეთ რამეს ვერ ჩავიდენდი“, — განაცხადა მსახიობმა. ცოტა ხნის წინ კი ენდი ფილმში „უიღბლო ქალთა კლუბი“ გადაიღეს, სადაც თვითონ ისეთ რამეებს სჩადის ეკრანზე...

ენდი მაკდაუელი: სექსის გაჯადოება ძალიან სახალისოა!

ენდი მაკდაუელის მონაწილეობით გადაღებული ახალი ფილმი სამ მეგობარ ქალზე – პოლიციელზე, ექიმსა და სკოლის დირექტორზე მოგვითხრობს. სამივეს უიღბლოდ აეწყო პირადი ცხოვრება. ყოველ კვირას ისინი იკრიბებიან, რათა კაცობრიობის ძლიერი ნახევრის ამოუწურავი თემა განიხილონ და ხანდახან მათთან მიღწეული მოკრძალებული გამარჯვებებით მოიწონონ თავი. გარეგნულად მკაცრ სკოლის დირექტორს, ქეითს (სწორედ მის როლს ასრულებს მაკდაუელი) სატრაბახო არაფერი აქვს.

თუმცა ეს მანამდე გრძელდება, სანამ მის ცხოვრებაში ნამდვილი სიყვარული არ გაჩნდება – ყოფილი მოსწავლის მიმართ, რომელიც მას შვილად უფრო შეეფერება.

ენდი მაკდაუელი თვლის, რომ სიყვარულში ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. თურმე მის ერთ-ერთ მეგობარს 17 წლით უმცროსი ქმარი ჰყავს და ისინი შესანიშნავად ეწყობიან ერთმანეთს. „თუმცა, ეს ჩემთვის შესაფერისი ვარიანტი არ არის, რადგან ჩემი ვაჟი 14 წლისაა და არ მაქვს უფლება, ბავშვებს ტკივილი მივაყენო და შინ მათი თანატოლი მამაკაცი მივიყვანო“.

შვილებისთვის ამ ფილმის ჩვენებას ენდი არ აპირებს. სურათში საკმაოდ გახსნილი სცენებია და მათ სანახავად ენდი თავის შვილებს პატარებად თვლის. „როცა გაიზრდებიან, მაშინ ნახონ. ჯერჯერობით კი, როგორც დედა, მთელი არსებით ვეწინააღმდეგები ამას“ – ამბობს მსახიობი.

მაკდაუელი თვლის, რომ სექსუალურ სცენაში მონაწილეობა საკმაოდ საინტერესო და სახალისოა. ამ დროს მასში თურმე მაშინვე იუმორის გრძნობა იღვიძებს.

სამსახიობო კარიერისა და კარგი დედობის ერთმანეთთან შეთავსება საკმაოდ რთულია, თუმცა მაკდაუელი ამას ახერხებს. შვილების ყოლა იმდენად უნდოდა, რომ სრულებით არ უფრთხის მოუცლელობასა და გადაღლას, შვილების სახეების დანახვა კი მას ყველაფერს ავიწყებს.

ენდის ვაჟი ჯასტინი კალათბურთით არის გატაცებული. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მაღალია, მაინც სიმაღლეში გაზრდასა და ჩემპიონობაზე ოცნებობს. ბიჭი არასოდეს მალავს, რომ ძალიან უყვარს დედა და თავისი გრძნობების სახალხოდ გამომჟღავნებასაც არ ერიდება. უფროსი გოგონა რეინი 12 წლისაა, ის სერიოზულად არის გატაცებული ცეკვით, უკვე კონცერტებში მონაწილეობს და გასტროლებზეც დადის. სკოლის შემდეგ პირდაპირ ცეკვის გაკვეთილებზე მიდის და შინ გვიან საღამოს ბრუნდება ხოლმე. უმცროსი გოგონა სარა ჯერ 6 წლისაა და დედის მსგავსად, ცხენებს აღმერთებს (ენდის რანჩოზე 12 ცხენი ჰყავს). სარა ხშირად დაჰყვება დედას გადაღებებზე და ამბობს, რომ ნაყინის დეგუსტატორი უნდა გახდეს.

ენდი არ თაკილობს საკუთარ რანჩოზე საქმიანობას და ამით ძალიან აოცებს მეზობლებს. მას ცხენები, ორი ძაღლი, შვიდი კატა, წიწილები, გოჭები ჰყავს და ისინი ყოველდღიურად ითხოვენ ყურადღებას. ენდი ამბობს, რომ ის ისეთივე ადამიანია, როგორიც მისი მეზობლები – უბრალოდ, გაუმართლა და დამატებით, მსახიობის პროფესია მიიღო, კინოვარსკვლავად თავს არასოდეს აღიქვამს.

დიდი ხნის მანძილზე მონტანის შტატში მდებარე რანჩოს მეზობლები ენდის როუზ კუოლად იცნობდნენ. დოკუმენტების მიხედვით, ენდის როზალი ანდერსონი ჰქვია. უცნობები კი, რომლებიც ენდის რკინა-კავეულის მაღაზიაში ან საშენ მასალათა საწყობში ხვდებოდნენ, სადაც ის სახლის მორიგი რემონტისთვის აგურის გადმოტვირთვას ხელმძღვანელობდა, სიხარულით ეგებებოდნენ და ეუბნებოდნენ: „ძალიან ჰგავხართ მსახიობ ენდი მაკდაუელს!“

ენდი კი ერთსა და იმავეს პასუხობდა: „ამას ბევრი ადამიანი მეუბნება“.

ენდი ამ დროისათვის გათხოვილი ქალი და ოჯახის დედა იყო.

... მსახიობ პოლ კუოლის ენდი ნიუიორკში, ჯინსების სარეკლამო კლიპის გადაღებაზე შეხვდა. მამაკაცი მას ძალიან თავდაჯერებული და მომხიბლავი ეჩვენა. ენდი მაშინ სამხრეთკალიფორნიულ კილოზე მოლაპარაკე სოფლელი გოგონა იყო და თავი პოლის ღირსად არ

პოლ კუოლისთან ენდის ქორწინება 13 წელი გრძელდებოდა. იტალიაში ვასტანგურად დასვენების დროს...

ენდი მეუღლესთან და შვილებთან – ჯასტინთან, რეინისთან და სარასთან ერთად

ჩათვალა. ჯინსების რეკლამა ენდის პირველი სერიოზული კონტრაქტი გახდა (მაშინ გოგონამ, თავისი აგენტის რჩევით, სახელი შეიცვალა). ადრე ის ტანსაცმლის დემონსტრირებას ახდენდა ნიუ-იორკის ერთ-ერთ დიდ უნივერმაღში და კინოკამერების წინ მოხვედრაზე ვერც კი იოცნებებდა.

მაგრამ ბედმა ენდის საჩუქარი მოუმზადა. ალბათ ეს ლოთ დედასთან ცხოვრების გამო გადატანილი ტანჯვის საზღაური იყო.

პოლამ სმა მაშინ დაიწყო, როცა ქმარმა ოთხი გოგონათი მიატოვა. უმცროსი – როზალი მაშინ 6 წლის იყო. უფროსები სწრაფად მიმოიფანტნენ: თითოეულმა მათგანმა საკუთარი პირადი ცხოვრება მოიწყო. უმცროსმა კი დაიფიცა, რომ დედას, რაც არ უნდა მომხდარიყო, მაინც არასოდეს მიატოვებდა. გოგონამ თავისი სიტყვა შეასრულა, მაშინაც კი, როცა პოლა მუსიკალური სკოლიდან იმის გამო გამოაგდეს, რომ მოსწავლეებთან გაკვეთილზე უგონოდ მთვრალი გამოცხადდა. ამის შემდეგ მან მხოლოდ ოფიციანტის სამსახურის შოვნა შეძლო ადგილობრივ „მაკდონალდსში“, მისმა ქალიშვილმაც წითელ-ყვითელი უნიფორმა მოირგო და იმავე რესტორანში მაგიდების მომსახურებას შეუდგა.

პოლა 53 წლის ასაკში უმცროსი ქალიშვილის მკლავებში, ინფარქტით გარდაიცვალა. მოკრძალებული დანაზოგი მხოლოდ იმისთვის იყო საკმარისი, რომ დედა დაესაფლავებინა და ნიუ-იორკამდე ავტობუსის ბილეთი შეეძინა...

პოლ კუოლის გვერდით საპატარძლო კაბაში გამოწყობილი ენდი საკურთხეველთან იდგა და თავისი ბედნიერების მაინც არ სჯეროდა. მას უკვე ჰყავდა საყვარელი და მოყვარული მეუღლე, ჰქონდა იმედი, რომ მათ აუცილებლად ექნებოდათ ოჯახური კერა – დიდი სახლი და ეყოლებოდათ ბევრი შვილი. პოლი ვარსკვლავი გახდებოდა, ბევრ ფულს იშოვიდა, ენდი კი ყველაფერს გააკეთებდა იმისთვის, რომ ქმარს მუდამ ჰქონოდა შინ დაბრუნების სურვილი.

„ენდი, ასეთ როლებზე უარს არ ამბობენ“ – არწმუნებდა მას აგენტი. „მესმის, მაგრამ როგორ შემიძლია რამდენიმე თვის მანძილზე ქმრის მიტოვება? ვინ დარჩება ბავშვთან?“ – მოჰყავდა თავისი არგუმენტები მაკდაუელს. „ბავშვთან შენი ქმარი დარჩეს. ის ხომ ზაფხულის ბოლომდე თავისუფალია“.

იმ დროიდან მოყოლებული, თითქოს წესად იქცა: ენდი ბევრად მეტ ფულს შოულობდა, რადგან მიწვევა თავზე საყრელი ჰქონდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფილმს – „სექსი, სიცრუე და ვიდეო“, რომელშიც მაკდაუელი მთავარ როლს ასრულებდა, კანის „ოქროს პალმის რტო“ მიენიჭა. ენდი შვილების გაჩენასაც ასწრებდა და ძუძუთი მათ გამოკვებასაც. პოლი კი შინ იჯდა, დაუსრულებლად არემონტებდა და იერს უცვლიდა რანჩოს, თვალყურს ადევნებდა ბავშვების სწავლა-განათლებასა და გართობას.

როცა ენდის მორიგ სცენარს უგზავნიდნენ, პოლი ფანქრით ხელში საგულდაგულოდ სწავლობდა მას და თან იმ ადგილებს აღნიშნავდა, რომელშიც, მისი აზრით, მეუღლეს გადაღების უფლება არ ჰქონდა. სექსუალობაზე მცირედი მინიშნებაც კი მის მკაცრ ცენზურას ექვემდებარებოდა.

და მაინც, ყოველი პრემიერის შემდეგ, ენდის ოჯახური სცენა ელოდა. „შენ მასთან იწექი! არც გაბედო ამის უარყოფა! ეკრანზე ეს კარგად ჩანს!“ – ყვიროდა პოლი. ამის მოსმენა ენდის პარტნიორებს ალბათ ძალიან გააკვირვებდა. მათ შორის იყვნენ: ბრიუს უილისი – „ჰუძონის ქორში“, ჟერარ დეპარდიე – „მწვანე ბარათში“, ჯონ მალკოვიჩი „ფუფუნების საგანში“, ბილ მიურეი „ზაზუნას დღეში“. საბედნიეროდ, მათ ამის შესახებ არაფერი გაუგიათ.

მაკდაუელს ჰყოფნიდა ნებისყოფა, რომ მეუღლის ეჭვიანობა მოეთოკა. სწორედ პოლის გულის მოგების მიზნით გაიცხა ენდიმ დემი მური. შემდეგ კი, პირველივე შესაფერის მომენტში წვეულებაზე მური გვერდით გაიხმო და დიდხანს უხდიდა ბოდიშებს...

13 წლის ქორწინების შემდეგ, რომელიც გარშემომყოფებს იდეალურად ეჩვენებოდათ, ენდის მოთმინების ძაფი გაუწყდა...

ფილმში – „წარუმატებელ ქალთა კლუბი“ ენდის გმირს სიყვარულს მეგობარი ქალები დაუნგრევენ. საბედნიეროდ, ცხოვრებაში მაკდაუელს მსგავსი არაფერი შემთხვევია. ის თვლის, რომ ქალებს ერთმანეთთან მეგობრობა ეს-

ჯონ მალკოვიჩთან ერთად ფილმში „ფუფუნების საგანი“

ლაიამ ნისონთან ერთად ფილმში „ქაიროს ლალი“

აჭიროებათ. მეგობარ ქალთან წატირება, გულის მოოხება და საიდუმლოს გაზიარება ხომ განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. ენდი დაქალებს რჩევას ეკითხებოდა, გადაღებებზე იწვევდა და სცენარს აკითხებდა. ენდის და მის მეგობრებს ძალიან მოეწონათ ფილმის გმირი ქეითი, მათ შეძლეს მისი ხასიათის სხვადასხვა მხარის დანახვა. „მას ქცევის საკუთარი პრინციპები აქვს, – ამბობდა ენდი, – და კიდევ, ის არ ცდილობს კაცების გამოჭერას. ღმერთმა ინება, რომ სიყვარული ეწვია მას“.

ენდის გმირი ფილმში სიგარეტს ეწევა. თავად მაკდაუელს კი არასოდეს იტაცებდა სიგარეტი, თუმცა იცის, რომ ბევრი ადამიანი თამბაქოს, სტრესის მოხსნის საშუალებად თვლის. თავად ენდი სტრესის მოსახსნელად სექსს ამჯობინებს.

ენდი მაკდაუელი 43 წლისაა და თავის ასაკს არ მალავს. ის განაგრძობს „ლორეალის“ კლიპებში გადაღებას, რეკლამას უწევს ასაკოვანი ქალებისთვის განკუთვნილ კოსმეტიკას. მსახიობს მიაჩნია, რომ ქალი ამ ასაკშიც შეიძლება კარგად გამოიყურებოდეს, იყოს სექსუალური და მიმზიდველი. ენდი თავად იყენებს თმის იმ საღებავს, რომელსაც რეკლამას უწევს. თავს ისე გრძნობს, როგორც 20 წლის წინ: მუცელიც არ გაზრდია, მიუხედავად იმისა, რომ სამი შვილი გააჩინა. ენდი ამბობს, რომ 85 წლის დეიდა ჰყავს, რომელიც ფიქრობს, ორი თაყვანისმცემლიდან, რომელს მიანიჭოს უპირატესობა.

„მთავარია, როგორი დამოკიდებულება გექნება ცხოვრებასთან, წლებს კი მნიშვნელობა არ აქვს“, – თვლის ენდი.

ამჟამად ენდი გათხოვილი არ არის, მაგრამ არც ეძებს ვინმეს. ასაკის მატებასთან ერთად, ის უფრო მომთხოვნი გახდა, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებში ყველა ნაკლის შემჩნევა შეუძლია და თვლის, რომ შესაფერის ქმარს ადვილად ვერ იპოვის.

მარტოობა ენდის არ აშინებს: მას სამი შვილი ჰყავს და მომავალზე ბევრი ფიქრისთვის დრო არ რჩება. მას ბევრი მეგობარი ჰყავს, ისინი ერთად დადიან რესტორნებში, ცეკვებზე, მოკლედ მაკდაუელს მოსაწყენად არ სცალია. თუმცა, შიგადაშიგ ის, რა თქმა უნდა, ოცნებობს დიდ სიყვარულზე, „თუ შესაფერის მამაკაცს შევხვდები – ბედის მადლობელი დავრჩები“.

ახლახან ენდი მაკდაუელი სანტა-მონიკას ერთ-ერთ ფიტნეს-კლუბში შეამჩნიეს. ის იქ მსახიობ მეგ რაიანის ყოფილ ქმართან, დენის კუეიდთან ერთად იმყოფებოდა: წყვილი იოგას სიბრძნის შესწავლით იყო დაკავებული. ■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რომელი პუტჩის ჩახშობის შემდეგ აყურყუტეს ჰიტლერი 5 წელი ციხეში?

ა) ლუდის;
ბ) ფაშისტური;
გ) ნაცისტური.

2. გეისგოლის სამშობლო:

ა) დიდი ბრიტანეთი;
ბ) აშშ;
გ) ავსტრალია.

3. რომელმა ქართველმა მწერალმა წაიღო პირველად ჭიათურის მანგანუმი პეტერბურგში გამოსაკვლევად?



ა) ილია ჭავჭავაძემ;
ბ) მიხეილ ჯავახიშვილმა;
გ) აკაკი წერეთელმა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ნიკო აშკარელი

ბელისწერა

დასაწყისი იხ. „გზა“ №22-27

შალვა მინდიაშვილის წლისთავი მართლაც ისეთი გამოვიდა, თამარს რომ უნდოდა. სუფრა გვიან აიშალა, ეზოს ჭიშკარში ვახო სტუმრებს აცილებდა.

— კაი სუფრა იყო, ძმაო, „მალადეც“, ვახო!

— კაი კაცი იყო ჩემი სიმამრი. საკადრისი პატივი მაინც ვერ ვეცი, მაგრამ... რას იზამ, — ჩვეული ფრაზებით ემშვიდობებოდა სტუმარს ვახო.

— რას ამბობ, ძმაო?! ყველაფერი კარგად ჩატარდა. ხაშლამაო, გოჭიო, თევზეულიო, ნამცხვარიო... არაფერი დაგიკლია. ღვინო ხომ — დიდებული!.. საიდან მოიტანე? დათომ გაგიხერხა ქარხნიდან, არა?

— რა შენი საქმეა, საიდან... — უცებ ღვარძლიანად წამოიძახა ვახომ და გაიფიქრა: „წადით, თქვენი!.. ეცი ახლა ამათ პატივი“... — და სასწრაფოდ ეზოში შებრუნდა. ცოლს დაუწყო ძებნა.

ორ-სამ მეზობელთან ერთად, წინსაფარაფარებული ნინო ეზოში გაშლილი სუფრიდან ჭურჭელს ალაგებდა და ნასუფრალისგან ათავისუფლებდა. მთელი ეზო ძვლებითა და ქაღალდებით იყო სავსე. მაგიდების შორიახლოს ძაღლები დაძრწოდნენ.

— ნინო! — დაუძახა ხმამაღლა ცოლს.

ნინო ვახოს ძახილის ტონმა შეაკრთო:

— რა იყო, ვახო?

— წავედით სახლში!

ნინომ წინსაფარზე შეიმშრალა ხელები, ქმართან მივიდა და რაც შეიძლება თბილად უთხრა:

— ვახო, მოდი, აქ დაწექი, დაიძინე. ქალებს ხომ არ მივატოვებ? ხვალ წავიდეთ.

— სახლში წავიდეთ! რა მიტოვებაა — დედაშენიც აქ არის და დედაჩემიც აქ რჩება! უშენოდაც გაართმევენ თავს! — უკმეხად უპასუხა ვახომ.

სიძის ხმამაღალი ლაპარაკი თამარსაც შემოესმა. იგი დაყვავებით გამოემართა ვახოსაკენ.

— ვინ გააბრაზა ჩემი სიძე, ამას ენაცვალოს ჩემი თავი! — ლამის ენა მოიჩლიქა ქალმა, რამაც ვახო კიდევ უფრო გააღიზიანა. — ვახო, გენაცვალე, დარჩი. ეს სახლიც ხომ შენია?

— მე ვიცი, ჩემი სახლი სადაც არის. მე მივდივარ! ჩემი ცოლიც მოდის ჩემთან ერთად! — უტეხად თქვა ვახომ.

ნინომ და თამარმა ერთმანეთს გადახედეს.

— კარგი, შვილო. აქ რაღა დარჩა, უშენოდაც მორჩებიან ქალები. წადი, წაჰყევი. კაცი ნასვამია, მიხედვა უნდა, რასაც გეუბნება, ის გააკეთე. — ხმამაღლა დაარიგა შვილი თამარმა.

— კარგი, გამოვიცვლი და...

— არ გინდა, ასევე წამოდი! — მიახალა ვახომ.

ნინო გაშეშდა:

— გამოვიცვლი, ვახო.

— ეგრევე წავიდეთ! სახლში გამოიცვლი. ჩაჯექი მანქანაში.

— კარგი.

ათრთოლებული და გაფითრებული ნინო დატუქსული ლეკვივით წალასლასდა.

სახლში პირველი ნინო შევიდა. ვახო შეჰყვა და კარი შიგნიდან გასაღებით ჩაკეტა. ნინო შეკრთა და ქმრისკენ შემობრუნდა.

— რა იყო, ვახო?

— რა იყო? — გაუმეორა შეკითხვა ვახომ და დოინჯი შემოიწყო. — ვინ არის დათო მეზვრიშვილი?

— მამაჩემის ამხანაგის შვილი, — გაიკვირვა შეკითხვა ნინომ.

— ვინ დაპატიჟა?

— მაგისი ოჯახი იყო დაპატიჟებული.

— დაკრძალვაზე და ორმოცზე რატომ არ მოვიდა? მაშინ არ იყო მამაშენის ამხანაგის შვილი?

— დაკრძალვაზეც იყო, ოღონდ სუფრაზე არ დარჩენილა. ვახო, რამ გაგაოცა? — ნინიკო უცნაურმა შიშმა აიტანა.

— რამ გამაოცა? გამაოცა კი არა, დედას გიტირებ, მე შენი...

— რატომ მაგინებ, ვინ მოგცა მაგის უფლება? — სცადა თავის დაცვა ქალმა.

ვახო მიიჭრა ცოლთან და სახეში ხელი გაარტყა, ნინო მოცელილივით იატაკზე დავარდა.

— რისი უფლება, მე შენი დედა...

ვახო წაქცეულ ცოლს დასწვდა და წამოაყენა.

— ვახო! — დაიკივლა ქალმა და სახეზე ხელები აიფარა.

— ვინ არის დათო მეზვრიშვილი? მითხარი!

— ველურო!

ვახტანგმა ისევ გაარტყა სახეში. ნინო ისევ წაიქცა, ქმარმა კვლავ წამოაყენა ცოლი და კვლავ სილა გააწნა.

— მაშ ველური ვარ? მაშ მე ვარ ველური? ადექი ფეხზე, შენი დედა... ადექი!

კაცი ბობოქრობდა და გამეტებით ურტყამდა ქალს. მთელ ოთახში დაათრევდა და სცემდა...

ნინოს სახე სისხლით მოეთხვარა. ქალს ხმის ამოღების ძალაც აღარ ჰქონდა, ბოლოს გამხეცებულმა კაცმა ცოლი ტახტზე მიაგდო. წამოსვა, წინ სკამი დაუდგა და ჩამოჯდა.

— ვინ არის დათო მეზვრიშვილი? — ჰკითხა ახლა უკვე წყნარად.

ნინომ არაფერი უპასუხა.

ვახომ კვლავ დაარტყა. ნინო ტახტზე პირქვე დაემხო.

კაცმა კვლავ წამოსვა იგი. სახე ახლოს მიუტანა და გამოსცრა:

— იცოდე, მოგკლავ!

ნინოს სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. ვახომ ნიკაპი აუწია.

— ილაპარაკებ თუ მოგკლა?

— ვილაპარაკებ, — ქალი უკვე საბოლოოდ დათრგუნვილი და გახეტილი იყო.

— აბა, მითხარი, რა გინდოდა დათო მეზვრიშვილთან კაბინეტში, ორი კვირის წინ?

— ფული ვესესხე, წლისთავისათვის. — ძლივს ლაპარაკობდა ნინო.

— რამდენი?

— ხუთასი დოლარი, — იცრუა ქალმა.

— ღვინო?

— ღვინო... დედაჩემმა...

— სად იშოვა დედაშენმა ღვინო?

— დათო მიეხმარა.

— ოხ, მე თქვენი დედა... მოგკლავთ შენც და დედაშენსაც. — წამოხტა ვახო და ოთახში დაიწყო ნერვიული ბორგვა.

— რა დავაშავე? — წამოიკნავლა სასოწარკვეთილმა ნინომ.

— შენ იცი?.. შენ იცი, რომ მევალეები მახრჩობენ? ყოველდღე მაკითხავენ, ვემალები, მპოულობენ. ვეხვეწები, ვალი გადამიდონ, პროცენტი შემიჩერონ, შენ კი სამასკაციან ზღაპრულ სუფრას შლი. მომკლავენ, შენი დედა... იქნებ შენც ეგ გინდა?

— არ ვიცოდი.

— არც უნდა გცოდნოდა! არ ვანერვიულო-მეთქი — თურმე სადა ხარ?!

— ეს ჩემი ვალია... მე ვისესხე...

— რითი იშოვე ან რითი ისტუმრებ? — დაიღრიალა ისევ.

— შენ არ შეგაწუხებ...

— ალაპარაკდი, ისევ ალაპარაკდი? ვის არ შეაწუხებ? — ჯიბიდან ფული ამოიღო და მაგიდაზე დადო: — აჰა, შენ ხუთასი დოლარი და იმასთან შეხვედრა აღარ გაბედო. ... თუმცა, მე თვითონ მივუტან. მე თვითონ მივუყრი ხვალვე. გაიგე, რას გეუბნები? გაიგე?!

— გავიგე.

ფული ისევ ჯიბეში ჩაიკუჭა, ნერვიული მოძრაობით სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— ვიცი, მე იმიტომ გამომყევი, რომ იმას არ გაჰყოლოდი, რომ გავიგო, მიღალატე — მოგკლავ, გაიგე?!

— გავიგე, — მორჩილად პასუხობდა ნინო.

ცხვირსახოცი ამოიღო. ცოლთან მივიდა და სისხლიანი სახე მოსწმინდა. ქალს ტკივილმა ტანში დაუარა და სახე გასწია. მაგრამ ცხვირსახოცი გამოართვა და თვითონვე მიიდო ნესტოებზე. ცხვირიდან სისხლი ისევ სდიოდა.

— ვინ არის დათო მეზვრიშვილი? ჩათლახი, გარეწარი, გაიძვერა, რბილი ეკალი, — ბობოქრობდა ვახო და ოთახში მიდიმოდიოდა, ნაფაზს ნაფაზე არტყამდა, — ყველა დროს რომ ერგება, ყველაფერს რომ ფულით ზომავს, ფულის მეტი რომ არაფერი ახსოვს. კაციშვილი რომ მაგას პატივს არ სცემს და ზურგს უკან ყველა აფურთხებს. ვისში მცვლი? ის არის კაცი? — მამამისით იქცა კაცად. მე რაიონში პირველი ვეტერინარი ვიყავი. რატომ არავინ შემამჩნია? იცი, საიდან აქვს მაგას ფული? არეულობით ისარგებლა. სახელმწიფო ბანკიდან ფირმის სახელით მილიონები გამოიტანა კრედიტით. ჩემთვის კიდევ არავის არაფერი მოუცია — ჩემი ალალი მარჯვენით ვცხოვრობ, რითი მჯობია?! იცოდე — ჩემი დროც დადგება. მაგას და მაგისთანებს პასუხს მოსთხოვენ ქვეყნის ღლეტისთვის. აი, რითი მჯობია დათო მეზვრიშვილი! შენც ფულზე გაიყიდე, არა?

— ვახო! — შეეცადა სიტყვის ჩართვას ნინო.

— გაჩუმდი! მე ყველაფერი ვიცი, ნინო. მე ყველაფერი ვიცი — რომ არ გიყვარდი, ისიც ვიცი. შვილი რატომ არა გვყავს, ისიც ვიცი! — ისტერიკულად დაიყვირა ბოლოს.

— ვახო, შენ ყოველთვის მთვრალი ხარ... — უაზროდ შეეცადა თავის მართლებას ნინო.

— სტყუი!!! ისევ სტყუი!!! მაგრამ მაგ ტყუილსაც გპატიობ. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს გპატიობ. ერთხელ ხომ არ-ჩიე ჩემი თავი დათოს. მესმის, ყველაფერი კარგად მესმის და ამიტომაც ყველაფერს ვაკეთებ, კარგად რომ იცხოვრო, შენი სიყვარული რომ დავიმსახურო, არაფერი რომ არ მოგაკლდეს... ღალატს კი, არ გაპატიებ, გაიგე?!

ნინომ მორჩილად დაუქნია თავი:

— გავიგე!

მისაღებში ვახტანგი ელოდებოდა. კაბინეტში კი, დათოს რაიონის ბანკის მმართველთან ჰქონდა „დელიკატური“ საუბარი:

— ემზარ, — ეუბნებოდა სავარძელში გადაწოლილი დათო, — ერთი ჩემი ახლობლის გამო შეგაწუხე. სამიოდე წლის წინ პატარა ფირმა გახსნა. ახლა წვრილ-წვრილ კერძო ვალებშია გადავარდნილი და უფრო და უფრო იძირება. შეგვიძლია, სესხით დავეხმაროთ?

— გამოვნახავთ რამეს, ძმაო, შენი ხათრით... — ხელები გაშალა ბანკის მმართველმა, — მოვიდეს და... ხომ იცით „სტავკები“ გაიზარდა... ძაან მოუჭირეს იქა, ზემოთ... რადგან შენი ახლობელია, რა გაეწყობა, თორემ... ხომ გესმის.

— ყველაფერი მესმის. აქ არის, გველოდება. დავუძახო? — დათო პასუხს აღარ დაელოდა. სელექტორის ღილაკს ხელი დააჭირა და მდივანს უთხრა — უნდილაშვილი შემოვიდესო.

დათო კარებშივე შეეგება ვახოს. ხელი ჩამოართვა და ბანკის მმართველს წარუდგინა:

— აი, ბატონო ემზარ, ვახტანგ უნდილაშვილი, დაუზარელი და შრომისმოყვარე კაცი. კაი ქართველი. ახლა რომ გეუბნებოდი, ის კაცია.

ვახომ და ბანკის მმართველმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— ჰო, კი ბატონო, დათო, შენ კი იცი, რა რთულია ახლა ეგ საქმე, მაგრამ თუ შენ ბრძანებ, რაზეა ლაპარაკი... ერთი სიტყვით, შეუძლებელი უნდა შევძლოთ.

დათომ ვახტანგს მხარზე ხელი დაადო და თქვა:

— ჩვენი მხრიდან ყველაფერი რიგზე იქნება. ფირმა რეგისტრირებულია. საბუთები, ყველაფერი წესრიგში აქვს.

— კარგი, ბატონო. რამდენი გავუფორმოთ?

ბანკის მმართველმა ვახოს შეხედა.

— ათი ათასი... — უხერხულად დაიწყო ვახომ.

— ორმოცდაათი ათასი დოლარის ეკვივალენტი გაუფორმე! — ბრძანების ტონით წარმოთქვა დათომ, გამომცდელად შეხედა ემზარს და თვალი ჩაუკრა: — შევძლებთ?

ბანკის მმართველმა თანხმობის ნიშნად ხელები გაშალა:

— სხვა რა გზაა? დათო მეზვრიშვილის თხოვნა კანონის ტოლფასია, — უნდა შევძლოთ.

ვახოს ლამის გული საგულედან ამოუვარდა.

— ორმოცდაათი ათასი დოლარი? — გაიმეორა იმის შიშით, ხომ არ მომეყურაო.

— მაშ ნუღარ გადავდებთ, ემზარ. სულ ეს არის, ამაზე შეგაწუხე, — მიმართა დათომ ბანკის მმართველს და გამომშვიდობების ნიშნად ხელი გაუწოდა.

— არის, ბატონო, — თითქმის მხედრულად გაეჭიმა ემზარი და ვახტანგს მიუბრუნდა: — დღესვე ამობრძანდი ჩემთან — ბარემ განცხადებას დაგაწერინებ. გაოცებისაგან თვალებგაბრწყინებული ვახო თითქოს ყურს არ უჯერებდა.

— კარგი, ათ წუთში გამოვუშვებ, — უთხრა ემზარს დათომ და როცა ის გავიდა, ვახოს სკამზე მიუთითა — დაჯექიო. თვითონ მის წინ, პირდაპირ მაგიდაზე ჩამოჯდა.

— თქვენ ახლა იმხელა საქმე გამიკეთეთ... — დაიწყო მადლიერების გამოხატვა ვახომ.

— არ გვინდა ამაზე ლაპარაკი, — გააწყვეტინა დათომ, — ჩვენ მეგობრები უნდა ვიყოთ. ქალბატონი თამარი და ცხონებული შალვა ჩემი ოჯახის ძაან ახლობელი ადამიანები იყვნენ და ახლაც არიან.

— როგორ გადავიხდი ამხელა პატივიცემას?! — ჩაილაპარაკა ჯერ კიდევ გაოგნებულმა ვახომ.

— მაგას ახლავე აგიხსნი. დაგიჯდება თუ არა ფული ანგარიშზე, უცებ იყიდე ნაღდი დოლარი: 15 ათასი, კაცურად უნდა დატოვო ადგილზე. ჩვენი ფული ინფლაციას განიცდის: დარჩენილი 35 ათასიდან

ექვს თვეში 15-20 ათასით კრედიტს დაფარავ, ნაღდი 15-20 ათასი დოლარი დაგრჩება, და თუ ჭკუით მოიხმარ... – კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა: – ერთი სიტყვით, მერე უკვე შენი საქმისა შენ იცი. შევთანხმდით?

– შევთანხმდით, მაგრამ თქვენთვისაც მინდა პატივისცემა, – შესცინა ვახომ.

– ამაზე ლაპარაკი არ გვინდა-მეთქი, – ხელი ასწია დათომ. – მაგრამ ახლა მე სხვა რამეზე მინდა, გაგესაუბრო. ერთი საინტერესო აზრი დამებადა და შენი პასუხი მაინტერესებს.

– ბრძანეთ! – მოსასმენად მოემზადა ვახო.

– ვახო, ნინოზე მინდა მოგელაპარაკო.

– ნინოზე? – სახე მოეღრიცა უნდილაშვილს.

– ჰო, გამოცდილი პედიატრია, კარგი ექიმი. რაიონში მთავარი პედიატრის თანამდებობა გათავისუფლდა. მე ნინოზე უკეთეს კანდიდატურას ვერ ვხედავ. ახლა, საუბარში მომივიდა ეს აზრი. შენ რას იტყვი? კაცი ხარ, შენს სიტყვას ოჯახში წონა აქვს.

– ნინო – რაიონის მთავარი პედიატრი? – თვალები გადმოსცვივდა ვახოს.

– რა გაგიკვირდა? თუ შენი ცოლის ფასი არ იცი? რა, მაგაზე უკეთესი სპეციალისტი გვყავს ვინმე? როდემდე უნდა გეჯდეს „ბოსტნის ექიმად?!“ – შეაგულიანა დათომ უნდილაშვილი.

– რა ვიცი... ნინო... – ალუღლუღდა ვახო – რამდენია... საჭირო?.. – თითებით ფულზე მიანიშნა რაიონის ვიცე-შეფს.

– არაფერი – მტკიცედ უპასუხა დათომ – მთავარ ექიმს, რასაც ვთხოვ, იმას გააკეთებს. ბოლოს და ბოლოს, რაიონისთვის კარგი საქმეა. შენ ნინოს მოელაპარაკე.

– ჰო... ვცდი.

– არ გაუშვა ეგ შანსი. ექიმი ცოლი გყავს, ბოლოს და ბოლოს. აბა, კარგად იყავი!

ვახო უნდილაშვილი სულ სხვა ადამიანად გამოვიდა მეზვრიშვილის კაბინეტიდან.

1991 წელი იდგა. გიგია ამირანაშვილი პატიმრობიდან ბრუნდებოდა. სოფლის მტვრიან გზაზე მიმავალი, არემარეს აკვირდებოდა და ეჩვენებოდა, თითქოს ათი წლის წინ დატოვებული სოფელი ოდნავადაც არ შეცვლილიყო. შინაგან სიცარიელესა და გაუცხოებას გრძნობდა. სახლამდე ისე მივიდა, არავინ შეხვედრია. ჭიშკარი გამოაღო, ეზო გადაიარა და ხის კიბე ააჭრიალა.

გიგიას გამოღებული კარიდან სიჩუმე და სიცარიელე შეეფეთა, მძიმედ მოიხსნა მხარზე გადაკიდებული ზურგჩანთა და ოთახს თვალი მოავლო. ყველაფერი ძველ ადგილას იდგა: მარჯვნივ პაპის საწოლი, მაცხნივ – გიგიასი, პირდაპირ კედელთან ტანსაცმლის ძველისძველი კარადა. შუაში ასევე ძველი, მასიური ხის მაგიდა. საწოლის თავზე პაპის გადიდებული სურათი დაეკიდათ. მაგიდაზე დიდი ხნის წინ ჩამქრალი სანთლის კვალი დარჩენილიყო. იქვე ყდაგაცრეცილი სახარება იდო.

გიგია პაპის საწოლზე ჩამოჯდა და თავი ჩაქინდრა.

„აი, ჩამოვედი, პაპი, ვებრძოლე და ვეწვალე ამ ცხოვრებას... და დავბრუნდი. შენ კი აღარ დამხვდი. ახლა რაღა ვაკეთო, რა გზას დავადგე, საიდან დავიწყო, ან რა მინდა, როგორ გავერკვე? იქნებ, შენ მაინც რამე გერჩია...“

დიდხანს ფიქრობდა. ძახილმა გამოაფხიზლა და გარეთ გამოვიდა. ღობეს მიყრდნობილი ათიოდე წლის ბიჭი ძველი ნაცნობივით მიესალმა გიგიას და აუხსნა, რომ მეზობლებს გაღებული ჭიშკრის დანახვისას ბავშვი გამოეგზავნათ ამბის გასაგებად.

მალე გიგიას ეზოში მეზობლებმაც მოიყარეს თავი. მოკითხვის შემდეგ ნიკამ საღამოს თავისთან დაპატიჟა ხალხი.

გვიანობამდე ისხდნენ სუფრასთან. გიგიას ღვინო მოეკიდა და სახლში დაბრუნებული, გაუხდელად მიწვა ლოგინზე. თავში მეზობლების ხმები ერეოდა, თუმცა, სასიხარულო არაფერი ისმოდა, ერთი მჭახე ხმა განსაკუთრებით გამოირჩეოდა.

– არ იქნება მშვიდობა, მე ასე ვატყობ, რუსეთი არ შეგვეშვება... აგე, ცხინვალში იმდენი ხალხი დაიღუპა... სულ რჩეული ვაჟკაცები. მიკვირს, როგორ წევეკიდენით ჩვენ და ოსები. ახლა კიდე აფხაზეთში ძაან დაძაბულობაა. მე მაგისა უფრო მეშინია... უუჰ, დედა ვატირე მაგისა... თუმცა, ღმერთი მაღალია, ყველაფერი მისი ნებაა, როგორც ცხონებული პაპაშენი ამბობდა ხოლმე...

რესტორნიდან ხმაურით გამოვიდნენ მოქეიფეები. დათო რაიონის მთავარ ექიმს ემშვიდობებოდა.

– უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ბატონო ოთარ, მოწვევისთვის. ექიმებმა შრომაც იცით და დასვენებაც. დიდებული ბანკეტი იყო. აბა, კიდევ ერთხელ გმადლობთ და კარგად ბრძანდებოდეთ!

– რისი მადლობა, დათო ბატონო?! – იუარა მთავარმა ექიმმა. – პირიქით – მადლობლები ჩვენ ვართ, რომ გვეწვიეთ. თქვენთან ყოფნა ყოველთვის გვიხარია.

დათოსთან გამომშვიდობებისა და მადლობის თქმის სურვილი ყველა მოქეიფემ გამოამჟღავნა: ზოგი მეგობრულად ართმევდა ხელს, ზოგი მოწიწებით ემშვიდობებოდა. დათომ ქალბატონებს თავისი სამსახური შესთავაზა:

– ქალბატონო ნინო, ქალბატონო ნონა, ჩემს მანქანაში დაბრძანდით, ერთი გზა გვაქვს – სახლამდე მიგაბრძანებთ.

– ოჰ, სიამოვნებით, წამოხვალ, ხომ, ნინო? მაშინ თენგიზს ვეტყვი, რომ აღარ დამელოდოს, – ქალი კოლეგას მიუბრუნდა და გასძახა: – თენგიზ! ნუღარ დამელოდები, მე და ნინო ბატონ დათოს მივყავართ.

– კაი, ბატონო, – გაშალა ხელები ისედაც გადატვირთულ მანქანასთან მდგომმა თენგიზმა, – ჩაგვიბარებია თქვენთვის, ბატონო დათო, არ დაკარგოთ – ხომ იცით, ჩვენი საუკეთესო სპეციალისტები არიან, – გაეხუმრა თენგიზი დათოს.

დათომ გაუცინა – ნუ გეშინიაო, დაამშვიდა და მანქანის საჭეს მიუჯდა.

შუაღამე გადასული იყო, ტყისპირას მდგარ დათოს მანქანაში მგზავრის წინა, გადაწეულ სავარძელზე ნინო საზურგეზე იყო მისვენებული, დათო გვერდით ეჯდა და ნეტარი სახით თვალდახუჭული უსმენდა მუსიკას. ნინო დათოზე ფიქრობდა: ნამდვილად ჭკვიან, ზრდილ და კეთილ ადამიანად ხატავდა მისი ფანტაზია ახალგაზრდა კაცს. არც გარეგნობა აკლდა, გარშემომყოფთა პატივისცემითაც სარგებლობდა, თავმოყვარეობა და ღირსება ისეთი ჰქონდა, ბევრს რომ შეშურდებოდა. ცხოვ-

რების შნო და ნიჭი გამოიჩინა — ამ ცხოვრების ბედუკუღმართობამ ვერ წააქცია, ვერ დაჩაგრა. თავისი ადგილი იპოვა და მყარადაც დაიკავა. მაშ, კიდევ რაღა უნდა ნამდვილ მამაკაცს?! ცხოვრება ხომ ერთია, ერთი და წარმავალი, ასეთი მოკლე... ხომ უნდა შეგეძლოს ადამიანურად გალიო იგი? დათო რომ არა, ნინო ალბათ ვერასოდეს იოცნებებდა ექიმობაზე. სულ დედამთილის გვერდით მოუწევდა ჯდომა და ბოსტნის ქექვა. ვახო კი... დათოს ფონზე ისე უსუსურად მოჩვენა. ცოტაოდენი ფული ისევ დათოს მეშვეობით იშოვა და ლამის ისევ ქარს გაატანოს. უაზროდ, ქარაფშუტულად ფანტავს...

ნინოს ფიქრები აემღვრა და ხასიათი გაუფუჭდა.

— ნინო! — გამოარკვია ფიქრებიდან დათომ.

— ჰო.

— მე შენ სიურპრიზი მოგიმზადე.

— ხომ იცი, რომ არ მიყვარს სიურპრიზები?! — უპასუხა ნინომ.

— ძვირფასო, მე მინდა, რომ შენ გაგახარო. აი, ნახე!

დათომ პიჯაკის ჯიბიდან მომცრო კოლოფი ამოიღო და ნინოს გაუწოდა.

— მიიღე, ეს ჩემი უზომო სიყვარულის ნიშნად.

ნინომ კოლოფი გახსნა. მთვარის შუქზე ბრილიანტის ბეჭდის ციალმა თვალი მოსჭრა ქალს.

— ღმერთო, ჩემო, რა ლამაზია! — აღტაცება ვერ დამალა ნინომ. — ძალიან ლამაზია, მაგრამ... რა ვქნა, სად გამოვაჩინო?

— რას ამბობ?! ასეთი სამკაული შენისთანა ქალს რომ არ ამშვენებდეს, უსამართლობა იქნება. არ შეიძლება, მადლიერმა პაციენტმა გაჩუქოს?

— გმადლობ, დათო. შენ ჩემთვის ძალიან ბევრს ხარჯავ... — მსუბუქად უსაყვედურა ნინომ.

— არც გაიფიქრო.

დათომ ისევ მოიქექა ჯიბეები.

— ეს სანთებელა კი ვახოს გადაეცი. პაციენტს ხომ შეიძლება, მამაც ჰყავდეს.

ნინომ, ქმრის ნაცვლად, დამცირებულად იგრძნო თავი:

— ძალიან ცუდი ხარ.

— რატომ? — რომ მიყვარხარ, იმიტომ?

— არა, იმიტომ არა. გაანებე იმ საცოდავს თავი. ცოლი წაართვი, მეტს რაღას ერჩი?

— არა, არა. არ მინდა, რომ ასე გაიგო. ვახოსთან მე მაინც... მაინც ამხანაგური ურთიერთობა მაქვს... კარგი, მე თვითონ ვნახავ.

მანქანაში ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ძალიან გაწყენინე? — ჰკითხა შემპარავად.

— ნწუ!.. — იუარა ქალმა და მხარზე მიეყრდნო. — დედაჩემთან ჩამიყვანე.

— სახლში არ მიდიხარ? — ჰკითხა დათომ.

— არა. გავაფრთხილე, დღეს დედაჩემთან დავრჩები-მეთქი. არ მელოდებიან.

— კარგი.

დათომ მანქანა ნინოს სახლთან, შორიახლოს გააჩერა.

— კარგი, წავედი. კარგი საღამო იყო... ნახვამდის, — უთხრა ქალმა და ლოყაზე ეამბორა.

დათომ თავი დაუჭირა და ტუჩებში ვნებიანად აკოცა.

— კარგი, კარგი, წავედი, — დაფაცურდა ნინო.

— ნინო, კიდევ ერთი რამ, მოიცა — შეაყოვნა დათომ.

— რა იყო?

— ნინო, სხვაგვარად არ გამიგო... ამ შემოდგომაზე... ერთი სიტყვით, ცოლს ვირთავ.

ნინოს კინაღამ თვალთ დაუბნელდა. ოდნავ გაღებული კარი ისევ მოხურა. აბნეულად გაიღიმა. თმა შეისწორა.

— ცოლს?.. ცოლს ირთავ?.. თუმცა, რატომაც არა?!

დათო დამნაშავესავით შეჰყურებდა ქალს.

— სხვანაირად არ გაიგო... იქ, ზემოთ... უცოლო კაცს მაინც არასერიოზულად უყურებენ... კარგი გოგოა... ერთი სიტყვით...

ნინომ ხელები გაასავსავა:

— მესმის, მესმის... ყველაფერი მესმის...

— ნინო, მე შენ მიყვარხარ და სულ მეყვარები, იცოდე. ეს სხვაა...

— ჩუმად, ჩუმად დათო, არ გვინდა... — ქალს უეცრად, თვალებზე ცრემლი მოადგა.

— კარგი ახლა, — შეეცადა მის დამშვიდებას დათო, — ოდესმე ხომ უნდა მეთქვა...

ნინომ უცებ თითქოს რაღაც მოიფიქრა, ერთბაშად შეწყვიტა ტირილი. ცრემლები მოიწმინდა:

— კარგი, კარგი, ბედნიერი იყავი.

გადავიდა მანქანიდან და თითქმის სირბილით გაემართა მამისეული სახლისკენ, მანქანაც სწრაფად მოსცილდა იქაურობას.

ქუჩაში ჩქამი არ ისმოდა. აფორიაქებულმა ქალმა სიბნელეში ვერ შენიშნა ჭიშკრის შორიახლოს მდგარი მამაკაცის სილუეტი.

— ნინო! — დაუძახა კაცმა.

ნინო შეკრთა და შეშინებული მიაჩერდა სილუეტს.

— ნინიკო! — გაიმეორა სილუეტმა.

ნინომ ხმა იცნო.

— გიგი?

— ჰო, ნინო, — გიგიას ხმაში მოკრძალებაც იყო, მონატრებაც და ვედრებაც.

ნინო მთვარეულივით წავიდა გიგიასკენ და გულზე მიეყრდნო. გაიტრუნა.

გიგია გაუბედავად მიეფერა მხრებზე.

— მინდოდა, მხოლოდ თვალი მომეკრა შენთვის, მაგრამ თავი ვერ შევიკავე...

ნინოს მხრები აუთრთოლდა. კანკალი ვეღარაფრით შეიკავა.

— რატომ... შემეხმიანე?

— ვერ შევძელი. მაპატიე, ნინო.

— რატომ შემეხმიანე? — ნინო უკვე გულამომჯდარი ტიროდა. — რატომ გამოჩნდი? რატომ დაბრუნდი?

— ჩუ, ნინი. მეზობლები გაიღვიძებენ. სირცხვილია. რას იფიქრებენ?!

— გაიღვიძონ. — ნინოს ისტერიკა აუვარდა — გაიღვიძეთ! რაც უნდათ, ის იფიქრონ, რატომ „გაცოცხლდი“, გიგი!

ქალი მკერდში მუშტებს ურტყამდა გიგიას, სახეს უკაწრავდა.

— ნინო, ჩუმად, ჩემო სიცოცხლევ, ნუ გეშინია, დამშვიდდი, ნინო, — ამაოდ ცდილობდა გიგია ნინოს დამშვიდებას.

— გიგი, რად გაცოცხლდი, რად გაცოცხლდი, შე ბოროტო ადამიანო, შე საზიზღარო! რად გაცოცხლდი. რა მიქნი, გიგი!!!

ჩაბნელებულ სახლებში ალაგ-ალაგ ნავთის ლამპები აინთო. გიგია აფორიაქდა.

— ნინო, ნინო, გამოვა ვინმე... გამაგრდი, გაჩუმდი. გამაგრდი, ნინო... — გიგია ცდილობდა, ქალისათვის ხელები დაეჭირა და შეეჩერებინა. არაფერი გამოსდიოდა.

— ხელი გამიშვი, ნუ მაჩერებ, რატომ გაცოცხლდი, გიგი. გამიშვი ხელი! რატომ გაცოცხლდი, გიგი!!!

ეზოს ჭიშკარი გაიღო და ქუჩაში, ანთებული ლამპით ხელში, ნინოს დედამ გამოიხედა.

— ნინო, შვილო. შენა ხარ? ვაი, შენ, ჩემო თავო!

— მე წავედი, ნინი, — გიგიამ ნინოს ხელი გაუშვა და სიბნელეში გაუჩინარდა.

ნინომ წაიბორძიკა და სიბნელეს წაეპოტინა. ერთ წამს იყუჩა. მერე დედას მიუბრუნდა:

— დედა, დედა, გიგია გაცოცხლდა! დედი, გიგია გამიცოცხლდა! გიგი, სადა ხარ? დედა, გიგია დაბრუნდა. რატომ გაცოცხლდა, დედა, გიგია?!

— ღმერთო, შენ მიშველე! რა მოგივიდა შვილო?

თამარი შვილისაკენ გამოიქცა. ლამპა ხელიდან გაუვარდა და გატყდა. ქალიშვილს მიეჭრა და ჩაიხუტა.

— წამოდი, შვილო, შინ წავიდეთ, დედა გენაცვალოს.

ნინიკო სიბნელისაკენ იყურებოდა და დაჟინებით ეძახდა გიგიას.

მთელი ღამე ამშვიდებდა თამარი შვილს.

გაგრძელება იქნება

ბანდერას-გრიფიგის წყვილი

ჯონ ტრავოლტა

ვარსკვლავური სახლები

„ჩემი სახლი — ჩემი ციხესიმაგრეა“ — ეს ძველი ინგლისური გამოთქმა კარგად გაითავისეს კინოსა და შოუბიზნესის ვარსკვლავებმა. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა საცხოვრებელი უცხო თვალისგან რაც შეიძლება საიმედოდ იყოს დაცული. და მართალნიც არიან. მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ათასობით მსმენელ-მაყურებელთა კერპები საუცხოო პირობებში ცხოვრობენ, თითქმის არაფრის თქმას ნიშნავს.



შონ კონერი

ჯონ ტრავოლტასა და მისი მეუღლის კელის ყველაზე ძვირად ღირებული სახლი მენის შტატში მდებარეობს. მასში 20 საძინებელია. სახლი 7,5 მლნ დოლარი ღირს. ფლორიდის შტატის დეიტონა-ბიჩში მდებარე ვარსკვლავის მამულის გვერდით, ასაფრენი ბილიკიც კია მოწყობილი, მაგრამ ყველაზე დიდ დროს წყვილი მაინც ლოს-ანჯელესის გარეუბანში – ბრენტვუდის კარმიდამოში ატარებს, რომელიც ტრავოლტამ 1997 წელს შეიძინა. ესპანურ სტილში აგებული ვილის საერთო ფართობი 800 კვადრატული მეტრია. საძინებლები ამ სახლში ნაკლებია – სულ ექვსი. სპეციალისტთა აზრით, ტრავოლტამ მისი გაყიდვა რომ მოინდომოს, მასში სულ ცოტა, 3,7 მლნ დოლარს გადაუხდიან. სწორედ ამ ვილაში, მსახიობსა და მის ოჯახს 24 კაცი ემსახურება: მზარეულები, დამლაგებლები, ძიძები, მძღოლები, მასაჟისტები. „მათი მზარეულები შეიძლება ნებისმიერ რესტორანს შეშურდეს, – ამბობს მსახიობის მეგობარი, – ისინი ყოველდღე რამდენიმე ათეული კერძისგან შემდგარ ახალ მენიუს ადგენენ, პატრონების არჩევანის დასაკმაყოფილებლად“. და მაინც, თუკი წყვილსა და მის შვილებს უეცრად ჰამბურგერის მირთმევა მოესურვებათ, ისინი არა „მაკდონალდსში“, არამედ ძვირფას „ბევერლი ჰილზ ოტელში“ მიემართებიან, აპარტამენტს ქირაობენ და პირდაპირ ნომერში უკვეთენ ჰამბურგერებსა და შემწვარ კარტოფილს.

ჯონს ძალიან უყვარს ბრენტვუდის მამული, განსაკუთრებით კი – ვეებერთელა საძინებელი. მეფური საწოლის გვერდით დიდი, მრგვალი მაგიდა დგას, ამ მაგიდასთან წყვილი სანთლების შუქზე ვახშმობს ხოლმე. და კიდევ – ტრავოლტასა და მის მეუღლეს ძალიან უყვართ დიდ სასტუმრო ოთახში ერთად ყოფნა, რომელიც ყველაზე სრულყოფილი აუდიოსისტემით არის აღჭურვილი: აქ ისინი საყვარელ სიმღერებს უსმენენ და თან ცეკვავენ.

საყვარელი ვილა კევინ კოსტნერსაც აქვს. ლოს-ანჯელესის გარეუბანში – ჰოლივუდ-ჰილზში მდებარეობს და საკუთარი დასახელება – CASA DI PACE-ც კი აქვს, რაც იტალიურად „მშვიდობის სახლს“ ნიშნავს. ეს 1350 კვადრატული მეტრის ფართობის ვილა ადრე სხვა მსახიობს – რიჩარდ დრეიფუსს ეკუთვნოდა. ექვსი წლის წინ, მეუღლესთან განქორწინების შემდეგ, კოსტნერმა თანაშემწეს ახალი სახლის შერჩევა სთხოვა. ძიების შედეგად, „მშვიდობის სახლს“ მიადგნენ. საკმარისი იყო, კევინს ვილაში ერთი ღამე გაეტარებინა, რომ მეორე დილითვე ნასყიდობის საბუთს დაუფიქრებლად მოაწერა ხელი. შემდეგ თავისი მეგობარი დიზაინერი მიიწვია (ისინი ერთად მუშაობდნენ ფილმებზე – „ცეკვა მგლებთან ერთად“ და „პირადი მცველი“), რათა მას ვარსკვლავის საცხოვრებელი საფუძვლიანად შეეცვალა. „მინდოდა სახლს განსაკუთრებით რომანტიკული იერი ჰქონოდა“, – აღიარა კევინმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

ერთი წლის წინ კოსტნერს ჰოლივუდ ჰილზში ახალი სახელგანთქმული მეზობელი – ლეონარდო დი კაპრიო შეემატა. დი კაპრიომ 60-იან წლებში აგებული 450 კვმ ფართობის


ლეონარდო
დი კაპრიო

სახლი 3 მილიონ დოლარად შეიძინა. სახლიდან ლოს-ანჯელესის მშვენიერი ხედი იშლება, მას სამი საძინებელი, ოთხი სააბაზანო და სამი ბუხარი აქვს, ეზოში კი, დიდი აუზია. რამდენიმე წლის წინ ლეონარდომ მალიბუში შეიძინა სახლი, მაგრამ იქ მუდმივად დედამისი ცხოვრობს.

ნამდვილი ვარსკვლავური სახლი ერგო ბრენტვუდში დილან მაკდერმოტს 4 მილიონ დოლარად. 20-იან წლებში ესპანურ სტილში აგებულ ვილაში, რომლის ფართობი 360 კვადრატული მეტრია, ბოლო სამი წლის მანძილზე ცხოვრობდნენ ანტონიო ბანდერასი, მეუღლესთან – მელანი გრიფიტთან და ბავშვებთან ერთად, უფრო ადრე კი – მსახიობი მიშელ პფაიფერი ქმართან, პროდიუსერ დევიდ კელისთან ერთად. ცოტა ხნის წინ ბანდერასმა ვილა კაპიტალურად გაარემონტა და მასში გარკვეული ცვლილებებიც შეიტანა. ექვს საძინებელ და ოთხ სააბაზანო ოთახთან ერთად, იქ სამი ბუხარი და დიდი ბიბლიოთეკა გაჩნდა, ეზოში კი – შადრევანი.

ბანდერასი და გრიფიტი კი უფრო დიდ ვილაში გადავიდნენ, რომლის ფართობი თითქმის 1,4 ათასი კვადრატული მეტრია და ლოს-ანჯელესის სხვა გარეუბანში – ჰენკოკ-პარკშია განლაგებული. იქ ცხრა საძინებელი, ზამთრის ბაღი, საცეკვაო, სავარჯიშო დარბაზები, მუსიკალური სტუდია და საუნაა.

დაახლოებით ერთი წლის წინ 5,5 მილიონ დოლარად შეფასებულ სახლში გადავიდა შერონ სტოუნი. სახლი სან-ფრანცისკოს ყურეს გადაჰყურებს. უზარმაზარ, მანსარდიან, ორსართულიან სახლში ექვსი საძინებელი და შვიდი სააბაზანოა, იქვეა პატარა კინოდარბაზიც. „შერონისთვის ეს ოცნების სახლია – უყვებოდა ჟურნალისტებს მსახიობის მეგობარი ქალი, – ბევრი რამ იქ მისი თხოვნით გადააკეთეს. შერონი პირადად აკონტროლებდა სახლში მიმდინარე სარემონტო და სამშენებლო სამუშაოებს“.

არც შონ კონერია გულგრილი საკუთარი საცხოვრებელი პირობების მიმართ. მხატვარ მიშლინზე დაქორწინების შემდეგ მან ლონდონში, ჩელსის სანაპიროზე მდებარე შესანიშნავი ბინა 60 ათას გირვანქა სტერლინგად გაყიდა და ახალი სახლის საძებნელად პირენეებზე გაემართა. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაუფუჭდებოდა გუნება მსახიობს, როცა 5 წლის შემდეგ ლონდონში დაბრუნებულმა, შეიტყო, რომ მისი ყოფილი ბინის ფასი 300 ათას გირვანქა სტერლინგამდე გაზრდილიყო.

ამ დროს, შონისა და მიშლინის ესპანური „ბუდე“ – თეთრი კედლით შემოსაზღვრული საკურორტო დაბა მარბელის მახლობლად მდებარე ვილა მთლიანად მიშლინის შეკვეთით დამზადებული ანტიკვარული სტილის ავეჯით არის გაწყობილი. „ეს ყველაფერი მისი ნაშრომია, – ღიმილით აღნიშნავს სერ შონ კონერი, – ჩემი როლი ბევრად მოკრძალებული იყო: მე მხოლოდ ხარჯები ვიკისრე“. ვილის მარმარილოთი მოპირკეთებული მისაღები დარბაზის „ღირსშესანიშნაობას“ სახლის პატრონისა და მისი ვაჟის – ჯეისონის უზარმაზარი ფერწერული სურათი წარმოადგენს.

მსახიობს ამ სახლის გაყიდვა მოუხდა – 10 მლნ გირვანქა სტერლინგად. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ კონერის კარმიდამოს მახლობლად პლაჟები, ბარები და სანაპირო პანსიონების ხმაურიანი მშენებლობები გაჩნდა. „შონს ეს გუგუნი მოსწყინდა“, – აღნიშნა მისმა ერთმა მეგობარმა. მაგრამ მსახიობს დარჩა ბინა ლოს-ანჯელესში და ბაგამის „მდიდართა დასახლებაში“, შეძლებულთა დაცულ ტერიტორიაზე მდებარე ვილა, რომელიც 2 მლნ გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. სწორედ იქ გადავიდა ოჯახი საცხოვრებლად. თუმცა, სამშობლოსთან 45 წლიანი განშორების შემდეგ კონერიმ ექვსოთახიანი სახლი შეიძინა ქალაქ პერტშირში. ეს მამული მას 1,2 მლნ გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. ■


შერონ სტოუნი

ლეგენდარული მანქანის შემქმნელი ენცო ფერარი

მისი დებიუტი 1919 წლის ოქტომბერში შედგა და მეოთხე ადგილით დაგვირგვინდა.

სხვა რა სიტყვა შეიძლება უწოდო მას, თუ არა დიადი?! კაცს, რომელმაც იშვიათი სპორტული ავტომობილები, განუმეორებელი დიზაინერული სტილი შექმნა და ამით თავისი სახელი უკვდავყო. მას ახლა 103 წელი შეუსრულდებოდა.

მომავალი მეწარმის, ავტომრბოლელისა და დიზაინერის ენცო ანსელმო ფერარის ცხოვრება იმთავითვე უჩვეულო იყო: 1898 წლის 18 თებერვალს, იტალიის ქალაქ მოდენას გარეუბანში დაბადებული ბავშვი, მშობლებმა ორი დღის მანძილზე რეგისტრაციაში ვერ გაატარეს, რადგან ძლიერი თოვის გამო ცენტრამდე ჩასვლა ვერ მოახერხეს...

10 წლისა იყო, როცა ენცო და მისი უფროსი ძმა ალფრედო მამამ ბოლონიაში, ავტორბოლის სანახავად წაიყვანა. ის შეჯიბრება იმ დროს სახელგანთქმულმა ფელის ნაზარომ მოიგო, თვით შეჯიბრებამ კი გაუხუნარი შთაბეჭდილება მოახდინა ბიჭზე.

ენცო ადრე დაობლდა მამით და მაშინვე სკოლისთვის თავის დანებება და ოჯახის რჩენაში მონაწილეობის მიღება მოუხდა.

1918 წელს, პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისა და დემობილიზებისთანავე, ენცო „ფიატის“ საავტომობილო კომპანიაში მუშაობის დაწყებას ცდილობს, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, ვაკანსია არ დახვდა. იმავე წლის დამლევს, ტურინში, გამომცდელი მძღოლის ადგილს შოულობს ერთ მომცრო კომპანიაში, რომელიც მილანში მდებარე იტალიურ-არგენტინული კომპანიისთვის შასის აწყობას აწარმოებდა.

ერთი წლის შემდეგ ახალგაზრდა ფერარი მილანში, კომპანიაში CMN (COSTRUZIONI MECCANICHE NAZIONALI) გადადის და მალე საავტომობილო რბოლებში მონაწილეობასაც იწყებს. ამ საქმეში მისი დებიუტი 1919 წლის ოქტომბერში შედგა და მეოთხე ადგილით დაგვირგვინდა.

იმავე წელს იგი მეორე შეჯიბრებაშიც გამოვიდა, მაგრამ უარესი შედეგი აჩვენა, რადგან საწვავის ავზის სამაგრ ღვედებთან დაკავშირებული პრობლემის გამო, გზაში 40 წუთი დაკარგა.

1920 წელს ენცო 6 ლიტრიანი, 4 ცილინდრიანი ALFA ROMEO TYPE 40/60-ით ახალ რბოლაში მონაწილეობს. ასე დაიწყო ენცო ფერარის ურთიერთობა მილანელ ავტომწარმოებლებთან, რომელიც 20 წელი გაგრძელდა და, კარიერა – რომელმაც გამომცდელი მძღოლი და ავტომრბოლელი, თავიდან კომერციული თანაშემწის, შემდგომ კი კომპა-

10 წლის ენცო ფერარი (მარცხნივ) და მისი ძმა ალფრედო

ფერარი მხოლოდ მცირე პარტიებად და მხოლოდ ხელით აწყობილ მანქანებს აწარმოებს. ისინი უდიდესი სისწრაფითა და იშვიათი სილამაზით გამოირჩევა.

ნია ALFA RACING DIVISION-ის დირექტორის პოსტამდე მიიყვანა. ეს თანამდებობა ფერარის 1939 წლის ნოემბრამდე ეკავა.

1923 წელს ფერარიმ ერთ-ერთ რბოლაზე გამარჯვების მიღწევის შემდეგ, გრაფინია BARACCA გაიცნო, რომელმაც მას თავისი წარწერიანი ფოტოსურათი უსახსოვრა და იდეაც უკარნახა: რბოლების დროს, თილისმის სახით, თავის ავტომობილებზე გაჭენებული ცხენის სილუეტი გამოეყენებინა.

1927 წელს, ერის წინაშე სპორტში მიღწეული ღვაწლის აღსანიშნავად, ფერარის საპატიო წოდება — COMMENDATORE მიენიჭა. იმავე წელს ენცო MODENA CIRCUIT-ის რბოლაში, ALFA ROMEO 6C 1500-ით იმარჯვებს. მომდევნო წელს ის იმავე რბოლაში და იმავე მანქანით გადის პირველ ადგილზე. 1929 წელს მოდენაში ის უკვე თავის საკუთარ გუნდს — SCUDERIA FERRARI-ს აყალიბებს, რომელიც დღემდე არსებობს და სხვადასხვა სერიის უამრავ რბოლაში იმარჯვებს. ენცო ფერარიმ მაშინ დაიწყო სპორტულ ძრავებზე ინტენსიური მუშაობა, გარდა იმისა, რომ თავის გუნდთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა საავტომობილო (ძირითადად, „ალფა რომეოს“ მანქანებით) და მოტორბოლებში.

1931 წლის 9 აგვისტოს ენცო ფერარიმ თავის ბოლო რბოლაში მიიღო მონაწილეობა: ამ დროს ის მამობისთვის ემზადებოდა (ალფრედო, რომელსაც უმეტესად, უბრალოდ დინოს ეძახდნენ, 1932 წლის იანვარში დაიბადა), თანაც, სპორტული დირექტორის მოვალეობები სულ უფრო მეტ დროს ართმევდა.

თავისი პირველი სარბოლო ავტომობილი ენცომ 1937 წელს „ალფა რომეოსთვის“ ააწყო და ALFA ROMEO 158-ს — მეტსახელად ALFETTA დაარქვა.

ორი წლის შემდეგ კი, კომპანიასთან წარმოქმნილი უთანხმოების გამო (ფერარი, მის მიერ შექმნილი ავტომობილების დასახელებაში თავისი გვარის შეტანას მოითხოვდა), მისი გუნდი გამოეყო „ალფა რომეოს“ და ენცომ მოდენაში თავისი საწარმო — AUTO AVIO COSTRUZIONI FERRARI დააფუძნა. მილანიდან წასვლისას, ის დარწმუნებული იყო, რომ ოდესმე დაჯაბნიდა გუნდს, რომელშიც თავად იზრდებოდა 20 წლის განმავლობაში.

„ფერარის“ ქარხანაში ორი სარბოლო საავტომობილო მოდელის შექმნის სამუშაო მიმდინარეობდა, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ის მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ განახლდა. იმთავითვე შორს გამიზნული გეგმა იმით გამოირჩეოდა, რომ 12 ცილინდრიანი 1500 კუბ.სმ ტევადობის ძრავა არა მარტო სარბოლო, არამედ ჩვეულებრივ მანქანებში გამოეყენებინათ. 1947 წლის 2 მარტს ენცო ფერარიმ თავად გამოიყვანა საწარმოს ეზოდან თავისი პირმშო — პირველი 125 S-ი.

ფერარი მხოლოდ მცირე პარტიებად და მხოლოდ ხელით აწყობილ მანქანებს აწარმოებს. ისინი უდიდესი სისწრაფითა და იშვიათი სილამაზით გამოირჩევა.

1956 წლის 30 ივნისი ალბათ ყველაზე მძიმე დღე იყო ენცო ფერარისთვის: კუნთების დისტროფიისაგან მისი შვილი — დინო დაიღუპა. იმ დღიდან 5 თვის შემდეგ კომპანიის ეზოდან 6 ცილინდრიანი 1500 CC FERRARI V6 გამოვიდა, რომლის ძრავაც DINO V6 S-ით იყო ცნობილი...

ფერარი „ლუქსის“ კლასის სპორტულ ავტომობილებსაც უშვებდა. 1969 წელს თავისი კომპანიის აქციათა 50 პროცენტიანი პაკეტი მან „ფიატის“ კონცერნს დაუთმო, მაგრამ 1977 წლამდე ფირმის პრეზიდენტად რჩებოდა. „სკუდერია ფერარის“ გუნდზე კონტროლს კი, ცხოვრების უკანასკნელ დღემდე ინარჩუნებდა. არაერთგზის დაუჯილდოებიათ პრემიითა და სხვადასხვა ჯილდოთი, რაც საავტომობილო მრეწველობასა და ავტოსპორტში მის მიერ შეტანილ წონად წვლილს ადასტურებდა.

1979 წელს იტალიის პრეზიდენტმა სანდრო პერტინიმ იტალიის რესპუბლიკის დიდი ჯვრის რაინდის წოდებაზე წარადგინა ენცო ფერარი.

1987 წელს მის მიერ შექმნილი უკანასკნელი ავტომობილი — FERRARI F40 ჩაეშვა წარმოებაში. მომდევნო წლის 14 აგვისტო კი უკანასკნელი აღმოჩნდა გამოჩენილი კონსტრუქტორის, ავტომრბოლელისა და ბიზნესმენის, 90 წლის ენცო ფერარისათვის. ■

90 წლის ენცო ფერარი

იოსებ გრიშაშვილმა, თითქოს, ძველ თბილისს-ქალაქს ერთი მონაკვეთი ჩამოაჭრა და მარადისობას გადაულოცა. ეს არა მარტო საკუთარი შემოქმედებით გააკეთა... უამრავ ნივთს, ძველ ფოტოებს აგროვებდა. მის სახლში ინახებოდა ქალაქელი პოეტ-მთქმელების ხელნაწერები, სწორედ ის დაჰკანკალებდა თავზე ყველა თბილისურ ნივთს: ყარაჩოხელთა ქამრებს, კინტოების ხონჩებს, ხალხურ საკრავებს... დღეს ეს ყველაფერი მის სახლ-მუზეუმში ინახება. იქ დრო შეჩერებულია. თავს კვლავ XIX საუკუნის დასასრულს იგრძნობ.

ხარჭაზიანი ამბიკი:

რამდენჯერაც მიყვარდა, ყოველთვის ძლიერ ვიყავი შეყვარებული...

ლელა ჯიყამვილი

იოსებ გრიშაშვილი 1889 წელს დაიბადა. მამამისი ახალგაზრდობაში კალატოზი იყო. რომ დაბერდა, დუქანი გახსნა. ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა. პატარა სოსო, ერთი პერიოდი, ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლობდა, მაგრამ შემდეგ ოჯახმა ფული ვეღარ გადაუხადა და სწავლა შეწყვიტა. მას მხოლოდ 3 კლასის განათლება ჰქონდა... ამას ხელი არ შეუშლია, რომ 1946 წელს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აერჩიათ! იმ მოკლე ხანში, როცა ის გიმნაზიაში სწავლობდა, ბევრ შესანიშნავ პედაგოგთან ჰქონდა ურთიერთობა. გიმნაზიის დირექტორი იმ დროს ექვთიმე თაყაიშვილი იყო, მისი კლასის დამრიგებელი – კოტე მაყაშვილი. სხვათა შორის, იოსებ გრიშაშვილს მუსიკას რამაზ ჩხიკვაძის პაპა ასწავლიდა.

თბილის-ქალაქი მისი ცნობიერების ჩამოყალიბებაში მაინც უმთავრეს როლს ასრულებდა. პოეტი წერდა: „ჩვენი ლამაზი ქალაქის მჩქეფარე ცხოვრება, ჭრელი მოსახლეობის თავისებური ყოფა, ეროვნულ საკრავებზე დამკვრელ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ, ხალხურ მომღერალთა სიმღერა, იმპროვიზაცია დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე და მინერგავდა ფერებისა და ჰანგების სიყვარულს. აქ, ძველი თბილისის გულის სიღრმეში არის ბუნებრივი ვეძა (მინერალური წყალი. – ავტ.) – ანკარა წყარო და დასაწყისი ჯადოსნური, ლამაზი პოეზიისა. მე შევსვი ეს წყარო ორივე ხელით და ვამაყობ, რომ ჩემს ძარღვებში მისი მადლიანი ნაკადული მჩქეფარებს“.

21 წლის ბიჭი იყო, როცა ყოველწლიურად დაიწყო საღამოების გამართვა. თუმცა, პროგრამის მონაწილეებს ყოველთვის ცვლიდა, მაგრამ იყო სამი ადამიანი, ვინც უცვლელად მონაწილეობდა მის საღამოებში: ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი და თაგუნა (მაშინ საკმაოდ ცნობილი იუმორისტი). მის კერძო საღამოებზე (1921 წლამდე, დარბაზსაც თვითონ ქირაობდა, მთელი შემოსავალიც მისი იყო და ჰონორარებსაც თვითონ არიგებდა) უამრავი ადამიანი მიდიოდა. როცა საბჭოთა ხელისუფლებამ კერძო საღამოების ჩატარება აუკრძალა, და თვით სახელმწიფომ გადაუხადა იუბილე ორმოციან წლებში, მაშინაც იმდენად ბევრი იყო დასწრების მსურველი, იმდენი ყალბი ბილეთი იყიდებოდა, რომ ცხადი იყო: იოსებ გრიშაშვილის პოპულარულობა კი არ დამცრობილიყო – პირიქით, ისევ ზენიტში კიაფობდა.

იოსებ გრიშაშვილი უნდობლად შეხვდა ახალ ხელისუფლებას. არსებობდა მისი ლექსები ანტისაბჭოთა განწყობილებისა, მაგრამ ისინი ადრე არასოდეს დაუბეჭდავთ... ახლა უკვე არის გამოქვეყნებული. ცოტა ხანი მეტეხის ციხეშიც ივჯდა... თუმცა, ბერიას ჩამოსვლისას, მას უთქვამს ლექსი – „შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს“.

საერთოდ, ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ მოსდიოდა თვალში ზოგი რამ მისი პოეზიიდან. გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ამ რამდენიმე წლის წინად სალიტერატურო საღამო გავმართე ტფილისში. ასეთი საღამო პირველი იყო ჩვენში. სხვა მწერლებთან ერთად გრიშაშვილიც მონაწილეობდა. მან წაიკითხა თავისი მხიარული ლექსი „ბარაშკა-ჯან“. მეორე დღეს საყვედურით ამიკლეს (ზოგიერთმა გაზეთმაც კი), როგორ წააკითხეთ ასეთი უმსგავსო რამო. მე არ ავღელვებულვარ, რადგან ვიცოდი, არც ერთი მოსაყვედურე, ხელოვნების ტაძარში არ ყოფილა, თორემ როგორ დაიწუნებდნენ ხსენებულს ლექსს, რომელიც საუცხოვო სტილიზაციაა ავლაბრის ხალხური პოეზიისა“.

ყოფილა შემთხვევა, როცა ეს ლიტერატურული არმიღება გვარიან ლანძღვა-გინებაშიც გადაზრდილა. განსაკუთრებით, ცისფერყანწელები ვერ ეგუებოდნენ მის პოეზიას. იპოლიტე ვართაგავა წერდა: „ცისფერყანწელები არც ცნობდნენ გრიშაშვილის პოეზიას. ისინი დასცინოდნენ და უმეცარ ხარფუხელ ქუჩის ბიჭად თვლიდნენ. ერთ-ერთმა „ყანწელმა“ გრიშაშვილი ქუჩური სიტყვებით გალანძღა და დაამცირა კიდეც“.

ხალხს მაინც უსაზღვროდ უყვარდა. მას კი ორი დიდი გატაცება ჰქონდა: წიგნები და... ქალები.

იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში 65000 წიგნია. უმეტეს ნაწილს (ალბათ 95%-ს მაინც) აქვს მისი ხელით გაკეთებული შენიშვნები. გადიოდა ხოლმე შაბათ-კვირას გამართულ ბაზრობებზე და გირვანქობით ყიდულობდა ძველ დოკუმენტებს, არჩევდა წიგნებს... ხშირად ისვენებდა წაღვერში. იქაც, თავის მეგობარ, იმ დროს სახელგანთქმულ მსახიობ ლიზა ჩერქეზიშვილთან ერთად დადიოდა სოფლის ბაზარში. ამას, თურმე, სანახაობას ეძახდა. აღტაცებით მიმართავდა ლიზას: დააკვირდი ტიპებს, ეს თეატრია, ნამდვილი თეატრიო. მიუბრუნდებოდა მიწაზე დამჯდარ დედაკაცებს და ყველას სახელებით მიმართავდა, მოიკითხავდა...

კიდევ ერთი ამბავი, რომელიც ცხადყოფს, როგორ უფრთხილდებოდა საკუთარ ბიბლიოთეკას: „დიშვილის მეგობარმა წაიღო პირსის „არა, არ არის დამნაშავე“, 2 დღის შემდეგ, შაბათს 6 საათზე

მოგიტანო. არ მომიტანა. ვეახელ სახლში, ვინახულე, აი, ვათავებო, მაჩვენა წიგნი. აღარ დავბრუნდი სახლში. ტალანში დავუცადე 2 საათი. სიტყვა – სიტყვაა", – ჩაუწერია ერთგან იოსებ გრიშაშვილს.

მოხუცებულობაში პოეტი მძიმედ დაავადდა. მეხსიერება ღალატობდა, გონება ებინდებოდა. მის ბიბლიოთეკაში იყო ბევრი წიგნი, რომელსაც ყდა და თავფურცელი მოცლილი ჰქონდა. ამ „ეშმაკობას" პოეტმა მაშინ მიმართა, როცა რეპრესირებულ ავტორებს ან უბრალოდ „ანტიიდეოლოგიურ" წიგნებს ანადგურებდნენ. როცა ავადმყოფ პოეტს დახმარება სთხოვეს ასეთი წიგნების ავტორების დადგენაში, მან ეს შეძლო: აჩვენებდნენ წიგნს და ის კი იხსენებდა – ვისი დაწერილი იყო ან სათაურად რა ჰქონდა.

ძალიან დიდი მეგობრობა ჰქონდათ ლიზა ჩერქეზიშვილსა და იოსებ გრიშაშვილს. წაღვერში ორივეს აგარაკი ჰქონდა. სხვათა შორის, მარიჯანის აგარაკიც იქვე იყო, ბორცვზე. მარიჯანს დაუწერია: „აგარაკი მზიანა. მარიჯანი". მე რა, ნაკლები ქალი ვარო? – უხუმრია ჩერქეზიშვილს და თავის გზისპირა სახლისთვის მიუწერია: „აგარაკი მტვრიანა. ლიზა". ამ ამბავმა გრიშაშვილი ძალიან გაამხიარულა თურმე.

სწორედ ამ „მტვრიანაში" იკრიბებოდა დიდებული საზოგადოება. ეკატერინე ვაჩნაძე იხსენებს: „სუფრაზე სამოვარი ჩუხჩუხებდა. სოსო ლაპარაკობდა ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, კურიოზულ ამბებსაც იგონებდა. იმართებოდა კარტის თამაში. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ არიგებდა ქაღალდს და იძახდა:

სოსო ქაღალდს არიგებს
მაგრამ ფულს კი არ იგებსო...

ექსპრომტი მუდამ მზად ჰქონდა. ერთხელ ლიზას ბაზრიდან დაწნული კალათით მარწყვი მოჰქონდა. სოსო ჩვენს აივანზე იდგა და ლიზას ელოდებოდა. გასძახა: ლიზა, როგორა ხარო?

– ეჰ, სოსო-ჯან, დავიტანჯე...
– რომ არ დაიტანჯო,
შენი კვნესამე
უნდა შეირთო
ქმარი მესამე
(ლიზას 2 ქმარი ჰყავდა)".

იოსებ გრიშაშვილი აღფრთოვანებული უყურებდა ელისაბედ ჩერქეზიშვილის მწვანე გულსაბნევს, რომელიც მისთვის ილიას ეჩუქნა. ეუბნებოდა – ბედნიერი ხარ, ეს სახსოვარი რომ გაქვსო. ლიზას სახლში მაგიდაზე ორიგინალური სამელნე იდო ღორის თავის გამოსახულებით. ერთხელ, სტუმრად მისული იოსები ყურადღებით დააკვირდა ამ სამელნეს. მასპინძელმა აუხსნა:

– ეს სამელნე ილიამ ჩემს მეუღლეს, ნიკო ურბნელ-ხიზანიშვილს მიართვა დაბადების დღეზე.

– ლიზა, ეს ის არ არის, ნიკოს ლექსიც რომ უძღვნა:

ამ შენს სახეს როცა ვუცქერ,
მაგონდება ყასაბ ღაღო,
რით ვერ გასძეღ ღორის ჭამით,
ღორმუცელავ ყურმუსაღო...

ნიკოს ღორის თავის ჭამა რომ უყვარდა, ეს ლექსი ილიამ იმიტომ უძღვნა.

– შენ გენაცვალე, სოსო, რომ არაფერი გამოგრჩება, – შუბლზე აკოცა ელისაბედმა თურმე...

იოსებ გრიშაშვილი ღვინოს არ სვამდა. სტუმარს, ჩვეულებრივ, მშრალი ხილით უმასპინძლდებოდა. ამბობენ, საკუთარ ჯანმრთელობას ძალიან უფრთხილდებოდაო... ერთ-ერთი მისი ჩანაწერი გვიამბობს: „1919 წელს, მენშევიკების დროს ექიმმა გამომიწერა კარგი კვება. თბილისში მაშინ გაჩნდა ე.წ. შედედებული რძე, сгущёнка... შემიყვარდა. ის იყო ჩემი საკვები. პირველად ვშოულობდი, მერე – სახალხო გვარდიის მონოპოლიად გადაიქცა. გვარდიას მივმართე. მითხრეს, განცხადება დაწერეო და ქაღალდი მომაწოდეს. კალამი რომ ავიღე: ლექსად დასწერეო, მითხრეს. ავიმრიზე. აქ, უცხო ხალხში, კაბინეტში, მერე ისიც რძეზე ხელდახელ რა ლექსი უნდა დამეწერა. შემატყვეს... და მითხრეს – ლექსად თუ არ დაწერ, არ მოგცემთო. მეც რა მექნა, დავჯექი და... დავწერე". განცხადება-ლექსს მიაწერეს თურმე: მიეცეს 5 კოლოფიო...

ახლა კიდე ერთი, უმთავრესი რამ იოსებ გრიშაშვილის ცხოვრებიდან: სიყვარული და ქალები... ვინ იცის, რამდენჯერ უყვარდა ან რამდენი... იოსებ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში ბატონმა ნოდარ გრიგორაშვილმა ვერგამოცემული მოგონებების წიგნი მაჩვენა (ნაბეჭდი თაბახები), მისთვის ასეთი სათაური შეურჩევიათ – „ხარფუხელი აშიკი". ეს მოგონებები ალბათ ოდესმე გამოვა წიგნად... ახლა, სიყვარულს მივუბრუნდეთ...

1914 წელს გამოცემული გრიშაშვილის I ტომს ავტორი სონა ჩიჯავაძეს უძღვნის. ბატონი იოსები წერდა: „ჩემი საუკეთესო ლექსები ამას ეკუთვნის. გავიცანი 1914 წელს. გადავიცანი 1916 წელს." სონა ჩიჯავაძე რუსული ენის პედაგოგი იყო, შემდეგ, 1921 წელს გათხოვდა. სპირიდონ კედიას გაჰყვა პარიზში. მას მიუძღვნა გრიშაშვილმა: „რა კარგი ხარ, რა კარგი, ჩემო ცისფერთვალება"... 108 წლისა გარდაიცვალა პარიზში.

უფრო ადრე მარუსა ჰყვარებია, რომელსაც ცნობილი ლექსი – „სად შენი და სად იმისი თვალები" მიუძღვნა. მარუსა ქუთაისის თეატრის რეჟისორის – პავლე ფრანგიშვილის და გახლდათ. ოღონდ, ის ხან კანდინოვად, ხან კანდინაშვილად იწერებოდა.

1911-1913 წლებში ოლღა ლეჟავას შესტრფოდა...

იოსებ გრიშაშვილის კაბინეტში ეკიდა სურათები – ფოტოდან ამოჭრილი სახე, ან ცალკე ბაგეები, ან ამოჭრილი თვალები... პოეტს ის ნაკვთები დაუკიდებია, რომელიც განსაკუთრებით ხიბლავდა ამა თუ იმ ქალში. იქვეა მარიჯანის თვალები და თამარ გაბაშვილის... ფეხები. სურათის უკან ქალბატონ თამარს მიუწერია: „რადგან ჩემს სახეს თქვენ არ ეხებით, ძღვენად მიიღეთ ჩემი ფეხები..." საქმე იმაში ყოფილა, რომ როცა პოეტი ექათინაურებოდა წაღვერში თამარ გაბაშვილს, უქებდა მხოლოდ ტანს, უფრო მეტად კი – ფეხებს...

გაგეღიმება, რომ წაიკითხავ, რა სიტყვებით აცილებდა ყოფილ სატრფოებს: „ვინაიდან შეგიყვარდა ივლიან, ჩემს ბინაზე ახლა სხვები ივლიან"... ან „ახ გათხოვდი ნუთუ მიტომ, რომ გაგხადოს ავად მიტომ?"

ახლა, რაც შეეხება შვილებს:

სასამართლოს გადაწყვეტილება არსებობს, რითაც ბაბო რცხილაძის შვილს გრიშაშვილის გვარი მიანიჭეს... ამ სასამართლოზე პოეტი არ გამოცხადებულა. ილამაზა გრიშაშვილი (ასე ჰქვია მას), დღეს მძიმედ დაავადებული, ცხოვრობს თბილისში. იოსებ გრიშაშვილს მეორე შვილიც ჰყავდა, გოგონა, რომელიც სიგიჟემდე უყვარდა, მაგრამ არასოდეს მისი გვარი არ უტარებია... ისიც თბილისში ცხოვრობს და ძალიან პატივცემული ოჯახის შვილია...

მეუღლედ ქეთო ჯაფარიძე უკვე ასაკოვანმა შეირთო. მათ საერთო შვილი არ ჰყოლიათ. ნოდარ გრიგორაშვილმა გაიხსენა: „ბორჯომში, აივანზე ვისხედით, ვსაუბრობდით. ბევრი რამ გაიხსენა. ესეც მიამბო: ჩემი მამა და მასწავლებელი ვალერიან გუნია ავად იყო, იწვა მოწყენილი და წამოიძახა: ეხ, რა თამადა ვიყავიო! ახლა, მეც ასაკში ვარ და მეც მაქვს გასახსენებელი: ეხ, რამდენჯერ ვიყავი შეყვარებული! ამბობენ, პირველი სიყვარული ყველაზე ძლიერიაო, მაგრამ მე რამდენჯერაც მიყვარდა, ყოველთვის ძლიერ ვიყავი შეყვარებულიო..." იოსებ გრიშაშვილს ეს ლექსი უთქვამს:

ბედმა იცის ზედ თარეში,
ბედმა იცის დაბრიყვება,
ვკვდები, მაგრამ სამარეში
ქალის დარდი არ მიმყვება.

P.S. დახმარებისთვის მადლობას ვუხდით ბატონ ნოდარ გრიგორაშვილს.

■

კითხვა + პასუხი



კითხვა: მყავს 2 წლის გოგონა. ბავშვი ძალიან ემოციურია. ორი კვირის წინ შემეძინა მეორე შვილი. სამშობიაროში ჩემს ყოფნას უფროსი შვილი ძალიან განიცდიდა, სულ ტიროდა. მას შემდეგ, რაც ახალშობილთან ერთად შინ დავბრუნდი, კიდევ უფრო გაღიზიანდა, არ მიშვებს პატარასთან, რომ ძუძუ მოვაწოვო. ყველაზე მეტად ის მაღელვებს, რომ გოგონას დაეწყო ენის დაბმა. ძალიან ვშიშობ, ჩემი მიზეზით ბავშვი ხომ არ დავაავადმყოფე. იქნებ მირჩიოთ, რა უნდა გავაკეთო, როგორ დავეხმარო პატარას.

პასუხი: ხშირი ენაბორძიკობა მემკვიდრული ნაკლია, მაგრამ იგი ნერვულ ბავშვებში ზოგჯერ იწყება ხოლმე ემოციური სტრესის შემდეგ. ასეთი სტრესის მიზეზი ბავშვისთვის შეიძლება იყოს დედასთან განშორება, ახალშობილის შემატება ოჯახში, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, ზედმეტი სიმკაცრის გამოჩენა მის მიმართ. ამ სიმპტომის გაჩენა ხშირად ახასიათებთ 2-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებს, რადგან ამ ასაკში იწყებს პატარა რთულ მეტყველებას, გრძელი წინადადებების წარმოთქმას.

მინდა დაგაიმედოთ, რომ 10-დან 9 შემთხვევაში ასეთი ენაბორძიკობა გაივლის რამდენიმე თვეში, სიმპტომი ძალიან იშვიათად იძენს ქრონიკულ ხასიათს. მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი რჩევები:

– ეცადეთ, არ მიაყენოთ ბავშვს ახალი ტრავმა, ნუ მიატოვებთ ხანგრძლივად, თუ რაიმე გამოუვალი მდგომარეობა არ გაქვთ;

– გამოიჩინეთ მის მიმართ სითბო, ყურადღება, აგრძნობინეთ, რომ ის თქვენთვის ისეთივე საყვარელია, როგორიც აქამდე იყო. როცა ბავშვი გესაუბრებათ, როგორი დაკავებულიც არ უნდა იყოთ, ყურადღებით მოუსმინეთ;

– მისი ეჭვიანობა რამენაირად გააქარწყლეთ, დაარწმუნეთ, რომ პატარა ძამიკო მას მოუყვანეთ და მან უნდა მოუაროს, დაიხმარეთ ყველა საქმეში;

– ნუ ეცდებით, ბევრი ესაუბროთ ბავშვს. ნაკლები ელაპარაკეთ, მეტი ეთამაშეთ;

– ნუ ელოდებით, რომ ენაბორძიკობა სწრაფად გაივლის. ამას დრო სჭირდება, მაგრამ თუ შეძლებთ, გამოიყვანოთ პატარა სტრესიდან, ის აუცილებლად გამოჯანსაღდება.

კითხვა: როგორ დავიცვათ თავი ბოტულიზმისაგან?

პასუხი: ბოტულიზმი ძალზედ მძიმე ინფექციურ-ტოქსიკური დაავადებაა. მისი გამომწვევი ბაქტერია ბინადრობს მსხვილი და წვრილი რქოსანი საქონლის, ღორის, ცხენის, თევზის, ფრინველის ნაწლავებში, გამოიყოფა განავალთან ერთად და ხვდება ნიადაგში, სადაც სქელ, მკვრივ გარსს იკეთებს. ბოტულიზმის გამომწვევის – სპორების შემცველი ნიადაგით ბინძურდება საკვები პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი, სოკო, წყალი და სხვა. როცა ბაქტერია მოხვდება უჟანგბადო არეში, იშორებს სპორას (გარსს), მრავლდება და გამოიმუშავებს შხამს (ტოქსინს), რომელიც ადამიანის ორგანიზმში დაავადებას იწვევს, უჟანგბადო არეს კი ბაქტერიისათვის ჰერმეტულად დახშული პროდუქტები წარმოადგენს. ამიტომ ბოტულიზმით ადამიანი ავადდება კონსერვის, ძეხვის, შაშხის, შებოლილი, დამარილებული თევზის მიღების შედეგად, თუ ეს პროდუქტი გაბინძურებული იყო ცხოველების ნაწლავების შიგთავსით ან ნიადაგით და მათი დამუშავებისას არ იყო დაცული შესაბამისი სანიტარული წესები. დაინფიცირებული პროდუქტი ფერს იცვლის, თავისებური, მძაღე კარაქის ან ყველის სუნი უჩნდება. კონსერვი კი, აირების დაგროვების შედეგად, ამოიბერება. საყურადღებოა, რომ ძალზე მარილიან (10%-ზე მეტი), მჟავე და ტკბილ, დაშაქრულ პროდუქტში (მურაბები) ბოტულიზმის ტოქსინი არ გამოიყოფა.

დაავადების მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში სახლში დამზადებული კონსერვებია. ბოტულიზმის ბაქტერიის სპორები დუღილს 3-5 საათის განმავლობაში უძლებს. ძლიერ მდგრადია სადეზინფექციო ნივთიერების მიმართ. მათი განადგურება შესაძლებელია მხოლოდ 120 გრადუსიან ტემპერატურის რეჟიმში, ისიც 1 საათის განმავლობაში. ამიტომაა, რომ ქარხნული წესით დამზადებული კონსერვით გამოწვეული ბოტულიზმი იშვიათია. გვახსოვდეს: ბინის პირობებში ჩატარებული სტერილიზაცია არ სპობს სპორებს და ბოტულიზმის პროფილაქტიკისთვის მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. კატეგორიულად დაუშვებელია ბინის პირობებში ხორცის, თევზის, სოკოსა და მწვანილის დაკონსერვება. კიტრი, პომიდორი, ხილი დაკონსერვების წინ უნდა გადაირჩეს და გულმოდგინედ, რამდენჯერმე სათითაოდ გაირეცხოს გამდინარე წყლით, ასევე უნდა მომზადდეს ჭურჭელიც. პროდუქტს და ჭურჭელს არ უნდა შეჰყვეს მიწის ნამცეციც კი. კონსერვს უნდა დავუმატოთ ძმარი ან ძმარმჟავას 6%-იანი ხსნარი და შევინახოთ ცივ ადგილას. +3 გრადუსზე დაბალი ტემპერატურის პირობებში ბოტულიზმის ჩხირი ტოქსინს არ გამოყოფს.

ამობერილი კონსერვის, შეცვლილი სუნისა და ფერის მქონე პროდუქტის გამოყენება დაუშვებელია. ასეთი პროდუქტის გასინჯვაც კი შეიძლება საბედისწერო გახდეს.

აუცილებელია ჭამის წინ დაკონსერვებული ყველა პროდუქტის წამოდუღება 20 წუთის განმავლობაში. საეჭვო პროდუქტები კიდევ უფრო ხანგრძლივად უნდა ვადუღოთ. ბოტულიტოქსინი იშლება მაღალ ტემპერატურაზე. ამიტომ თუ დაკონსერვებულ პროდუქტს ჭამის წინ ავადუღებთ, ძეხვსა და თევზს შევწვავთ ან მოვხარშავთ, დაავადებას თავიდან ავიცილებთ.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

ახალი ვაქცინები



ჩვენ უკვე ვისაუბრეთ („გზა“, №25) სავალდებულო აცრების შესახებ. ამჯერად გაგაცნობთ კიდევ ორ ახალ ვაქცინას.

ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა

B ჰეპატიტი საკმაოდ რთული დაავადებაა და ყოველთვის არ მთავრდება სრული გამოჯანმრთელებით, ხშირად იღებს ქრონიკულ ხასიათს, ქმნის ციროზისა და ღვიძლის კიბოს განვითარების დიდ საშიშროებას. ყველასათვის სასიამოვნო სიახლეა ის, რომ უკვე არსებობს B ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრა. ჯერჯერობით სავალდებულოდ ითვლება იმ ახალშობილთა ვაქცინაცია, რომელთა დედები დაავადებულნი არიან B ჰეპატიტით ან ვირუსმატარებლები არიან. ასეთ ჩვილს ვაქცინას შეუყვანენ დაბადებიდან პირველივე საათებში ბცჟ-ს (ტუბერკულოზის) აცრის წინ, შემდეგ – პირველ თვეზე და მესამედ – წლინახევრის ასაკში.

ბავშვებს, რომლებიც რისკ-ჯგუფში არ არიან, ჰეპატიტის წინააღმდეგ ვაქცინაციას უტარებენ სხვა სქემით: პირველი აცრა ტარდება ყივანახველა-დიფტერია-ტეტანუსის მეორე აცრასთან ერთად; მეორე – ყდტ-ის მესამე აცრასთან ერთად; ხოლო მესამე – ერთი წლის ასაკში, წითელას საწინააღმდეგო აცრასთან ერთად. მაგრამ სირთულე ის არის, რომ B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა საკმაოდ ძვირია: პოლიკლინიკაში თქვენ მის ყიდვას შემოგთავაზებენ. გირჩევთ, ნუ დაინანებთ ფულს, რადგან ეს თქვენ მიერ შვილისათვის გაწეული ყველაზე ჭკვიანური ხარჯი იქნება.

წითურას საწინააღმდეგო ვაქცინა

ამ ინფექციას ბავშვები იოლად იტანენ, მაგრამ იგი ძალიან საშიშია ორსული ქალებისათვის, უფრო სწორად – ნაყოფისათვის. წითურას ვირუსი შერჩევით, სწორედ მის ქსოვილებს აზიანებს. თუ ორსული ქალი წითურათი დაავადდა, შეიძლება ბავშვი გულის, მხედველობის ან სმენის მძიმე დარღვევებით დაიბადოს... ამჟამად, უპირველესად, ცრიან იმ მოზარდ გოგონებს, რომლებსაც არ უავადმყოფიათ წითურათი, მაგრამ პრობლემის რადიკალურად გადაჭრის მიზნით, საჭიროა, აცრა გაუკეთდეს ყველა ბავშვს.

მოსახერხებელია წითურას აცრის გაკეთება ერთი წლის ასაკში – წითელას აცრასთან ერთად, ან წლინახევრის ასაკში – ყბაყურას აცრასთან ერთად. დასაშვებია მისი თანხვედრა B ჰეპატიტის ვაქცინაციასთან. არსებობს სამმაგი ვაქცინა: წითელას, წითურას და ყბაყურას წინააღმდეგ. ეს ბავშვისთვის საქმეს აიოლებს, რადგან სამი ჩხვლეტის ნაცვლად, მხოლოდ ერთი მოუწევს. ამასთან, დადგენილია, რომ რამდენიმე ვაქცინის ერთდროული შეყვანისას იმუნიტეტი ისევე კარგად გამომუშავდება, როგორც ცალ-ცალკე ვაქცინაციის დროს. ■

თუ ბავშვი ხელოვნურ კვებაზე გადაგყავთ

რა სახეობის ფხვნილიც არ უნდა აირჩიოთ ბავშვის საკვებად, არსებობს საერთო წესები, რომლის დაცვაც აუცილებელია:

1. ბავშვთა კვების ნებისმიერი პროდუქტი შეიძინეთ მაღაზიაში ან აფთიაქში. შეგიძლიათ, გამყიდველს მოსთხოვოთ სერტიფიკატი აღნიშნული პროდუქტის გაყიდვის უფლების შესახებ.

2. ყურადღება მიაქციეთ ყუთზე მინიშნებული ვარგისიანობის ვადას. დაუშვებელია ვადაგასული საკვების მიცემა ბავშვისათვის.

3. ყურადღებით წაიკითხეთ ინსტრუქცია. ნარევის მომზადებისას ზუსტად დაიცავით რეცეპტურა. არ შეიძლება „თვალზომით“ მისი მომზადება – ამგვარად იგი ზედმეტი ან ნაკლები კონ-

ცენტრაციის გამოგივათ.

4. ნარევი, რომელზეც მითითებულია ციფრი „2“, განკუთვნილია 6 თვეზე მეტი ასაკის ბავშვებისთვის.

5. გამოიყენეთ მხოლოდ მოცემული ფხვნილისთვის განკუთვნილი საწყავი კოვზი, რადგან სხვა ფხვნილის კოვზს, შესაძლოა, სხვა მოცულობა ჰქონდეს.

6. თუ პირველად იწყებთ ხელოვნური საკვების დამატებას, ნუ შეიძენთ ახალ საკვებს ერთბაშად დიდი რაოდენობით, რადგან შესაძლოა, ბავშვმა არ მიიღოს იგი და მაშინ სხვა საკვებზე გადასვლა მოგიწევთ.

7. ნარევთა უმეტეს ნაწილს აქვს აღნიშვნა: „ინსტანტური“, რაც ადვილად ხსნადს ნიშნავს. ასეთი ნარევი შეიძლება, პირდაპირ ბოთლში დაამზადოთ. ტექნიკა მარტივია: სუფთა ბოთლში ჩაასხით ანადულარი ცხელი (40-50 გრადუსიანი) წყლის საჭირო რაოდენობა. საწყავი კოვზით ჩაყარეთ ფხვნილის მითითებული რაოდენობა, დაახურეთ ბოთლს და კარგად შეანჯღრიეთ, რათა ფხვნილი ბოლომდე გაიხსნას. არ უნდა დარჩეს ფხვნილის შეკრული ბურთულები. მომზადებული ნარევი შეაგრილეთ 37-38 გრადუსამდე და ასე მიეცით პატარას. ■

სამკურნალო მცენარეები

ფარსმანდუკი

ფარსმანდუკი 20-40 სმ სიმაღლის, მრავალწლოვანი სარეველა ბალახია, ნაკლებად შეფოთლილი. მთელი მცენარე სურნელოვანია, ყვავის ივნისიდან სექტემბრამდე. გვხვდება ყველგან – მინდორში, მშრალ მდელოზე, გზის პირას. ცნობილია მცენარის რამდენიმე სახეობა, სამკურნალო მიზნით კი იხმარება ჩვეულებრივი ფარსმანდუკი, რომელსაც თეთრი ყვავილებით გამოიცნობთ. ივნის-ივლისში შეაგროვეთ მთელი ბალახი, ქვედა გახევებული ღეროების გარეშე ან მხოლოდ კალათა ყვავილედი, გაშალეთ თხელ ფენად და გააშრეთ ჩრდილში.

მცენარის ფოთლები შეიცავს ალკალოიდ აქილეინს, ეთერულ ზეთს, რომლის შემადგენლობაშიც შედის ქამაზულენი; რთულ ეთერემს, ქაფურს, გლიკოზიდებს, ამინომჟავებს, ორგანულ მჟავებს, A, C და K ვიტამინებს.

ფარმაკოლოგიური მოქმედება: ფარსმანდუკს მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური მოქმედება ახასიათებს. მისი პრეპარატები ახდენს სპაზმების მომხსნელ მოქმედებას ნაწლავების, საშარდე და სანაღვლე გზების კუნთებზე, რის შედეგადაც აუმჯობესებს ნაღვლის გადასვლას ბუშტიდან თორმეტგოჯა ნაწლავში, ზრდის დიურეზს (შარდის გამოყოფას) და აყუჩებს ნაწლავის სპაზმით გამოწვეულ ტკივილს. ბალახის ნაყენი ზრდის აგრეთვე კუჭის წვენის სეკრეციას (გამოყოფას), ამცირებს მეტეორიზმს; აქვს ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიციდული (ხოცავს ბაქტერიებს), ანტიალერგიული და ჭრილობების შემახორცებელი თვისებები.

ფარსმანდუკი ზრდის სისხლის შედედების უნარს, აქვს სისხლდენის შემაჩერებელი თვისება. მისი პრეპარატები ააქტიურებს ფიბრინის მოქმედებას, მაგრამ არასოდეს მივყავართ თრომბების წარმოქმნამდე. სისხლის შედედების პროცესზე ამ მცენარის პრეპარატების მოქმედება მხოლოდ ხანგრძლივი მიღების შემდეგ ვლინდება.

სისხლდენის შემაჩერებელი თვისების და საშვილოსნოს მუსკულატურის (კუნთების) შეკუმშვის ეფექტის თანხვედრა კარგ შედეგს იძლევა საშვილოსნოდან სისხლდენის დროს მცენარის გამოყენების შემთხვევაში.

გამოყენება მედიცინაში: ფარსმანდუკის ნაყენს იყენებენ კუჭ-ნაწლავის დაავადებების: დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტების, კუჭის და თორმეტგოჯას წყლულოვანი დაავადების, წყლულოვანი სპაზმური კოლიტების, მეტეორიზმის (გაზების დაგროვების) და ჰემოროის (ბუასილის) დროს. პრეპარატების რეგულარული გამოყენების დროს ავადმყოფებს უწესრიგდებათ კუჭ-ნაწლავის სეკრეცია და მოტორიკა, უუმჯობესდებათ ნაღვლის გამოყოფა, კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეასის) სეკრეტორული აქტიურობა, უმჯობესდება მადა, ქრება ტკივილები.

ამ მცენარეს სისხლდენის შესაჩერებლად იყენებენ ჰემოროიდული (ბუასილის) და კუჭნაწლავიდან სისხლდენების დროს; ასევე ცხვირიდან, საშვილოსნოდან, ფილტვიდან სისხლდენების შემთხვევაში. განსაკუთრებით ეფექტურია ნაყენი საშვილოსნოდან სისხლდენისას – ანთებითი პროცესების, ფიბრომიომის, ჭარბი მენსტრუაციის დროს. მაღალ თერაპიულ ეფექტს იძლევა ფარსმანდუკის კომპლექსური გამოყენება ისეთ ბალახეულ პრეპარატებთან, რომელსაც აქვს ანტიანთებითი და სპაზმოლიზური (სპაზმების მომხსნელი) მოქმედება. ასეთი მცენარეებია: გვირილა, კალენდულა, მრავალძარღვა, პიტნა და სხვა. კარგი შედეგები აქვს ფარსმანდუკის ნაყენის ოყნებს ჰემოროის დროს. მცენარეს იყენებენ გარეგანი ხმარებისთვისაც: ექსტრაქტში დასველებულ საფენს იდებენ ჭრილობაზე, წყლულზე, მისი ნაყენით რეცხავენ ჭრილობას.

ნაყენის დამზადების წესი: 2 სუფრის კოვზი ნედლეული მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დაახურეთ სახურავი და დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე. 15 წთ-ის შემდეგ გადმოდგით, შეაგრილეთ 45 წთ-ის განმავლობაში, გაწურეთ და მიღებული ნაყენი შეავსეთ 200 მლ-მდე ანადუღარი წყლით. ნაყენი შეინახეთ არა უმეტეს 2 დღისა.

მიღება: მიიღეთ თბილ-თბილი, 1/2-1/3 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში – როგორც სისხლდენის შესაჩერებლად – ცხვირიდან, ფილტვიდან, საშვილოსნოდან, ბუასილის კვანძებიდან, ნაწლავებიდან, ჭრილობებიდან, ასევე კუჭის ანთებითი და წყლულოვანი დაავადებებისას.

რუბრიკის მასალები მოამზადა
თამარ მამაცაშვილმა

XVI საუკუნის ჩინურმა ფაიფურის ლარნაკმა ჰაერში დიდი რკალი მოხაზა და მელოდიური ხმით დაენარცხა იატაკს — ნამსხვრევები ყველა მხარეს გაიფანტა და იქ მყოფები კედელს აეკვრნენ. რუდოლფ ნურეევი ჩაფიქრდა, ამოიოხრა და პირველ ლარნაკს მეორეც მიაყოლა. შემდეგ თვალები აუელვარდა, ხმამაღლა შეიგინა და ოთახიდან გავარდა.

სასიკვდილო ცეკვა

ახალი კოსტიუმის ესკიზი არ მოეწონა: გარდა იმისა, რომ უშნო იყო, მოუხერხებელიც ჩანდა — მასში ცეკვას ვერ შეძლებდა და ნურეევმა უკმაყოფილება ისე გამოხატა, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდა: დერეფანში ყვირილითა და ფურთხებით გამოვარდა, რუსულ და ინგლისურ გინებას ერთმანეთში ურევდა, გარშემმყოფნი კი ერთდროულად შიშითა და აღტაცებით შესცქეროდნენ.

ნურეევი განუმეორებელი და დიადი იყო. მისი ველური გამოხდომები, რომელიც დიდი ხანია მოცეკვავის იმიჯის განუყოფელ ნაწილად იქცა, მომენტალურად ჭორებად, ანეკდოტებად და საგაზეთო სტატიებად გარდაიქმნებოდა. ბრიტანეთის სამეფო ბალეტის ადმინისტრატორ ქალს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა, ცნობილ ბალეტმაისტერს ცხელი საჭმლით სავსე თეფშს ესროდა — ამ დროს ნურეევი სიამოვნებას იღებდა და ამით თავის თავს რეკლამასაც უწევდა. ჩხუბისა და აყალმაყალის მოწყობის შემდეგ ის სცენაზე გადიოდა და დარბაზს მისგან წამოსული ემოციური ტალღა იმორჩილებდა.

— მასში პირველყოფილი ძალა და ველური სექსუალობა იგრძნობოდა. ნურეევმა კლასიკური ბალეტი ახალგაზრდობასაც შეაყვარა, სამეფო თეატრის მოოქრულ დარბაზებს, „მეტროპოლიტენ-ოპერას“ და პარიზის „გრანდ-ოპერას“ მანამდე არ უნახავს ფართხუნა შარვლებში გამოწყობილი, „ბითლზის“ თაყვანისმცემელი და მარიხუანას მოყვარული თაობა. მაყურებლები კიოდნენ, სცენაზე ასვლას ლამობდნენ და გაჰყვიროდნენ — „რუ-დი“! თაყვანისმცემელ გოგონათა ბრბო თავის კერპს გამოსასვლელში ელოდა...

მაგრამ ნურეევს, „ბითლზისგან“ განსხვავებით, ბრბო არ უყვარდა. ის შინ ბრუნდებოდა, ტანსაცმელს იცვლიდა და სტუმრებს ბრუნეის სულთანივით იღებდა: ტანზე ოქროთი გაწყობილი, ოდესღაც ნაპოლეონ მესამის კუთვნილი ატლასის ხალათი ემოსა, ლონდონის გარეუბანში მდებარე უზარმაზარი სახლის ოთახებში ათობით სანთელი ენთო, მათი მოელვარე შუქი კი ძვირფას, მეფურ ავეჯს ანათებდა. ძვირფასი სპარსული ხალიჩები, ფერადი, უცნაური შპალერი ერთმანეთს ერწყმოდა და ნურეევის საცხოვრებელი, ალადინის გამოქვაბულს ემსგავსებოდა. მეორე დილით მას გაზეთებში ატილასა და ჩინგის-ხანს ადარებდნენ, შემდეგი სპექტაკლის დროს კი, ნურეევს პარტნიორი ქალი აბრაზებს და რუდი მას ყურზე ჰკბენს... მის ადგილას სხვას დიდი ხანია დაითხოვდნენ, მას კი ყველაფერს ჰპატიობდნენ: ოცდათი წლის ასაკში ნურეევი ლამის იყო ღმერთ-კაცად იქცა, მასში ვერავინ შეძლებდა საცოდავი უფელი თათრის ბიჭის ამოცნობას, რომელიც თავის დროზე მშობლების დარდსა და თანაკლასელთა დაცინვის ობიექტს წარმოადგენდა...

ხამეთ და ფარიდა ნურეევებს ოთხი შვილი — 3 გოგონა და ერთი ბიჭი ჰყავდათ. ოჯახი ერთ — პაწაწინა ოთახში ცხოვრობდა.

ხამეთ ნურეევი 1941 წლიდან ომობდა, სიკვდილს გადაურჩა, დემობილიზაციის შემდეგ კი ადგილობრივი პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს. ხამეთი ძალიან ამაყობდა თავისი საპასუხისმგებლო თანამდებობით და სურდა, ვაჟიც თავისნაირ — სერიოზულ, დადებით პიროვნებად აღეზარდა.

ხამეთი დარწმუნებული იყო, რომ რუდოლფი ისე მოიქცეოდა, როგორც ნამდვილი მამაკაცი — მასში ხომ მამის სისხლი ჩქეფდა, მაგრამ რუდი იმედებს არ უმართლებდა: ის ნაზი, მშიშარა არსება იყო, თანაკლასელები სცემდნენ და ჩაგრავდნენ. იქაური წესის მიხედვით, მას მჩაგვრელი უნდა ეცემა, ნურეევი კი, იატაკზე დავარდებოდა და მთელი ძალით გაჰყვიროდა, თითქოს მთელ სამყაროს ამცნობდა, რომ ის თავისი წესებით ცხოვრობდა და მისთვის თავი უნდა დაენებებინათ.

ის, რის თქმასაც ოჯახის წევრებისა და თანაკლასელებისთვის ვერ ახერხებდა, ცეკვაში აქსოვდა: სკოლის სააქტო დარბაზის სცენაზე ბიჭი სულ სხვაგვარი ხდებოდა: ცეკვა მისი სიხარული და მისი თავისუფლება იყო, ახალ მოძრაობებს საოცრად სწრაფად ითვისებდა.

მის ირგვლივ ყველა ერთნაირად ცხოვრობდა: ერთფეროვანი სადილი და ვახშამი, ერთი შარვალი ზამთარ-ზაფხულ, აბანო — შაბათობით. ის ბინძური და დაუვარცხნელი დადიოდა. ხამეთი ცდილობდა, შვილი მამაკაცად ექცია და ამ მიზნით, სანადიროდ დაჰყავდა — რუდოლოფს კი გული ერეოდა. მაგრამ ერთხელ, დედამ ბალეტზე წაიყვანა, საიდანაც შინ რუდოლფი ბედნიერებისგან მთვრალი დაბრუნდა.

მარცხნიდან: როზა, ლილია, რაზიდა და რუდოლფ ნურეევები

რამდენიმე თვის შემდეგ, უფის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ სტუდიაში ახალი, ძალიან უცნაური მოსწავლე მივიდა — პატარა, გაბურძგნილი, უხეში, ჯიუტი, არაჩვეულებრივად ნიჭიერი და შრომისმოყვარე, ძალიან მოუვალელი... ყოველ მეცადინეობაზე ბოლო წუთს ცხადდებოდა და მასწავლებლებს ეკამათებოდა. მისი მასწავლებლები კი, ზრდილი ბალერინები, პეტერბურგის თეატრალური სასწავლებლის კურსდამთავრებულები და საიმპერატორო ბალეტის ექსსოლისტები იყვნენ, რომლებიც თავის დროზე, უფაში რევოლუციისა და სამამულო ომის გამო მოხვდნენ. ისინი თავიდან ნურეევს ზიზღით უცქერდნენ, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ ბიჭუნა საოცრად ნიჭიერი იყო.

მამამისი აღშფოთებული იყო: სერიოზულ კაცს იმის დაჯერება არ შეეძლო, რომ მოეკვავეს კარგი ხელფასი შეიძლება ჰქონოდა. ხამეთს სურდა, რომ შვილი საქონელმცოდნე გამხდარიყო და „სულელური ცეკვის“ გაკვეთილების ყოველ ხსენებაზე რუდოლფს საშინლად სცემდა.

... დასავლეთში გატარებული ყოველი წლის შემდეგ ბავშვობის მოგონებები თანდათან ფერმკრთალდებოდა. უფა მაშინ ახსენდებოდა, როცა თავს ცუდად გრძნობდა. ოჯახი ნახევრად მშიერი იყო, მაგრამ პურის ნატეხი რუდოლფისთვის ყოველთვის მოიპოვებოდა: უკიდურეს შემთხვევაში, დედა თავის ლუკმას უყოფდა ხოლმე. ნურეევს ახსოვდა, როგორ მივიდა დედა მის დებიუტზე ლენინგრადის კიროვის სახელობის თეატრში: ძველი პალტოთი, დაკოჟრილი ხელებით, შეშინებული თვალებით. ქალი პარტერის მესამე რიგში იჯდა და აღტაცებულ შეძახილებს ისმენდა. სპექტაკლის შემდეგ რუდოლფმა ჩუმად მისცა დედას ას ორმოცდაათი მანეთი — არ სურდა, მეგობრებს დედამისი ენახათ, რცხვენოდა ქალის ძველისძველი ფეხსაცმელების გამო. შემდგომ, ამის გახსენებისას, ნურეევი წითლდებოდა...

დედა ოცნებობდა, რომ შვილი მუდამ გვერდით ჰყოლოდა, მაგრამ რუდოლფმა სახლი სინანულის გარეშე მიატოვა. ნურეევმა ყოველთვის იცოდა, რა სურდა ცხოვრებისაგან. ცხოვრება — უსასრულო შრომაა, რომელიც წარმატებას გიქადის, წარმატების გემო კი ყველაზე ძვირფასია: რა შეედრება აპლოდისმენტების გრიალს და აღტაცებული დარბაზის ყვირილს?! რუდიმ იცოდა, რომ ნურეევების გვარი ჩინგის-ხანის მეომრებისგან იღებდა სათავეს და სჯეროდა, რომ მას პირველობისთვის უნდა მიეღწია. ის გენიოსი იყო და ყველაფრის უფლება ჰქონდა — მშობლების სურვილს რუდოლფ ნურეევმა უყოყმანოდ გადააბიჯა.

... ნურეევი უფის თეატრში მიიღეს, ხელფასი დაუნიშნეს და შესანიშნავი კარიერა აღუთქვეს. ახლა მას შეეძლო ჩაცმასა და საკუთარ საცხოვრებელზე ეზრუნა, მაგრამ თექვსმეტი წლის მსახიობს სხვა გეგმები ჰქონდა. რუდოლფს პირველობა სურდა, ამისთვის კი ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მოხვედრა იყო საჭირო. უბედურება ის იყო, რომ იქ მხოლოდ მცირეწლოვან ბავშვებს ღებულობდნენ, მის ასაკში კი ნამდვილი საბალეტო ტექნიკის ათვისება თითქმის შეუძლებლად ითვლებოდა.

... ფულსა და ფუფუნების საგნებს მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ნურეევს უყვარდა ლამაზად ცხოვრება

მაგრამ მოხდა პირველი სასწაული: მან საჭირო კავშირი გაბა, ინტრიგებში ჩაერთო, თავი დაიმცირა და ლენინგრადში გამგზავრების უფლება მიიღო. მეორე სასწაული კი ის იყო, რომ რუდოლფი კლასში საუკეთესო მოსწავლე გახდა.

ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ცხოვრება არანაკლებ ძნელი იყო, ვიდრე უფაში: ოთახში ოცი ადამიანი ცხოვრობდა, საპირფარეშო დერეფანში იყო. მწირი საკვების,მკაცრი დისციპლინისა და მძიმე, დამქანცველი შრომის მიუხედავად, ნურეევმა ახალ პირობებში საკუთარი ადგილის დამკვიდრება შეძლო. როცა მას ბახის ნაწარმოებების მოსმენისა და საკუთარ თავთან მარტო დარჩენის სურვილი უჩნდებოდა, ის ოთახიდან აგდებდა ცხრამეტ პატარა და მასზე სუსტ მეზობელს. მასწავლებელს კი, რომელმაც შეშინებული ბავშვები დაინახა და ამბის გასაგებად ოთახის კარი შეაღო, ნურეევმა ძველი ჩექმა ესროლა.

ცხრამეტი წლის ასაკში ნურეევს პირველი სიყვარულიც ეწვია. ის ყველგან კუბელ გოგონასთან — მარია მარტინესთან ერთად დადიოდა. მარიაც ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობდა და ისევე იქცეოდა, როგორც ნურეევი — ისიც თავისუფალ არსებად იყო გაჩენილი. როცა გოგონა ლენინგრადიდან გაემგზავრა, რუდოლფი გულამოსკვნით ტიროდა: დარწმუნებული იყო, რომ ისინი ვეღარასოდეს შეხვდებოდნენ ერთმანეთს. 1958 წელი იყო. უმანკოება კი ნურეევმა მოგვიანებით — საზღვარგარეთ გასტროლების დროს, ოცდაათი წლის პრიმადონას მკლავებში დაკარგა. მოგვიანებით ქალმა მომხდარის დეტალები და თავისი მორიგი „მსხვერპლის“ მამაკაცური ღირსებები აღწერა.

შემდეგ უკვე სპექტაკლებსა და გასტროლებს თვლა აღარ ჰქონდა და ნურეევმა ნამდვილი წარმატება იგემა. მალე ის უკვე წამყვან პარტიებს ცეკვავდა.

კიროვის თეატრმა რუდოლფს ლენინგრადში პატარა ბინა გამოუყო, რომელშიც მაშინვე მისი და — როზა შესახლდა. როზა მალევე დაფეხმძიმდა და რუდოლფის ბინაში თავისი პატარა გოგონა ჩაწერა.

კუთხე, რომლისთვისაც ნურეევს შეეძლო თავისი ეწოდებინა, არ ჰქონდა, მაგრამ ეს დიდად არ აწუხებდა: მის ცხოვრებას სპექტაკლები, წიგნები, გამოფენები, თეატრები და მეგობრებთან საუბრები ავსებდა. გამოთქმების შერჩევა ნურეევს არასოდეს უყვარდა, ამიტომ კიროვის თეატრის ხელმძღვანელობა და უშიშროების კომიტეტიდან მასზე მიმაგრებული კურატორები ეჭვის თვალით უყურებდნენ. პარიზისა და ლონდონის გასტროლებისთვის ზედმიწევნით სერიოზულ მსახიობებს არჩევდნენ, მაგრამ ვინაიდან პარიზს უკვე სმენოდა ნურეევის შესახებ, თეატრის დირექტორი დათმობაზე წავიდა.

რუდოლფი საფრანგეთში გაემგზავრა, იქაც დიდი წარმატება მოიპოვა და პრესტიჟული პრემიაც დაიმსახურა. თავად ნურეევი კი, გაიფურჩქნა მისთვის უჩვეულო დასავლური ქალაქის ატმოსფეროში. საგასტროლო დასის ზედამხედველი, უშიშ-

ნურეევი და მარგო ფონტეინი (ბეირუთი. 1964წ.)

როების კაპიტანი შეტყობინებას შეტყობინებაზე აგზავნიდა მოსკოვში. იქ მასზე უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ასეთი აზრი: რუდოლფ ნურეევმა უკიდურესი იდეური და პოლიტიკური არასაიმედოობა გამოამჟღავნა და საჭირო იყო სასწრაფოდ დაბრუნებულიყო ქვეყანაში. ამუშავდა ბიუროკრატიული მანქანა: საბჭოთა კავშირის ელჩს, უშიშროების კომიტეტსა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამის განყოფილებას შორის მიმოწერა გაჩაღდა, ნურეევი კი ამ დროს პარიზით ტკბებოდა და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მისი ბედი ბეწვზე ეკიდა.

გასტროლების დაწყების აღსანიშნავად გამართულ მიღებაზე ის პარიზის ოპერის მოცეკვავეებს მიუახლოვდა და დამტვრეული ინგლისურით წარუდგინა თავი. ,,მე რუდოლფ ნურეევი ვარ, თქვენი კოლეგა კიროვის თეატრიდან". მოცეკვავეებმა ნურეევი გაიცნეს. მათ მეგობრებს შორის იყო კლარა სენტი, ლამაზი და საკმაოდ მდიდარი გოგონა. ასე აღმოაჩინა ნურეევმა თავისი კოლეგებისთვის უცნობი პარიზი.

სპექტაკლები გვიან მთავრდებოდა, მაგრამ მის განკარგულებაში ღამე და მთელი მომდევნო დღე იყო. კლარა სენტი რუდოლფით სერიოზულად იყო გატაცებული: თავის ახალ მეგობარს ქალაქს ათვალიერებინებდა, სანაპიროზე დაჰყავდა, გამოფენებზე, რესტორნებში დაატარებდა და მის გასაცილებლად ლე ბურჟეს აეროდრომზეც გაემგზავრა: კიროვის თეატრი ლონდონში მიფრინავდა. უეცრად, რუდოლფი სენტს მიეჭრა და გაფითრებულმა აცნობა: ,,კლარა, მე მოსკოვში გამგზავრება მიბრძანეს. ყველაფერი დავკარგე, კიროვის თეატრში ვეღარ ვიცეკვებ და უფაში მომიწევს დაბრუნება, მშვიდობით, ჩემი ცხოვრება დამთავრდა..."

სახელმწიფო მანქანას ყველაფერი კარგად ჰქონდა გათვლილი: ჩასხდომის წინ თეატრის დირექტორმა ნურეევი გაიხმო და უთხრა, რომ გეგმები შეიცვალა — ყველა ლონდონში მიემგზავრებოდა, ის კი სასწრაფოდ მოსკოვში უნდა გაფრენილიყო, რადგან დედა გაუხდა ავად და, ამავე დროს, რომელიღაც სამთავრობო კონცერტზეც უნდა ეცეკვა — ვითომდა, ეს თავად ხრუშჩოვის ბრძანება იყო. შემდეგ კი, რუდოლფი შეძლებდა დასს ლონდონში დასწეოდა. დასის ბალერინები ქვითინებდნენ და დირექტორს უხსნიდნენ, რომ ეს გაუგებრობაა. რუდოლფი ნამდვილი საბჭოთა ადამიანი იყო. ის გრძნობდა, რომ სახლში ყველაფრისთვის მოუწევდა პასუხის გება — პარიზელი მეგობრების, კლარა სენტისა და იმის გამოც, რომ ლენინის სახლ-მუზეუმში არ წაჰყვა დასს... რუდოლფმა თავი უკვე გადასახლებაში წარმოიდგინა.

ოპერაცია ნორმალურად მიმდინარეობდა, თუმცა უშიშროების კაპიტანმა ვერ გათვალა, რომ ნურეევი მართლა მოსწონდა კლარა სენტს. ფრანგულ პოლიციას მყარი ანტიკომუნისტური განწყობა ჰქონდა, აეროპორტის უშიშროების სამსახურს კი, თეთრგვარდიელის შვილი ხელმძღვანელობდა. კლარამ გადაუჩურჩულა: ,,მზად ხარ, საფრანგეთში დარჩე?" და რუდოლფმა უპასუხა: ,,დიახ". შემდეგ ქალი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის საძებნელად გაემართა. დრო გადიოდა, თეატრის დირექტორმა ნურეევს მხარზე მოუთათუნა ხელი, ამ დროს რუდოლფმა მისკენ მიმავალი პოლიციელები დაინახა და... მაშინვე აფრინდა — ფანტასტიკურად გრძელი და მაღალი ნახტომი შეასრულა (მოგვიანებით პრესამ მას ,,თავისუფლების ნახტომი" უწოდა). საბჭოთა უშიშროების კომიტეტის გადაცმულმა თანამშრომლებმა ნურეევის შეჩერება სცადეს, მაგრამ პოლიციელებმა მაშინვე აუხსნეს, რომ ეს საფრანგეთი იყო და არა საბჭოთა კავშირი. იმ სარეკლამო კამპანიის ორგანიზება კი, რაც ამ ამბავს მოჰყვა, უზარმაზარი ფულითაც შეუძლებელი იქნებოდა: ნურეევი პირველი საბჭოთა ვარსკვლავი გახდა, რომელიც დასავლეთში დარჩა! მასზე სტატიის დაწერა ყველა ჟურნალისტს სურდა...

შემდეგ იყო ყველაფერი, რაზეც ნურეევის ნებისმიერ კოლეგას მხოლოდ ოცნება შეეძლო: სახლები ლონდონსა და მონაკოში, თორმეტოთახიანი აპარტამენტი ნიუიორკში, ბინა პარიზში, საკუთარი კუნძული და ციხესიმაგრე, ოცი მილიონი დოლარი აშშ-ის და ლიხტენშტაინის ბანკების ანგარიშებზე, ძველებური კოსტიუმების კოლექცია, უამრავი ხალიჩა და ძვირფასი სურათები. რუსეთში კი წერდნენ, რომ ნურეევს მუდმივად ამცირებდნენ პროფკავშირის წევრები. რუდოლფის დედამ ფერად ტელევიზორზეც კი უარი თქვა, რომელსაც შვილი უფაში უგზავნიდა: მას ეგონა, ნურეევი სიღარიბეში ცხოვრობდა. ლენინგრადის სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა შვიდწლიანი პატიმრობა. საბჭოთა საელჩოს კულტურის ატაშემ შეხვედრისას ნურეევს სახეში გაარტყა.

... ფულსა და ფუფუნების საგნებს მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ნურეევს უყვარდა ლამაზად ცხოვრება. მას ძალიან უყვარდა ცეკვა და დასავლეთში ამის საშუალება მიეცა. ის ბევრს და ძალიან ხარბად მუშაობდა, მოგზაურობდა მთელ მსოფლიოში, ეძებდა ნიჭიერ ბალეტმაისტერებსა და კარგ პარტნიორებს, უზომოდ ბევრს ვარჯიშობდა. ნურეევი თვითმფრინავში კითხულობდა, სპექტაკლის შემდეგ მიდიოდა კინოში, კონცერტზე ან გამოფენაზე. ის ერთ საღამოში ოთხ-ხუთ ადგილს სტუმრობდა — ყველაფერი აინტერესებდა და სჭირდებოდა. მას პერსონალური მასაჟისტი ხდიდა და აცმევდა — ასეთ სისულელეზე დროისა და ძალის დაკარგვა არ უნდოდა. რეპეტიციები ოვაციები, მოგზაურობა... წარმატება სულ უფრო ფართომასშტაბიანი ხდებოდა, დიდება თოვლის ზვავივით იზრდებოდა და ნურეევი მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად საბალეტო მსახიობად იქცა.

რუდოლფ ნურეევის შესახებ ხალხს ყველაფერი აინტერესებდა: ცნობილმა ბალერინამ, სამეფო ბალეტის ვარსკვლავმა მარგო ფონტეინმა თავისი ახალი პარტნიორის წყალობით, მეორე ახალგაზრდობა იგემა. ნურეევს ბევრი ცნობილი და მდიდარი მეგობარი ჰყავდა: ჟაკლინ კენედი, ბარონი და ბარონესა გი დე როტშილდები, მულტიმილიონერი, გემების მფლობელი ნიარხოსი. დაბოლოს, ნურეევის სახელი ათასობით თაყვანისმცემელ ქალს უკავშირდება, რომელიც თავიანთ კერპს ერთ-ერთ საუკეთესო საყვარლად თვლიდა. რუდოლფის ნამდვილი ცხოვრება კი, მხოლოდ მისი ახლო მეგობრებისთვის იყო ცნობილი.

ის, რომ ქალები არ აინტერესებდა, ნურეევმა დასავლეთში იგრძნო. ყველაზე მეტად მას კლასიკური ბალეტი უყვარდა. მოცეკვავის იდეალი მისთვის დანიელი ერიკ

ბრუნი იყო. წყნარი და მელანქოლიური, ათლეტური აღნაგობის, აპოლონის სახიანი ერიკი, ამავე დროს, რბილი ხასიათის მქონე და კარგად აღზრდილი კაცი იყო. ის ცეკვის უზადო ტექნიკას ფლობდა: ღმერთმა ყველაფრით დაავჯილდოვა, რაც კი რუდოლფ ნურეევს აკლდა. მათი სიყვარულიც სწორედ ესთეტიკური უპირატესობის აღიარებით დაიწყო.

პირველ შეხვედრაზე მათ საქმიან ურთიერთობაზე ისაუბრეს — საქმიანად, უბრალოდ. ამას მოჰყვა ყავის სმა რეპეტიციების შემდეგ, უცნაური პაუზები... ბრუნი გრძნობდა, რომ უცნაურ გრძნობას ჰყავდა შეპყრობილი. შემდეგ რუდოლფი ერიკთან გადავიდა საცხოვრებლად, ბრუნის მოხუცმა დედამ კვილი მორთო, ის სწრაფად გაერკვა საქმის ვითარებაში, გულის შეტევა დაემართა და მეორე დილით გარდაიცვალა.

ნურეევი ბრუნიზე ნიჭიერი იყო, ერიკი მალე მისი ჩრდილი გახდა, ეს კი არ მოსწონდა. ისინი შორდებოდნენ და ისევ რიგდებოდნენ. შემდეგ ერიკს უცნაური ტკივილები დაეწყო: სიმსივნე ძალიან დაგვიანებით აღმოუჩინეს. ერიკს რუდოლფთან ურთიერთობა უკვე გაწყვეტილი ჰქონდა. სიკვდილის წინ მან თქვა — რუდოლფი რასაც კი შეეხება, ყველაფერს ანგრევსო. ამის შემდეგ ნურეევის ცხოვრებაში ღამის კლუბების კლიენტი ყმაწვილები გამოჩნდნენ. ნურეევი თავს ზეადამიანად თვლიდა, ასეთებს კი ყველაფერი ეპატიებათ... ის მეგობარ ვაჟებს ისე არჩევდა, როგორც სხვები ლამაზ და მოსახერხებელ ნივთებს, ცხოვრების ამ მხარეს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ცეკვავდა ნიუ-იორკში, იაპონიაში, ფიქრობდა ბალეტზე, რომელიც პარიზში უნდა დაედგა... და ჰყავდა ერთი-ორი ყმაწვილი, რომელიც დაძაბულობას უხსნიდა. როცა მას ეშმაკს ადარებდნენ, ნურეევი მხოლოდ იღიმებოდა...

დაუღალავად მუშაობდა, ცეკვავდა ავადმყოფიც კი — ორმოცგრადუსიანი სიცხით, მოტეხილი კოჭით, ნატკენი ქუსლით, ჩაზრდილი ფრჩხილით. მას ყოველთვის თან სდევდა წარმატება. თაყვანისმცემლები აღნიშნავდნენ, რომ მას ასაკი ვერაფერს აკლებდა, მაგრამ ამ უდიდესი წარმატების ფასიც საკმაოდ დიდი იყო: ნურეევი სრულიად მარტო დარჩა — თავისი ცხოვრებიდან ყველა განდევნა, ვინც კი ცეკვაში ხელს უშლიდა. რუდოლფ ნურეევს გადაწყვეტილი ჰქონდა: რაც ხელოვნებასა და წარმატებას არ უკავშირდებოდა, მისთვის უსარგებლო იყო. მან თავი მთლიანად ბალეტს მიუძღვნა და სამაგიეროდ, ყველაფრის უფლება მიიღო.

როცა ნურეევს აცნობეს, რომ შიდსი სჭირდა, არ შეშინებულა. ამით მისი ცხოვრება არ შეცვლილა: ის ძველებურად იპყრობდა მსოფლიოს, ოვაციებით ხვდებოდნენ და აცილებდნენ. შიდსი მას შინაგანად ანადგურებდა, ის კი კვლავინდებურად გამოდიოდა სცენაზე.

რუდოლფმა გამოსვლები მხოლოდ მაშინ შეწყვიტა, როცა ერთმა პროვინციულმა ოჯახმა მისი ცეკვის ხილვის შემდეგ, რუდოლფის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა სარჩელი — „უქმად დაკარგული საღამოსა და მორალური გულგატეხის გამო“...

უფაში კი ის მაინც დაბრუნდა: დედამისი კვდებოდა და რუდოლფმა მოკლევადიანი ვიზა მიიღო (საბჭოეთში უკვე „პერესტროიკის“ ხანა იდგა). მხოლოდ მისმა ექიმმა იცოდა, რომ რუდოლფს შიდსი სჭირდა.

ბინა, დები და დედაც კი, რუდოლფმა ვერ იცნო. მომაკვდავი მშობელი უხმოდ უცქერდა, ტუჩებსაც კი არ ამოძრავებდა, რუდოლფს ვერ გაეგო — ხედავდა თუ არა მას დედა, ან — აპატია თუ არა შვილს ყველაფერი...

ნურეევი წყნარად შებრუნდა და ბინიდან გავიდა. აღმოჩნდა, რომ რუსეთში არავის სჭირდებოდა, მაგრამ არც საფრანგეთში არავინ ელოდა...

მან ბალეტს თავი მიანება და დირიჟორობა დაიწყო. რამდენიმე თვეში შეისწავლა ის, რასაც სხვები წლებს ანდომებდნენ. მეგობრები გაოცებულნი იყვნენ — რუდოლფი ძველებურად მხნედ და მშვიდად გამოიყურებოდა. მათ არ იცოდნენ, როგორი ნაღველი იპყრობდა კაცს, როცა პარკში მოთამაშე ბავშვებს შესცქეროდა. ნურეევი გრძნობდა, რომ მისი სიცოცხლე არ იყო დასრულებული, მას არ შეეძლო შთამომავლობის დატოვების გარეშე წასვლა.

საავადმყოფოში დაწოლამდე ცოტა ხნით ადრე რუდოლფმა თავის მოსწავლეს, შარლ ჟიუდს მეტად უცნაური რამ შესთავაზა: ის არწმუნებდა, რომ მადამ ჟიუდის განაყოფიერება შეიძლებოდა თესლით, რომელსაც ექიმები ნურეევისგან აიღებდნენ, გაჩენილ ბავშვს ერთად აღზრდიდნენ. შეიძლებოდა, შესანიშნავი ოჯახი შექმნილიყო: ჟიუდი, მისი მეუღლე, მათი შვილები, ნურეევის ბავშვი და თვით ნურეევი. თავისი მომავალი ახალი ოჯახისთვის მან ლამაზი ცისფერთვალა ბრეტანში, მაგრამ ექიმმა თქვა, რომ შიდსი ბავშვს შეიძლება გადასცემოდა. მადამ ჟიუდი ძალიან შეშინდა და რუდოლფი მიხვდა, რომ ბედისწერას ვერსად გაექცეოდა...

ექიმები უამრავ წამალს ასმევდნენ, რუდოლფის დები მასთან გადავიდნენ საცხოვრებლად და ძმას ცხელ, ცხიმიან ბულიონს ასმევდნენ, რომელიც ნურეევს გულს ურევდა. სიცოცხლე ყოველ ამოსუნთქვაზე აკლდებოდა და ის ცდილობდა, თანდათან გამოსთხოვებოდა გარემომცველ რეალობას. წარმოიდგინა, რომ მის წინაშე რამპის ჩირაღდნები აინთო, აპლოდისმენტების გრიალი გაისმა და მარგო ფონტეინთან ერთად ავანსცენაზე გამოირბინა. მის თვალწინ კიროვის თეატრმა, ლენინგრადელი მეგობრების სახეებმა გაიელვეს და... აი, ყვავილების თაიგულიც, რომელიც მას დებიუტის დროს ესროლეს — და მან კვლავ იგრძნო დედის თბილი, ალერსიანი ხელები. ო, ღმერთო, როგორ მონატრებოდა იგი!..

რუდოლფ ნურეევმა ტუჩები აამოძრავა, ექთანი დაიხარა, რათა მისი უკანასკნელი სიტყვები გაეგო:

— დედაჩემი სადაა? მე ის მომარჩენდა...

მოამგადა
მანანა ღოღობერიძემ

რუდოლფ ნურეევის საფლავი სენ-ჟენევიევ-დე-ბუაში, საფრანგეთი



					სახლი, სადაც ფულს ჭრიდნენ		ხუროთ-მოძღვრება			სპეციალ-ური ბაღი	ინტერნეტ-საში ლუტა სხირტ-ლაძისგან			პრინცესა დაიანა – ლედი „...“
										საზეიმო ლირიკუ-ლი ლექსი				
										ქართული მონას-ტერი თურქეთში				ძველებური სამეკლისო სწრაფი ცეკვა
					კარტი		ნაღრძობის ან მოტე-ხილობის შესაკრავი							
					ქართველი მხატვარი		ქვილის გასაქარვებე-ლი ხელის მოსმა						ინგლისურად backgam-mon, სპრსულად...	დედამიწის ქერქის წიაღისეუ-ლი
ვაჭარი	მუსიკას წერს	ბოროტი სული გოეთეს „ფაუსტში“	მაგარი ქანი, საშენი მასალა		100-ჯერ ნაკლების მანიშნებე-ლი სიდიდე		უსულო საგნების ნახატი		საჭა-დრაკო ეტლის სინონიმი					
										ტყავი სამხედრო ჩექმები-სათვის				
											ბატი-...			
	ტყავის წამოსაც-მელი წვივზე		რახმანი-ნოვის ოპერა		პრივილეგ. წოდების წარმო-მადგენელი									
					საგნის ძირითადი არსებითი თვისება	„დორიან გრეის პორტრეტი“ (ავტორი)								„ძრავი“ ძველებური ხომალდებ-ისათვის
	პარტია ჩოგბურ-თის თამაშში					მიკი მაუსის შეყვარე-ბული								
	სოკოს ქსელი პროდუ-ქტზე		სასიგნალო მოწყობ-ილობა კრივში											
				უდაბნო მონღო-ლეთში		მცენარე კულინარ., მედიცინასა და პრფუმ.								
						ერთეუ-ლოვანი ვექტორი								
	იტალიელი ფეხბურთის გულშემტ-კივარი			ფრანგი მსახიობი და რეჟისორი										
	გორგო-ლაჭებიანი ტრანსპორ-ტიორი			ინდოეთის „წმინდა“ მდინარე		**შეადგინა რამაზ ალანიამ**								



მე-13 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ბ; 4-გ.

43-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-გ.

კვირის (16-22 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ამ კვირაში ყველაზე კარგად ურთიერთობა ბავშვებთან (განსაკუთრებით, საკუთარ შვილებთან) და საერთოდ, თქვენზე უმცროს ადამიანებთან აგეწყობათ. თქვენ მათ იდეალურ ჭკუის დამრიგებლად, ბრძენ მრჩევლად და იშვიათ პედაგოგად მოევლინებით. აი, ტექნიკასთან შეხება, უმარტივესთანაც კი, კარგს არაფერს გიქადით.

ლომი – 23/VII-23/VIII



კვირის დასაწყისში დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, რათა შეინარჩუნოთ პროფესიული სტატუსი და ავტორიტეტი. წარმატებას მიაღწევთ, თუმცა, ძალიან დაიღლებით კიდეც. გარდა ამისა, გარშემომყოფთ თქვენი მიღწევებით აღფრთოვანების გამოხატვას მოსთხოვთ, რამაც დაცინვის ობიექტად შეიძლება გაქციოთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX



ამ კვირის ორშაბათი და ოთხშაბათი აზარტული თამაშებისა და ავანტიურისტული ნაბიჯებისთვის არის ხელსაყრელი. ფორტუნა მუდამ თქვენს მხარეს იქნება. თუმცა, ბედს მეტისმეტად ნუ გამოცდით და საერთოდ, ამ კვირის დევიზად გაიხადეთ: „ზომიერების დაკარგვა დაუშვებელია!“ კვირის დამლევისთვის ძალიან საჭირო და სასიამოვნო ნაცნობობა გელით.

სასწორი – 24/IX-23/X

რაღაც ახალი საქმე გავიტაცებთ, თანაც, იმდენად, რომ უარს იტყვით მეგობრებთან დროს ტარებასა და საოჯახო მოვალეობებზეც კი. ყურადღებით იყავით – შეიძლება უსიამოვნებას გადაეყაროთ. უქმე დღეებისთვის შესაძლოა, საინტერესო მოგზაურობის შანსი გაგიჩნდეთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

შეიძლება, სიტყვა „პედანტურობა“ თქვენში უსიამოვნო ასოციაციებს იწვევს, მაგრამ ვერაფერს იზამთ – სწორედ ეს თვისება გამოგადგებათ ყველაზე მეტად ამ კვირაში: ყურადღების ოდნავი მოდუნების ან არაორგანიზებულობის გამოვლენის შემთხვევაში, უფროსობის რისხვა ან საოჯახო უსიამოვნება დაგატყდებათ თავს.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ამ კვირაში უახლოეს ადამიანთან შეიძლება გაგირთულდეთ ურთიერთობა. თუმცა, ძალიან ნუ შეშფოთდებით: საკმარისია, მეტი დრო გაატაროთ ერთად და პრობლემას მინიმუმამდე დაიყვანთ. უმთავრესია, საკუთარ თავში დაძლიოთ უმიზეზო ეჭვიანობის ყოველგვარი გამოვლინება და ყველაფერი კარგად იქნება.

თხის რქა – 22/XII-20/I

შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ სამსახურში ვიღაც ინტრიგების ქსელს ხლართავს, რომელშიც თქვენც ისე გაბმულხართ, რომ დროულად ვერც მიმხვდარხართ ამას. შეეცადეთ, მშვიდად, ზედმეტი ხმაურის გარეშე გაარკვიოთ ყველაფერი, ამ ინტრიგაში მონაწილე ყველა მოქმედ პირთან. საერთოდ კი, ყველაზე მეტი დრო საკუთარ სამუშაოს დაუთმეთ.

მერწყული – 21/I-19/II

ამ კვირაში უამრავი რამ შეიძლება იპოვოთ: ნივთები, რომელიც დაკარგული გეგონათ, თავისთავად გამოჩნდება, ასევე უეცრად გამოგეცხადებიან ადამიანები, რომლებიც თითქოს თქვენს წარსულში დარჩნენ. სამსახურშიც დაუსრულებელი საქმეების მოგვარებით იქნებით დაკავებული.

თევზები – 20/II-20/III

უფრო მომთხოვნი იყავით მიღებული ინფორმაციის მიმართ, ნაკლებად დაუჯერეთ სიტყვებს და უფრო ხშირად გადაამოწმეთ ხოლმე ყველა ცნობა: ბევრი შანსი გაქვთ, ტყუილის მსხვერპლი გახდეთ ან შეცდომაში შეგიყვანონ, ამიტომ მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ.

ვერძი – 21/III-20/IV

თუ ფული რაღაც სარისკო პროექტში გაქვთ ჩადებული ან ნაკლებად სანდო ადამიანებს ასესხეთ, ეცადეთ, ხუთშაბათისთვის დაიბრუნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დაკარგოთ კიდეც. ეს კვირა ახალი კონტრაქტებისა და გარიგებებისთვისაც არ არის ხელსაყრელი და საერთოდ, ურთიერთობა სხვადასხვა წრეში მაქსიმალურად უნდა შეზღუდოთ.

კურო – 21/IV-21/V

ივლისის დარჩენილი დღეების მანძილზე, ჩემოდანი სულ გამზადებული უნდა გქონდეთ: ბევრი მოგზაურობა მოგიწევთ, მათ შორის, ამ კვირაშიც. მაგრამ შინ ყოფნის დროსაც ბევრი ახალი ნაცნობობა გელით, კვირის დამლევისთვის კი, რომანტიკული თავგადასავლისთვის უნდა იყოთ მზად.

მარგალიტი – 22/V-21/VI

სამშაბათს და ოთხშაბათს ოფიციალური დოკუმენტების გაფორმება მოგიწევთ: ამ დღეებში ნებისმიერი ინსტანციის ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან გაგიადვილდებათ. გარდა ამისა, ძალიან ხელსაყრელი კვირაა ნებისმიერი პარტნიორული ურთიერთობის გასაბმელად და განსამტკიცებლად. უქმეები მშვიდი და წყნარი დასვენებისთვის გამოიყენეთ.

გაქვთ თუ არა ფანტაზიის უნარი?

მჩქეფარე, დაძაბული დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, საოცრად თავბრუდამხვევი მოვლენებით არის დატვირთული, თუნდაც ისეთით ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, უფრო ფანტაზიის სფეროს რომ განეკუთვნებოდა, ვიდრე რეალობას. თუმცა, ფანტაზიის ობიექტები და პრიორიტეტები იცვლება, მაგრამ ადამიანი გულის სიღრმეში მაინც ფანტაზიორად რჩება.

ამის შემოწმება საკუთარ თავზეც შეგიძლიათ, თუ ტესტის კითხვებს უპასუხებთ („დიახ“ ან „არა“) და მიღებულ ქულებს დააჯამებთ. მაგრამ გახსოვდეთ, რომ პასუხის გაცემისას მაქსიმალურად გულწრფელნი უნდა იყოთ!

1) გიყვართ ხატვა?
დიახ – 2;
არა – 1.

2) ხშირად ხართ მოწყენილი?
დიახ – 1;
არა – 2.

3) როცა მეგობრების წრეში რაღაც ამბავს ჰყვებით, გჩვევიათ თუ არა მისი „შელამაზება“?
დიახ – 1;
არა – 0.

4) იჩენთ თუ არა ინიციატივას სამსახურში?
დიახ – 2;
არა – 1.

5) გაქვთ თუ არა გაურკვეველი კალიგრაფია?
დიახ – 1;
არა – 0.

6) ტანსაცმლის არჩევისას, საკუთარ გემოვნებას მეტად ენდობით, ვიდრე მოდას?
დიახ – 2;
არა – 1.

7) თუ თათბირზე მოწყენილი ზიხართ, გჩვევიათ თუ არა ფურცელზე რაიმე ფიგურების ხატვა?
დიახ – 0;
არა – 1.

8) მუსიკის მოსმენისას, გიჩნდებათ თუ არა მელოდიასთან დაკავშირებული წარმოსახვითი სურათები?
დიახ – 1;
არა – 0.

9) გიყვართ თუ არა გრძელი წერილების წერა?
დიახ – 2;
არა – 1;

10) გესიზმრებათ თუ არა უცნაური, არარეალური და ფანტასტიკური სიზმრები?
დიახ – 1;
არა – 0.

11) შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ადგილი, რომელიც ახლობლების მონაყოლით იცით?
დიახ – 1;
არა – 0.

12) ტირილი თუ გჩვევიათ?
დიახ – 1;
არა – 0.

დააჯამეთ მიღებული ქულები

14-17 ქულა: დაუშრეტელი, უკიდეგანო ფანტაზიის უნარი გაქვთ. თუ მას სათანადო მიმართულებით წარმართავთ და სწორად გამოყენებას შეძლებთ, თქვენი ცხოვრება ბევრად უფრო მრავალფეროვანი გახდება და გარშემომყოფებსაც მეტ სიხარულს და ბედნიერებას მიანიჭებთ.

9-12 ქულა: ფანტაზიის უნარი გაქვთ, მართალია, არცთუ ისე ძლიერი და ყოვლისმომცველი, მაგრამ მისი განვითარება, გაღრმავება და ცხოვრების გალამაზება მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. სცადეთ, ჯერ ყველაფერი როდია დაკარგული!

5-8 ქულა: ძალიან რეალისტი ადამიანი ბრძანდებით, ზოგჯერ ზედმეტად რეალისტიც კი. მიწაზე მყარად, რომ იტყვიან, ორივე ფეხზე დგახართ და ღრუბლებში ფრენა არ გჩვევიათ. დაფიქრდით – იქნებ ხანდახან, განტვირთვის მიზნით, ესეც საჭიროა?!

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ

სწორედ ასეთი სიტუაციის დაწესებას აპირებს გერმანული პროტესტანტული ეკლესია, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ქვეყანაში ძალიან გახშირდა განქორწინება, ამიტომ ეკლესიის წარჩინებულთა აზრით, გაყრის გზაზე დამდგარ წყვილებს ამ აქტის საზეიმოდ ჩატარების უფლება აქვთ. ეს იდეა პირველად მიუნხენელმა პასტორმა გერჰარდ მონიგერმა, ეკლესიის მიერ ოფიციალურად ნაკურთხ თავის ბროშურაში გამოთქვა. მისი ვერსიით, განსაქორწინებელი წყვილი, ახლობელ-ნათესავების თანდასწრებით, საზეიმოდ მოიხსნის და მღვდელმსახურს გადასცემს ბეჭდებს... გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევაც, როცა ცოლ-ქმარს მტრული ურთიერთობა აქვს. „უმჯობესია, რომ მეუღლეები ერთად მივიდნენ ეკლესიაში, მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდა, მღვდელმსახურმა მათ უარი არ უნდა უთხრას, ცალ-ცალკე მივიდნენ მასთან და ისე ჩაატარონ ცერემონია“, — დასძენს პასტორი.



ᲐᲮ ᲔᲡᲮᲝᲚᲝᲗ... ᲕᲔᲚᲔᲗ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲡ

„სროლა აკრძალულია!“ — ასეთი წარწერა, თანაც ორენოვანი — ესპანური და ინგლისური, ამშვენებს დაფას, რომელიც ნევადის შტატის უდაბნოში გზატკეცილზე, დიდი ხნის წინ დაუდგამთ. როგორ ასრულებენ ამ ბრძანებას ჩვეულებრივ კანონმორჩილი ამერიკელი მოქალაქეები — ამას ტყვიებით დაცხრილული დაფა მოწმობს, რაც სავსებით გასაგებია, რადგან ეს — ერთადერთი სამიზნეა უახლოესი ასეულობით კილომეტრის რადიუსში.

ᲯᲔᲘᲛᲡ ᲑᲝᲜᲓᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲣᲧᲘᲓᲔᲡ

ბონდიანის ახალ ფილმში, აგენტი 007, როგორც იქნა, ბრიტანული წარმოების ავტომობილით ივლის. როგორც ცნობილია, ამ კინოსერიალის პირველ ფილმებში ბონდი „ასტონ მარტინით“, შემდგომ — „ბეემვეს“ მარკის მანქანებით დაიარებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ კონცერნმა ინლისური „როვერის“ ქარხანა გაყიდა, კინოკომპანია EON PRODUCTION-მა პროტესტის ნიშნად, მასთან კონტრაქტი გაწყვიტა. ბევრი ფიქრის შემდეგ, მან ისევ „ასტონ მარტინზე“ შეაჩერა არჩევანი, რომელმაც სულ ახლახან გამოამზეურა ფილმისთვის განკუთვნილი მოდელი: ეს არის V12 VANQUISH-ი, რომელიც 220.000 დოლარი ღირს.



ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲒᲖᲐ“ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ „ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ“

ნებისმიერ ჟურნალისტს (არაჟურნალისტსაც) შეუძლია წარმოადგინოს ჟურნალის გვერდის ან რუბრიკის ორიგინალური ვარიანტი.

კონკურსში გამარჯვებულები უზრუნველყოფილნი იქნებიან სტაბილური სამსახურით (შესაძლებელია ერთჯერადი ანაზღაურებაც).

რუბრიკის იდეა და შინაარსი გთხოვთ წარმოადგინოთ წერილობით 16 ივლისიდან, რედაქციაში, ან გამოგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 33-50-32

ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ედუარდ შევარდნაძემ, მიხეილ საკაშვილმა და ვანო ჩხარტიშვილმა.

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲔᲓᲣᲐᲠᲓᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲕᲐᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ!

ᲞᲐᲡᲘ ᲗᲥᲕᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲔᲥᲘ!

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (17 ივლისის) 13 საათამდე.

„ფანტაზია“
— ბასი თქვი
და დაწერე



„ფანტაზიორობს
მკითხველი“
მაგა გვინაცვალოთ!

...ფულს და ფუფუნების საგნებს მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: რუდოლფ ნურიევს უყვარდა ლამაზი ცხოვრება. ის ძვლებურად იპყრობდა მსოფლიოს და აბეჭრებდა ყველას... შიდსი მას შიგნიდან ანადგურებდა. ის კი კვლავაც გამოდიოდა სცენაზე...

b 32/27